

კარლოს კასტანედა

დონ ხუანის მოქცევა:

იაკ ინდიელთა სოფლის გზა

THE TEACHINGS
OF DON JUAN:

A YAQUI WAY OF KNOWLEDGE

Carlos Castaneda

Carlos Castaneda

THE TEACHINGS
OF DON JUAN:

A YAQUI WAY OF KNOWLEDGE

საგანთაგანთა კოლეჯი

დირექტორი: ლევან თითმერია
რედაქტორი: დათო აბულაძე

ISBN 99928-39-43-0

შესავალი

1960 წლის ზაფხულს, ლოს-ანჯელესის უნივერსიტეტის სტუ-
დენტობის უამს რამდენიმეჯერ მომიწია მოგზაურობა სამხრეთ-
დასავლეთით, ზოგიერთი იმ სამკურნალო მცენარის შესახებ ცნობე-
ბის შესაგროვებლად, რომელთაც იქაური ინდიელები იყენებდნენ.
აქ მოთხრობილი ამბები ერთ-ერთი იმ მოგზაურობის დროს იღებენ
სათვეს. გრეიხუნდისაკენ მიმავალ ავტობუსს ველოდებოდი ერთ-
ერთ სასაზღვრო ქალაქში და ამხანაგთან, ჩემს გიღსა და დამხმარ-
ესთან ვსაუბრობდი. უეცრად ის ჩემკენ დაიხარა და ჩამწურჭულა,
რომ ფანჯარასთან მჯდომმა კაცმა — ჭალარა ხნიერმა ინდიელმა
— ბევრი რამ იცოდა მცენარეების, და განსაკუთრებით, პეიოტის
შესახებ. მე, რა თქმა უნდა, ვთხოვე, წარუდგინა ჩემი თავი ამ კაცი-
სათვის.

ამხანაგი შორიდან მიესალმა ინდიელს, მერე მივიდა და ხელი
ჩამოართვა. ხანმოკლე საუბრის შემდეგ ხელით მანიშნა მივსულიყავი,
მაგრამ არ უზრუნვია ჩვენს გაცნობაზე ისე გაგვეცალა. მოხუცი
ხულაც არ ჩანდა დაბნეული. მე თავი წარუდგინე, მან კი მიიასუსხა,
რომ მას სახელად ხუანი ვრქვა და იგი მზად იყო ჩემი სამსახ-
ურისთვის. ამასთან მან მიმართვის ესპანური თავაზიანი ფორმით
ისარგებლა. ჩემი ინციტაციით ერთმანეთს ხელი ჩამოვართვით და
სინამდვილე ჩამოვარდა. დუმილს არ ახლდა დაჭიმულობა, უბრალოდ
ორთვე ბუნებრივად და დაუძაბავად ვიცავდით სიჩუმეს. მის მუქ სა-
ხეს და კისერს ნაოჭები ფარავდა, რაც ამკარად სიმხნევის ნიშანი
იყო, მაგრამ უმალ გამოცა მისი სხეულის სიჭარბაგემ და დაკუნ-
თულობამ.

მერე ვუთხარი, რომ სამკურნალო მცენარეები მაინტერესებ-
და. მართალი რომ ვთქვა, მე თითქმის არაფერი ვიცოდი პეიოტის
შესახებ, მაგრამ თავი დიდ მცოდნედ მომიქონდა, და მეტიც, გადა-
კერით ვანიშნე, რომ ჩემთან საუბარი მისთვის ძალზე სასარგებლო
იქნებოდა. სანამ ამგვარად ვებულობდი, მან ნელა გააქნია თავი და
შემომხედდა. ისე რომ არაფერი უთქვავს. მის მზერას თვალთ ვერ
გავუსწორე და ჩვენ დაეასრულეთ იმით, რომ ერთი მეორის პირდა-
პირ სამარისებულ სინამდვილეში ვიდევით. ბოლოს, როგორც მომიქვინა,
უსასრულოდ გრძელი პაუზის შემდეგ დონ ხუანი წამოდგა და ფან-
ჯარაში გაიხედა. გამოჩნდა მისი ავტობუსი; ის გამომემშვიდობა და

სადგურის შენობიდან გავიდა.

გული მომივიდა საკუთარ თავზე, ამდენი სისულელე რომ ვილაპარაკე და ეს მამინ, როცა მისი არაჩვეულებრივი თვალები გამჭოლ მხედველდნენ. დაბრუნებულმა ამხანაგმა სცადა ჩემი წარუმატებლობის გამართლება. მოხუცი, მიხსნიდა იგი, ხშირად იყო სიტყვატუნჯი და გულჩათხრობილი, მაგრამ ამ პირველი შეხვედრით გამოწვეული შემფოთება არც ისე ადვილად დასაშოშმინებელი გამოდგა.

ცოტაოდენი გავისარჯე, გავიგე სად ცხვრობდა დონ ხუანი და შემდგომ რამდენიმეჯერ მასთან ჩავედი. ყოველი ვიზიტის დროს ვცდილობდი საუბარი პეიოტზე გადამეტანა, მაგრამ უშედეგოდ. მიუხედავად ამისა, ჩვენ კარგი მგობრები გავხდით და ჩემი მეცნიერული გამოკვლევები დავისწყებას ჩაბარდა, ან ყოველ შემთხვევაში მათ პირვანდელისგან საკმაოდ განსხვავებული მიმართულება მიეცათ.

ამხანაგმა, რომელმაც დონ ხუანი გამაცნო, შემდგომ ამიხსნა, რომ მოხუცი არ იყო წარმოსვებით არიზონელი, სადაც ჩვენ ერთმანეთს შევხედით, არამედ იყო მექსიკის სონორის შტატის მკვიდრი — იაკის ტომის ინდიელი.

დღესაწვისში დონ ხუანი ჩემთვის უბრალოდ საინტერესო პიროვნება იყო, რომელმაც ბევრი რამ იცოდა პეიოტის შესახებ და ბრწყინვალედ ლაპარაკობდა ესპანურად. მაგრამ ხალხს, ვისთანაც იგი ცხვრობდა, სწამდა, რომ ის რაღაც „იდუმალ ცოდნას“ ფლობდა, რომ იგი „ბრუნი“ იყო. ესპანურად სიტყვა brujo ნიშნავს ერთ-ბოროულად ექიმს, ექიმბაშს, ჯადოქარს, მაგს. ასე უწოდებენ აგრეთვე ადამიანს, რომელიც ფლობს არაჩვეულებრივსა და, როგორც წესი, ბოროტ ძალებს.

ერთი წელი დამკვირდა იმისათვის, რომ დონ ხუანის ნდობა მომიქოდა. ერთხელ მან განმიცხადა, რომ რაღაც ცოდნას ფლობდა, რომელიც თავის მოსწავლეობის დროს მოძღვრისაგან მიიღო, — ის მას „მენეჟატორი“* უწოდებდა. დონ ხუანმა, თავის მხრივ, მე ამირჩია მოწაფედ, მაგრამ გამაფრთხილა, რომ ხერაიზული ვალდებულებების აუტა მომიწევდა და რომ სწავლება ხანგრძლივი და მო-

* Benefactor (ესპ) — (მწავლობელი) კეთილის მყოფელი, სასიკეთო ვიარაგბა.

ქანცველი იქნებოდა.

თავისი მასწავლებლის დახასიათებისას დონ ხუანი სიტყვა „ლიბალუროს“ ხმარობდა. მოგვიანებით შევიტყვე, რომ ეს ცნება მხოლოდ სონორულ ინდიელებს შორის გამოიყენებოდა და ბოროტ კაცს ნიშნავდა, შუი მაგიის მიმდევარს, რომელსაც შეუძლო ცხოველად — ფრინველად, ძაღლად, კოიოტად ან სხვა ნებისმიერ არსებად გადაქცევა. სონორის ერთ-ერთი ჩემი მოგზაურობისას ერთი საინტერესო თავგადასავალი გადამხდა, რომელმაც თვალნათლივ გამოავლინა ინდიელთა დამოკიდებულება დიაბლურის მიმართ. ღამით ორ მგობარ ინდიელთან ერთად მანქანით მივემგზავრებოდი და უცებ დაეინახე, როგორ გადაკეთდა გზა რაღაც ძაღლის მაგვარმა ცხოველმა. ერთ-ერთმა მგობარმა თქვა, რომ ეს ძაღლი კი არა კოიოტი იყო. მე დავამხრუჭე და გზის ნაპირზე გადავედი, ცხოველი რომ უკეთ დამენახა. იგი რამდენიმე წამით გაშუშდა ფრების შუქზე, შემდეგ ჩაპარალში** გაუჩინარდა. ეს უცქველად კოიოტი იყო, ოღონდ ჩვეულებრივზე ორჯერ დიდი. ცხარე კამათის შემდეგ ჩემი მგობრები შეთანხმდნენ, რომ ჩვენ ძალზედ უჩვეულო ცხოველი ვნახეთ, ხოლო ერთ-ერთმა გამოთქვა ვარაუდი, რომ შესაძლოა ეს დიაბლური ყოფილიყო. გადავწყვიტე მესარგებლა ამ შეთხვევით და გამოვიკითხე იმ ადგილებში მცხოვრებ ინდიელებს მათი აზრი დიაბლურის არსებობის შესახებ. ბევრს გამოუვლარაკე — ეუყუებოდი ამ შემთხვევას და შეკითხვებს ვაძლევდი. შემდეგი სამი საუბარი აჩვენებს, თუ რას ფიქრობდნენ ისინი ამის თაობაზე.

— შენ ფიქრობ ეს კოიოტი იყო, ჩიო? — კვიტოტ მე ახალგაზრდა კაცს მას შემდეგ როცა მან მოისმინა ჩემი მონათხრობი.

— ეინ იცის? უთუოდ ძაღლი იქნებოდა. კოიოტისათვის ნამეტანი დიდა.

— ხომ არ ფიქრობ, რომ ეს დიაბლური იყო?

— სისულელეა, დიაბლური არ არსებობს.

— რატომ გგონია, ჩიო?

— ხალხი რას არ მოიგონებს. ნიძლავსაც დაედებ, რომ დაეკვირათ, ის უსათუოდ ძაღლი აღმოჩნდებოდა. ერთხელ სხვა ქალაქში საქმე მქონდა, გათენებამედ აუდექი და ცხენი შეკავაზე.

** ჩაპარალი — ბუქჭოანი მუხის რაყა (ბარდი), ტპიური მექსიკისა და სამხრეთ აშშ-ს შთავანისათვის.

გზაზე რომ გამოვდიოდი, მუქ ჩრდილს გადავყვარე, რომელიც ძალიან ჰკავდა დიდ ცხოველს. ჩემმა ცხენმა უკან დაიხია და უნაკირიდან გადმომაგდო. მეც საკმაოდ შეშინდნა, მაგრამ ჩრდილი საბოლოოდ ქალაქში მიმავალი ქალი გამოდგა.

— ესე იგი ჩიო, შენ გინდა თქვა, რომ დიაბლურს არსებობისა არ გწამს?

— დიაბლერო? რის დიაბლერო? აბა მითხარით, რა არის დიაბლერო?

— არ ვიცი, ჩიო. იმ დამეც ჩემთან მყოფმა მანუელმა თქვა, რომ კოიოტი შესაძლოა დიაბლერო იყო. შენ ხომ ვერ მეტყვი, რა არის დიაბლერო?

— ამბობენ, რომ დიაბლერო — არის ბრუხო, რომელიც რაიაც უნდა, იმად გადაიქცევა. მაგრამ ყველამ იცის, რომ ეს მონაჩმახია. აქაური მოზუცები უთვალჯე ამბავს მოვიყვებიან ამ დიაბლეროზე. ჩვენ ახალგაზრდები კი სულ სხვაგვარად ვფიქრობთ.

— როგორ ფიქრობთ, რა ცხოველი იყო ეს, დონია ლუს? — ვკითხე მე საშუალო ასაკის ქალს.

— მხოლოდ დემეტომა თუ იცის დანამდვილებით, მაგრამ მე მგონი, ის კოიოტი არ იქნებოდა. რაღაც—რაღაცეები შეიძლება ავეერიოს კოიოტში, მაგრამ სინამდვილეში ის სულ სხვა რამ იყო. კოიოტი გარბოდა, თუ ჭამდა?

— დროის დიდ ნაწილს იგი იღვა, მაგრამ მე რომ დავინახე, მგონი, რაღაცას ჭამდა.

— დარწმუნებული ხართ, რომ მას არაფერი მიჰქონდა პირში?

— შეიძლება მიჰქონდა, მაგრამ ამას რა მნიშვნელობა აქვს?

— აქვს მნიშვნელობა. თუ მას პირში რაღაც მიჰქონდა, მაშინ იგი არ იყო კოიოტი.

— აბა რა იყო?

— კაცი ან ქალი.

— თქვენ რას ვმახიბთ ასეთ ადამიანებს, დონა ლუს? — მან არ მიპასუხა. მე კიდევ რამდენიმე შეკითხვა დავუსვი, მაგრამ უშედეგოდ. ბოლოს მან განმიცხადა, რომ არ იცოდა. მე ვკითხე, ხომ არ ეძახდნენ ასეთ ადამიანებს დიაბლეროს და მან მიპასუხა, რომ ეს ერთ-ერთი მათი სახელი იყო.

— თქვენ ხომ არ იცნობთ რომელიმე დიაბლეროს? — შევე-

კითხე მე.

— მე ვიცნობდი ერთ ქალს, — მიპასუხა მან. — იგი მოკლეს. ეს ამბავი მაშინ მოხდა, როცა მე გოგონა ვიყავი. ქალს, როგორც ამბობდნენ, ძუენა ძალღად შეეძლო გადაიქცევა. ერთხელ, რომელიღაც ძალი შეიპარა თეთრი კაცის სახლში ყველის მოსაპარავად. თეთრმა მოკლა ის პისტოლეტით და იმავე წამს, როდესაც ძალი ჩაიღძო თეთრი კაცის სახლში, ქალი მოკვდა თავის ქონში. მისი ნათესავები შეიკრიბნენ, მივიდნენ თეთრთან და გამოსასყიდი მოსთხოვეს. მას დიდი ფულის გადახდა მოუხდა მკვლელობაში.

— როგორ შეეძლოთ მათ გამოსასყიდის მოთხოვნა, როდესაც მან მხოლოდ და მხოლოდ ძალი მოკლა?

— მათი თქმით, თეთრმა იცოდა, რომ ის ძალი არ იყო. მასთან სხვებიც იყვნენ და ყველამ დანახა, როგორ დადგა ძალი უკანა თათოზე და ადამიანებით გაიწია ყველისკენ, რომელიც სახურავზე გამოიღებულ ლანგარზე იყო. ხალხი მაშინ ქურდს ელოდებოდა, იმიტომ რომ ყოველ დამეს ყველი სადღაც ქრებოდა. ასე რომ, იმ კაცმა მოკლა ქურდი და იცოდა, რომ ის ძალი არ იყო.

— ახლა თუ არიან დიაბლერო, დონია ლუს?

— ასეთი რამეები უღრმეს საიდუმლოებაში ინახება. ამბობენ, რომ დიაბლერო უკვე აღარ არიან, მაგრამ მე ვჭკვი მეპარება ამასი, იმიტომ რომ დიაბლეროს ოჯახის ერთ-ერთი წევრი ვალდებულია შეისწავლოს ის, რაც იცის დიაბლერომ. დიაბლეროს პაქთ თავისი კანონები და ერთ-ერთი კანონი ამბობს, რომ დიაბლერომ უნდა გააღაცეს საიდუმლოებანი რომელიმე თავისიანს.

— როგორ ფიქრობთ, ხენარო, რა ცხოველი იქნებოდა ეს? — ვკითხე ერთ ღრმად მოზუცს.

— ძალი რომელიმე რანჩოდან, აბა სხვა რა?

— ვთქვათ, დიაბლერო!

— დიაბლერო? ხომ არ გაგიჟდი! არაა, არაერთი დიაბლერო.

— ამით რა გინდათ თქვათ, ახლა არ არიან, თუ არასოდეს ყოფილან?

— არა, ერთ დროს იყვნენ. ეს ცნობილია და ამის შესახებ ყველამ იცის. მაგრამ ხალხს მათი ძალიან ეშინოდა და სუყველანი დახოცეს.

— ვინ დახოცა იხინი, ხენარო?

— მთელმა ტომმა. უკანასკნელი დაბაღერო, როგორც მე ვიცი, იყო წ. მან მოკლა ათობით, შესაძლოა ასობით ადამიანი თავისი ჯადოქრობით. აღარ შეიძლება ამის მოთმენა, ხალხი შეიკრიბა, ერთ ღამეს მოულოდნელად თავს დაესხა და ცოცხლად გაღწეა.

— როდის მოხდა ეს, ხენარო?

— 1942 წელს.

— თქვენ თვითონ ნახეთ ეს?

— არა, მაგრამ ხალხი ამაზე დღესაც ლაპარაკობს. ამბობენ, რომ მისგან ფერფლიც კი არ დარჩენილა, თუცა კოცონი სველი შემოიხან იყო აგებული. ერთადერთი რაც დარჩა — ეს იყო დამდნარი ქონის უზარმაზარი გუბე.

თუცა დონ ხუანი თავის ბენეფაქტორს დიდალეროთა რიცხვს მაკუთვნებდა, მას არაიოდეს დაუსხელვებია ადგილი, სადაც მისგან ცოდნა მიიღო და არც მასწავლებლის სახელი გაუშეხლა. უნდა ვთქვა, რომ დონ ხუანი თითქმის არ საუბრობდა თავისი პირადი ცხოვრების შესახებ. მან მხოლოდ მითხრა, რომ დაიბადა სამხრეთ-დასავლეთში 1891 წელს და ცხოვრების დიდი ნაწილი მექსიკაში გაატარა. 1900 წელს მისი ოჯახი, ისევე როგორც ათასობით სხვა სონორელი ინდიელი, მექსიკის მთავრობამ ცენტრალურ მექსიკაში განდევნა და რომ იგი 1940 წლამდე ცენტრალურსა და სამხრეთ მექსიკაში ცხოვრობდა. ვინაიდან დონ ხუანი ბევრს მოგზაურობდა, მისი ცოდნა შეიძლება მრავალი გავლენის შედეგი ყოფილიყო. ასე რომ, მიუხედავად იმისა, რომ თვითონ იგი თავს სონორელ ინდიელად სცნობდა, მე არა ვარ დარწმუნებული, შეიძლება თუ არა მისი ცოდნის კონტექსტი მთლიანად სონორელ ინდიელთა კულტურას დაუკავშიროთ. თუცა, მე აქ არა მაქვს განზრახული მისი კულტურული წარმომავლობის გარემოს ზუსტი განსაზღვრა.

დონ ხუანთან ჩემი შეცდინიება 1961 წლის ოქტომბერში დაიწყო. მანამდე მას სხვადასხვა გარემოში ეხუდებოდი, მაგრამ ყოველთვის როგორც ანტროპოლოგი-დამკვირვებელი. ამ პირველი საუბრებისას მე ფარულად ჩანაწერებს ვაკეთებდი. შემდეგ დამახსოვრებულთ მთელი საუბრის აღდგენას ვცდილობდი. ხოლო როდესაც მოსწავლეობას შეუდგე, ასეთიანად ჩანაწერების კეთება ძალზე ძნელი გახდა, ვინაიდან ჩვენი საუბრები მრავალ სხვადასხვა თემას

შეეხოდა. მაშინ დონ ხუანმა ნება დამბრო — მართალია, ხანგრძლივი შეგონების შემდეგ — ჩვენი საუბრები დაუფარავად ჩამქურა. მე ძალიან მინდოდა აგრეთვე ფოტოსურათების გადაღება და მაგნიტოფონური ჩანაწერების გაკეთებაც, მაგრამ ამის უფლება მან არ მომცა.

ჩემი მოსწავლეობა დაიწყო არიზონაში, შემდეგ სონორში გავრქელდა, ვინაიდან დონ ხუანი ამ დროისათვის მექსიკაში გადაბარგდა. ჩემი განაწესის მიხედვით, მასთან მიუღლებით რამდენიმე დღე და რაც შეიძლება ხშირად უნდა გამეტარებინა. 1961-1964 წლების ზოგადი თვეებში ჩემი ვიზიტები უფრო ხშირი და ხანგრძლივი გახდა. ახლა გასული დროის სიმირიდან მე ვფიქრობ, რომ ეს მეოთხედი მაინც და მაინც არ უწყობდა ხელს წარმატებულ სწავლებას, რადგან ხელს უშლიდა ყოველივე დანარჩენისგან სრულ განყენებას, მაგალიწოდ ახეთი ვანდომა მჭირდებოდა მე იმისათვის, რომ მალე გავმხდარიყავი. პირადად ჩემთვის ეს ეს საკმაოდ მოსახერხებელი იყო, სახელდობრ იმით, რომ ბოლომდე არ მოგჭაგდა, და ამგვარად კრიტიკულობის შენარჩუნებაში მქმნაბრებოდა — რაც შეუძლებელი იქნებოდა შემდეგ, შეუსვენებლოდ ჩართვისას. 1965 წლის სექტემბერში მე ჩემი ნებით უარი ვთქვი მოსწავლეობაზე.

რამდენიმე თვის შემდეგ პირველად გავიფიქრე ჩემი საველე ჩანაწერების წესრიგში მოგვანახე. ვინაიდან მოგროვილი მასალა საკმაოდ ვრცელი იყო და ბევრ სხვადასხვაგვაროვან ინფორმაციას შეიცავდა დღევანდელი იმით, რომ ვცადე მისი სისტემაში მოეყვანა. დაგზავნის ხე ვეკლა მონაცემი ურთიერთდაკავშირებულ ცნებათა და პროცედურათა არეზად, დაეწყვე იერარქიულად მათი მნიშვნელობის ანუ ჩემზე მათი გავლენის მიხედვით. ასე მივედი ჩემს კლასიფიკაციამდე: პალეოანთროპოლოგიის მცენარეობის გამოყენება; ჯადოქრობის პროცედურები და ფორმულები; ძალის საგნების მოპოვება და გამოყენება; სამკურნალო მცენარეობის გამოყენება; სიმღერები და ლექსები.

განცდილ ფენომენალურ მოვლენებზე ფიქრისას მე მივხედი, რომ კლასიფიკაციის ამგვარი ცდა არ იძლეოდა არაფერს, გარდა კატეგორიათა ნუსხისა; ასე რომ, ჩემი სქემის გაუმჯობესების ნებისმიერი ცდა მხოლოდ ნუსხის გართულებას გამოიწვევდა. ეს კი არ იყო ის, რაც მე მინდოდა. მოსწავლეობაზე უარის თქმის შემდეგ მე უნდა გამეო რა განვიცადე, — ხოლო ის, რაც განვიცადე იყო

მოდერება რწმენის მწყობრი სისტემის შესახებ, რომელიც პრაგმატული, ექსპერიმენტული მეთოდის საშუალებით გადაიცემა. პირველივე სესიიდან, რომლის მონაწილეს მე გახლდით, უკვე ცხადი იყო, რომ დონ ხუანის მოძღვრებას ახასიათებდა გარკვეული შინაგანი წყობა და როგორც კი მან მტკიცედ გადაწყვიტა თავისი მოძღვრების ჩემთვის გადმოცემა, მისმა განმარტებებმა თანმიმდევრული ხასიათი მიიღო. ამ წყობის ამოხსნისა და გაგების ამოცანა ჩემთვის ყველაზე ძნელი გამოდგა.

ხოლო არ მესმოდა მე ალბათ იმიტომ, რომ ოთხი წლის მოწაფეობის შემდეგ მაინც ახალბედად ვრჩებოდი. ჩემთვის ნათელი იყო, რომ თვით ცოდნა და მისი გადაცემის მეთოდი დონ ხუანმა თავის ბენეფიკტორისაგან მიიღო, ამიტომ სიძნელეები, რომლებსაც მე ვხვდებოდი მოძღვრების გაგებისას, მის მიერ განცდილის ანალოგიური უნდა ყოფილიყო. დონ ხუანი ამაში ჩვენს მსგავსებას ხედავდა და იხსენებდა, თვითონ როგორ ვერ უკვებდა თავის მასწავლებელს. ასეთმა მოსახრებებმა იმ აზრამდე მიმიყვანეს, რომ ნებისმიერ დამწყებს, ინდიელი იქნებოდა ეს თუ არაინდიელი. ჯალოქრული ცოდნა წარუდგებოდა სრულიად მოულოდნელად — მის მიერ განცდილი მოვლენების უცნაურობის გამო. პირადად ჩემთვის, დასავლეთული კაცისთვის, ეს მოვლენები იმდენად საოცარი რჩება, რომ მე ვერ ვხედავ ჩემი ყოველდღიური ცხოვრების ტერმინებში მათი ახსნის ვერაფერს შესაძლებლობას. ამიტომ იძულებული ვაგხდები დამესვენა, რომ შეროვებული საველე მასალის ჩემი ერთი კლასიკური ნებისმიერი მცდელობა უშედეგო იქნებოდა.

ამგვარად ჩემთვის აშკარა შეიქნა, რომ დონ ხუანის ცოდნა ჩვენ უნდა განვიხილოთ იმ ტერმინებში, რომელთა საშუალებითაც იგი თვითონ მას ესმოდა. მხოლოდ მაშინ გახდება შესაძლებელი მისი მიღება სათანადო უკვლეობით და დამაჯერებლობით. ხოლო როცა ვცადავ ჩემი წარმოდგენების დონ ხუანის ხედვასთან შეჯერება, მვხვდები, რომ ყოველთვის თავისი ცოდნის გადმოცემისას იგი ისეთ ცნებებს იყენებდა, რომლებიც ცოდნას პირადად მისთვის ხდრდნენ „ინტელიგენტურს“ და ვინაიდან ყოველი ეს ცნება ჩემთვის უცხად და გაუგებარი რჩებოდა, მცდელობა იმისა, რომ გამოვო მისი ცოდნა ისე როგორც ეს თვით მას ესმოდა, მარცხით დასრულდა. ამიტომ მე ვერ მის კონცეპტუალიზაციის წესში უნდა გავრ-

კველიყავი. ამ მიმართულებით უშუაობის დროს, შევაჩნიე, რომ თვით დონ ხუანი თავის მოძღვრების ერთ ნაწილს — კალუცინოგენური მცენარეების გამოყენებას განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა. აქედან გამომდინარე, ცვლილებები შევიტანე კატეგორიების ჩემს სქემაში.

დონ ხუანი — ცალ-ცალკე და სხვადასხვა საჭიროებისათვის — სამ კალუცინოგენს იყენებდა: კაქტუს პეიოტს (*Lophophora williamsii*), ლემას (*Datura innoxia*, სინონიმი *D. meteloides*) და სოკობს (ალბათ, *Psilocybe mexicana*-ს). ამერიკელმა ინდიელებმა ვეროპელებთან შეხვედრამდე დიდი ხნით არღერ გაიგეს ამ მცენარეთა პალუცინოგენური თვისებების შესახებ და იყენებდნენ მათ სიამოვნებისთვის, სამკურნალოდ, ჯადოქრობისთვისა და ექსტაზის მისაღწევად. განსაკუთრებულ კონტექსტში დონ ხუანი *Datura innoxia*-სა და *Psilocybe mexicana*-ს გამოყენებას ძალის მოპოვებასთან აკავშირებდა, ძალის, რომელსაც ემ „მოკავშირეს“ უწოდებდა. ხოლო ცდებს *Lophophora Williamsii*-სთან სიბრძნის, ანუ ცხოვრების სწორი წესის ცოდნის ძებნას მიაკუთვებდა.

მცენარეების მნიშვნელობა დონ ხუანისთვის მდგომარეობდა მათ თვისებაში ადამიანში აღქმის თვისებური მდგომარეობის გამოწვევისა. ასე იგი მზნარებდა ამ მდგომარეობათა მიმდებრობის განცდის გამოცდილებას თავისი ცოდნის სათანადოდ გაშლას და მისი უკვეულობის ჩვენების მიზნით. მე მათ „უჩვეულო რეალობის მდგომარეობები“ ვუწოდე, მქონდა რა მხედველობაში უჩვეულო რეალობა, რომელიც ყწინააღმდეგებოდა ჩვეულ ყოველდღიურ სინამდვილეს. განსხვავება ემყარება უჩვეულო რეალობის მდგომარეობათა შინაგან აზრს. დონ ხუანის ცოდნის კონტექსტში ისინი რეალებრება ითვლებოდნენ, თუცა მათი რეალობა განსხვავდებოდა ჩვეულებრივი რეალობისაგან.

დონ ხუანი სთვლიდა, რომ უჩვეულო რეალობის მდგომარეობები — წარმოადგენდნენ პრაგმატული სწავლების ერთადერთ მეთოდს და ძალის მოპოვების ერთადერთ საშუალებას. იქმნებოდა შთაბეჭდილება, თითქოს მისი მოძღვრების ყველა დანარჩენი ნაწილი ძალის მოპოვებასთან შედარებით მკორფარისხოვან ხასიათს ატარებდა. ასეთი თვალსაზრისი განსაზღვრავდა დონ ხუანის დამოკიდებულებას ყოველივე იმის მიმართ, რაც უშუალოდ კავშირში არ

იყო უჩვეულო რეალობის მდგომარეობებთან. ჩემს საველე დღიურებში არის ჩანაწერები იმისა, თუ რას ფიქრობდა ამის შესახებ დონ ხუანი. ერთ-ერთ საუბარში, მაგალითად, მან გადაკვრით აღნიშნა, რომ ზოგიერთი საგანი გარკვეული რაოდენობის ძალას შეიცავდა. თუმცა თვითონ ის ძალის საგნების მიმართ არ იყო განსაკუთრებულად პატივისცემით გამსჭვალული. მათ, მისი თქმით, მუდამ დაბალი დონის ვადლორები (ბრუხო) იყენებდნენ. ხშირად ვეკითხებოდი მას ასეთი საგნების შესახებ, მაგრამ იგი, როგორც ჩანს, მათი ვრცლად განხილვისთვის არ იყო განწყობილი. და ბოლოს როგორც იქნა, ის მართალია უხალისოდ, მაგრამ მაინც დამთანხმდა საუბარზე.

— არის გარკვეული საგნები, რომელთაც ძალა გააჩნიათ, — თქვა მან. — ასეთი საგანი ბევრია და ძლიერი ადამიანები მათ კითხვანსა და მათი სულელების მეშვეობით იყენებენ. ეს საგნები — არაჩვეულებრივ იარაღს, სიკვდილის იარაღს წარმოადგენენ. და მაინც ეს მხოლოდ ინსტრუმენტია. მათ სწავლის უნარი არ შესწევთ. პირდაპირ რომ ვთქვათ, ისინი ომის საგნებს მიეკუთვნებიან და ბრძოლისთვის არიან განკუთვნილი. ისინი მოკვლისათვის არიან შექმნილი.

— რა საგნებია ეს, დონ ხუან?

— სინამდვილეში ეს საგნები კი არა, უფრო, ძალის ნაირსახეობანია.

— როგორ შეიძლება ძალის ამ ნაირსახეობათა მოპოვება?

— ეს დამოკიდებულია იმ საგნის ტიპზე, რომლის ფლობაც გსურს.

— კი მაგრამ, როგორები არიან ისინი?

— როგორც უკვე ვთქვი, ისინი უამრავია. ნებისმერი რამ შეიძლება იყოს ძალის საგანი.

— მაშინ, რომელი ფლობენ ყველაზე დიდ ძალას?

— საგნის ძალა დამოკიდებულია მის მფლობელზე, იმაზე, თუ რა კაცია იგი. ძალის საგნები, რომელთაც დაბალი კატეგორიის ბრუხო იყენებენ — თითქმის მასხრობაა; მეორეს მხრივ, ძლიერი, ძლევაშილი ბრუხო ძალას ანიჭებს თავის იარაღს.

— რას წარმოადგენენ ყველაზე ჩვეულებრივი ძალის საგნები? რომლებს ანიჭებს უპირატესობას ბრუხთა უმრავლესობა?

— აქ არ არსებობს უპირატესობანი. ყველა ისინი — ძალის

საგნებია. ყველა — ერთია.

— შენ თვითონ თუ გაქვს რომელიმე, დონ ხუან? — მან არ მიპასუხა, მხოლოდ შემომხედა და გაიცინა. დიდხანს სდუმდა და მე გაეფიქრე, რომ ძალიან შეაწუხე ჩემი შეკითხვებით.

— ამ სახის ძალებს გააჩნიათ შეზღუდულობანი, — გაავრძელა მან. — მაგრამ, დარწმუნებული ვარ, სწორედ ესაა შინთვის გაუგებარი. მე თითქმის მთელი ცხოვრება დამჭირდა იმისათვის, რომ გამეყო: მოკავშირეს თვითონ შეუძლია ამ დაბალ ძალთა ყველა საიდუმლოს ამოხსნა ისე, რომ ისინი უბრალო სათამაშობად იქცევიან. ერთ დღოს მეც მქონდა ამგვარი იარაღი, სულ ახალგაზრდა რომ ვიყავი.

— რა ძალის საგნები გქონდა მაშინ?

— სიმინდი-პინტო, კრისტალები, ბუმბული.

— რა არის სიმინდი-პინტო, დონ ხუან?

— პატარა მარცვლის ღივი, ღია ფერის ენით შუაში.

— ასეთი ღივი ერთია?

— არა, ბრუხო 48 ღივს ფლობს.

— კი მაგრამ, რას აკეთებენ ეს ღივები, დონ ხუან?

— თითოეულ მათგანს შეუძლია კაცის მოკლა, თუ კი მის სხეულში შეაღწევს.

— როგორ აღწევს ღივი სხეულში?

— ეს ძალის საგანია და მისი ძალა სხვასთან ერთად მდგომარეობს იმაშიც, რომ მას სხეულში შეღწევა შეუძლია.

— კი მაგრამ, რას აკეთებს იგი, როდესაც სხეულში აღწევს?

— იგი შედის სხეულში, შემდეგ მკვიდრდება გულმკერდში ან წელზე. კაცი აუად ხდება და — იმ შემთხვევების გამოკლებით, როდესაც მისი მკურნალი ბრუხო მომჯდომელებზე ძლიერია — სხეულში ღივის შეღწევიდან სამი თვის თავზე კვდება.

— თუ არის მისი განკურნების რაიმე საშუალება?

— ერთად-ერთი საშუალება — ღივის სხეულიდან ამოწოვაა, მაგრამ იშვიათი ბრუხო თუ გაბედავს ამის გაკეთებას. ბრუხომ შეიძლება მიაღწიოს წარმატებას და ღივი გამოსწოვოს, მაგრამ თუ იგი არაა საკმარის ძლიერი იმისათვის, რომ ის უკან ამოიწიოს, ეს უკანასკნელი მის სხეულში მოხვდება და მოკლავს მას.

— კი მაგრამ, როგორ აღწევს იგი ვისმეს სხეულში?

— ეს რომ ავიხსნა უნდა მოგიყევო მარცვალზე, ჯადოქრობაზე, ერთ-ერთ უძლიერესზე ჩემთვის ცნობილთა შორის, ჯადოქრობა ორი ღვთის ხორციელდება. ერთს ყვეთული ყვავილის ნედლე კვირტში ათავსებენ, შემდეგ ყვავილის ისეთ ადგილას დებენ, სადაც იგი აუცილებლად მსხვერპლთან შეხებაში მყოფა: იქ, სადაც ის ყოველდღე დადის ან ნებისმიერ ადგილას, სადაც ის ჩვეულებრივ იმყოფება. როგორც კი მსხვერპლი ღვთის ფეხს დაადგამს ან შეეხება მას — ჯადოქრობა აღსრულებულია, მარცვალი სხეულში აღწევს.

— რა მოსდის ღვთის იმის შემდეგ, როცა მას კაცი შეეხება?

— შეიძლება მისი ძალა კაცში გადადის და ღვთის თვისუფლებას. ეს უკვე ხელ სხვა ღვთია. იგი შეიძლება ჯადოქრობის ადგილას დატოვო ან გადააგდო — ამას აღარა აქვს მნიშვნელობა. ყველაფერს სჯობია, ბუნებებში გადახვეწო, სადაც მას ფრინველი დაეკავს.

— ხომ არ შეიძლება ფრინველმა ღვთის მანამ შეჭამოს, სანამ მას კაცი შეეხება?

— არა, გარწმუნებ, ასეთი სულელი ფრინველი არ არსებობს. ფრინველები მას ახლოსაც არ ეკარებიან.

შემდეგ ღონ ხუანმა ასეთი ძალის ღვთისებების მოპოვების ძალზე რთული პროცედურა აღწერა.

— შენ უნდა იქონიო მხედველობაში, რომ სიმინდი-პინტო — უბრალოდ ინსტრუმენტია და არა მოკავშირე, — თქვა მან. — როდესაც ამაში გაერკვევი, პრობლემები არ გექნება. მაგრამ თუ ასეთ ინსტრუმენტებს სრულყოფილად მიიჩნევ, მაშინ შტერი ყოფილხარ.

— ძალის საგნები ისეთივე ძლიერები არიან, როგორც მოკავშირე? — ვკითხე მე.

ვიდრე პასუხს გამცემდა, ღონ ხუანმა საყვედურით ჩაიცინა. იგი თითქოს ძალისან ცდილობდა, მოიმინებდა არ დაეკარგა.

— სიმინდი-პინტო, კრისტალები და ბუმბული — უბრალო სათამაშოება მოკავშირესთან შედარებით, — თქვა მან. — ეს ძალის საგნები დამაშინებს მხოლოდ მაშინ სჭირდება, როდესაც მას მოკავშირე არა ჰყავს. მათი დაღვენება — ტყუილად დროის დაკარგვაა, განსაკუთრებით უწინების. შენ უნდა ეცადო მოიპოვო მოკავშირე და თუ ეს გამოგება, მაშინ მიხედვით ყველაფერს, რასაც ახლა გუუბნები. ძალის საგნები იგვევა, რაც ბავშვის სათამაშოები.

— ნუ გამიბებ არასწორად, ღონ ხუან, — პროტესტით შეეკა-

სუხე მე. — მე მინდა მგეფდეს მოკავშირე, მაგრამ მე აგრეთვე მინდა, ვისწავლო ყველაფერი, რასაც კი შეეძლება. შენ თვითონ არ მოთხარი, რომ ცოდნა — ძალაა?

— არა, — თქვა მან გრძობით. — ძალა დამოკიდებულია იმაზე, თუ რა სახის ცოდნას ფლობ. რა ხეირია უსარგებლო რამეების ცოდნაში?

ღონ ხუანის რწმენის სისტემაში მოკავშირეს შექმნა მხოლოდ და მხოლოდ იმ უჩვეულო რეალობის მდგომარეობათა ექსპლუატაციას ნიშნავდა, რომელთაც იგი ჩემში პალეონტოლოგიური მცენარეების საშუალებით იხვევდა.

იგი თვლიდა, რომ თუ ყურადღებას ამ მდგომარეობებზე გამამხვილებდი და ცოდნის სხვა ასპექტებს უგულვებლევყოფდი, განცდილის მიმართ მწუხარ არს გამოვიშვებდი.

ამიტომ წინა მე ორ ნაწილად დაგყავი: პირველში მოცემულია ამონაკრეფები ჩემი საველე ჩანაწერებიდან, რომლებიც მიეკუთვნება ჩემს მიერ მოსწავლეობის ხანას განცდილი უჩვეულო რეალობის განცდებს. ვინაიდან ჩანაწერების წყობა თხრობის დაურღვევლობის პრინციპს ემსახურება, მათი ქრონოლოგიურობა არ არის ყოველთვის დაცული. მე ყოველთვის აღწერდი უჩვეულო რეალობის მდგომარეობებს მხოლოდ მათი განცდილი რამდენიმე დღის შემდეგ, როდესაც მათი დაწინარებული და ობიექტური განხილვა შემძლო. ხოლო ღონ ხუანთან საუბრებს ვიწერდი ხელაღვე მათი დასრულების თანავე. ამიტომ ამ საუბრების ანგარიში ზოგჯერ წინ უსწრებს თვით ცდის დაწვრილებით აღწერას.

ჩემი საველე ჩანაწერი — წარმოადგენენ რა თქმა უნდა, ჩემს მიერ ცდის მსვლელობას განცდილის სუბიექტურ ვერსიას. იგი მოყვანილია აქ ზუსტად ისევე, როგორც მე მას ღონ ხუანს ვუამბობდი — ის ყველა დეტალის სრულსა და ზუსტ გახსენებას და განცდილის დაწვრილებით გადმოცემას მოითხოვდა. ამ განცდების ჩაწერისას, მე ნაკლებად მნიშვნელოვან დეტალებზე დავუმატე ცალკეული უჩვეულო რეალობის მდგომარეობის უფრო სრული აღწერის იმედით. მე შევეცადე მაქსიმალური სისრულით გამომეხატა განცდილი ემოციური შერყევები.

გარდა ამისა, ჩემი ჩანაწერი შუქს ჰყვანენ ღონ ხუანის რწმენის სისტემის შინაარსს. ჩვენი დიალოგების მრავალი ფურცელი მე

მხოლოდ განმეორებაა ასაცილებლად შევამცირე. მაგრამ რადგან მსურდა ზუსტად გადმომეცა მათი საერთო განწყობა, შევამცირე მხოლოდ ის ნაწილები, რომლებმაც არაფერი შემატეს ღონ ხუანის ცოდნის გზის ჩემებურ გავებას. ინფორმაცია, რომელსაც იგი თავისი ცოდნის გზის შესახებ მაძლევდა, ყოველთვის განყენებული იყო და ითხოვდა მის გამონათქვამს ჩემი საათობით გამოკითხვა მოსდევდა. მიუხედავად ამისა, ხშირად ისევ მომხდარა, რომ მას თავისუფლად მოუხდია ფარდა თავისი ცოდნისთვის.

წიგნის მეორე ნაწილში მე მომეყვას სტრუქტურული ანალიზი აგებული მხოლოდ და მხოლოდ პირველ ნაწილში გაადმოცემულ მასალაზე.

1

ღონ ხუანთან ჩატარებული პირველი სესიის ჩანაწერები დათარიღებულია 1961 წლის 23 ივნისით. სწორედ მაშინ დაიწყო ჩემი სწავლება. მანამდე მე უკვე რამდენიმეჯერ შეეხედი მას, მაგრამ მხოლოდ დამკვირვებლის სახით. ყოველ ხელსაყრელ შემთხვევისას მე ვთხოვდი მას, ეამბა რამე პეიოტის შესახებ. იგი ყოველთვის უარს ამბობდა, მაგრამ არასოდეს გადაჭრით და ამ ყოყმანში მე საბოლოოდ მისი ცოდნის ზიარების შესაძლებლობას ვეზღავდი, თუნდაც, ხანგრძლივი შეგონების შედაგად.

მაშინვე მან გამაგებინა, რომ იფიქრებდა ჩემი თხოვნის შესახებ მხოლოდ ერთი აუცილებელი პირობით: მე მკაფიოდ უნდა წარმომიდგინა, რას ვთხოვდი და შედეგებს არ აურიდებოდი. ამ პირობის შესრულება არ შემიძლო. მე მხოლოდ მსურდა, სწავლის შესახებ თხოვნით ღონ ხუანთან უფრო მჭიდრო კავშირი დამემყარებინა. მიამანდა, რომ თვით თემას შეეძლო განეწყო იგი უფრო გულახდილი და ვრცელი საუბრისადმი — მე კი ამით გამეხსენებოდა კარი მისი მცენარეთა თვისებების შესახებ ცოდნისა. მაგრამ მან თხოვნა პირდაპირი მნიშვნელობით გაიკო და დაინტერესდა მხოლოდ ჩემი სწრაფვით პეიოტის თვისებების შესწავლისადმი.

1951 წლის 23 ივნისი, პარასკევი

— ღონ ხუან, ხომ არ შეგიძლია მასწავლო პეიოტის შესახებ?

— რად გინდა ამის სწავლა?

— მინდა ვიცოდე, ნუთუ უბრალო სურვილი — საკმარისი არაა?

— არა შენ უნდა ჩაიხედო შენს გულში და გაერკვე, რად უნდა შენისთანა ახალგაზრდას მოძღვრების სწორედ ამ ნაწილში ჩაღრმავება.

— შენ თვითონ რისთვის სწავლობდი ამას, ღონ ხუან?

— რატომ შეკითხება?

— შესაძლოა, ჩვენ ორივეს ერთი და იგივე მიზეზი გვაძოდრავებს.

— კვბი შეპარება. მე ინდიელი ვარ, ჩვენ სხვადასხვა გზები გვაქვს.

— ერთადერთი მიზეზია ეს — მე მინდა ვისწავლო უბრალოდ იმისათვის, რომ ვიცოდე. მაგრამ მერწმუნე, ღონ ხუან, ბოროტი ზრახვები მე არა მაქვს.

— მჯერა. მე მოვიწი შენს შესახებ.

— რა თქვი?

— ამას ახლა მნიშვნელობა არა აქვს. მე ვიცი შენი ზრახვები.

— შენ გინდა თქვა, რომ ვამჭოლ მძღედ?

— შეგიძლია ამას ასეც უწოდო.

— კი მაგრამ, მასწავლი თუ არა?

— არა.

— იმიტომ, რომ ინდიელი არა ვარ?

— არა, იმიტომ რომ შენ საკუთარ გულს არ იცნობ. მთავარი ხომ ისაა, რომ ზუსტად იცოდე, რისთვის გინდა ეს. მოძღვრება მესკალიტოზე — უადრესად სერიოზული საქმეა. ინდიელი რომ იყო, მარტო შენი სურვილი საკმარისი იქნებოდა. ძალზე ცოტა ინდიელს აქვს ამის სურვილი.

1961 წლის 25 ივნისი, კვირა

პარასკევს მთელი დღე ღონ ხუანთან გავატარე. ჩვენ სახლის წინ ვერანდაზე ვისხედით. საღამოს, 7 საათისათვის წასვლას ვაპირებდი და გადავწყვიტე, კიდევ ერთხელ გამოემკითხა მოძღვრების შესახებ თხოვნა უკვე ტრადიციული გახლდათ და მე კვლავ უარს ვუწოდო. მაგრამ მაინც ვკითხე, თუ არსებობდა რაიმე პირობა, რომლის შესრულების შემთხვევაში, ის სწავლის ჩემს უბრალო სურ-

ვილს საკმარისად ჩათვლიდა, ისე თითქოს ინდიელი ვყოფილიყავი. პასუხი დიდხანს არ გაუცია. თითქოს რაღაცის გადაწყვეტას ცდილობდა. ამიტომ ლოდინი მომიწია.

ბოლოს დონ ზუანმა განაცხადა, რომ გამოსავალი არსებობდა და პირდაპირ ამოცანის დასმავზე გადავიდა. მან შემახსენა, რომ მე იატაკზე ჯდომას ძალიან მძლავრი და ამიტომ უნდა მეპოვნა იატაკზე „ლაქა“, სადაც დაუღლებლად ჯდომას შევძლებდი. იმ მომენტში ნიკაიბი მუხლებზე მქონდა ჩამოდებული და ფეხები ხელებით მიჭიბრა. როცა მან დაღლილბოდა ახსენა, იმწამსვე მკაფიოდ ვიგრძენი, როგორ მტკნად წელში და როგორ გამწვევტოდა ქანცი.

მისგან განმარტებას ველოდი — რა „ლაქა“ ჰქონდა მხედველობაში. მაგრამ ის ჩემს განათლებას არ აპირებდა. შესაძლოა, იგი ჩემი მდგომარეობის შეცვლას გულისხმობდა — მე წამოვდექი და მასთან უფრო ახლოს გადავიკეცი. მან ფეხებით უარყო ასეთი გადაწყვეტა და მოძღვრული კილოთი ჩაილაპარაკა, რომ „ლაქა“ იყო ადგილი, სადაც ადამიანი სრულიად ბუნებრივად თავს ბედნიერად და ძლიერად გრძნობდა. მან ხელი დაჰკრა თავის წინ იატაკს და თქვა, რომ ეს პირადად მისი ადგილი იყო, ხოლო მეზე დაუმატა, რომ მე ისეთი ამოცანა მელოდებოდა, რომელიც დამოუკიდებლად, ყოველგვარი ყოყმანის გარეშე უნდა გადამეწყვიტა.

ამოცანა, რომელიც მან შემომთავაზა, მართლაც, რომ გამოცანას წარმოადგენდა. წარმოდგენა არ მქონდა, რით დამეწყო, მეტიც, რა უნდოდა მას საბოლოოდ. რამდენიმეჯერ ვთხოვე, ჩემთვის რაიმე გასაღები მოეცა, ან, ყოველ შემთხვევაში, გადაკვრით მაინც ენიშნა — როგორ მივდგომოდი იმ ადგილის ძებნას, სადაც თავს ბედნიერად და ძლიერად ვიგრძნობდი. მე ვუკამათებოდი და ჯიუტად ვარწმუნებდი, რომ წარმოდგენაც არა მქონდა, რაზე იყო საუბარი, რადგან თვით ამოცანაც ვერ გამეცო. მან შემომთავაზა, მეარა აივანზე, სანამ ლაქა არ მოიპოვებოდა.

ავდექი და იატაკზე ბოლოს ცემას მოვეყვი. სისულელედ მომჩვენდა და კვლავ მას მოვუკეცი.

ის ძალზე უკმაყოფილო ჩანდა, უფურადღებობა დამაბრალა და თქვა, რომ ალბათ, მე სწავლა არ მსურდა. რამდენიმე ხნის შემდეგ ის დაეწინარდა და ამიხსნა, რომ ყოველ ადგილზე კარგი როდი იყო ჯდომა, თუნდაც საერთოდ ყოფნა და რომ ვერანდის ფარგლებში

აუცილებლად იყო ერთი უნიკალური ადგილი, ჩემთვის საუკეთესო „ლაქა“. მე უნდა გამეჩნია იგი ყველა დანარჩენ ადგილებს შორის. საერთო სქემის მიხედვით, უნდა „შემეგრძნო“ ყველა შესაძლო ადგილი, სანამ ყოველგვარი ეჭვის გარეშე არ შევძლებდი განსაზღვრას, რომელი იყო მათში სწორი.

შევეპასუხე, რომ თუცა ვერანდა არც ისე დიდი იყო (12*8 ფუტი), შესაძლო ადგილი მასზე ძალიან ბევრი იყო; ყველა მათგანის შესანამოშებლად ძალზე ბევრი დრო დამჭირდებოდა, ხოლო ვინაიდან მას ლაქის ზომები არ განუსაზღვრავს, ვარიანტების რაოდენობა უსასრულობამდე იზრდებოდა. ჩემი შეპასუხება ფუტე გამოდგა. ის წამოდგა და ძალზე მკვახედ გამაფრთხილა: თუნდაც მრავალი დღეც რომ დამეხარჯა ამ გამოთვლებზე, თუ ამ პრობლემას არ გადაწყვეტილი, შემეძლო შეტრიალება და წყნარად სახლში დაბრუნება, ვინაიდან ამ შემთხვევაში ჩემთან საუბარს არავითარი აზრი აღარ ექნებოდა. თავად მან იცოდა, სად იმყოფებოდა ჩემი „ლაქა“ და ამიტომ მის მოტყუებას მე ვერ შევძლებდი. ეს იყო მისთვის ერთადერთი საშუალება, მიეღო ჩემი სურვილი პეიოტის შესახებ სწავლას საკმარის პირობად. მან დაუმატა, რომ მის ქვეყანაში არაფერი მოიპოვებოდა მუქთად და ყველაფერი, რისი სწავლაც კი შეიძლებოდა, ძნელი გზით უნდა შეგებინა.

იგი სახლის უკან ბუჩქნარისკენ გაემართა საჭიროების დასაკმაყოფილებლად, შემდეგ უკანა კართით სახლში შევიდა.

გავიფიქრე, რომ ვერვინ წოდებული ბედნიერების ლაქის პოვნის დავალება უბრალო ხრიკი იყო, ჩემი თავიდან მოსაცილებლად, მაგრამ მაინც წამოვდექი და დავიწყე წინ და უკან აივანზე სიარული. ცა გადაქმნილი იყო და ყველაფერი კარგად მოჩანდა, როგორც თვით აივანზე, ისე მის გარშემო. ალბათ, ერთ საათამდე არ ვიდრე უფრო მეტი ვიარე, მაგრამ არაფერი მომხდარა ისეთი, რაც „ლაქის“ ადგილმდებარეობას მანიშნებდა. დავიღალე სიარულით და დავიკეცი. ყოველ რამდენიმე წუთში ადგილს ვიცვლიდი, შემდეგ ისევ და ისევ, სანამ ასეთი ნახევრადისტემატური საშუალებით მივლი იატაკი არ დავფარე. გულმოდგინედ ვცდილობდი „შემეგრძნო“ ადგილებს შორის განსხვავება, მაგრამ მათი გამარჩეველი კრიტერიუმი არ გამჩნდა. ვიფიქრე, რომ მეყო, რომ უქმად ვკარგავდი დროს, მაგრამ მაინც დარჩენა გადავწყვიტე. თავს ვიპარობდები იმით, რომ

იმ სიშორიდან მხოლოდ დონ ხუანმა შესახვედრად ჩამოედი და, მართლაც, სხვა რაიმე საქმე არ გამაჩნდა.

ზურგზე დავსექი, ხელი თავქვე ბალიშის მაგვარად ამოვიდე. შემდეგ მუცელზე გადმოვგორდი და ცოტა ხანს ვიწექი. ასე ვგო-რავდი მოულს იატაკზე. პირველად მომეჩვენა, რომ რაღაც კრიტიკ-რიუმი მაინც ვიპოვე, ზურგზე წოლისას თავს უფრო თბილად ვგრძნობდი.

კვლავ გავაგრძელე გორიალი. ახლა უკუვალა, პირქვე დამხო-ბილი მოვიარე ყველა ის ადგილი, სადაც გადაგორების პირველ ეტაპზე ზურგზე ვიწექი. იგივე სითბოს ან სიცოცხის გრძობებს გან-ვიციდიდი ჩემი მდგომარეობის და მიხედვით, მაგრამ ადგილებს შორის განსხვავებას მაინც ვერ ვაჩნევდი.

შემდეგ დამებადა, როგორც მომეჩვენა, ბრწყინვალე იდეა: დონ ხუანის ადგილი! იქ დავჯექი, შემდეგ დავსექი, ჯერ პირქვე, შემდეგ ზურგზე, მაგრამ ეს ადგილიც ზუსტად ისეთივე ჩანდა, როგორც სხვები. აუღეპი, კმარა, მყოფა. დონ ხუანთან გამოსალმება დავა-პირე, მაგრამ მისი გაღვიძება მუუხერხულა. საათს შევხედე. დამის ორი საათი იყო! უკვე ექვსი საათი ვგორავდი.

ამ დროს დონ ხუანი გამოვიდა და სახლის შემოვლით ჩაბრა-ლის ბუქებისაკენ გაემართა. დაბრუნდა და კართან დადგა. არაფ-რის თავი არ მქონდა, მინდოდა, რაიმე საწყენი მეთქვა და წყ-სულიყავი, მაგრამ უცებ გაუფიქრე, რომ ამაში მას ბრალი არ მიუძ-ლოდა და რომ მე თვითონ ვაღამეწვივებ ვეჭლა ამ სისულელეში ჩატოპეა. ვუთხარი, რომ დეკმარცხდი: იდიოტებით მთელი დამე იატაკზე ვიგორავე და მაინც მის გამოცანაში ვეფიჯითარ აზრს ვერ ვხედავდი.

მას გაეცინა. შემდეგ მითხრა, რომ მას ეს არ აკვირებდა. იმი-ტომ რომ მე არასწორად ვმოქმედებდი — თვალებით არ მისარგე-ბლია. ეს მართლაც ასე იყო, მაგრამ მე ხომ სრულიად დარწმუნებული ვიყავი, რომ განსხვავება — მისევე სიტყვებით — მე უნდა „შე-მგრძნობო“. ეს შევახსენე, მაგრამ მან მიპასუხა, რომ შერგნება თვალებითაც შეიძლება — როდესაც სანებს პირდაპირ არ უც-ქერდი. ხოლო რაც შემეჭობოდა მე, თქვა მან, ჩემთვის არ არსებობ-და ამ ამოცანის გადაწყვეტის სხვა საშუალება, გარდა იმ ერთადერ-თი რამის გამოყენებისა, რაც კი მე გამაჩნდა — ჩემი თვალების.

დონ ხუანი სახლში შევიდა. დარწმუნებული ვიყავი, რომ ის მითვალთვალებდა. აბა, მამ როგორ მიხედებოდა, რომ თვალებით არ ვსარგებლობდი.

მე ისევ გორიალს მოვყვები, რადგან ეს პროცედურა ყველაზე მოსახერხებელი მომეჩვენა. მაგრამ ამჯერად ნიკას ხელებზე ვას-ვენებდი და ყველა დეტალს ვუკვირებდი.

რამდენიმე ხანში სიხნელე ჩემს გარშემო შეიცვალა. როდესაც შერას პირდაპირ ჩემს თვალში განლაგებულ სწრტილზე ვაფიქ-სინებდი, ჩემი ხედვითი არეს მთელი პერიფერია ეროფეროუნად იღებოდა ბრჭყევილი მომწვანო-მოყვითალო ფერად. ვუეჭბდი საო-ცარი იყო. შეეჩანე რა თვალები ცერად პირდაპირ ჩემს წინ მდე-ბარე სწრტილზე, ნელ-ნელა დავისწე მუცელზე სიხითი გვერდზე გადაადგილება, დაახლოებით ფუტით ყოველ გადასვლაზე.

უცებ ვიგრძინე, როგორ შეიცვალა ელფერი იმ სწრტილისა, რომელიც დაახლოებით იატაკის შუაგულში მდებარეობდა. ჩემგან მარჯვნივ აგრეთვე ხედვითი არეს პერიფერიაზე, მომწვანო-მოყვი-თალო ელფერი მკვეთრ მქნაშულად იქცა. იქით გადავრთე ყურა-დღება. მქნაშული ფერი გამქრალდა, მაგრამ კვლავ ბრჭყევიალა დარჩა და ასეთსავე რჩებოდა მანამ, სანამ ყურადღება მასზე მქონდა გამახვილებული.

ადგილი მივაკით აღენიშნე და დონ ხუანს დავუძახე. ის ვე-რანდაზე გამოვიდა. მე ძალიან აღვზნებული ვიყავი, რადგან ელფე-რებში ცვლილებას დანადვილებით ვხედავდი. მასზე კი, როგორცა სჩანს, ამას შთაბეჭდილება არ მოუხდენია; მან იმ ადგილზე დაჯ-ღომა და ჩემი შერგნებების აღწერა მიბრძანა.

დავჯექი, შემდეგ ზურგზე დავსექი. დონ ხუანი გვერდით და-მიდგა და ჩემი გრძობების შესახებ დამიწყო გამოკითხვა. მაგრამ მე ვერავითარ განსხვავებას ვერ ვგრძნობდი. დაახლოებით 15 წუ-თის განმავლობაში ვცდილობდი განსხვავების შერგნებას ან დანახ-ვას, ხოლო დონ ხუანი მომიმინებით მვლოდებოდა. რაღაცნაირი ზიზღის გრძობა დამეფულა. პირში ლითონის გემო წამკრავდა. უცერად შაკიკის შეჭრად დამწყვი. მივხვდი, რომ აჟად ვხდებოდი. ამ წამოწყების უაზრობა სიმამაკმდე მალიზიანებდა. წამოვიდექი.

დონ ხუანმა, ალბათ, შეაშინა, რამდენად დრამდ ვიყავი შესწუხე-ბული. მას ხელაც არ ეცივებოდა, პირიქით, ძალიან სერიოზულად

მიიხრა, რომ თუ სწავლა მსურდა, ჩემი თავის მიმართ სიმტკიცე უნდა გამოემჩინა. მე მხოლოდ ორი შესაძლებლობა გამაჩნდა, მიიხრა მან. ან თავის დანებება და სახლში დაბრუნება — ეს სწავლაზე საბოლოოდ უარის თქმას ნიშნავდა — ანდა გამოცანის ამოხსნა.

ის ისევ სახლში შევიდა. მინდოდა დაუჯონებლად სახლში გამგზავრება, მაგრამ ნამეტანი დადღილი ვიყავი. საჭეს რომ მივჯდომოდი. გარდა ამისა, ელფერთა აღქმამ თავზარი დამცა და მე ვიწამე, რომ ეს ნამდვილად კრიტიკიკოები იყო — შესაძლოა, მონიხევიდა კიდევ სხვა რომელიმე შსაშქნევი ცვლილება. ყოველ შემთხვევაში, წასვლა ძალზე გვიანი იყო. ასე რომ, მე დავჯექი, გავშალე ფეხები და ვველაფერი თვიდან დავიწვეე.

ამჯერად სწრაფად გადაინაცვლე ერთი ადგილიდან მეორეზე, ღონ ხუანის წერტილის გავითი იატაკის ნაპირამდე, მერე შემოვბრუნდი, მისი გარე ნაპირი რომ მომიქცა. როდესაც ცენტრს მივადწიე მოხდა კიდევ ერთი ცვლილება შეფერილობაში. კვლე ჩემი ხედვითი არეს პერიფერიაზე. ერთფეროვანი მომწვანო-მოყვითალო ფერი, რომელსაც ვველგან ვხედავდი ერთ ადგილას, ჩემგან მარჯვნივ მკვეთრ ლევა-მწვანედ გადაიქცა. ერთ წამს ეს ელფერი სუფევადა, შემდეგ, უცბად იგი სხვა მუდმივი ელფრით შეიცვალა, განსხვავებულით ადრე ნანახისაგან. ერთი წლი გვიხადე და ეს წერტილი აღნიშნე. შემდეგ განვაგრძე გორიალი, სანამ იატაკი ყველა შესაძლებელი მიმართულებით არ დავფარე. მეტი ცვლილება შეფერილობაში არ მომხდარა.

დაუბრუნდი წალით აღნიშნულ წერტილს და დავთვალე ერთი ის ადგილი. იგი იმყოფებოდა ხუთი-ექვსი ფუტის მოძირებით სამხრეთ-აღმოსავლეთით იმისაგან, რომელზეც ჰიჯაკი იღო. გვერდით დიდი ქვა იყო. სულ ცოტახანი წამოვწექი ამ ადგილზე. გამოცანის ამოცნობას ვცდილობდი, და ყველა დეტალს ვუკვირდებოდი, მაგრამ ვერავითარ განსხვავებას ვერ ვგრძნობდი.

გაღვიწვიტე, სხვა წერტილი გამოთქვად. სწრაფად დავეშვი მუხლებზე და უკვე დავაპირე ჩემს პიჯაკზე წამოწოლა, როცა უცბად რაღაც უჩვეულო გრძობა დამეუფლა. ის უფრო ფიზიკურ შეგრძნებას წაგაყვდა, თითქოს რაღაცა მუცელზე დამწოლოდა. ერთბაშად წამოვდექი. ვიგრძენი, როგორ ამებურებნა კისერზე თმა. ფეხები მომიკვეთა, ტანი წინ წამქანა, ხელები დაძაბულად ზეით ამქვია.

თითები მარწუხებოთ შეშეკრა. შევამჩნიე ჩემი პოზის უცნაურობა და კიდევ უფრო შეშინდი.

ძალუნებურად უკან დავიხარე, დავჯექი მიტოვებული წადის გვერდით აღმართულ ქვაზე, შემდეგ ქვიდან იატაკზე დავეშვი. ვცდილობდი გავრკვეულიყავი, რა იყო ასეთი შიშის მიზეზი და დავასკვენი, რომ იგი შესაძლოა დაღლილობით იყო გამოწვეული. თითქმის დღე დამდგარიყო უკვე. თავს სულელურად და უხერხულად ვგრძნობდი და მაინც ვერავითარ გამოვლო, რამ შემაშინა და რას ითხოვდა ჩემგან ღონ ხუანი.

გაღვიწვიტე, ერთიც უკანასკნელად მეცადა. წამოვდექი და ნელა მიუხაზლოვდი ჰიჯაკით აღნიშნულ წერტილს, მაგრამ კვლე იგივე განვიცადე. ამჯერად სერიოზული ძალდატანება დამჭირდა, გონზე რომ მივსულიყავი. დავჯექი, შემდეგ მუხლებზე დავდექი, მუცელზე დაწოლას ვაპირებდი, მაგრამ ვერავითარი ვერ მოვახერხე მთელი ჩემი ძალისხმევის მიუხედავად. ხელები ჩემს წინ იატაკზე დავაწვეე. სუნთქვა გამიხშირდა. კუჭი ამიშფოთდა. მკაფიოდ ვგრძნობდი ჩემს პანიკურ მდგომარეობას და თავს ძლივს ვიკავებდი, რომ არ გავტყუულიყავი. გავიფიქრე, რომ ღონ ხუანი ალბათ, მითვალთვალებდა, ნელა გადმოვიჩინდი მეორე ადგილზე და ზურგით ქვას მივეგრძენი. მინდოდა, ცოტა დამეხვეწა და აზრები წესრიგში მომიყვანა, მაგრამ უცებ ჩამეძინა.

ზემოდან ღონ ხუანის ლაპარაკი და სიცილი მომიხმა და გამომიქვია.

— შენ იპოვე ადგილი, — მიიხრა მან.

ჯერ ვერ მივხვდი, რას მეუბნებოდა, მაგრამ მან ერთხელ კიდევ დამიდასტურა, რომ სწორედ ის ადგილი. სადაც მე ჩამეძინა, იყო საჭირო ლაქა. ისევე როგორც წინათ, მან გამომიკთხა ჩემი გრძობების შესახებ ამ ადგილზე წოლისას. უკანასუხე, რომ სინამდვილეში ვერავითარ განსხვავებას ვერ ვხედავდი.

მან მიხივია, შემედარებინა ჩემი შეგრძნებები ამ წუთში იმათთან, რომლებიც მეორე ადგილზე წოლისას განვიცადე. პირველად აზრმა გამოიქვია, რომ ალბათ, ვერ შევძლებდი გასული დამის შთაბეჭდილებების ახსნას. თითქოს ჩემს გასაღიზიანებლად, მან მეორე ადგილზე დავჯდომა მიბრძანა. რაღაც აუხსენელი მიზეზის გამო მე, მართლაც, შემინოდა მეორე ადგილის — ვერა და ვერ დავჯექი იქ.

მამინ მან განაცხადა, რომ მხოლოდ სულელი თუ ვერ შეამჩნევდა განსხვავებას.

მე ვკითხე, ჰქონდა თუ არა ამ ადგილებს რაიმე დასახელება. დონ ხუანმა მიპასუხა, რომ კარგ ადგილს ერევა „საჯდომი“, ხოლო ცუდს „მტერი“. მან თქვა, რომ ეს ორი ადგილი ადამიანის გუნების განსაზღვრის წარმოადგენდა, განსაკუთრებით კი მითვის, ვინც ცოდნას ეძებდა. უბრალოდ, საკუთარ ადგილზე ჯდომით უდიდეს ძალას იძენდი; მეორეს მხრივ, „მტერი“ ძალას გართმევდა და მეტიც, შეძლებოდა, შენი სიკვდილიც კი გამოეწვია. მან თქვა, რომ წინა დამით დახარჯული ენერჯის შეკრება მხოლოდ იმით შეეძლო, რომ ჩემს ადგილზე ჩავთვლიყენ.

მან აგრეთვე მითხრა, რომ შეფერილობებს, რომლებიც მე თითოეულ ადგილიდან დაკავშირებით დავნიშნე, ისეთივე საერთო მოქმედება — ძალის მინიჭების ან წართმევის უნარი ახასიათებდათ.

ჩემთვის გაურკვეველი რჩებოდა, ამოვხსენი მე ამოცანა, თუ არა. გულახდილად რომ ვთქვა, იმაშიც კი არ ვიყავი დარწმუნებული, პრობლემა საერთოდ თუ არსებობდა; მომხდარის ხელოვნურობის და თვითნებურობის შეგრძობა არ მტოვებდა. დარწმუნებული ვიყავი, რომ დონ ხუანი მთელი დამე მითვალთვალებდა, ხოლო შემდეგ გამამახსარა — თითქოს, სწორედ ის ადგილი, სადაც ჩამეძინა, ყოფილიყო ადგილი, რომელსაც მე ვეძებდი. მაგრამ რაიმე განიერიულ საფუძვლეს ძიხი ასეთი ციკლისათვის შე ვერ ვპოულობდი, ხოლო, როდესაც მან მეორე ადგილზე დაჯდომა შემომთავაზა, ამის გაკეთება ვერ შეეძლო. არსებობდა უცნაური შეუსაბამობა ჩემი მეორე ადგილის“ მიმართ შიშის გამოცდილებიდან და ამ შემთხვევის ირგვლივ რაციონალურ მსჯელობებს შორის.

დონ ხუანი, მეორეს მხრივ, სრულიად დარწმუნებული იყო, რომ მე წარმატებას მივალწიე, და ამის შესაბამისად, აპირებდა ჩემთვის პეიოტის შესახებ სწავლებას.

— შენ მითხვდი, მესკალიტოს შესახებ მესწავლა, — მითხრა მან. — მე მინდოდა გამგეო, საკმაოდ ძლიერი ხერხემალი თუ გქონდა, მასთან პირისპირ შესახვედრად. მესკალიტო არ არის ისეთი რამ, რასაც შეიძლება დაცინვით მოეპყრო. შენ უნდა ფლობდე საკუთარ თავს. ახლა ვიცი, რომ შემიძლია მხოლოდ შენი სწავლის სურვილი — საკმარის მიზეზად მივიჩნიო.

— შენ მართლა აპირებ მასწავლო პეიოტის შესახებ?
— მე მირჩევნია, მას მესკალიტო დაეუძახო, შენც ასე მოიქეცი.

— როდის აპირებ დაწყებას?
— ეს არც ისე უბრალო რამაა. ჯერ შენ უნდა მოემზადო.
— მე ვფიქრობ, რომ მზად ვარ.
— ეს სახუმარო რამ არაა. შენ უნდა დაცადო, სანამ ყველა ეჭვი არ გაითვანტება და მხოლოდ მაშინ შეხედები მას.
— უნდა მოემზადო?
— არა, უბრალოდ უნდა დაელოდო. შეიძლება უარი თქვა ამ განზრახვაზე. შენ ადვილად იღლები. წუხელ დამეს კინაღამ დანებდი, როგორც კი სიძნელე იგრძენი. მესკალიტო ძალიან სერიოზულ განზრახვას მოითხოვს.

1961 წლის 7 აგვისტო, ორშაბათი

მანქანა დონ ხუანის სახლთან არიზონაში პარასკევს საღამოს შევიდა სათითოების გაჯაჩრე. ვერანდაზე მასთან ერთად კიდევ ხუთი ინდიელი იჯდა. მივესალმე მათ და დაეჯექი იმის მოლოდინში, რომ საუბარს ისინი დაიწყებდნენ. ტრადიციული დუმილის შემდეგ ერთ-ერთი მათგანი წამოიღო, მომიახლოვდა და მითხრა: „Buenas noches“. მე ავდექი და ვუპასუხე: „Buenas noches“. შემდეგ ყველა დანარჩენიც ადგა და ჩემთან მოვიდა; ჩვენ ვუბნებოდით ერთმანეთს „საღამო მშვიდობისა“-ს, ვართმევდით ხელს, ოდნავი თითების შეხებით ან წამით შეგაჩერებდით და შემდეგ მკვეთრად ვუშვებდით.

კვლავ ყველა დაჯდა. მათ, ალბათ, ჩემი საკმაოდ ერთდებოდათ — სიტყვების უკმარობის გამო, თუმცა ყველა ლაპარაკობდა ესპანურად.

დაახლოებით ასე, რეის ნახევრისთვის ყველა უცვრად ადგა და საღლაც უკანა ეზოსკენ გაემართა. უკვე საკმაო ხანი გასულიყო რაც ხმა არავის ამოიღო. დონ ხუანმა მანიშნა, მათ გაეყოლოდი. და ჩვენ იქვე მდგარ ძველი სატვირთო მანქანის ძარბაზე აჯკვერით. მე დონ ხუანთან და კიდევ ორ ახალგაზრდა კაცთან ერთად უკან მოვივალდი. არ იყო არც საუარმელი, არც სკამი, რკინის იატაკი რაღაც ავადმყოფურად მყარი მომჩენენა, განსაკუთრებით როდესაც

შარავიანი გრუნტის გზაზე გადაუხვიეთ. ღონ ხუანმა ჩამწურულა, რომ ჩვენ ერთ-ერთ მის მეგობარიან მივდიოდით, რომელსაც ჩემთვის შეიძლია შესკალიტო გადაეხანა.

მე ვკითხე:

— როგორ, ნუთუ შენ თვითონ არცერთი არა გაქვს?

— მე კი მაქვს, მაგრამ მე არ შემიძლია შემოვთავაზო. მოგეხსენება, რომ ეს ვინმე სხვამ უნდა გააკეთოს.

— რატომ?

— შესაძლოა, შენ ვერ შეეწვობი „მას“ და „ისიც“ ავიძულეხ. მაშინ ვერ გაცივობ „მას“ საკმარის ღონემდე და ჩვენი მეგობრობა ჩამიშლება.

— რატომ გგონია, რომ მას არ მოეწონები? მე ხომ მისთვის არაფერი დამიშვებია?

— შენ სრულებით არ მოგეთხოვება არც დაშვება და არც დაუსვებლობა. ის ან გიღებს, ან თავიდან გიცილებს.

— და თუ მან არ მიმიღო, მაშინ როგორღა დავიმსახურო მისი სიყვარული?

— ორმა მამაკაცმა ალბათ გაიგეს ჩემი შეკითხვა და გაციენეს.

— ვერაფერს გეტყვი! არ ვიცი, რა შეიძლება მოიმოქმედო ამ შემთხვევაში, — მიპასუხა ღონ ხუანმა.

იგი ნახევრად შებრუნდა და მე აღარ შემეძლო მასთან საუბრის გაგრძელება.

ერთ საათზე მეტი ვიარეთ, ხანამ პატარა სახლის წინ გავჩერდებოდით. უკვე სრულიად ბნელიდა და როდესაც მძლოლმა ფარები გამორთო მე მხოლოდ შენობის ბუნდოვანი კონტურების გარჩევა შეეძლო. ახალგაზრდა ქალი — აქცენტის მიხედვით მექსიკელი — რაღაცას უყვიროდა აყვებულ ძაღლს და მის დაშოშმინებას ცდილობდა. ჩვენ მანქანიდან გადმოყვებით და სახლში შევედი. ქალს რომ გვერდი აუარეს, კაცებმა ჩაილაპარაკეს: „Buenas noches“. მანაც უპასუხა და კელაუ ყვირილით მისდგა ძაღლს.

ოთახი დიდი იყო და მრავალი ნივთით გაჯდული. პატარა ელექტრონათურის შუქი მას მკრთალად ანათებდა. ფეხბმობტურული და საჯდომჩახნეკილი სკამები — საკმაოდ მრავლად წარმოდგენილი — კედელს მიყრდნობილი იდგნენ. სამი მამაკაცი დივანზე დაჯდა, რომელსაც ყველაზე დიდი ადგილი უჭირა ოთახში განლაგე-

ბული ავეჯიდან. იგი ძალზე ძველი იყო და თითქმის იატაკამდე ჩაზნექილიყო. მკრთალ შუქზე ისი მოწითალო და ჭუჭყიანი მოჩანდა. დანარჩენები სკამებზე ჩამოსხდნენ. საკმაოდ დიდხანს ხმის ამოუღებლად ვიჯექით.

ერთ-ერთი მამაკაცთაგანი — ორმოცდაათიოდე წლის, მუქი სახის, მაღალი და ღონიერი კაცი — მკვეთრად წამოდგა და მეზობელ ოთახში გავიდა. ერთი წუთის შემდეგ იგი ყვავადანი ხელში დაბრუნდა. მან ყვავადის სახურავი მონახა და ხელში შექაჩუნა; შვიდი უცნაური საგანი ელავა. ისინი განსხვავდებოდნენ სიდიდით და სიმკვრივით. ზოგი თითქმის მრგვალი იყო, ზოგიც მოგრძო. შეხებაზე მისი თხილის ბრიკეტებს ან კორპს წააგავდნენ. ყავისფერი შეფერილობა მათ მყარ, გამხმარ ნაჭურვს ამსგავსებდა. საკმაოდ დიდხანს ვატრიალე ისინი ხელში. ვზილავ და ვსრისე.

— ეს უნდა დიდგვო (estose masca), — ჩამწურულა ღონ ხუანმა.

სანამ მან ხმა არ ამოიღო ვერ შევამჩნიე, რომ ის ჩემს გვერდით იჯდა. სხვებს გადავხედე, მაგრამ მე არავინ მიყურებდა. ისინი ძალიან ხმადაბლა საუბრობდნენ ერთმანეთში. დამიდა მკვეთრი ყოყმანის და შიშის წუთი. ვერძნობდი, რომ თავს თითქმის ვერ ვფლობდი.

— ფეხსადგამში უნდა გავიდე, — ვუთხარი ღონ ხუანს, — თან პაერსაც შევისუნთქავ.

მან ყვავადანი გამომიწოდა და მე შვი პეიოტის ნაჭრები ჩავდე. როდესაც ოთახიდან გავდიოდი ის კაცი მომიახლოვდა, რომელმაც პეიოტი მომცა და მითხრა, რომ მეზობელ ოთახში ტუალეტის ბაქანი იყო.

ფეხსადგამი კარის მოპირდაპირე მხარეს იყო განლაგებული. მასთან მჭიდროდ სიახლოვეში დიდი საწოლი იდგა, რომელსაც ოთახის თითქმის ნახევარი ეჭირა. მასზე ვიდაც ქალს ეძინა. რამდენიმე ხანს ვიდექი კარებთან გაუნძრევლად, შემდეგ სხვებთან ოთახში დავბრუნდი.

სახლის პატრონმა ინგლისურად მომპარათა:

— ღონ ხუანმა თქვა, რომ თქვენ სამხრეთ ამერიკიდან ბრძანდებით. იქ თუ არის შესკალინი?

უპასუხე, რომ არც კი გამიგია ამის შესახებ.

მათ, როგორც სჩანს, სამხრეთ ამერიკა აინტერესებდათ, და ჩვენ

რამდენიმე ხანი ინდიელებზე ვისაუბრეთ. შემდეგ ერთ-ერთმა მათგანმა მკითხა, რატომ მსურდა პეიოტის ტანა. ვუპასუხე, რომ მინდოდა გამეღო, რა იყო ეს. მან და სხვა დანარჩენებმაც მორიდებით გაიცინეს.

ღონ ხუანმა ონჯე ხელი მიბოძა: „დალეჭე, დალეჭე“ (Masca, masca).

ხულისეულები ოფლმა დამიფარა, მუცელი შემეკუსმა. პეიოტის ნაკურბიანი ყუადანი იატაკზე სკამთან იდგა. დავიხარე, ავიღე ერთი განურჩევლად და პირში ჩავიღე. მას შშორის გემო დაჰკრეფდა. ჩვეუბნი, ერთი ნაჭერი დავლეჭე და პირის მომჭრელი ძლიერი სიმწარე ვიგრძენი; ცოტა ხანში პირი გამიბრუნდა. სიმწრის შვერძნება გამომდიერდა და ამასთან ნერწყვის წარმოუდგენელ ნაკადთან მიხდებოდა ბრძოლა. ღრძილებსა და პირის შიდა ნაწილის შვერძნებით თითქოს მშრალ ხორცს ან თევზს ვჭამდი და ეს, ალბათ, მაიძულებდა უფრო ინტენსიურად დამეღეჭა. ცოტა ხანში მეორე ნახევარიც დავლეჭე და პირი ისე გამიბრუნდა, რომ სიმწრის შვერძნება გამიქრა. პეიოტის ნაჭერი ბოჭკოთა კონისაგან შედგება, ფორთოხლის ან შაქრის ლერწმის გულის მსგავსად და მე არ ვიცოდი, უნდა გადამეყლაპა ის თუ გადმომეფურთხებინა. ამ დროს სახლის პატრონი წამოგდა და სუყველას ვერანდაზე გასვლა შემოგვთავაზა.

ჩვენ გავედით და სიბნელეში დავსხდით. გართ თავი მოხდენილად ვიგრძენით. მასპინძელმა ბოთლი ტეკილია* მოიტანა.

კაცები, ჩამწკრივებულნი, კედლისკენ ზურგშეკცევით ისხდნენ. მე მარჯვენა ნაპირზე აღმოჩნდი. გვერდით მედომმა ღონ ხუანმა პეიოტიანი ყუადანი ფეხზეშა ჩამიდგა. შემდეგ ბოთლი მომწოდა, რომელიც წრეში გაეშათ — და მიბრძანა, ცოტაოდენი ტეკილია მომესვა სიმწრის ჩასაყოლებლად.

პირველი ნაჭრის ნარჩენები გადმოვაფურთხე და ცოტა სასმელე პირში ჩავიგუბე. მან მითხრა, არ გადამეყლაპა, მხოლოდ პირში გამოშველო, ნერწყვი რომ შემეჩერებინა. ამან ნერწყვის ძალიან ცოტათი თუ უშველა, სამაგიეროდ სიმწრის შვერძნება, მართლაც დამიცხრა.

ღონ ხუანმა გარკვეს თუ ლედვის ჩირის ნაჭერი მომცა — ვერ გაგარჩიე სიბნელეში, გემოც ვერ გავსამე — და მიბრძანა ნელა და

*ტეკილია — მექსიკური სიმინდის არაყი

საფუქელიანად დამეღეჭა. ძალიან გამიჭირდა გადაყლაპვა. მეძინოდა, ლუკმა ყელში არ გამჩხროდა.

რამდენიმე ხანში ბოთლი კვლე წრეში დატრიალდა. ღონ ხუანმა მშრალი ბოჭკოვანი ხორცის ნაჭერი მომწოდა. ვუთხარი, რომ ტანა არ მინდოდა.

— ეს საჭმელი არ არის, მკვახედ მომიგო მან.

პროცედურა ექვსჯერ განმეორდა. მახსოვს, პეიოტის უკვე ექვსი ნაჭერი მქონდა დალეჭილი, როცა საუბარი საგრძნობლად გამოცოცხლდა, თუმცა ვერ გამეგო, რა ენაზე ლაპარაკობდნენ. თმა საუბრისა, რომელშიც ყველა მონაწილეობდა, ძალზე საინტერესო იყო და მე ყურადღებით ვუსმინდი, მასში ჩართვის სურვილით შეყვარდი. მაგრამ როდესაც ხმის ამოღება დაუპირე, მივხვდი, რომ ამის გაკეთება არ შემეძლო. სიტყვები უმიზნოდ მიტრიალებდნენ ტენში.

კედელზე ზურგით მიყრდნობილი ვიჯექი და ვუსმინდი, რას ლაპარაკობდნენ ინდიელები. საუბარი იტალიურად მიმდინარეობდა და კვლე და კვლე ერთი და იგივე ფრაზა მეორდებოდა — ზვიგენთა სიბრყველე. თმა საესებით ლოგიკურად აკებულნი მერვენებოდა. მანამდე ღონ ხუანისთვის ნათქვამი მქონდა, რომ პირველმა ესპანელებმა მდინარე კოლორადოს — „El rio de los tizones“ (დატბორილი ტყის მდინარე) უწოდეს, მაგრამ ვილაცამ სიტყვა „tizones“ არასწორად წაიკითხა თუ წარმოთქვა და მდინარეს „El rio de los tiburones“ (ზევიგენთა მდინარე) დაერქვა. დარწმუნებული ვიყავი, რომ ყველა სწორედ ამ ამბის ირგვლივ ბჭობდა, და ახრადაც არ მომდიოდა, რომ არცერთმა მათგანმა იტალიური არ იცოდა.

ძალიან მომინდა წამოგომა, მაგრამ არ მახსოვს, როგორ მოვახერხე ეს. ვიკითხე, წყალი ხომ არაყის ჰქონდა. აუტანელი წყურვილი მკლავდა.

ღონ ხუანმა დიდი ქება მოიტანა და კედელთან, მიწაზე დადგა. მან აგრეთვე პატარა ფინჯანი თუ ქილა მომიღვნა. ამ უკანასკნელით ქებაიდან რაღაც სითხე ამოიღო; მითხრა, იგი არ დამელია, მხოლოდ პირში გამოშველო, გასაგრილებლად.

წყალი უცნაურად ბრჭყვიალებდა და მინისებრი, ან რაღაც სქელი ქარსის მაგვარი მოჩანდა. მინდოდა, ამის შესახებ ღონ ხუანს გამოემკითხა და გულმოდგინედ შევედექი ჩემი აზრების ინგლი-

სურად გამოხატვას, მაგრამ უცბად გამახსენდა, რომ მან ინგლისური არ იცოდა. ძალიან დავიბნინე, როდესაც მივხვდი, რომ ვერ ვლაპარაკობდი, თუქცადა სრულიად ცხადად ვაზრუნებდი. მინდოდა, წყლის უტნაურობის შესახებ ჩემი აზრი გამოეთქვა, მაგრამ ის, რაც ამას მოყვა ლაპარაკს სულაც არ ჰკუდა. ვგრძნობდი, როგორ მოედინებოდნენ ჩემი პირიდან გამოუთქმელი აზრები, რაღაც სითხის მაგვარად. დაუძაბავი გულისრევის შვერნება დამეფულა, დამავრავბის შეკუმშვის გარეშე. ეს სასიამოვნო თხევადი სიტყვათა ნაკადი იყო.

ცოტათი მოვსვი სითხე და გულის რევის შვერნება გამიქრა ამასობაში ყოველგვარი სხაური მისწერადა და აღმოჩნდა, რომ თვალების ფოკუსირება მიჭირდა. დონ ხუანს შევხედე და თავის მობრუნებისას დაეინახე, რომ ჩემი ხედეით არე პირდაპირ ჩემს თვალწინ მდებარე ერთგვარი წრის ზონამდე შემცირდა. ეს არ იყო შიმის მოშვერული შვერნება, არც უსიამოვნო, პირიქით — იგი სასიხარულო სიახლეს მოასწავებდა. შემძლო შხერით მივის შეხება, ერთ წერტილზე კონცენტრაციით და შემდეგ, შხერის ნებისმიერი მიმართულებით ნელი გადაადგილებით როდესაც პირველად მოეხიდა ვერანდაზე, შევამჩნიე, რომ ირვკლე სრული სიხნელე სუფევდა, შესაძლოა მხოლოდ შორეული ქალაქის შუქების გამოკლებით. ხოლო ახლა ჩემს ხედვით წრეში ყველაფერი ცხადად მოჩანდა. მე დამამიწყდა დონ ხუანის და ყველა სხვა ადამიანის არსებობა და მთლიანად ჩემი შხერის სხეით სამყაროს გამოკვლევას მივეცი.

ვერანდის იატაკის — კედლიან შვერების ადგილი დაეინახე თავი ნელა მარჯვნივ კედლის გაყოლებზე მოგაბრუნე და დაეინახე მასთან აუღებულები დონ ხუანი. შემდეგ თავი მარცხნივ მოგაბრუნე, წლისთვის რომ შემეხებდა. შხერით ქვების ფსკერს წაყაწყდი. ნელა აწიე თავი და საშუალო ზომის შავი ძალი დაეინახე. ძალი წყალს მიუახლოვდა. მისს შეუდგა. ხელო აწიე, ჩემი წყლისგან რომ გამოვალე. თან ვაქურე შევხედე და უცხრად დაეინახე, რომ იგი გამჭვირვალე გამზდარიყო. წყალი კი, ბრჭყვიალა, ბლანტ სითხედ გადაიქცა. მე ვხედავდი, როგორ მიედინებოდა იგი ძალიან ყელის გავლით მის სხეულში; როგორ დაიღვარა მასში თანაბრად და შემდეგ თითოეული ბეწვიდან გამოვიინა. მე ვხედავდი, როგორ მიედინებოდა ბრჭყვიალა სითხე ცალკეულ ბეწვში და იქიდან გამოსული გრიქლ,

თორ, ხვერდოვან შარავანდელს ქმნიდა.

მავე წუთს ძლიერი კრუნჩხვები ევიგრძინე და ორიოდე წამში ჩემს გარშემო ძალზე დაბალი და ეისური გვირაბი ჩამოყალიბდა, მძიმე და უცნაურად ცივი. შესახებად იგი თითქოს მყარი თუნუქისა იყო. მე გვირაბის იატაკზე ვიჯექე. ადგომა ცვადე, მაგრამ რჩინის ჭერი მთარტყი თავი, ხოლო გვირაბი ისე ძლიერად შეიკუმშა, რომ სული შემეხუთა. მახსოვს, როგორ გავფოფხხი მრავალ ხერვლისაკენ, სადაც გვირაბი თავდებოდა; როდესაც მას მოვალწიე (თუ კი მართლა მოვალწიე, თვით ეს მომენტები არ მახსოვს), სულ გადაამიყვნდა ძალიც, დონ ხუანიც და ჩემი თავიც. დავიტანჯე, ჩემი ტანისამოსი ცივი წებოვანი სითხით მთლიანად გავლენითიყო. წინ და უკან ვეგრაუედი — ისეთი მდგომარეობის პონას ცვდილობდი, რომელშიც დასვენებას შეუძლებდი და ჩემი გული შეწყვეტდა ასეთ გამაყრუებელ ცემას. ერთ-ერთი ასეთი გადაადგილების დროს კვლავ ძალი დაეინახე.

მამინათვე მესხიერება დამიბრუნდა და გონებაც გამქმინდა. მივიხედ-მოვიხედე, დონ ხუანის ნახვა მინდოდა, მაგრამ ვერავინ და ვერაფერი გაეარჩიე. ერთადერთი, რასაც ვხედავდი — ეს ძალი იყო, რომელიც ცისარტყვალსავით იფერებოდა. მისი სხეული ძლიერ სინათლეს გამოსცემდა. კვლავ დაეინახე, როგორ მიედინებოდა მასში წყალი და მას კონკრეტული აკასკაშებდა. წყალს მოვალწიე, სახე ქებაში ჩაეყავი და ძალიან ვერად მსას მოვეცი. ხედეებით ჩემს წინ მიწას ვებჯინებოდი და მისი დროს ვხედავდი, როგორ მიედინებოდა სითხე ვენებში და გზა და გზა წითლად, ყვითლად და მწვანედ იღებებოდა. ვსვი და ვსვი. ვსვი სანამ სითხემ სხეულის ყოველი ფორიდან არ დაიწყო დინება, აბრეშუმის ძაფებებით, და მეც გრძელი, ნათელი, ფერადი შარავანდელი გამიჩნდა. ძაღლს შევხედე, მისი შარავანდელიც ისეთივე იყო, როგორც ჩემი. უდიდესმა ბედნიერებამ ამოგო სხეული და ერთად ჩვენ რაღაც ყვითელ სითხისაკენ გავეშურეთ, გარკვეული მხრიდან რომ მოედინებოდა. იქ თამაშს მოვეყვით ასე ეთამაშობდით და ვჭკიდაობდით, სანამ ყველა მისი სურვილი არ შევიცინა. მან კი ჩემი. ერთმანეთს რიგ-რიგობით ემპროვადით, როგორც მარიონეტებს თეატრში. მე მისი ფეხების ამძირავება შემეძლო, ჩემი ტერფების მობრუნებდა, ხოლო მისი თავის ყოველ გაქნევაზე მე ზტომის დაუძლველი სურვილი მეუფლებოდა.

მაგრამ მის საუკეთესო მიღწევად ჩაითვლებოდა იღუთი, როდესაც იგი შაიძულებდა ფეხით თავი მომფხუნა; ამას ის ყურების აქეთ-იქით ფრიალით აღწევდა. მე ეს საშინლად მართობდა. რა აღფრთოვანება მოხდენილობის, ირონიის, ვუფქრობდი მე, რა ოსტატობა! აუწერელმა ვიფორიამ მომიცვია. იმდენს ვიცინოდი, რომ სუნთქვა შემეკრა.

შეაფიოდ ვგრძნობდი, რომ თალებს ვერ გაეახელი. წყლის სისქეს გამჭოლ ვუცქერდი. შერგანება ხანგრძლივი და ძალზე აუღმყოფური იყო, იმ შემოთოთების მსგავსი, რომელიც მაშინ გვეუფლებოდა, როცა თითქოს უკვე ღვიძარი, ჯერ საბოლოოდ ვერ გამოიკვეულხარ შემდეგ ქვეყანა თანდათან კვლავ ნათელი და მკაფიო შეიქმნა, ჩემი ხედვით არე ისევ მომრგვალდა და გაფართოვდა, და ამასთან ჩვეულებრივი გონებრივი აქტივობაც დამიბრუნდა; მიმოხედვისა და იმ საოცარი არსებების პოვნის სურვილი გამიძინდა. აქ კი ძალზე რთულ ზღურბლს გადავყარე. ნორმალური მდგომარეობის შეცვლამ ჩემთვის თითქმის შეუქმნევლად ჩააბარა: გონს მოსული ვიყავი, გრძნობები ამას მიმოწმებდნენ, ასე რომ გადასვლა შეუფერხებელი და ნათელი გამოდგა. მაგრამ უკან — სერიოზული, ფხიზელი გონებიანად დაბრუნება მართლაც, რომ შემპირუნებელი აღმოჩნდა. მე დამპვიწყდა, რომ ადამიანი ვიყავი! ამ ვითარების გამოუსწორებლობამ დამაღონა და მე ავტორად.

1961 წლის 5 აგვისტო, შაბათი

მოგვიანებით, იმავე დღით, საუზმის შემდეგ ჩვენი მასპინძელი, დონ ზუანი და მე დონ ზუანის სახლისაკენ გავემგზავრეთ ძალიან დადლილი ვიყავი, მაგრამ საბარგო მანქანაში არ დამძინებია. მხოლოდ იმ კაცის წასვლის შემდეგ დონ ზუანის ვერანდაზე ჩამქიბი.

როცა გამოშვდებოდა, უკვე ბნელიდა; დონ ზუანს ჩემთვის საბანი მოეზურა. მისი მოძებნა ვცადე, მაგრამ ვერსად ვერ აღმოვაჩინე. იგი მოგვიანებით მოვიდა, შემწვარი ლობიოს ქვაბი და კვერები მოიტანა. საშინლად შშიოდა.

როგორც კი ჭამას და დასვენებას მოვრჩით მან მთხოვა მისთვის ყველაფერი მომეყოლა, რაც წინა დღით შემთხვევა და მეც ყველაფერი დეტალურად ვუამბე — როგორც კი შემქმელი ვრცლად.

როცა დავაბოვრე, მან თავი დამიკრა და მითხრა:

— მე მგონი, ყველაფერი შესანიშნავადაა. ახლა მიჭირს ახსნა, როგორ და რატომ, მაგრამ ვუფქრობ, შენთვის ყველაფერმა კარგად ჩაიარა. მოგეხსენება, იგი ხანდახან მხიარულია, ბავშვივით, ხან კი — საზარელი, საშინელი. ის ან მასხრობს, ან უადრესად სერიოზულია. წინასწარ ვერ იტყვი, როგორი იქნება ამა თუ იმ კაცთან. თუმცა, როცა მას კარგად გაიცნობ, ეს მაინც შეიძლება — ზოგჯერ შენ ითამაშე მასთან ამ დამით ერთადერთი კაცი ხარ ჩემს მასხრობაში, ვისაც კი ბედმა მსგავსი შეხვედრა არგუნა.

— რით განსხვავდება ჩემი გამოცდილება სხვებისაგან?

— შენ ინიღვილი ახა ხარ, და ამიტომ მიჭირს გარკვევა, რაშია საქმე. იგი სხვათა შორის, ან იღებს ადამიანს, ან იშორებს მას, იმისდა მიუხედავად ინიღვილია ის თუ არა. ეს ნამდვილად ვიცი, ბევრი ასეთი შემთხვევა მინახავს. ისიც ვიცი, რომ იგი ემასხარავება ზოგს და ბევრს აციენებს. მაგრამ არახლდეს მინახავს, რომ ვისმესთან ეთამაშა.

— დონ ზუანი, ახლა ხომ არ შეგიძლია მითხრა, როგორ იცავს პიოტი...

— მან არ დამასრულებინა. მხარზე სწრაფად შემეხრა.

— ნურახლდეს ნუ უწოდებ ასე. შენ ჯერ იგი საკმარისად არ გინახავს, კარგად რომ გაგვეცნო.

— მაინც როგორ იცავს ადამიანს მესკალიტო?

— რჩევას აძლევს. პასუხობს ყველა დახმულ შეკითხვაზე.

— ესე იგი, მესკალიტო რეალურია? მე იმას ვგულისხმობ, თუ არის ის რაღაც ისეთი, რისი დანახვაც შეიძლება?

— მას თითქოს თავზარი დასცა ჩემმა შეკითხვამ და გაცბუნებულმა შემომხედა.

— მე იმის თქმა მინდა, რომ მესკალიტო...

— გავიგონე, რაცა თქვი. კი მაგრამ, შენ თვითონ არ ნახე ის წუხელ დამით?

— მინდოდა მეთქვა, რომ მე მხოლოდ და მხოლოდ ძაღლი ვნახე, მაგრამ იმის გაცბუნებულმა მხერა შევამჩნიე.

— მაშ შენ გგონია, რომ სწორედ ის ვნახე წუხელ დამით?

— მან ახლა უკვე აშკარად დაცინებით შემომხედა. გაეცინა, თავი გააქნია, თითქოს ამის არ სჯეროდა და ძალიან თვაზინანი ტონით

მითხრა:

— A poco crees que era tu... mama? (არ მითხრა ახლა, რომ... დედაშენი გვეონა). იგი შეჩერდა სიტყვა „mama“-ს წინ, რადგან იგულისხმებოდა იდიომა „tu chingada madre“ — ვისმეს დედის მიმართ უპატიო ნართაული. სიტყვა „დედა“ აქ იმდენად უადგილო ჩანდა, რომ ორივემ კარგა ხანს ვიცინეთ.

მას ისე ჩაეძინა, რომ ჩემს კითხვაზე პასუხი არ გაუცია.

1961 წლის 6 აგვისტო, კვირა

ღონ ხუანი მანქანით იმ სახლში წავიყვანე, სადაც პეიოტი მთელივე, გზაში მან მითხრა, რომ კაცს „რომელმაც ჩემი თავი შესკალიტოს წარუდგინა“, ჯონი ერქვა. სახლს რომ მიუახლოვდით, ვერანდაზე ჯონი და ორი ახალგაზრდა კაცი დაეინახეთ. სუვევლა განსაკუთრებით კარგ ხასიათზე იყო. ისინი იცინოდნენ და ძალდაუტანებლად საუბრობდნენ. სამივე სრულყოფილად ფლობდა ინგლისურს. ჯონს ვუთხარი, რომ მაღლობის სათქმელად მოუედი გაწეული დახმარებისათვის.

მინდოდა გამეყო მათი აზრი ჩემი ქცევის შესახებ პალიცინო-გენური ცდის დროს და ვუთხარი, რომ თუცა კი ვცდილობდი ამაზე ფიქრს, ვერაფერს ვიხსენებდი. ისინი იცინოდნენ და ამ თემაზე საუბრის სურვილს არ ავლენდნენ. მათ ალბათ, ღონ ხუანის დასწრება აბრაკოვლებდათ ისინი დრო და დრო მას გაკუერებდნენ, თითქოს თანხმობის ნიშნის მოლოდინში და ღონ ხუანმა, როგორცა ჩანს, მისცა ასეთი ნიშანი — თუცა არაფერი მსგავსი მე არ შემიმჩნევია — იმიტომ რომ ჯონი მოულოდნელად ჩემი ქცევის განხილვას შეუღდა.

ის მაშინ მიმხედარა, რომ მე „მიმიღეს“, როცა მე გული ამერია. მან გამოთქვა ვარაუდი, რომ პირს ალბათ ოცდაათჯერ მაინც მაღებინა. ღონ ხუანმა შეასწორა — ოცდაათჯერ კი არა, მხოლოდ და მხოლოდ ათჯერ.

ჯონმა გააგრძელა:

— მაშინ ჩვენ სუვევლა შენკენ გადმოვიყვით. შენ გაშეშდი და კრუნჩხვები დაგეწყო. დიდხანს იწეკი გულაღმა და პირს ისე ამოკრავებდი, თითქოს ვიღაცას ელექტარაკებოდი. შემდეგ იატაკს

თავი დაუშინე და მხოლოდ მაშინ შეწყვიტე, როცა ღონ ხუანმა თავზე ძველი შლაპა დაგახურა. რამდენიმე საათი კანკალებდი, კროლიდ იატაკზე გამსლართული. ვფიქრობ, სწორედ მაშინ ჩავვეძინა სუვევლას. მაგრამ შენი ხუნუმა და ოხერა სიზმარშიც მესმოდა. შემდეგ შენი კვილი გვივიგონე. გამომეღვიძა და დაეინახე, როგორ დახტოვდი ადგილზე და ყვიროდი. წყალს მიაშურე, ქვაბი გადააბრუნე და გუბეში მოჰყვივი ფართხალს.

ღონ ხუანმა კიდევ მოგიტანა წყალი. ქვაბთან წყნარად იჯექი. შემდეგ წამოხტი და ტანს გაიხადე. მერე წყალთან მუხლებზე დაიჩოქე და დიდი ყლუპებით სმას მოხდექი. თითქმის ყველას — ღონ ხუანის ჩათვლით — უკვე ჩავვეძინა, როცა შენ დამუილით წამოხტი და ძაღლს გაეკიდე. ძაღლი შეშინდა, თვითონაც აღმუკვლდა და სახლის უკან გაიქცა. ამ დროისათვის ყველას გამოვეღვიძა და წამოხდექით. შენ სახლის მეორე მხრიდან დაბრუნდი, კვლავ ძაღლს მისდედი. ძაღლი ყვეით და დამუილით შენს წინ მობრბოდა. სახლს ალბათ, ოცჯერ მაინც შემოურბინე და შენც ძაღლივით ყვეფდი. შემემშინდა, ხალხის ყურადღება არ მიგვექცია. აქ ახლომახლო არავინ სახლობს, მაგრამ შენ ისეთი ხმით ყმუოდი, კაცი მრავალი მიღის სიმორზე გაიკონებდა.

ერთ-ერთმა ახალგაზრდამ ჩაურთო:

— ბოლოს, როგორც იქნა, ძაღლი დაიჭივრე და ხელში აყვანი- დეთ ვერანდაზე მოიყვანე.

ჯონმა გააგრძელა:

— შემდეგ ძაღლს დაუწვე თამაში. ეჭვიდევებოდი; ერთმანეთს კბენდით და კოტრიალობდით. გეტყვობოდათ, რომ ეს გსიამოვნებდათ. ჩვეულებრივ, ჩემს ძაღლს არ უყვარს თამაში. მაგრამ აშკერად თქვენ ერთიმეორეზე გადადიოდით.

— შემდეგ წყლისკენ გაიქციე და ძაღლთან ერთად სმას მოჰყვივი. — თქვა ახალგაზრდამ, — ხუთჯერ თუ ექვსჯერ მიიბრინეთ ასე წყალთან, ძაღლთან ერთად.

— რამდენ ხანს გაგრძელდა ეს? — ვკითხე მე.

— რამდენიმე საათი, — თქვა ჯონმა. — ერთხანს ორივენი მხედველობიდან დაგვეკარგეთ. სახლის უკან უნდა ყოფილიყავით. ჩვენ მხოლოდ შენი ყეფა და წამოტრუნი გვესმოდა. შენი ყეფა ისე ჰგავდა ძაღლისას, ვეღარ ვარჩევდით.

— შეიძლება, ეს მართლაც, ძალი იყო, — ვთქვი მე.

მათ გაეცანით და ჯონმა მითხრა:

— შენ ყველი იქ, ყმაწვილო.

— მერე რა მოხდა?

სამიუნი ერთმანეთს გადაკეურებდნენ; თითქოს უჭირდათ მერე მომხდარის გახსენება. ბოლოს, ახალგაზრდა კაცმა, მანამდე რომ სდუმდა, ხმა ამოიღო.

— რაღაც გულზე დაადგა, — თქვა მან და ღონ ხუანს შეხედა.

— ხო, რა თქმა უნდა, გულზე დავაგდა. ძალიან უცნაურად ატირდი, ხოლო მერე იატაკზე დაეცო. ჩვენ ვიფიქრეთ, ენა მოიკვინტე, ღონ ხუანმა ყბები გაგისხნა და სახეში წყალი შეგასხა. შენ ავაკანკალა და მთელს სხეულზე კვლავ კრუნჩხვებმა დაიგარა. შემდეგ დიდხანს უძრავად იყავი. ღონ ხუანმა თქვა, რომ ყველაფერი დასრულებულია. გათენებულყო. საბანი მოგახურეთ და ვერანდაზე ჩაძინებული დაგტოვეთ.

აქ ის შეჩერდა და დანარჩენებს გადახედა. ისინი თითქოს სიცოცხლე დაკარგეს. ის ღონ ხუანს მიუბრუნდა და რაღაც ჰკითხა. ღონ ხუანმა გაიღიმა და რაღაც უპასუხა. მერე ღონ ხუანი მე მომიბრუნდა და მითხრა:

— ჩვენ ვერანდაზე დაგტოვეთ, რადგან გვეშინოდა, ოთახებში შარდვა არ დაგეწყო.

მათ ხმაძალა გაეცინათ.

— რა მჭირდა ასეთი? — ვკითხე, — ნუთუ მე...

— ნუთუ შენ? — გამიცინა ჯონმა. — ჩვენ არ ვაპირებდით ამაზე ლაპარაკს, მაგრამ ღონ ხუანმა თქვა, რომ ყველაფერი წესრიგშია. შენ თავიდან კულამდე გაწუწე ჩემი ძალი!

— რა ვქენი?

— ხომ არ გგონია, ძალი იმიტომ გაგიბოძოდა, რომ შენი ეშინოდა? ძალი გარბოდა იმიტომ, რომ შენ მას აფსაშდი.

აქ საერთო ხარხარმა იქუხა. ვცადე, ერთი ახალგაზრდისთვის მიმეშარათა, მაგრამ ყველა იცინოდა და მას ჩემი არ ესმოდა. ჯონმა გააგრძელა:

— ჩემი ძალიც არ დარჩენილა ვალში. ის შენ გაფსაშდა.

ეს განცხადება, როგორც სჩანს, ძალზე სასაცილო იყო, იმიტომ რომ ყველას ლამის მუცლები დაწყდათ სიცოცხლით, მათ შორის

ღონ ხუანსაც: როცა ისინი დაწყნარდნენ მე მთელი სერიოზულობით ვკითხე:

— ეს მართალია? ყველაფერი ნამდვილად ასე იყო?

ჯერ კიდევ სიცოცხლე აყოლილმა ჯონმა მიპასუხა:

— გეფიცები, ძალიან მართლა დავაფსხა.

როცა ღონ ხუანთან ერთად მის სახლში ვბრუნდებოდი, მე ვკითხე:

— ყველაფერი ეს მართლაც მოხდა, ღონ ხუან?

— კი, — თქვა მან, — მაგრამ მათ არ იცინა ის, რაც შენ ნახე. მათ არ ესმით, რომ შენ “მასთან” თამაშობდი. ამიტომაც მე არ შეგიშალე.

— კი მაგრამ, ნუთუ ყოველივე ეს — ჩემი და ძაღლის ერთმანეთის მიფხვამა — მართალია?

— ეს არ იყო ძალი! რამდენჯერ უნდა გითხრა? ამის გაგების ერთადერთი გზა არსებობს. ერთადერთი! ეს „ის“ იყო და „ის“ შენთან თამაშობდა.

— თუ იცოდი, როგორ მოხდა ყველაფერი მანამ, სანამ მე თვითონ მოგეყვებოდი?

ვიდრე პასუხს გამეცემა, იგი წამით შეეფერდა:

— არა, როცა ყველაფერს მოყვები, მე შენი უწვეულო ქცევა გამახსენდა. უბრალოდ მიფხვდი, რომ შენი საკმე შესანიშნავად მიდიოდა, ვინაიდან შენ შიშს არ გგრძობდი.

— ძალი მართლა თამაშობდა ჩემთან, როგორც ისინი ამბობენ?

— დასწყველოს ღმერთმა! ეს არ იყო ძალი!

1961 წლის 17 აგვისტო, ხუთშაბათი

ღონ ხუანს მოგახსენე, რას ვფიქრობდი ჩემი ცდის შესახებ. ჩემს მიერ დაგვემიღო სამუშაოს თვალსაზრისით, ეს შემთხვევა კატასტროფას ნიშნავდა. ვუთხარი, რომ ფიქრიც კი არ მინდოდა მესკალიტოსთან კიდევ ერთ მსგავს შეხვედრაზე. მე დავთანხმე, რომ ყველაფერი, რაც შემემთხვა უადრესად საინტერესო იყო, მაგრამ დაუმატე, რომ არავითარი ინტერესი არ მაიძულებდა ასეთი შეხვედრა კვლავაც მეტებნა. მე სერიოზულად მიამჩნა, რომ არ ვივარგებდი მსგავსი წამოწყებებისათვის. როგორც ერთ-ერთი შედეგი, პიოტმა

რალაც უჩვეულო ფიზიკური უხერხულობის შვარცნება დამიტოვა. ეს რალაც უმიზეზო შიში იყო, რალაც უიბლობის შვარცნება, მელანქოლია — ზუსტად განსაზღვრა მე არ შემიძლო. და ასეთი მდგომარეობა ღირსეულად არავითარ შემთხვევაში არ მიმანდა.

ღონ ხუანს გაეცინა და მითხრა:

— შენ სწავლას იწყებ.

— ასეთი სწავლა მე არ გამომადგება, ღონ ხუან. მე არა ვარ ამისთვის გაჩენილი.

— შენ ყოველთვის აზვიადებ.

— ეს არაა გავზვიადება.

— არის. სამწუხარო მხოლოდ ისაა, რომ შენ მართო ცუდ მხარეებს აზვიადებ.

— რამდენადღაც საქმე მე მჭეება, მანდ არ არის კეთილი მხარეები. ეს მაშინებს, და მორჩა.

— ეს თუ შენ გაშინებს, ამაში ცუდი არაფერია. როცა გეშინია, სხვაგვარად ჭვრეტ საგნებს.

— მაგრამ მე სულაც არ მაღარდებს საგნების სხვაგვარად ჭვრეტა. ვფიქრობ, თავი მივანებო მესკალიტოს შესახებ სწავლებას. მე მას ვერ დავძლევ. აქ მართლაც ცუდათა მაქვს საქმე.

— რაც მართალია — მართალია. მეც საკმაოდ გამიჭირდა. მართლ შენ კი არ აგებნა თავგზა.

— კი მაგრამ, ღონ ხუან, შენ რაღამ დაგაბნია?

— წუხელ დამით ნანახზე ვფიქრობდი. მესკალიტო, უმჯობესად, შენთან თამაშობდა და მე ეს მაცოცხლებს. ეს მინიშნებაა (omen, ნიშანი).

— რისი მინიშნება, ღონ ხუან?

— მესკალიტო შენზე მანიშნებდა.

— რისთვის?

— მაშინ ვერ მივხვდი, ახლა კი მესმის. იგი გულისხმობდა, რომ შენ „რჩეული“ ხარ, მესკალიტო შენზე მიმიითთა და მანიშნა, რომ შენ „რჩეული“ (escogido) ხარ.

— შენ მისი თქმა გინდა, რომ მე ამირჩიეს სხვებთა შორის რომელიღაც მიზნისათვის, ან რალაც მაგდაგვარი?

— არა, მხოლოდ იმისი, რომ მესკალიტოს თქმით, შენ შეიძლება ის კაცი გახდე, მე რომ დავიქებ.

— როდის გითხრა მან ეს, ღონ ხუან?

— მან იმით მითხრა, რომ შენთან თამაშობდა. ამით შენ ჩემთვის რჩეულ ადამიანად გადაიქციე.

— რას ნიშნავს — რჩეული ადამიანი?

— არსებობს გარკვეული საიდუმლოებანი (Tengo secretos). მე ვფლობ საიდუმლოებებს, რომელთაც ვერ გაეხსნი, სანამ რჩეულ ადამიანს არ ვიპოვი. როდესაც წუხელ დამით დავინახე, როგორ თამაშობდა მესკალიტოსთან ჩემთვის ნათელი გახდა, რომ შენ სწორედ ეს კაცი ხარ. მაგრამ შენ ინდიელი არა ხარ სასწავლია!

— კი მაგრამ, რას ნიშნავს ეს ჩემთვის? რა უნდა ვაკეთო?

— მე მივიღე გადაწყვეტილება და გასწავლი იმ საიდუმლოებებს, რომლებიც ცოდნის კაცის ბედს განსაზღვრავენ.

— შენ მესკალიტოს საიდუმლოებანი გაქვს მხედველობაში?

— ხო. მაგრამ ისინი ყველა ჩემს საიდუმლოს როდი მოიცავენ. სხვაც ვიცი, სხვა ხახის, რომლებიც მინდა ვისმეს გადაეცე. მე თვითონაც მჭედა მასწავლებელი, ჩემი ბენეფიქტორი, და შევასრულე რა გარკვეული პირობები, მეც მისი რჩეული ადამიანი გახდი. ყველაფერი რაც ვიცი — მან მასწავლა.

კვლეუ კითხე, რას მოითხოვდა ჩემგან ეს ახალი როლი; მან მიპასუხა, რომ იგულისხმებოდა მხოლოდ სწავლება იმ აზრით, რომელიც მასთან ორი სესიის განმავლობაში გამოვიცადე.

საქმე ძალზე უცნაურად შეტრიალდა. გადაწყვეტი. მისთვის განმეცხადებინა, რომ პეიორტის შესახებ სხვაგვარად უარს ვამბობდი, მაგრამ სანამ ამას მოვასწრებდი, მან თავისი „ცოდნის“ სწავლება შემომთავაზა. ვერ მივხვდი, რა ჰქონდა მხედველობაში, მაგრამ ევროპობი, რომ ეს მოულოდნელი შემობრუნება ძალზე სერიოზულ ხასიათს ატარებდა. შევეპასუხე, რომ ასეთი ამოცანის გადაწყვეტისთვის საჭირო თვისებები არ გამიანდა, თუნდაც საქმისათვის აქაუცილებელი განსაკუთრებული ვაჟკაცობა. ვუთხარი, რომ სხვის ქმედებათა განსჯას ვანიჭებდი უპირატესობას. ამის შესახებ მისი აზრის გაგება მსურდა. ვუთხარი, რომ ბედნიერი ვიქნებოდი, იქ ჯდომა და მთელი დღეების განმავლობაში მის მიერ მოყოლილი ამბების მოსმენა რომ შემძლებოდა და ეს იქნებოდა ჩემთვის საუკეთესო სწავლება.

ის მისმენდა. კიდევ დიდხანს ვილაპარაკე. შემდეგ მან მითხრა:

— ადვილია ყოველივე ამის გაგება. შიში — არის პირველი ბუნებრივი მტერი, რომელიც ცოდნის გზაზე დამდგარმა ადამიანმა უნდა დასძლიოს. მაგრამ, შენ ცნობისმოყვარე ხარ, ეს წვეკტს საქმეს. შენ ისწავლი, თუნდაც შენვე სურვილის საწინააღმდეგოდ: ასეთია წესი.

მისი გადარწმუნება ეცადე და წინააღმდეგობა გაუგარბელე. მაგრამ ის, როგორც ჩანს, დარწმუნებული იყო, რომ მე სწავლის მტეი არაფერი დამრჩენიდა.

— შენ სწორედ არ ფიქრობ, — მითხრა მან, — მეკალიტო ნამდვილად გეთამაშებოდა. ამაზე უნდა იფუქრო. რატომ ამას არ ჩაეჭიდები, შენს შიშზე ფიქრის ნაცვლად?

— რა მოხდა ისეთი არაჩვეულებრივი?

შენს მტეი არაეინ მინახავს, მეკალიტოსთან რომ ეთამაშა. ასეთ ცხოვრებას შეეძლო არა ხარ. ამიტომაც ვერ შეაძწნეი ნიშები (omens). კი მართალია, შენ სერიოზული კაცი ხარ, მაგრამ შენი სერიოზულობა, რასაც აკეთებ იმაზეა მიჯაჭვული და არა იმაზე, რაც შენს გარშემო ხდება. შენ საკუთარ თავზე იტყვები. ამაშია უბედურება, და ეს საშინელ დადლილობას შობს.

— კი მაგრამ, რა უნდა ვაკეთო, დონ ხუან?

— იძიე სასწაულები შენს ირვკვლე და უცქირე მათ. შენ გდლის მხოლოდ საკუთარი თავის ცქირა, და ეს დადლილობა ყველაფერ დანარჩენისთვის ყრუდ და ბრძოდ გაქცევის.

— მიზანში მიატყეი, დონ ხუან. მაგრამ როგორ შევიცვლო?

— იფიქრე შენთან მოთამაშე მეკალიტოს სასწაულზე. ნურაფერ სხვაზე ნუ ფიქრობ. დანარჩენი თავის თავად მოგეფა.

1961 წლის 20 აგვისტო, კვირა

წუხელ დონ ხუანმა მისი ცოდნისაკენ მიმავალი კარი შემომიღო. მის სახლის წინ სიბნელეში ვისხედით და რაიმე მიზეზის გარეშე, ხანგრძლივი დუმილის შემდეგ მან უეცრად საუბარი წამოიწყო. მან თქვა, რომ აპირებდა ჩემთვის იმის გადმოცემას, რაც სწავლების პირველ დღეს მას მისმა ბენეფიქტორმა უთხრა. დონ ხუანს, როგორც ჩანს, მისი სიტყვები დაუზებირებია, რადგან რამდენიმეჯერ გამიმეორა, რათა მათ რაც შეიძლება დრმად ჩაეწვდო-

მოდი.

— ადამიანი მიემართება ცოდნისკენ ისევე, როგორც მიდის ოში: სრულიად ზეზიელი, შიშით, პატოვისცემით და აბსოლუტური რწმენით. რომელიმე სხვა განწყობით ცოდნისთვის ან ომისთვის მზადება — შეცდომაა; ვინც მას დაუშვებს — ინანებს.

მე ვკითხე, რატომ იყო ასე, და მან მიპასუხა, რომ ამ ოთხი პირობის დაცვის შემთხვევაში ადამიანს შეეძლო ნებისმიერი შეცდომის გათვალისწინება და ამით მის ქმედებებს სულელის მოქმედებასავით უაზრო ხასიათი აღარ ექნებოდა. თუ ასეთ კაცს ბედი უშუბთლდება ან მარცხი ეწვეობა, ის მხოლოდ ბრძილას წააცვება — და სადარდებელიც არაფერი ექნებოდა.

შემდეგ მან მითხრა, რომ აპირებდა ჩემთვის “მოკავშირე” შესახებ იმავე ზერხით სწავლებას, რომლითაც მან ბენეფიქტორმა ასწავლა. გამეორა რა რამდენიმეჯერ ეს ფრაზა, მან განსაკუთრებით სიტყვები „იმავე ზერხით“ გამოჰყო.

— მოკავშირე, თქვა მან — არის ძალი, რომლის შეყვანაც საკუთარ ცხოვრებაში ადამიანს შეუძლია დახმარების, რჩევის და საძიქმედოდ საჭირო ძალევის შესაძენად, სულერიოა იქნება ეს ქმედება დიდი, თუ მცირე, სწორი, თუ მცდარი. მოკავშირე საჭიროა იმისათვის, რომ განამტკიცოს კაცის ცხოვრება, მიმართოს მისი ქმედება და გაადრძელოს ცოდნა. არსებითად ცოდნის შექენაში მოკავშირეს დახმარება ფასდაუდებელია.

დონ ხუანმა ეს ძლიერად, თედაჯერებულად წარმოთქვა. ის თითქოს საგულდაგულად არჩევდა სიტყვებს. შემდეგი ფრაზა მან ოთხჯერ გამიმეორა:

— მოკავშირე ისეთი რამეების დანახვასა და გაგებაში დაგეზმარება, რაშიც ალბათ, სხვა ვერაინ გაგარკვევს.

— მოკავშირე — ეს რაღაც მფარველი-ხულის მსგავსია?

— არა. იგი არც მფარველია და არც ხული. ის — დახმარებაა.

— მეკალიტო — შენი მოკავშირეა?

— არა! მეკალიტო — სხვა სახის ძალია. უნიკალური ძალია! დამცველი, მასწავლებელი.

— რით განსხვავდება მეკალიტო მოკავშირისაგან?

— შეუძლებელია მისი მოკავშირეს მსგავსად მოთვინიერება ან გამოყენება. მეკალიტო შენს გარეთაა, იგი მრავალი სახით წარუდგე-

ბა მის წინ მდგომს, ბრუხო იქნება ეს, თუ სოფელი ბიჭუნა.

დიდი პატვისცემით ახსენა ღონ ხუნამ ისიც, რომ მესკალიტო — სწორი ცხოვრების მასწავლებელი იყო. კვითხე, როგორ ასწავლიდა მესკალიტო „სწორი ცხოვრების წესს“, და მან მიპასუხა, რომ მესკალიტო გინვენებდა, როგორ გეცხოვრა.

— როგორ გინვენებს? — კვითხე მე.

— მას ამის მრავალი საშუალება გააჩნია. ხანდახან იგი თავის ხელზე გინვენებს, ან ქვაზე, ან ხეებზე, ანდა პირდაპირ შენს წინ.

— ეს როგორ, სურათებით?

— არა, შენს წინ გადაშლილი მოძღვრების ა. ხიჯა.

— ელაპარაკება მესკალიტო ადამიანს?

— ხო, მაგრამ არა სიტყვებით.

— მამ როგორ?

— სუველას სხვადასვანიარად.

მე ვგრძობდი, რომ მას მობეზრებული ჰქონდა ჩემი შეკითხვები და მეტს აღარ ვკვითხებოდი. ის მიხსნიდა, რომ საიმედო გზა მესკალიტოსკენ, მის გასაცნობად არ არსებობდა. ამიტომ ვერაინ გასწავლიდა მის შესახებ თვით მესკალიტოს ვარდა. ეს თვისება მას უნიკალურ ძალად აქცევდა; იგი არ იყო ერთი და იგივე სხვადასხვა ადამიანისთვის.

მეორეს მხრივ, მოკავშირეს მოსაპოვებლად საჭირო იყო უზუსტესი მოძღვრება და საღებურთა, ნაბიჯთა მიმდევრობა, უმცირესი გადახვევის გამოცდისცვა. ქვეყნად მრავალი არის ასეთი მოკავშირე-ძალა, ამობდა იგი, მაგრამ პირადად ის მხოლოდ ორს იცნობდა და მზად იყო, ისინიც და მათი საიდუმლოებანი ჩემთვის გაეცნო, მაგრამ მე მათში ერთი უნდა ამერჩია, რადგან მე მხოლოდ ერთი მოკავშირის ყოლა შემეძლო. მან თქვა, რომ მისი ბენეფაქტორის მოკავშირე „la yerba del diablo“-ში (ეშმაკის ბლანში) იყო, მაგრამ პირადად მას იგი არ მოსწონდა, თუმცა ბენეფაქტორმა მისი საიდუმლოებანი მას გააცნო. საკუთრივ მისი მოკავშირე, თქვა მან, „humilito“-ში (კვამლში) იმყოფებოდა, მაგრამ ამ „კვამლის“ ბუნების დაწერილებითი ახსნისაგან თავი შეიკავა.

შვეკითხე ამის შესახებ. მან არ მიპასუხა. გრძელი პაუზის შემდეგ კვითხე:

— კი მაგრამ, რა ძალას წარმოადგენს მოკავშირე?

— ეს დახმარებაა. ხომ გითხარი.

— როგორ გეხმარება იგი?

— მოკავშირე არის ძალა, რომელსაც შეუძლია ადამიანი საკუთარ ფარგლებს გარეთ გაიყვანოს. სწორედ ამ გზით ახერხებს მოკავშირე მას ისეთი რამ გაუხსნას, რასაც ვერცერთი ადამიანი ვერ გაუხსნის.

— კი მაგრამ, მესკალიტოსაც ხომ გაჰყავხარ საკუთარ ფარგლებს გარეთ. ნუთუ ეს არ ხდის მას მოკავშირედ?

— არა. მესკალიტოს იმისთვის გამოჰყავხარ საკუთარი თავიდან, რომ გასწავლოს, ხოლო მოკავშირეს — ძალა რომ მოგცეს.

მე ვთხოვე, უფრო ზუსტად განემარტა ეს მომენტი, ან ერთსა და მეორეს მოქმედებებს შორის განსხვავება აღეწერა. მან დიდხანს მიყურა, შემდეგ ახარხარდა. მითხრა, რომ სწავლება საუბრის საშუალებით — არა მხოლოდ დროის უქმი ფლანგვა იყო, არამედ სისულელეც; რადგან სწავლა — ყველაზე რთულ ამოცანას წარმოადგენდა მათ შორის, რაც კი ადამიანს შეეძლო თავისი თავისთვის დაეკისრებინა. მან მთხრვა, გამეხსენებინა ის მომენტი, როდესაც ჩემი ლაქის პონუსა ვცდილობდი — როგორ მიწოდდა ამის გაკეთება რაიმე შრომის დაუხარვევლად და როგორ ველოდი მისგან სუვეველა ცნობის მიწოდებას. მას რომ ეს ჩემს მაგიერად გაეკეთებინა, თქვა მან, მე ვერასოდეს ვერ ვისწავლიდი. მაგრამ რადგან გაცნობიერებული მქონდა საკუთარი ლაქის ძებნის სიძნელე და რაც მთავარია, ვიცოდი მისი არსებობის შესახებ, მე ამით რწმენის უნიკალური შერბნება შევიძინე. მან თქვა, რომ სანამ მე ჩემს „კეთილ ლაქამ“ მქონდა გადგმული ფეხვი, ფიზიკურ ზიანს ვერაფერი მომავნებდა, რადგან მე რწმენა გამაჩნდა, რომ სწორედ ეს ადგილი იყო ჩემთვის საუკეთესო. მე მოპოვეული მქონდა ძალა ყოველთვის იმის უკუგდებისა, რასაც ჩემთვის ზიანის მოტანა შეეძლო. მას რომ, დაუშვავო, მოეთხრო (Italic) ჩემთვის, სად იმყოფებოდა იგი, — მე ვერასოდეს მოვიპოვებდი რწმენას, რომელიც საჭირო იყო მის ჭეშმარიტ ცოდნად აღიარებისთვის. ამგვარად, ცოდნა, მართლაც, ძალად იქცა.

შემდეგ ღონ ხუნამ თქვა, რომ ყოველთვის, როცა ადამიანი სწავლას მიეცემა მას ისეთივე ბეჯითი შრომა უხდება, როგორც მე

ჩემი ლაქის ძებნისას. მისი ათვისების სახელები კი მისივე ბუნებით არის განსაზღვრული. ასე რომ, ის ვერაფერს აზრს ვერ ზედის ცოდნის შესახებ საუბარში. მან თქვა, რომ ცოდნის ზოგიერთი სახეობა მეტიხმეტად მძიმე იყო იმ მცირე ძალისათვის, რომელიც მე გამაჩნდა და მათ შესახებ ლაპარაკს მხოლოდ ზიანის მიყენება შეეძლო. მისთვის ნათელი იყო, აქ მეტს ვერაფერს იტყვიდა. ის ადგა და სახლისაკენ გაემართა. მე ვუთხარი, რომ სიტუაციამ დამორღუნა. ეს სრულიად არ შეესაბამებოდა ჩემს წარმოდგენებს მასზე (სიტუაციაზე) და არც იმას, რისი დანახვაც მასში მსურდა.

მან მიპასუხა, რომ შიში საეხებით ბუნებრივი რამაა, მას ყველანი განვიცდით, და ამას ვერაფერს ფორმირებთ. მაგრამ მეორეს მხრივ, როგორი შიშის მომკვრელიც არ უნდა მოგეჩვენოს მოძღვრება, მეტი საშინელება მოკავშირეს ან ცოდნას მოკლებულ ადამიანის წარმოდგენა.

3

ორ წელიწადზე მეტი ხნის განმავლობაში, დაწყებული იმ დღიდან, როცა ღონ ხუანმა გადაწყვიტა, ჩემთვის მოკავშირეთა ძალები შესახებ ესწავლებინა, და იმ დრომდე, როცა მან ჩათვალა, რომ მე მზად ვიყავი პრაგმატული ფორმით სწავლებისათვის, როგორც მონაწილე — ე. ი. იმ ფორმით, რომელიც მას სწავლებად მიაჩნდა — მან თანდათანობით შემოიხიზა იმ ორი მოკავშირეს საერთო ნიშნები, რომელთა შესახებაც ჩვენ ადრე ვსაუბრობდით. ამით მან მომამზადა ყველა ჩვენი საუბრის იმ აუცილებელი შედეგისათვის, რომელიც მთელი მისი მოძღვრების არსს განამტკიცებდა — სახელდობრ, უჩვეულო რეალობის მდგომარეობათა აღქმისათვის.

დასაწყისში ის ძალზე ცოტას, შემთხვევიდან შემთხვევამდე თუ მიაბობდა მოკავშირეთა ძალებზე. პირველი შენიშვნები მათ შესახებ ჩემი ჩანაწერების სხვა თემებს შორისაა გაბნეული.

1961 წლის 23 აგვისტო, პარასკევი

— ეშმაკის ბალახი (Jimson weed, ლემა) ჩემი ბენეფაქტორის მოკავშირე იყო, ჩემიც შეიძლება გამხდარიყო, მაგრამ მე ის არ

შევიყვარე.

- რატომ არ მოგწონს „ეშმაკის ბალახი“, ღონ ხუან?
- მას სერიოზული ნაკლი გააჩნია.
- რა, ის სხვა მოკავშირეზე უსუსტია?
- არა, სწორად გამოგე. ის სხვებზე არანაკლებ ძლიერია, მაგრამ მასში არის რაღაც, რაც პირადად მე ძალიან არ მომწონს.

— შეგიძლია მითხრა, რა არის ეს?

— ის აფუჭებს ადამიანს. ნამეტანი ადრე უმუშავებს ძალისდამი ხიფარულს, გულის განუმტკიცებლად და მძიმანებლურსა და უმართავს ხდის მას. ის მას ასუსტებს სწორედ რომ საკუთარი ძლიერების მწვერვალზე.

- ამის არიდების რაიმე საშუალება თუ არსებობს?
- არის დამლევის საშუალება და არა არიდების. ყველამ, ვისი მოკავშირეც ხდება ლემა ეს საფასური უნდა გადაიხადოს.
- როგორ შეიძლება მისი მოქმედების დაძლევა, ღონ ხუან?
- ეშმაკის ბალახს ოთხი თავი აქვს: ფესვი, ღერო თავის ფოთლებიანად, ყვავილები და თესლი. ისინი განსხვავდებიან ერთმანეთისგან და ყველა, ვისაც კი ეშმაკის ბალახის მოკავშირეობა სურს, უნდა ისწავლოს მის შესახებ სწორედ ამ მიმდევრობით ყველაზე მთავარი თავი ფესვებშია. ეშმაკის ბალახის ძალის დამორჩილება ფესვით ხდება. ღერო და ფოთლები — წარმოდგენს თავს, რომელიც დაუადებებს მკურნალობს; თუ სწორად გამოიყენებენ, მას დიდი სამსახურის გაწევა შეუძლია კაცობრიობისათვის. შესამე თავი — ყვავილებშია და მას ადამიანის გასაგიჟებლად ხმარობენ, მის დასამორჩილებლად ან მოსაკლავად. ადამიანი, ვისი მოკავშირეცაა ლემა, თვითონ არასოდეს იღებს ყვავილებს — ისევე როგორც არ იღებს ის ღეროს და ფოთლებს, თუ კი თვითონ არ არის ავად.

ყოველთვის იღებენ ფესვსა და თესლს. განსაკუთრებით თესლს — ეს არის ეშმაკის ბალახის მეთოთხე და ყველაზე ძლიერი თავი.

ჩემი ბენეფაქტორი ჩვეულებრივ ამბობდა, რომ თესლი — „ფხიხელი თავია“. ის ერთადერთი ნაწილია, რომელსაც ადამიანის გულის განმტკიცება შეუძლია. „ეშმაკის ბალახი“ თავის „თანამესაქმებთან“ მკაცრია, ამბობდა ის, იმიტომ რომ მათი სწრაფი მოკვლა სურს, რასაც ჩვეულებრივ ახერხებს კიდევ, სანამ ისინი „ფხიხელი

თავის“ საიდუმლოებამდე მიადევნებდნენ. თუმცა ყვებიან ისეთ ადამიანებზეც, ვინც „ფხიზელი თავის“ ყველა საიდუმლო ამოხსნა. აი ცოდნის ადამიანის ნამდვილი მიზანი!

- შენმა ბენეფაქტორმა ამოხსნა ეს საიდუმლოებანი?
- ვერა, ვერ ამოხსნა.
- თუ შეგხვედრია ვინმე, ვინც ეს მოახერხა?
- არა, ისინი ხომ იმ ძველთაძველ დროს ცხოვრობდნენ, როდესაც ამ ცოდნას მნიშვნელობა ჰქონდა.
- თუ იცნობ ვისზეც ვისაც ასეთი ადამიანები უნახავს?
- არა, არ ვიცნობ.
- შენი ბენეფაქტორი თუ იცნობდა ვინმე მათგანს?
- კი, იცნობდა.
- კი მაგრამ, თუ იცნობდა არ მიადეცია „ფხიზელი თავის“ საიდუმლოებას?

— ეშმაკის ბალახის მოთვინიერება და მისი მოკავშირედ გახდომა — ერთ-ერთ ურთულეს ამოცანას წარმოადგენს. მე, მაგალითად, ვერ გადავიტყვი მასთან ერთიან მთლად, ალბათ იმიტომ, რომ ის არასოდეს მომწონდა.

— თუ შეგიძლია, მისი როგორც მოკავშირის გამოყენება. ბიუხედავდ იმიხა, რომ ის არ მოგწონს?

— შემიძლია, მაგრამ ძირეფენია, ამას თავი ავარიდო. შესაძლოა, შენთვის ყველაფერი სხვაგვარად წარმოებოდა.

— რატომ უწოდებენ მას ეშმაკს ბალახს?

დონ ხუანმა გულგრილად ძმრები აიჭყა და რამდენიმე ხნით დადუმდა. ბოლოს თქვა, რომ „ეშმაკის ბალახი“ — ეს დროებითი სახელი იყო (su nombre de leche). მან კიდევ თქვა, რომ „ეშმაკის ბალახისთვის“ არსებობდა კიდევ სხვა სახელებიც, მაგრამ მათი გამოყენება არ შეიძლებოდა, ვინაიდან სახელის წარმოთქმა — სერიოზულ საქმეს წარმოადგენდა, განსაკუთრებით კი მაშინ, როდესაც მოკავშირის ძალის გამოყენებას სწავლობდი. მე ვკითხე, რატომ წარმოადგენდა სახელის წარმოთქმა ასეთ სერიოზულ რამეს. მან მიახსენა, რომ სახელებს იტოვებდნენ უკიდურესი შემთხვევისათვის, მხოლოდ საშველად მოსახმობად, უდიდესი დაძაბულობისა და გაჭირვების დამს და დამარწმუნა, რომ ასეთი წუთი ადრე თუ

გვიან ყველა ცოდნის მაძიებლის ცხოვრებაში დგებოდა.

1961 წლის 3 სექტემბერი, კვირა

დღეს, ნასადილევს დონ ხუანმა მინდორში ამოთხარა და სახლში მოიტანა ორი მცენარე Datura.

ჯერ, სრულიად მოულოდნელად, მან ეშმაკის ბალახზე წამოიწყო საუბარი, შემდეგ შემომთავაზა მის საძებნად ბორცვებზე წაყვლოლოდ.

მანქანით უახლოეს ბორცვებამდე მივედიოთ. საბარგულიდან ბარი ამოვიღე და დონ ხუანს ერთ-ერთ კანიონში გავყვევი. რამდენიმე ხანს რბილ, ქვიშიან ნიადაგზე აღმოცენებულ ხშირი ჩაპრალს მივგრძლევდიოთ. დონ ხუანი ერთ პატარა მცენარესთან შეჩერდა; მას მუქი მწვანე ფოთლები და დიდი თეთრი მარტივას მსგავსი ყვავილები ჰქონდა.

— აი ისიც, — თქვა მან.

და მაშინათვე თხრას შეუდგა. მიშველება დაეპირე, მაგრამ მან თავის ენერგიული მოძრაობით ჩემი შემოთავაზება იუარა და მცენარის გარშემო ორმოს ამოჭრა გააგრძელა. ორმო გარე ნაპირთან ჩაღრმავებული იყო, ხოლო ცენტრისკენ კონუსისებრ მაღლებოდა. დაასრულა რა ეს სამუშაო, იგი მუხლებზე დაეშვა და თითქმის რბილი მიწისგან დაახლოებით ოთხი დიუიმის სიგრძეზე დიდი ლულიანი და გარეშული ფესვი გაასუფთავა, რომლის სისქე შესაძნელად განსხვავდებოდა შედარებით სუსტ დეროსაგან.

დონ ხუანმა შემომხედა და თქვა, რომ მცენარე — „მამალი“ იყო, რადგან ფესვი ზუსტად მის ღეროსთან შეერთების ადგილთან ორდებოდა. შემდეგ წამოდგა, განზე გვიდა და რაღაცას დაუწყო ძებნა.

— რას ეძებ, დონ ხუან?

— ჯოხი მინდა ვნახო.

მეც ირგვლე მიმოვიხედე, მაგრამ მან შემაჩერა.

— შენ არა. შენ იქ დაჯექი, — მან ოციოდე ფუტის მოშორებით განლაგებულ ქვიშის გროვზე მანიშნა. — მე თვითონ მოვინახე. რამდენიმე ხანში ის დაბრუნდა; ხელთ გრძელი ხმელი ტოტი ეჭურა. ტოტი სათხრელი იარაღით გამოიყენა და ფესვის ორივე

შტო მიწისაგან გაათავისუფლა. ფესვი დაახლოვებით ორი ფუტის სიღრმეზე გაშიშვლდა. როდესაც სიღრმეში გათხრას შეეცადა, ნიადაგი ისე გამაგრდა, რომ ჯოხი უკვე აღარ შეულოდა.

გაჩერდა და შესასვენებლად წამოჯდა. მიყვდი მასთან. დიდხანს ვიყავით გაჩუმებულნი.

— ბარით რატომ არ ამოთხრა? — კითხე მე.

— მას შეუძლია გაჭრას და დაკოდოს მცენარე. მე იმიტომ დამჭირდა ამ ადგილის ჯოხი, რომ ფესვს თუ გავკრავ შემიხვევით, დაზიანება არ იქნება ისეთი სერიოზული, როგორც ბარით ან უცხო საგნით მიყენებული.

— რა ჯოხი იპოვე?

— პალეოგარდის ხის ნებისმიერი ჯოხი ივარგებს. თუ ხმელს ვერ მონახავ, ნედლის მოჭრა მოგიწევს.

— რომელიმე სხვა ხის ტოტის გამოყენება თუ შეიძლება?

— გითხარი — მხოლოდ პალეოგარდის და სხვა არაფრის.

— რატომ, ღონ ხუან?

— უშმაკის ბალახს ძალიან ცოტა მეგობარი ჰყავს და პალეოგარდი — ერთადერთი ხეა ამ ადგილებში, რომელიც მასთან მეგობრობს. ერთადერთი, ვინც ხელს სჭიდებს და ებღაუჭება მას (lo unico que prende). თუ ფესვს ბარით დაზიანებ, გადარგული მცენარე შენთვის არ გაიზრდება, მაგრამ თუ ჭრილობა ამ ჯოხით მიაყენე, შეგიძლია იმედოვნო, რომ მცენარე აქამ არც კი იფრინობს.

— რას უპირებ ახლა ფესვს?

— მოჭრას ეუპირებ. შენ უნდა წახვიდე. წადი, სხვა მცენარე მოძებნე და დამელოდე. სანამ არ დაგვიხებ.

— არ გინდა მოგკმარო?

— მომეხმარები მხოლოდ მაშინ, როცა აქამ ვთხოვ.

გავეცალე და სხვა ასეთვე მცენარის ძებნას შეუდექი; თან ღონ ხუანთან ჩემად მიპარვის და მისი თვალთვალის სურვილს ძლივს ვიკავებდი. ცოტა ხანში ის შემომივრთდა.

— ახლა დედალი მოეძებნით, — თქვა მან.

— როგორ არჩევ მათ?

— დედალი უფრო მაღალია და მიწისაგან ზევით იზრდება, ამიტომ ის პატარა ხესკვით გამოიყურება. მაშალი ფართოა, მიწასთან მშლება და ხშირ ბუნჩს უფრო წაგავს. როდესაც დედალს ამოუ-

ხრით, დაინახე, რომ მას მთლიანი ფესურა აქვს, რომელიც საკმაოდ ღრმად ეშვება მიწაში, სანამ გაორებას დაიწყებდეს. მაშლის ფესურა კი პირდაპირ ღეროხთან ორდება.

ერთად დავათვალიერეთ ლემის ველი. შემდეგ მან ერთ-ერთ მცენარეზე მანიშნა და თქვა:

— აი, დედალი.

დაწყო მისი ამოთხრა ისევე, როგორც პირველის. როდესაც ფესვი გაშინდა დავინახე, რომ იგი აღწერილს შეესაბამებოდა. როცა ის ფესვის მოსაჭრელად გაეშხადა, მე კვლავ წასვლა მომიხდა.

სახლში რომ დავბრუნდი, მან გახსნა ბოხნა, სადაც ლემას მცენარეები ჩაედო. ჯერ უფრო დიდი, მაშალი აიღო და დიდ ლითონის ჯაშში მობანა. ფესვი, ღერი და ფოთლები ძალიან ფრთხილად მიწისაგან გაწმინდა. მათი გულებსმით გაწმინდის შემდეგ მან ფესვი ღეროს მოაჭრა — მოკლე დაკბილული დანით შეერთების ადგილს ზედაპირული ჭდე შემოავლო და გადატეხა. შემდეგ აიღო ღერი და ცალკე გროვებად დაანაწილა: ფოთლების, ყვავილებისა და ეკლიანი სათესლე კოლოფების. ის ყრიდა ყველა ხმელსა და ჭიან ნაწილს და მხოლოდ მთლებსა ტოვებდა. ფესვის ორი შტო ორი ბაწრით შეკრა, შეერთების ადგილი ზედაპირულად ჩაჭრა, შუაზე გადატეხა და ორი ერთნაირი ზომის ფესვის ნაჭერი მიიღო.

შემდეგ უხეში ტილოს ნაჭერი აიღო და მასზე ჯერ ერთად შეკრული ფესვის ორი ნაწილი დადო. ზვედიან აკურატულად დააწყო ფოთლები, შემდეგ ყვავილები, თესლი და ღერი. ქსოვილი დაკეცა და ბოლოები გაკეცა.

იგივე გაიმეორა მეორე მცენარის, დედლის მიმართ იმ განსხვავებით, რომ როდესაც ფესვს შუღდა, იგი არ გაჭრა და განწითების ადგილი მთელი დატოვა, გადარბუნებული ასო Y მსგავსად. შემდეგ ყველა ნაწილი ტილოს მეორე ბოხნაში გაახეია. როდესაც ყველაფერი დაასრულა, უკვე სრულიად ბნელოდა.

1961 წლის 6 სექტემბერი, ოთხშაბათი

დღეს, დღის მიწურულს ეშმაკის ბალახის შესახებ საუბარს დავუბრუნდი.

— მე მგონია, ჩვენ ისევ უნდა დავუბრუნდეთ ამ ბალახს — უკერად თქვა დონ ხუანმა. თავაზიანი ღუმლის შემდეგ კვიხე:

— რას უპირებ იმ მცენარეებს?

— მცენარეები, რომლებიც მე ამოეთხარე და მოეჭერი, ჩემია, — თქვა მან. — ეს იგეგა, ისინი მე თვითონ რომ ვიყო. მათი დახმარებით მინდა გასწავლო ეშპაკის ბალახის დამზადება.

— როგორ აშხადებენ მას?

— ეშპაკის ბალახს პორციებად (partes) ჰყოფენ. თითოეული პორცია განსხვავდება სხვებისაგან; თითოეულს საკუთარი უნიკალური ამოცანა და დანიშნულება გააჩნია.

მან მარცხენა ხელისგული გაშალა და იატაკზე მტკაველი გადახომა.

— ეს ჩემი პორციაა. შენსაჲ შენი ხელით გადაზომავ. ეხლა ბალახს რომ დაეუფლო, პირველი პორციით — ფესვით უნდა დაიწყო. ხოლო რადგან მასთან მე მივიყვანე, პირველი პორციის მიღება ჩემი მცენარისაგან მოგიწევს.

ის სახლში შევიდა და ტილოს ხვეული გამოიტანა. დაჯდა და გაშალა იგი. შევაძწინე, რომ ეს მამალი მცენარე იყო. იქ მხოლოდ ფესვის ერთი ნაჭერი იდო. მან აიღო ეს პირველი ორისაგან დარჩენილი ნაჭერი და ჩემს სახესთან მიიტანა.

— ეს შენი პირველი პორციაა, — მითხრა მან. — მას მე შენ გაძღვე. მე თვითონ მოეჭერი შენთვის. საკუთარივით გადაჭომე; ახლა კი შენ გაძღვე.

წაშში აზრმა გამიძვავა, ალბათ მისი სტაფილოსავით შეჭმა მომიხდებოდა, მაგრამ დონ ხუანმა იგი პატარა ბამბის პარჭუკაში ჩადო.

იგი უკან ეწოში გადავიდა, ფეხმორთხმით დაჯდა და მრგვალი ქვასანაყით პარჭუკაში მოთავსებული ფესვის მოსრუხას შეუდგა. ბრტყელ ქვას ორდინის მაგიერ იყენებდა. დრო და დრო რეცხავდა ორივე ქვას, ხოლო წყალს პატარა ხის ჭურჭელში ასხავდა.

მუშაობის დროს იგი ძალიან რბილად და ერთფეროვნად გაურკვეველ სიმღერას ღუღუნებდა. როცა ფესვი პარჭუკაში რბილ ფაფად იქცა, მან პარჭუკა ხის ჭურჭელში ჩადო. იქვე ჩადო როდინიც და ქვასანაყიც, ჭურჭელი წყლით აავსო და ღობესთან მდგარ

ნარეცხის გობის მაგვარ ტაშტში ჩადგა.

როგორც მან განმმარტა, ფესვი მთელი ღამით უნდა დაგვეღობო და გარეთ დაგვეტოვა: ასე ის ღამის პაერს (el sereno) წასტაცებდა.

— თუ ხვალ ცხელ შზიან დღეს დაიტერს — ეს შესანიშნავი ნიშანი იქნება, — თქვა მან.

1961 წლის 10 სექტემბერი, კვირა

ხუთშაბათი, 7 სექტემბერი ძალიან ნათელი და ცხელი დღე გამოდგა. დონ ხუანი გაახარა კეთილმა ნიშანმა და მან რამდენიმეჯერ გაიმეორა, რომ ეშპაკის ბალახს მე ნამდვილად მოეწონდა. ფესვი მთელი ღამე ღებოდა და დილის ათი საათისათვის სახლის უკან გავემართეთ. დონ ხუანმა ჭურჭელი გობიდან ამოიღო, მიწაზე დადგა და იქვე ჩამოჯდა. პარჭუკით ჭურჭლის ფსკერი გახეხა. ამოიღო ზედაპირზე, შიგნეულიანა გაწურა, შემდეგ კვლე წყალში ჩაუშვა. კიდევ სამჯერ გაიმეორა ეს პროცედურა. შემდეგ პარჭუკა, გობში ჩააგდო და ჭურჭელი მხურაველ მზეზე გაიტანა.

ორი საათის შემდეგ ისევ იქ დავებრუნდით. მან თან მღუღარე მოყვითალო წყლით საეხე პატარა ჩაიდან მიიტანა. ჭურჭელი ძალიან ფრთხილად დახარა და ზედა წყალი გადმოაქცია, ხოლო ფსკერზე დავრთვებულ სქელი ნალექი დატოვა. ჩაიდანთან მღუღარე ნალექს დაასხა და ჭურჭელი კვლე მზეზე გადაგა.

ეს პროცედურა სამჯერ განმეორდა, საითზე მეტი ინტერვალებით. ბოლოს მან წყალი თითქმის მთლიანად გადააქცია, დახარა ჭურჭელი ისეთი კუთხით, რომ შიგთოხს საღამოს მზეს გაენათობინა და ასე დატოვა.

როცა რამდენიმე საათის შემდეგ ჩვენ დავებრუნდით, უკვე ბნელოდა. ჭურჭლის ფსკერზე რაღაც კაუჭუკის მაგვარი სუბსტანცია წარმოიქმნა. იგი მოუხეშავ სახამებელს წააგავდა, მოთეთრო ან რუხი ფერისა იყო. ალბათ, ერთ ჩაის ჯოჯხს აჯესებდა. დონ ხუანმა ჭურჭელი სახლში შეიტანა და ცეცხლზე ცოტაოდენი წყალი დადგა ასადულებლად. მიწის ბორცვები ამოვიღე, ქარმა ნალექს რომ მოაყარა. მას გაეცინა.

— მიწის ბორცვები არაფერს აენებს.

როდესაც წყალი ადუღდა, მან თითქმის პირამდე გავხებული ჭიკაძე მულარე ჭურჭელში ჩაასხა. ეს იგივე მოყვითალო წყალი იყო, რომლითაც მან ადრეც ისარგებლა. მან ნალექი დააღობ და რძის მაკვარი ხსნარი მიიღო.

— ეს რა წყალია, დონ ხუან?

— იმ კანიონის ხილის და ყვავილების ნახარშია.

მან გადაასხა ხის ჭურჭლის შიგთავსი ძველებურ თიხის თასში, ყვავილების ქოთანს რომ წააგვად. ხსნარი ჯერ კიდევ ცხელი იყო, ამიტომ გასაცხებლად მან სული შეუბერა. თვითონ გასინჯა და შემდეგ თასი მე მომპოვდა.

— ახლა დალიე, — თქვა მან.

მე შექანიკურად ავიღე თასი და ზედმეტი ფიქრის გარეშე გამოეცალე. გემოთი სითხე მომწარო იყო, თუმცა სიმწარე სულ ოდნავ იგრძნობოდა. ყველაზე შესაძნეველი — მკვეთრი სუნის იყო. სითხეს აბანოს ჭიის სუნის პქონდა.

თითქმის იმ წამსვე ოფლმა დამასხა. სხეული ძალიან გამიხურდა, და სისხლი ყურებში მომასკდა. თვალწინ წითელი ლაკა გამოჩნდა, მუცლის კუნთებმა მტკივნეული სპაზმისებური შეკუმშვა იწყეს. ცოტა ხანში ტვინის უკვე აღარ ვგრძნობდი, მაგრამ შემცირდა და პირდაპირ ოფლში ვიწურებოდი.

დონ ხუანმა მკითხა, ხომ არ ვაძნევედი რაიმე სიმშვეს ან შვილს, ხომ არ მედგა თვალწინ. მე ვუპასუხე, რომ ყველაფერს წითლად ვხედავდი.

კბილები მიცაცხატებდა გაუკონტროლებელი ნერვიულობის გამო, სადღაც გულმკერდის შუაგულში რომ იბადებოდა და ტალღისებურად მივს სხეულს ვეფინებოდა.

შემდეგ მან მკითხა, ხომ არ მეშინოდა. მის შეკითხვებს არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა. კი, რა თქმა უნდა, მეშინოდა. მაგრამ მან კვლავ მითხრა, იმის ხომ არ მეშინოდა. მე ვერ გავიგე რაზე ლაპარაკობდა და ვუთხარი „ხო“. მას გაეცინა და თქვა, რომ სინამდვილეში მე სულაც არ მეშინოდა. მას ის აწუხებდა, ისევ წითელს თუ ვხედავდი. ხოლო ერთადერთი, რასაც მე მაშინ ვხედავდი იყო — პირდაპირ თვალწინ დამდგარი უზარმაზარი წითელი ლაკა.

რამდენიმე ხანში თავი უკეთ ვიგრძენინე. ნერვული სპაზმები თანდათან შემიწყდა, ისე რომ, მხოლოდ სასიამოვნო დაღლილობის

გრძნობა და ძილის ძლიერი სურვილი დამიტოვა. თვალებს გახელილს ვერ ვიკავებდი, თუმცა ჯერ კიდევ ჩამქსოდა დონ ხუანის ხმა. დავიძინე, მაგრამ ღრმა წითელ ფერში ჩამბრუნობის გრძნობა მთელ დამეს გამეფა. სიზმრებიც კი წითელი ფერისა მქონდა.

კვირას, დღის სამი საათისთვის გამოვიღიე, თითქმის დღელამის ძილის შემდეგ. ცოტა თავი მტკიოდა, კუჭის მოუსწესრიგებლობას და წელეში მწვავე ადგილმონაცვლე ტკივილს ვგრძნობდი. ამის გამოკლებით, ყველაფერი დანარჩენი ისევე იყო, როგორც ჩვეულებრივ გამოვდიებინას. დონ ხუანი სახლის წინ მივუღმარე ვიპოვე. მან გამიღიმა.

— ყველაფერმა კეთილად ჩაიარა ამისწინა საღამოს, — თქვა მან, — შენ წითელ ფერს ხედავდი, და მხოლოდ ამასა აქვს მნიშვნელობა.

— რა მოხდებოდა, წითელი რომ არ მენახა?

— შეეს დინახავდი, ხოლო ეს უკვე ცუდი ნიშანია.

— რით არის ცუდი?

— როდესაც ადამიანი შავს ხედავს, ეს ნიშნავს იმას, რომ ის „ემშაკის ბალახისთვის“ არ არის გაჩენილი. მას შვითა და მწვანით აღებიანებს პირს.

— ის მოკვდება?

— არა მგონია, მაგრამ დიდხანს იავადმყოფებს.

— რა მოხდით იმით, ვინც წითელს ნახულობს?

— არა აქვთ პირის ღებინება და ფეხები მათ სასიამოვნო შეგრძნებებს ანიჭებს, ხოლო ეს ნიშნავს, რომ ისინი ძლიერი და ძალმომრეებითი ბუნებისანი არიან — სწორედ ის, რაც ემშაკის ბალახს უყვარს. იგი ასე აცდუნებს. ერთადერთი უბედურება იმაშია: ეს დანაშაულები იმით ამოთერგენ, რომ ემშაკის ბალახის მონებად იქცევიან იმ ძალის სანაცვლოდ, რომელსაც იგი მათ ანიჭებს. მაგრამ ამ საქმეებში ჩვენ ვერავითარ კონტროლს ვერ ვახორციელებთ. ადამიანი ცხოვრობს იმისათვის, რომ ისწავლოს. და თუ ის სწავლობს, ეს მისი ბედისწერაა, სულერთია სასიკეთოდა ეს თუ საზიანოდ.

— შემდეგ რა უნდა გავაკეთო, დონ ხუან?

— ახლა უნდა დარგო ნაყოფი (brote), რომელიც პირველი პორციის მეორე ნახევარს მოვაჭერი. ნახევარი ამასწინა ღანით მიიღე, ხოლო ახლა მეორე ნახევარი მიწაში უნდა ჩარგო. ის უნდა

გაიზარდოს და თესლი გამოიღოს; მხოლოდ მაშინ შევიძლია მცენარის ნამძვილი მოშინაურებას შეუდგე.

— როგორ უნდა მოვაშინაურო იგი?

— ეშმაკის ბალახის მოშინაურება *ფესვით* ხდება. ნაბიჯ-ნაბიჯ უნდა შეისწავლო ფესვის ყველა პორციის საიდუმლოება. ისე უნდა მიიღო ისინი, რომ საიდუმლოებანი შეისწავლო და ძალა მოიპოვო.

— სხვა პორციებიც ისევე შზადდება, როგორც შენ პირველი მოაშზადე?

— არა, თითოეული პორცია თავისებურად.

— რა განსაკუთრებული მოქმედება ახასიათებს თითოეულ პორციას?

— გითხარი უკვე, ყოველი მათგანი სხვა და სხვა სახის ძალას ასწავლის. ის რაც ამისწინა ღამით მიიღე, ჯერ არაფერია. ყველას ძალუძს ამის გაკეთება. მაგრამ მხოლოდ ბრუხოს შეუძლია უფრო სერიოზული პორციების მიღება. მე ვერ გეტყვი, რას აკეთებენ ისინი, რადგან ჯერ არ ვიცი, მოერგები თუ არა. უნდა დავიცადოთ.

— მაშ როდის შეტყვი?

— როგორც კი გაიზრდება შენი მცენარე და თესლს გამოიღებს.

— თუ პირველი პორციის მიღება ყველას შეუძლია, რისთვის იყენებენ მას?

— გაზავებული სახით იგი კარგია ყოველივე მამაკაცურისათვის. მოხუცისთვის, თუ მას სიცოცხლის ძალები მოაკლდა ან ჭბატუკისთვის, თუ ის თავგადასავალს ეძებს, ანდა თუნდაც ქალისთვის, ვისაც ენებების განცდა სურს.

— შენ თქვი, რომ ფესვი მხოლოდ ძალის მოსაპოვებლად გამოიყენება, მაგრამ მე ვხედავ, რომ ძალის გარდა იგი სხვა მიზნებისთვისაც მოიხმარება, ხომ ასეა?

— ის ძალიან დიდხანს დაკვირვებით მიცქერდა, რითაც სერიოზულად შემაშფოთა. ვიგრძენი, რომ შეკითხვამ გააჯერა, მაგრამ ვერ მიემხედარე არ რატომ.

— ეშმაკის ბალახი მხოლოდ ძალისათვის გამოიყენება — ბოლოს მკაცრად მომიტოვო. — ვისაც დაკარგული ენერჯის დაბრუნება სურს, ყმაწვილი, ვინც შიმშილისა და დაღლილობის საწინააღმდეგო საშუალებას ეძებს, პირიულება, რომელსაც სხვა ადამი-

ანის მოკვლა სურს, ქალი, რომელსაც ენებით უნდა ანთება — ყველა მათგანი ძალას ეძებს და ეშმაკის ბალახი მათ მას აძლევს! ხომ გრძობ, როგორ მოგწონს შენ იგი? — მითხრა მან პაუზის შემდეგ.

— ძალთა საუცხოო გამოღვიძებას ვგრძნობ, — ვთქვი მე. და ეს სრულ სიმართლეს შეესაბამებოდა. ჩემი ენერჯიულობა ჯერ კიდევ გამოღვიძებისას შეენიშნე და იგი შემდგომაც შემჩნა. ეს იყო მკაფიოდ გამოხატული მოუსვენრობის, ინტენსიური უკმაყოფილების შეგრძნება; მთელი ჩემი სხეული არაჩვეულებრივად მსუბუქად და მძლავრად მოძრაობდა და იწულებოდა. ხელ-ფეხი მექაჩებოდა, მხრები გამშლიდა, ზურგისა და კისრის კუნთები თითქოს ხეების გასასახუნებლად ან მათთან საჭიდაოდ მიწვევდნენ. ვგრძნობდი, კედელს გავანგრევი, ერთი რომ დამეკრა.

მეტი აღარ გვისუბრია. რამდენიმე ხანს უბრალოდ ვერანდაზე ვიჯექით. შევაძმინე, რომ დონ ხუანს ეძინებოდა. მან რამოდენიმეჯერ „დაყვინთა“; შემდეგ ფეხები გაშალა, იატაკზე დაწვა, ხელები თავიქვე ამოიღო და დაიძინა. მე ავდექი და სახლის უკან გავედი, სადაც მოზღვავებული ძალები ეზოს გასუფთავებას მოვახმარე. გამახსენდა დონ ხუანის სიტყვები, რომ მადლობელი დარჩებოდა, ნაკვის აღებაში თუ დაეჭმარებოდი.

მოგვიანებით, როცა მან გაიღვიძა და ჩემთან მოვიდა, მე უკვე შედარებით მოფითეთო.

სუფრას მიუუჯექით და ჭამის დროს მან სამჯერ გაიმეორა შეკითხვა, თავს როგორა ვგრძნობდი. რადგან ასეთი რამ ჩვენ არ გვქმევია, მე ბოლოს და ბოლოს ვკითხე:

— ასე რატომ ზრუნავ ჩემზე, დონ ხუან? ხომ არ მოელოდი, რომ ის წვენი კუჭს ამიშლიდა?

მას გაეცინა. ცელქს ბიჭუნასავით იქცეოდა, რადაც იონი რომ ჩაითქრა და მის შედეგს ელოდება. სიცოცხლე მითხრა:

— შენ ავადმყოფის არაფერი გაცხია. ხოლო ცოცხა ხნის წინ უხეშადაც კი შემეხისტყვე.

— არ მიქნია ეს, — გამოთქვი პროტესტი, — არც კი მახსოვს როდესმე თუ ჩამედინოს მსგავსი რამ. — მე ძალიან სერიოზულად მიუდევქი ამ საკითხს, ვინაიდან საერთოდ არ მახსოვდა ოდესმე თუ გებრახებულვარ მასზე.

— შენ მის დაცვას შეცადე. — თქვა მან.

— ვის დაცვას?

— ეშმაკის ბალახის. მასზე შეყვარებულებით ლაპარაკობდი.

უფრო ენერგიული შეპასულება დავაპირე, მაგრამ თავი შევიკავე.

— მე მართლა არ მახსოვს, ის რომ დამეცვას.

— რა თქმა უნდა. შენ აღარც კი გახსოვს, რა თქვი, ხომ ასეა?

— არა, არ მახსოვს. ვაიღარებ ამას.

— ხომ ხედავ, როგორია „ეშმაკის ბალახი“. ქალივით გეპარე-ბა, ეგრე კი ამჩნევ ამას. ერთადერთი, რასაც აქცევ უყრადღებას, — ის იქნას, რომ მას კარგ გუნებზე და ძალაზე მოჰყავხარ: კუნთები სიცოცხლის ძალებით გვეხება. ხელები გვეჭედა, ფეხებს კბილის სურვილი გიწვევს. როცა მას გაიცნობ, ის მართლაც, შმაკი სურვილებით გაგხვება. ჩემს ბენეფაქტორს უყვარდა თქმა, რომ ეშმაკის ბალახი ხელიდან არ უშვებს იმით, ვისაც ძალა სწყურია და იცილებს მათ, ვინც მის ფლობას ვერ სწავლობს. მაგრამ იმ დროს ძალაზე მეტი მოთხოვნილება იყო. მას უფრო ხარბად ეძებდნენ. ბენეფაქტორი ძლიერი კაცი იყო და როგორც ის ამბობდა, მისი საკუთარი ბენეფაქტორი კიდევ უფრო მეტად იყო ძალის ძიებით გატაცებული. მაგრამ იმ დროში ყველა საფუძველი არსებობდა, ძლიერი რომ გამხდარიყო.

— შენ სთვლი, რომ ჩვენ დროს ძალა აღარ არის საჭირო?

— შენ ახლა ძალა გიზიდავს, ახალგაზრდა ხარ. არა ხარ ინდიელი. შესაძლოა, ეშმაკის ბალახი კარგი გამოდგეს შენთვის. იგი თითქოს მოგწონა. ეს ყველაფერი მეც განიცადავ თაყის დროზე; თუმცა ის მაინც ვერ შევეფარე.

— ვერ მეტყვი რატომ, ღონ ხუან?

— შე არ მომწონს მისი ძალა! მას ახლა ვედარაფერში გამოიყენებ. სხვა დროს ისეთს, ჩემი ბენეფაქტორი რომ ახსენებდა, ძალის ძიებას აზრი ჰქონდა. ადამიანები საოცრებებს სწადიოდნენ — მათ აფასებდნენ ძალისათვის, ემინოდნენ მათი და პატვის სცემდნენ ცოდნისათვის. ბენეფაქტორი მივეუბოდა დიდი ხნის წინათ მომხდარ, მართლაც რომ წარმოუდგენელ საქმეებზე. მაგრამ ახლა ჩვენ, ინდიელები ამ ძალას უკვე აღარ ვვლტვით. ახლა ინდიელები ბალახს დასახელებად იყენებენ. ფოთლებს და ყვეილებს კი სხვა საქმეებისთვის ინახავენ. ისინი იმასაც კი ამტკიცებენ, რომ ბალახი მათ ზირქუან მუწუკებს კურნავს. მაგრამ ისინი აღარ ეძებენ მის ძალას,

მაგნიტებით რომ იზიდავს, — ძალას, რომელიც მით უფრო მკლავრად და სახიფათოდ მოქმედებს, რაც უფრო ღრმად მისწამი ეჭვება მცენარის ფესვი. და თუ იგი ოთხი იარდის (3,7 მ) სიღრმეს შიდაწვეს — ამბობენ, ზოგი ადამიანი ამას ახერხებს — ის მუდმივი ძალის, უხასრულო ძალის წყაროს ეუფლება. ძალზე ოპოპიათად თუ მიუღწევია ვინმეს ამისათვის წარსულში, ახლა კი არავის. გარეშულები, „ეშმაკის ბალახის“ ძალა ჩვენ, ინდიელებს უკვე აღარ გვეპირდება. ნელ-ნელა, ვფიქრობ, ჩვენ დეკარგით მისდამი ინტერესი და ახლა მას მნიშვნელობა აღარა აქვს. მე თვითონაც არ ვეძებ მას. და მაინც ოდესმე შენს ასაკში მეც ვგვძნობდი ჩემში მის აზვირთებას და თავს ისევე ვგრძნობდი, როგორც შენ დღეს, ოღონდ ხუთასჯერ უფრო ძლიერად. კაცი მოკალი მუშტის დარტყმით, ლოდი შემქმლო მესროლა, უზარმაზარი, ოცი კაცი რომ ვერ მოერეოდა. ერთხელ ისე მაღლა აეხტი, რომ ფოთლები მოეწვევიტე ყველაზე მაღალი ხეების მწვერვალებიდან. მაგრამ არაფერ ამას აზრი არ ჰქონდა! ერთადერთი რასაც მივადწევი — შევაშინე ინდიელები. და მხოლოდ ინდიელები. დანარჩენებს, მათ ვინც არაფერი იცოდა, ამის არ სჯეროდათ. ისინი ან შეშლილ ინდიელს ხედავდნენ ან ხეების მწვერვალებთან მოძრავ რაღაც გაურკვეველ ჩრდილს.

დიდხანს ვეღმდით. რამე უნდა მეთქვა, მნიშვნელობა არ ჰქონდა რა.

— სულ სხვა იყო, — განაგრძო მან, — როცა ისეთი ხალხი ცხვრობდა, ვინც იცოდა, რომ ადამიანს მთის ლომად ან ფრინველად ქცევა, ანდა თუნდაც ის, რომ ადამიანს უბრალოდ ფრენა შეუძლია. ასე რომ, მე აღარ ვხმარობ ეშმაკის ბალახს. რისთვის? ინდიელები რომ შევაშინო? (Para que? Para asustar a los Indios?).

გზედავი მის სვედას და ღრმა თანაგრძნობით განვიმსჯელებ. რაიმეს თქმა მსურდა, თუნდაც სრულიად ბანალური.

— ღონ ხუან, შესაძლოა ეს არის ყველა იმ ადამიანის ბედისწერა, ვისაც ცოდნა სწავდა?

— შეიძლება, — მიპასუხა მან წყნარად.

1961 წლის 23 ნოემბერი, ხუთშაბათი

როცა ღონ ხუანის სახლთან მანქანა გაეაჩერე, იგი ვერანდაზე

ვერ დავინახე და ეს უცნაურად მომეჩვენა. ხმამაღლა დავუძახე და გარეთ მისი რძალი გამოვიდა.

— იგი სახლშია, — თქვა მან.

აღმოჩნდა, რომ რამდენიმე კვირის წინ მას ფეხი უღრძვია კოჭში. მან ზოლებად დაჭრილი ქსოვილი კატქუსისა და დანაყული ძეღის ფაფაში დაასველა და თვითონ დაიდვა საღატე. კოჭზე მჭიდროდ შემოხვეული ქსოვილი გაშრა და მჩატე და გლუვ ჯავშნად გადაიქცა. სახვევს თაბაშირის სიმაგრე მიედო, მაგრამ ისეთი ძირძობა არ იყო.

— ეს როგორ მოგივიდა? — ვკითხე მე.

მიპასუხა მისმა რძალმა, იუკატანელმა მექსიკელმა, რომელიც მას უკვლიდა.

— უბედურება შეემთხვა! დავცა და კინაღამ ფეხი მოიტეხა!

ღონ ხუანს გაეცინა, ხოლო როგორც კი ჩვენ მართო დავრჩით, თქვა:

— უბედური შემთხვევა — როგორ არა! მტერი მეავს აქ ახლო-მახლო. ქალი — ლა-კატალინა! მან ხელი მკრა ჩემი სისუსტის ჟამს და დავეცი.

— რატომ ქნა ეს?

— ჩემი მოკვლა უნდოდა, და იმიტომ.

— იგი აქ იყო, შენთან?

— ხო.

— რატომ შემოუშვი?

— მე არ შემომიშვია. იგი შემოფრინდა.

— მაპატიე, ვერ გავიგე.

— ის — შავი შაშვია (chanate) და თანაც ძალზე მარჯვე. არ ვულოდი. დიდი ხანია, რაც ის ჩემს მოშორებას ცდილობს. ამჯერად კინაღამ არ შეუსრულდა წადილი.

— შენ თქვი, რომ ის — შავი შაშვია? ანუ, რომ ის — ფრინველია?

— ისევე მოჰყვები შენს შეკითხვებს! ის — შავი შაშვია! ზუსტად ისევე, როგორც მე — ყვავი. ვინ ვარ მე, ადამიანი თუ ფრინველი? მე ვარ ადამიანი, რომელმაც იცის, როგორ გადაიქცეს ფრინველად. რაც შეეება ლა-კატალინას, ის — კუდიანია. მას ისე ძლიერად სურს ჩემი მოკვლა, რომ ძღვს გადავრჩი. შავი შაშვი პირდაპირ

ჩემს სახლში შემოიჭრა და მე ხელი ვერ შევეშალე.

— შენ შევიძლია ფრინველად იქცე, ღონ ხუან?

— კი! მაგრამ ამას მოგვიანებით გავარკვევთ.

— რატომ უნდა მას შენი მოკვლა?

— ოო, ეს ძველი ამბავია. მე დავეკარგე კონტროლი სიტუაციაზე და ახლა საქმე ისე წარიმართა, რომ უნდა მოეუარო მას, სანამ ის მე გამისწორდებოდეს.

— ჯადოქრობას გინდა მიმართო? — ვკითხე, იმედიანად.

— ნუ ხარ სულელი. არავითარი ჯადოქრობა მასზე არ იმოქმედებს. სხვა გვემუხები მაქვს, როგორმე მოგიყვები მათ შესახებ.

— შენი მოკავშირე ვერ დაგიცავს მისგან?

— ვერა, კვამლი მხოლოდ მირჩევს, რა გავაკეთო. თავი კი მე თვითონ უნდა დავიცვა.

— მესკალიტოზე რას იტყვი? მას თუ შეუძლია შენი დაცვა?

— არა! მესკალიტო — მასწავლებელია და არა ძალი, რომელიც შეიძლება გამოიყენო პირადი მიზნებისათვის.

— და ეშმაკის ბალახი?

— გითხარი უკვე, რომ თვითონ უნდა დავიცვა თავი, ჩემი მოკავშირე-კვამლის მინიშნებების მიხედვით. ხოლო რამდენადაც მე ვიცი, კვამლს ვეღლაფერი ძალუძს. თუ რომელიმე საქმის შესახებ რემიებს გაცება გსურს, კვამლი ამას გეტყვის და იგი მოგცემს არა მხოლოდ ცოდნას, არამედ მისი გამოყენების საშუალებასაც. ეს საუკეთესო მოკავშირეა, რომელიც კი ადამიანს შეუძლია ინატროს.

— როგორ, კვამლი — ვეელასთვისაა საუკეთესო მოკავშირე?

— ვეელასათვის სხვადასხვანაირად. ბევრს მისი ეშინია და ისინი მას არ გაეკარებებიან, მეტიც არც კი მოუახლოვდებიან. კვამლი, ისევე როგორც ყოველივე სხვა — ვეელასათვის არაა განკუთვნილი.

— ეს რა კვამლზე ლაპარაკობ, ღონ ხუან?

— წინასწარმეტყველთა კვამლზე.

მის ხმაში აშკარად ქედმოხრილობა ელერდა — ის, რაც დღემდე მასში არ შემიმჩნევია.

— დავიწყებ იმით, რაც ჩემმა ბენეფაქტორმა მითხრა მის შესახებ, ჩემს სწავლებას რომ შეუღდა. თუმცა იმ ხანას მე, ისევე როგორც შენ ახლა, ალბათ, ამის გაცება არ შემეძლო: „ეშმაკის ბალახი განკუთვნილია იმათთვის, ვინც ძალას ეძებს, კვამლი კი — მათ-

თვის, ვისაც დაკვირვება და ხედავ სურს“. ჩემი აზრით, კვამლს ბადა-
ლი არ მოეპოვება. როგორც კი ადამიანი მის სამფლობელოში შე-
დის, ნებისმიერი სხვა ძალა მის ხელთაა. ეს შესანიშნავია! რა თქმა
უნდა, ამაზე მთელი ცხოვრება დაგეგმარება. წლები დაგვირდება
მხოლოდ მისი ორი მნიშვნელოვანი ნაწილის — ჩიბუხის და მოსა-
წვეი ნარევის გასაცნობად. ჩიბუხი ჩემმა ბენეფიქტორმა მომცა და
უკვე მრავალი წლის განმავლობაში მე ისე აღესიანად ვეპყრობი,
რომ იგი ჩემად იქცა. ჩემს ხელეხს შეეზარდა. მისი შენთვის გადა-
ცემა, მაგალითად, მართლაც, სერიოზული ამოცანა იქნება ჩემთვის
და დიდ მიღწევას შენთვის — თუ კი, რა თქმა უნდა, ამაში წარმატე-
ბას მივაღწევთ! ჩიბუხი დაძაბულობას განიცდის, მას თუ ვინმე უცხო
კედებს ხელს; და თუ რომელიმე ჩვენში შეცდომას დაუშვებს, საქმეს
უელარაფრით უშველი; ჩიბუხი უეცრად თავისთავად გასკდება, ანდა
თავის ძალით ხელიდან გაიხსნება და გატყდება, თუნდაც თვის
ხეინზეც რომ დაეცეს. თუ ასე მოხდა, ეს ჩვენთვის ორეგესთვის
დასასრულის ნიშანი იქნება. განსაკუთრებით კი ჩემთვის. წარმოუდ-
გენელი გზებით კვამლი ჩემს წინააღმდეგ აღიმართება.

— როგორ შეიძლება ის შენს წინააღმდეგ შემობრუნდეს, როცა
ის შენი მოკავშირეა?

ჩემმა შეკითხვამ, ალბათ, მისი აზრების დინება დაარღვია. დიდ-
ხანს არ მპასუხობდა.

— შმაღვეწელი ნაწილების სირთულე, — ხმა ამოიღო მან
უეცრად, — მოსაწვე ნარეგს ერთ-ერთ ყველაზე სახიფათო ნივთიერე-
ბად აქცევს მათ შორის, რომლებიც კი მე ვიცი. არავის ძალუძს
მისი დამზადება სერიოზული მომზადების გარეშე. იგი სასიკვდი-
ლო შხამს წარმოადგენს ყველასათვის, გარდა იმათისა, ვისთვისაც
თვითონ მურუვეობს! ჩიბუხი და ნარევი უადრესად ალერსიან ზრუნ-
ვას მოითხოვენ. ხოლო ადამიანი, რომელმაც სწავლა განიზრახა
გულისხმიერ და შვიდ ცხოვრებას უნდა ეწეოდეს. კვამლის მო-
ქმედება იმდენად შემძველია, რომ მხოლოდ ძალიან ძლიერ ად-
ამიანს თუ შეუძლია გაუძლოს თუნდაც მცირე ნაფაზსაც კი. ყვე-
ლაფერი გაშინებს და გაბნევს დასაწყისში, მაგრამ ყოველი მომ-
დევნო ნაფაზი საგნებს არცევს. და უეცრად სამყარო ხელახლა
იხსნება შენს წინაშე! წარმოუდგენელია! ხოლო თუ ეს მოხდა, კვამ-
ლი ამ ადამიანის მოკავშირედ იქცევა და ნებისმიერ საიდუმლოს

უხსნის, ჩაუწვდომელ სამყაროებში შეგყავს.

ეს კვამლის უმნიშვნელოვანესი თვისებაა, მისი უპირობო ხელ-
ძღვენი. თავის საქმეს, იგი უმცირესი ზიანის მიუყენებლად აკეთებს.
მე კვამლს — ჭეშმარიტი მოკავშირის სახელს უწოდებ!

ჩვეულებისამებრ, მისი სახლის წინ ვიჯექით, სადაც მისი იატა-
კი ყოველთვის სუფთა და კარგად დატკეპნილი იყო; უეცრად ის
ადგა და სახლში შევიდა. რამდენიმე წაშში ხელში ვიწრო ხვეულით
დაბრუნდა და ისევ დაჯდა.

— ეს ჩემი ჩიბუხია, — თქვა მან.

ჩემგან დაიხარა და ჩიბუხი მიჩვენა, რომელიც მწვანე ქერლის
ტილოს შალითიდან ამოიღო. იგი ცხრა-ათი დიუიმის სიგრძის იქე-
ბოდა. მოწითალო ხის, გლუვი და მოურთავი ტარი ჰქონდა. ჩიბუ-
ხის თავიც ხის ჩანდა, მაგრამ ვიწრო ტართან შედარებით საკმაოდ
ზოროზიზად გამოიყურებოდა. იგი პირიქით მუქი-რუხი, თითქმის
ქვანახშირის ფერისა იყო.

მას ჩიბუხი ჩემ სახესთან ეჭირა. ვიფიქრე, მე მაწვდიდა. გაუ-
წოდე ხელი ასაღებად, მაგრამ მან ჩიბუხიანი ხელი სწრაფად მომა-
შვიდა.

— ეს ჩიბუხი ჩემმა ბენეფიქტორმა მიბოძა, — თქვა მან. — მე
კი მას შენ ვაღმოგცემ. მაგრამ მანამდე შენ ის უნდა გაიცნო. ყოველ
ჩამოსვლაზე მოგცემ. დაიწვე ხელის მუხებით დასაწყისში ძალიან
იოტუა ხანს გეჭიროს, სანამ ერთმანეთს არ შეეჩვევით. შემდეგ ვიბე-
ში ან, ვთქვათ, უბეში ჩაიდებ და ბოლოს, პირთან მიიტან. ყველაფერი
ეს ნელ-ნელა, აუჩქარებლად და ფრთხილად უნდა გააკეთო. როდე-
საც კავშირს დაამყარებ (la amistad esta hecha), მას მოწვევ, თუ ჩემს
ჩრევას შეისმენ და არ იჩქარებ, კვამლი შენთვისაც საყვარელ
მოკავშირედ იქცევა.

მან ჩიბუხი მომაწოდა, მაგრამ ხელიდან არ გაუშვია. მარჯვენა
ხელი გაუწოდე.

— ოროვე ხელით, — თქვა მან.

ორივე ხელით ჩიბუხს წამით შევებე. იგი ჩემთვის მოლიანად არ
გადმოუცა, ასე რომ, მხოლოდ შეჭება შემეძლო და არა აღება. შემ-
დეგ იგი ისევ შეინახა.

— პირველი ნაბიჯი იმაში მდგომარეობს, რომ ჩიბუხი შეიყვარ-
ო. ეს დროს მოითხოვს.

— ხომ არ შეიძლება ჩიბუხმა ამიძულოს?

— არა. ჩიბუხი არ აგიძულებს, მაგრამ შენ უნდა შეძლო მისი შეყვარება, ვინაიდან მის მოწყვას რომ შეუდგები, ის შიშის დაძლევაში უნდა დაგეხმაროს.

— რას ეწვეი, დონ ხუან?

— აი, რას.

მან საყვლო გაიხსნა და პატარა ქისა დამანახა, რომელიც კისერზე შედლიონივით ეკადა. ამოიღო იგი, გახსნა და ძალიან ფრთხილად ცოტარდენი შიგთავსი ხელისგულზე გადმოყარა.

ჩემის აზრით, ნარევი წვრილად დაფშენილი ჩაის ფოთლებივით გამოიფურებოდა, რომლებიც ფერით განსხვავდებოდნენ — მუქი ყავისფერიდან ღია მწვანემდე, რამდენიმე მკვეთრი-ფვიოთელი წინ-წკალით.

მან ნარევი უკანვე ქისაში ჩააბრუნა, თავი ზონრით წაუჭიბრა და კვლავ პერანგქვეშ დამალა.

— ეს რა ნარევია?

— მასში უამრავი რამაა. ყველა შემადგენელი ნაწილის მოპოვება — ძალზე ძნელი საქმეა. შორს მოგიწევს მოგზაურობა. ნარევის დასამზადებლად საჭირო სოკოები (los honguitos) წლის მხოლოდ გარკვეულ დროს და მხოლოდ გარკვეულ ადგილებში ხა-რობენ.

— სხვადასხვა სახის დახმარებისათვის — სხვადასხვა ნარევის ხმარობ?

— არა. მხოლოდ ერთი კვამლი არსებობს და სხვა მსგავსი არაფერი.

მან კისერზე ჩამოვიდებულ ქისაზე მანიშნა და ფეხებშუა გაჩხერილი ჩიბუხი ხელში აიღო.

— ეს და ეს — ერთია! ერთის გარეშე მეორე არ არსებობს. ჩიბუხიც და ნარევის დაზმადების საიდუმლო ჩემს ბენეფიქტორს ეკუთვნოდა. მას ისინი ზუსტად ისევე გადასცეს, როგორც მან მე გადმომცა. თუმცა ამ ნარევის დაზმადება ძნელია, მისი შექმნა სავსებით შესაძლებელია. მისი საიდუმლო — მის შემადგენელ ნაწილებშია, მათი დაკრეფისა და დამუშავების ხერხში. ჩიბუხი კი — მთელი სიცოცხლის მანიძილად გავყვება. მას უსაძღვრო ზრუნვით უნდა მოეპყრო. იგი მყარია და მგარი, მაგრამ არ შეიძლება რამეს მიარ-

ტყა. იგი მშრალი ხელით უნდა გეჭიროს. არასოდეს მოკიდო ოფლიანი ხელი და მხოლოდ სიმარტოვეში მოიხმარე. არასოდეს, საერთოდ არავის და არასდროს, ის არ აჩვენო, გარდა შესაძლოა იმ კაცისა, ვისთვისაც მის გადაცემას აპირებ. აი რა მასწავლა ჩემმა ბენეფიქტორმა და სწორედ ასე ვეპყრობი ჩიბუხს მთელი ჩემი ცხოვრების მანიძილზე.

— რა მოხდება, ჩიბუხს თუ დაკარგავ ან გატყავ?

მან ძალიან ნელა გააქნია თავი და მე შემომხედა.

— მოკვდები.

— მაგის ყველა ჩიბუხი ისეთივეა, როგორიც შენი?

— ყველა მაგს არა აქვს ასეთი ჩიბუხი, მაგრამ ვიცნობ ზოგიერთს ვისაც აქვს.

— შენ თვითონ თუ შეგიძლია ასეთი ჩიბუხის დაზმადება, დონ ხუან? — არ ვიძლიდი მე. — ვთქვათ, არ გქონოდა. როგორ გადმომცემდი ჩიბუხს, ეს რომ მოგნდომოდა?

— ჩემი ჩიბუხი რომ არ მქონოდა, ვერ შევძლებდი და არც ვისურვებდი მის შენთვის გადმოცემას. სხვა რამეს მოგცემდი მის ნაცვლად.

ის თითქოს რაღაცით იყო ჩემზე უკმაყოფილო. ძალიან ფრთხილად ჩაღო ჩიბუხი შალითაში, რომელსაც, ალბათ, რბილი ქსოვილის ჩანართი ჰქონდა, რადგან როგორც კი ჩიბუხს პირი შიგ უქნა, იგი ძალიან ადვილად შეუკრდა. დონ ხუანმა ჩიბუხი სახლში შეიტანა.

— გაჯაგრებული ხომ არა ხარ ჩემზე, დონ ხუან? — ვკითხე მას, როდესაც იგი დაბრუნდა. ჩემმა შეკითხვამ, როგორც ჩანს, გააკვირა.

— არა, არასოდეს არავისზე არ ვჯაგრობ. ვერც ერთი ადამიანი ვერ ჩაიდნის ამისათვის საკმაოდ მნიშვნელოვან რამეს. ადამიანზე ბრახობ, როდესაც გაჯერა მისი საქციელის მნიშვნელობისა. არაფერი მსგავსის მე აღარ მჯერა.

1961 წლის 26 დეკემბერი, სამშაბათი

„ნერვის“, როგორც დონ ხუანი ფეხს უწოდებდა, გადასარგავად რაღაც განსაკუთრებული დრო არ შეგვირჩევია, თუმცა საყარაუ-

დოდ, სწორედ ეს ოპერაცია უნდა ქცეულიყო შემდეგ ნაბიჯად მცენარის ძალის მოთინიერებაში.

დონ ხუანთან შაბათს, 23 დეკემბერს, ნაშუადღევს ჩავედი. ჩვეულებიანებებ, გარკვეული დროის განმავლობაში დუმილით ვისხედით. თბილი და ღრუბლიანი დღე ეჭირა. მრავალ თვეს გაქვლო მას შემდეგ, რაც მან პირველ პორციას მახიარა.

— დროა, ბალახი მიწას დაეუბრუნოთ, — თქვა მან უცერად, — მაგრამ ჯერ შენთვის დაცვის მიწეობას გააზრებ. შენ შეინახავ და მოუვლი მას და შენს გარდა, ეს დაცვა არავინ უნდა ნახოს. რახან დაცვას მე ვაყენებ, მას მეც ვნახავ. ეს არ არის კარგი, რადგან როგორც გახსოვს, მე არა ვარ „ემშაკის ბალახის“ მოტრფიალე — ამაში ჩვენ განხვავდებით — მაგრამ ჩემს მჭესიერებას დიდი დრო არ უწერია, ძალიან მოხუცი ვარ. შენ უნდა დაიცვა იგი სხვათა თვალისაგან, მიხეიძმ რომ მიუფლი იმ დროის განმავლობაში, სანამ მათ ნანახი ემახსოვრებათ, დაცვის ძალა ნაკლოვანი იქნება.

იგი თავის ოთახში წვიდა, ძველი ჩალის ჭილიბის ქვეშიდან სამი ნაკრული გამოიღო. დაბრუნდა ვერანდაზე და დაჯდა.

ხანგრძლივი დუმილის შემდეგ ერთი ნაკრული გახსნა. ეს იყო ღემის დედალი მცენარე, რომელიც მან ჩემთან ერთად დაამზადა. ყველა მის მიერ აღრე ჩაწყობილი ფოთოლი, ყვავილი და სათესლე კოლოფი უკვე გამხმარიყო. მან აიღო ახლი Y ფორმის გრძელი ფეხვის ნაჭერი და ისევე შეგრა ნაკრული.

ფეხვი გამხმარიყო და დაიჭმუჭნა, ქერქის ნაოჭები ფართოდ აიქერცლა და აიბურტგნა. მან ფეხვი მუხლებზე დაიდო, თავისი ტყავის ჩანთა გახსნა და დანა ამოიღო. ხელი ფეხვი ჩემს წინ ეჭირა.

— ეს ნაწილი თავისთვისაა, — თქვა მან და პირველი ჭდე დასვა „იერგის“ კუდზე, რომელიც გადაბრუნებულ მდგომარეობაში ფეხვებგაშლილ ადამიანს შოგავიწებდა.

— ეს — გულისთვის, — და მან განმტოლებასთან ჩაჭრა. შემდეგ ფეხვის ბოლოები ჩამოაჭრა, ისე რომ, თითოეული შტო დაახლოებით სამ-სამი დიუიმის სიგრძის გამოვიდა. შემდეგ აუქიარებლად და მოთინიებით ადამიანის გამოსახულება გამოჭრა.

ფეხვი ხელი და ბოჭკოვანი იყო. დამუშავებისას, დონ ხუანმა მას ჯერ ორი ჭდე დაასვა, ბოჭკო დაშალა და მათ შორის ზუსტად ჭდეს სიდრემზე ჩააწყო. ხოლო როგესაც დეტალებზე გადავიდა,

ეს მკლავებისა და ხელისგულების ფორმა მიანიჭა. შედეგად, ადამიანის წარმოდებულ ფორმა გამოვიდა გულზე ხელედაკრეფილი და მტკნებდადაჯვარდინებული.

დონ ხუანი წამოდგა და ცისფერ აკვას მიუახლოვდა, სახლის წინ ვერანდის გვერდით რომ აყვარა ტანი. მან ერთ-ერთი ცენტრალური ხორციანი ფოთლის ეკალს ჩასჭადა ხელი, მოღწა და სამჯერ თუ ოთხჯერ მოატრიალა. ბრუნებითა მოძრაობამ თითქმის მოაცილა ეკალი ფოთლით, იგი ჩამოეკიდა. დონ ხუანი ჩაწვიდა მას კბილებით და ამოგლიჯა. ეკალი გამოვიდა ფოთლის რბილიდან და თან გამოიფოლია ხესთან შეხრდილი, დაახლოებით ორი ფუტის სიგრძის, ძაფისებრი ბოჭკოს გრძელი თეთრი კული. ჯერ ისევ კვლავ კბილებში, დონ ხუანმა ბოჭკო ხელის გულებით დაგრინა და ბაწარი გააკეთა, რომლითაც გამოსახულებას ფეხები შეუკრა. მან ბაწარი გამოსახულების ქვედა ნაწილს იმდენი ახვია, სანამ ის არ გამოეღია. შემდეგ, ძალზე მარჯვედ, ეკალი მახათოვით გამოსახულების წინა ნაწილში დაწყობლ ხელებს ქვეშით ჩაარჭო, ისე რომ, წვეტი გადაჯაჭვული ხელისგულებიდან ამოშვერილი აღმოჩნდა. მან კვლავ კბილებით ისარგებლა, ეკალი ფოთლიდან გამოწია და თითქმის მთლიანად ამოქაჩა. ახლა ის გამოსახულების მკვერდიან გამოშვერილ გრძელ შუბს ჰკავდა. დონ ხუანმა გამოსახულება ჩანთაში ისე ჩადო, რომ მისთვის ადარც კი შეუხედია. თითქოს, სამუშაოდ დადღალო. იგი ვერანდაზე გაიჭმა და დაიძინა.

როცა მან გაიღვიძა, უკვე ბნელოდა. ცოტა საჭმელი ვჭამეთ ჩემი ჩამოტანილი მარაგიდან და კიდევ ცოტა ხანს ვერანდაზე ვაჯერდით. შემდეგ დონ ხუანი სახლის უკან გაემართა და თან სამი ნაკრული წაიძვანა. მან ტოტები და ხმელი კორძები დაჩხა და კოცონი დაანთო. ცეცხლს მოხერხებულად მიუჯუჯექით და მან სამივე ნაკრული გახსნა. გარდა იმისა, რომელშიც დედალი მცენარის ხმელი ნაწილები ელადა, მან გახსნა მეორეც, რომელიც შეიცავდა იმას, რაც მამალი მცენარისაგან დარჩა და მესამეც — სქელი ნაკრული, ღემის მწვანე ახლადმოჭრილი ნაწილებით.

დონ ხუანი საღორე გომისაკენ გაემართა და ქვის ღრმა როდინით დაბრუნდა, რომელიც მომრგვალო ფსკერიან ქოთანს უფრო წაგაუდა. მერე ოდნე მიწა ჩააღრმავა და შოგ მყარად როდინი დააყენა. კოცონში ფიხი შეაარა, შემდეგ ორი ნაკრული აიღო დედალი

და მამალი მცენარეების ხველი ნაწილებით და ყველაფერი ერთად როდინში ჩაუშვა. გადმოფერთხა ქსოვილი და დარწმუნდა, რომ მასზე არაფერი დარჩნოდა. მესამე ნაკრულიდან ლემის ფესვის ორი ნეღლი ნაჭერი ამოიღო.

— მე მინდა, ისინი საგანგებოდ შენთვის დეაშხალო.

— როგორ უნდა დააშხალო, ღონ ხუან?

— ნაჭრებში ერთი — დეღალი მცენარესა, მეორე კი — მამლის. ეს ერთადერთი შემთხვევაა, როცა ორივე მცენარე უნდა შეაერთო. ფესვის ნაჭრები — ერთი იარღის ხიდრმიდანაა.

მან ისინი როდინში დაფშენა ქვასანაყის თანაბარზომიერი დარტყმებით. თან დაბალო ხმით ხიმღერას მღეროდა, რომელიც მონოტონური გუგუნით ვლერდა, ყოველგვარ რიტმს მოკლებული. სიტყვები ვერ გაგაჩნებ. იგი მთლიანად მუშაობაში ჩაძირულიყო.

როდესაც ფესვები საბოლოოდ დაიჩქქა, მან ნაკრულიდან ცოტაოდენი ლემის ფოთოლი ამოიღო, ახლადმოჭრილი და გადარჩეული, უზიანო. ისინი სათითაოდ ჩაყარა როდინში, ერთი მუჭა ლემის ყვავილები აიღო და მათაც იგივე ბედი აწია. მე 14 ფოთოლი და 14 ყვავილი დავითავალე. შემდეგ მან ჯერ გაუხსნელი და ეკლანის სათესლე კოლონების შეკვრა ამოიღო. ისინი ვერ დავითავალე, რადგან ყველა ერთად როდინში ჩაყარა, მაგრამ ვფიქრობ, რომ ისინიც 14 იქნებოდა. ამას მან ლემის სამი უფოთლო დერო დაუმატა. მეუქი წითელი და ხუფთა, მათი მრავალრიცხოვანი ფლორტებით თუ ვიმსჯელებდით, ისინი, ალბათ დიდ მცენარეებს ეკუთვნოდნენ.

მათავსა რა ყველა ეს ნაწილი როდინში, მან რთიშული დარტყმებით ისინი ფაფად აქცია. რამდენიმე წნის შემდეგ მან როდინი დახარა და მთელი ნარევი ხელით ძველ ქოთანში გადაიტანა. ხელი გამოიძინო და ვიფიქრე, რომ მის გაწმენდას მოხერგდა. ამის ნაცულად იგი მარცხენა ხელში მწვედა და მკვეთრი მოძრაობით შუა და არათითები მაქსიმალურ სიგანეზე გაიშალა. შემდეგ თავისი დანის წვერით ზუსტად თითებშუა მიწხელითა და კანი ქვემოთ, არათითის გასწვრივ გაიჭრა. ისე მარჯვედ და სწრაფად მოქმედებდა, რომ როდესაც ხელი წყარითი, ის უკვე ღრმად ჩაჭრილი იყო და ჭრილობიდან უხვად სისხლი მოდიოდა. მან კვლავ მომტაცა ხელი, ქოთნის თავზე აწია და მოუჭირა, რაც შეიძლება მეტი სისხლის გამოსაშვებად.

ხელი გამობრუნდა. შოკში ჩაყვარდი — უცნაურად შემაცოვდა და დავიძაბე, გულს მომიჭირა და ყურები დამეკუბა. ვიგრძენი, როგორ ჩამოეცურა საეღლიმინა. გრინობას ვკარგავდი! მან ხელი გამიშვა და ქოთნის შიგთავსს მოურია. შოკიდან გამოსულმა მასზე ნამდვილი სიბრაზე ვიგრძენი, და საბოლოოდ, გამოსაფხიზნებლად საკმაოდ დიდი დრო დამჭირდა.

მან კოცონის გარშემო სამი ქვა შემოაწყო და მათზე ქოთანი შედგა. ნარევეს რაღაც დაუმატა, რაც მე ხის წებოს დიდ ნაჭრად მივინიღე და წვლის დიდი ჩაშმა დაახსა, შემდეგ კი, ყველაფერი ეს დელილს მისცა. ლემის მცენარეს თვისითადად საკმაოდ სკეციფიკუსი სუნის ახასიათებს. „წებოსთან“ ერთად, რომელმაც ადუღებისას ძლიერი სიმყრალე გამოუშვა, ის ისეთ აესუნთან ანაორთქლს აერეცელებდა, რომ გულისხრევის ძლევს ვიკავებდი.

ნარევემ დიდხანს ირულა და ჩვეც უძრავად ვისხედით ცეცხლთან. დრო და დრო, ორჯა ქარს ანაორთქლი ჩემსკენ მოჰქონდა, სიმყრალე გარსმეხვეოდა და მე სუნთქვას ვიკრავდი, როგორმე მისთვის თავი რომ დამეღწია.

ღონ ხუანმა თავის ტყავის ჩანთა გახსნა და გამოსახულება ამოიღო. ფრთხილად გადმოცა იგი და ქოთანში ჩადება მიბრძანა, ისე, რომ თითები არ დამეწვა. იგი ნელა ადუღებულ ფაფაში ჩავეშვი. მან დანა ამოიღო. წამით გვეფიქრე, რომ ის კვლავ ჩემს დაჭრას აპირებდა, მაგრამ ამის ნაცულად, მან დანის წვერით გამოსახულება ჩაძირა. კიდევ რამდენიმე ხანს ადუღებულ ფაფას აკვირდებოდა, ხოლო შემდეგ როდინის წმენდას შეუდგა. მე უქმბარბობდი. როდესაც დავამთავრეთ, მან როდინი და ქვასანაყი ლიბეს მიაფუდა. სახლში შევეციხე, ქოთანი კი მთელი დამით ქვეშე დავტრეფეთ.

მეორე დღითი, გამთენიისას, ღონ ხუანმა მიბრძანა, გამოსახულება წებოდან ამომეღო და მზეზე გასაშრობად სახურავზე დამეკიდა, პირით აღმოსავლეთისკენ. შუადღისთვის იგი მკუთლულით გამყარდა. სიცხემ წებო გააშრო და მან მწვეანე, ფოთლის ფერი მიიღო. გამოსახულება რაღაც შემზარავად, მუშასავით პრიალებდა.

ღონ ხუანმა მისი ჩამოსხნა მოხევა. შემდეგ ტყავის ჩანთა მომწალო, რომელიც იმ ძველი ტყავის ქურთუვიდან შევეკრა, მე რომ ოდესღაც ჩამოუტანე. ჩანთა ზუსტად ისეთვე ჩანდა, როგორც მისი საკუთარი. ერთადერთ განსხვავებას ის წარმოადგენდა, რომ მისი

ჩანთა რბილი ყვითელი ტყავისა იყო.

— ჩადე შენი “გამოსახულებებ” ჩანთაში და დახურე, — თქვა მან.

ის არ მიეყრებდა და განგებ მიაბრუნა თავი. როცა გამოსახულება ჩანთაში ჩადე, მან ბადურა მომპოვდა და მასში თიხის ქოთნის ჩადება მიბრძანა.

შემდეგ ჩემს მანქანასთან მივიდა, ბადურა გამოძარტვა და მანქანაში კიდურ მდგომარეობაში დაამაგრა.

— წამომყვი, — თქვა მან.

მე გაეყვი. მან სახლს შემოუარა საათის ისრის მიმართულებით. ვერანდასთან გაჩერდა, სახლს კიდევ ერთხელ შემოუარა, ამჯერად საწინააღმდეგო მიმართულებით და კვლავ ვერანდას დაუბრუნდა. რამდენიმე ხანს უძრავად იდგა, შემდეგ დაჯდა. მე უკვე შეჩვეული ვიყავი იმ აზრს, რომ ყველაფერს, რასაც კი ის აკეთებდა, რაღაც მნიშვნელობა ჰქონდა და ახლა ემარჩიეობოდი, რა აზრი შეიძლება ჰქონდა ყოფილიყო სახლის გარშემო ტრიანლში, როცა მან თქვა:

— ექ! დამეიწყედა, სად წვილდე!

კვითხე, რა დაკარგა. მან მიპასუხა, რომ დაეიწყედა, სად წვილი ის ნერგი, მე რომ უნდა გადამეგრეო. ჩვენ კიდევ ერთხელ მოგვიწია სახლის შემოვლა, სანამ მან არ გაიხსენა.

მან პატარა შუშის ტოლჩა მანქანა, რომელიც სახურავის ქვეშ მიჭლებულ ფიცარზე იდგა. ტოლჩაში ლემის ფეხვის პრეული პორციის მუღრუ ნახეარი იყო. ნერგს ფოთლები ამოეყარა ზედა ბოლოზე. ტოლჩაში ცოტაოდენი წყალი ესხა, მიწა კი სულ არ იყო.

— რატომ არ არის მანდ მიწა? — კვითხე მე.

— ყველა ნიადაგი ერთნაირი როდია. ეშმაკის ბალახი კი მხოლოდ იმ მიწას უნდა იცნობდეს, რომელზედაც მას გაზრდა მოუწევს. ახლა კი დროა, იცო მიწას დაეუბნუროთ, სანამ მას მუხლუხები გააფუჭებდნენ.

— აქ, სახლის წინ ხომ არ დაგვერგა? — კვითხე მე.

— არა! არა! არავითარ შემთხვევაში. იგი შესწრაფად აღვილზე უნდა დააბრუნო.

— კი მაგრამ, სად ვნახო ჩემი რჩეული ადგილი?

— არ ვიცი. სადაც გინდა იქ შეგიძლია დარგო, მაგრამ უნდა მიხელო — იგი უნდა გადარჩეს, თუ გინდა ძალა მოიპოვო, ასე რომ

მიელტვი. ხოლო თუ დაიღუპა — ეს იმის მანიშნებელი იქნება, რომ მას არ უნდებხარ — და მეტი აღარ უნდა შეაწუხო. ეს ნიშნავს, რომ შენ მასზე ძალაუფლებას ვერ მოაპოვებ. ამიტომ უნდა მოუარო და მიხედო მას — რომ გაიზარდოს. მაგრამ თავიც არ უნდა მოაბეზრო.

— რატომ?

— თუ იგი გაზრდას არ ისურვებს, რაიმე ზემოქმედების მცდელობას აზრი არა აქვს. მაგრამ შორეს მხრივ, უნდა დაუმტკიცო, მასზე რომ ზრუნავ. გააცალე მუხლუხები და მორწყე, როცა მოინახულებ. ეს რეგულარულად უნდა აკეთო, სანამ თესლს არ გამოიღებს. როცა პირველი თესლი გასცეფა, ჩვენ დავრწმუნდებით, რომ მას უნდებხარ.

— კი მაგრამ, დონ ხუან, ეს ხომ შეუძლებელია — ფესვს შენ რომ მასწავლი იხე მოუვარო.

— მისი ძალა თუ გხურს, ასე უნდა მოიქცე. სხვა გზა არაა.

— შენ ხომ ვერ მიხედავ, ჩემს არეოვნებაში?

— არა! არა! ეგ არ შეიძლება! ყველამ თითონ უნდა გაზარდოს თავისი ნერგი. მე ჩემი მაქვს. შენ კი შენი უნდა გქონდეს და სანამ ის თესლს არ გამოიღებს, სწავლისათვის თავს მზად ვერ ჩათვლი.

— როგორ გგონია, სად შემიძლია იმის გადარგვა?

— კი შენ თითონ უნდა გადამეწირო და ის ადგილი არაეინ არ უნდა იცოდეს, მათ შორის მეც. მხოლოდ ასე შეიძლება გადარგვა. არაეინ, აბსოლუტურად არაეინ არ უნდა იცოდეს, სად დარგავ მას. თუ ვინმე უცნობი გამოგვკვა და დავიანახა, აიღე ნერგი და სხვაგან გაიქციე. მას შეუძლია წარმოდგენილი ზიანი მოგაყენოს, ნერგის მანიპულაციით. შეუძლებელია დავასახიროს ან მოვკლას. აი რატომმაც, რომ თვით მეც კი არ უნდა ვიცოდე, სად არის შენი მცენარე.

მან ნერგიანი ტოლჩა ხელში შემაჩქა.

— აგერ, აიღე.

ტოლჩა ავიღე და მან თითქმის ძალით წამიყვანა მანქანისკენ.

— ახლა უნდა წახვიდე. წადი და ის ადგილი შეარჩიე, სადაც ნერგს დარგავ. რბილ ნიადაგში, წყალთან ახლოს ღრმა ორმო ამოთხარე. გახსოვდეს, რომ გაიზარდოს, იგი წყალთან ახლოს უნდა იმყოფებოდეს. ორმო მხოლოდ ხელებით უნდა ამოთხარო, თუნდაც სისხლი ადინო მათ. ნერგი შუაგულში მოათავსე და მის გარშემო პირამიდა ააგე. შემდეგ მორწყე. როცა წყალი გაჯდება, ორმო რბილი

მიწით ამოავსე. მერე ნერვისგან სამხრეთ-აღმოსავლეთის მიმართულებით, ორი ნაბიჯის მოშორებით, აღნიშნე ადგილი.

იქ მეორე ღრმა ორმო ამოთხარე — ისიც ხელით — შიგ ქოთანში მთლიანად ჩაცალე. შემდეგ ქოთანი გატეხე და სადმე სხვა ადგილას ღრმად დამარხე, შორს შენი ნერვისგან. როდესაც ქოთანს დაასამარებ, ნერვთან დაბრუნდი და კიდევ ერთხელ მირწყე. შემდეგ შენი გამოსახულება ამოიღე. თითებშუა დაიჭირე იქ, სადაც ახალი ჭრილობა გაქვს და წეზოს დასამარების ადგილზე მდგომი გამოსახულების წვერით ნერვს შეეხე. მთხარე შემოუარე და ყოველ შემოვლაზე იმ ადგილას შეეხე. რეგულარის შესახებად.

— რაიმე გარკვეული მიმართულება ხომ არ უნდა ავირჩიო შემოვლისას?

— ნებისმიერი შეგიძლია აარჩიო, მაგრამ უნდა დამახსოვრო, რა მიმართულებით დამარხე წეზო და რა მიმართულებით შემოუარე ნერვს. შეეხე ნერვს გამოსახულების წვერით ყოველ შემოვლაზე უკანასკნელის გარდა, როცა მას ღრმად უნახველტ დანით. ეს ფრთხილად უნდა გააკეთო. მუხლებზე დაიხოქე, ხელმა რომ არ გიმტყუნოს, დანის წვერი არ გაგატყვედს და ნერვში არ ჩარჩეს. თუ დანას წვერი მოუტყდა — შენი საქმე წასულია და მაშინ ფესვიც კერაფერში გამოგადგება.

— რაზე სიტყვები ხომ არ უნდა წარმოთქვა ნერვის შემოვლის დროს?

— არა. ამას შენს მაგივრად მე გავაკეთებ.

1962 წლის 27 იანვარი, შაბათი

იმ დღით, როგორც კი დონ ხუანის სახლში შეეღგი ფეხი, მან განმიცხადა, რომ აპირებდა ჩემთვის იმის ჩვენებას, თუ როგორ მზადდებოდა მოსაწევი ნარევი.

ჩვენ ბორცვებისაკენ გავსიეთ და ერთ-ერთ კანიონში ღრმად შევიჭერთო ის მაღალ, თხელ ბუჩქთან გაჩერდა, რომლის ფერაც მნახველურად განსხვავდებოდა გარემომცველი მკენარეულობისაგან. ჩაპრალი მის გარშემო მყოფითალო იყო, ბუჩქი კი — მკვეთრი მწვანე.

— ამ ხის ფოთლები და ყვავილები უნდა დაკრიფო, — თქვა

მან. — საუკეთესო დრო ამისათვის — ყველა წმინდანთა დღეა (el día de las animas).

მან დანა ამოიღო და წერილ ტოტს ბოლო მოაჭრა. მეორე ასეთვე ტოტი შეარჩია და მასაც კენწერო ჩამოაჭრა. ეს ოპერაცია კიდევ მრავალჯერ გაიმეორა, სანამ ხელში წვერების მიუღი კონა არ დაუკრავდა. შემდეგ მიწაზე დაჯდა.

— უყურე აქეთ, — თქვა მან. — ყველა ეს ტოტი იმ ადგილის თავზე მოვჭერი სადაც ერთი ან ორი ფოთოლი ღეროსთან განშტოებას ქნინდა. ხედავ? ყველა ერთნაირია. ტოტების მხოლოდ კენწეროები შევარჩიე, სადაც ფოთლები ნელი და ნაზია. ახლა ჩრდილო-კანი ადგილი უნდა მონახოთ.

ჩვენ ვიარეთ, სანამ მან, როგორცა ჩანს, არ იპოვა ის, რასაც ეძებდა. მან ვიბიდან გრძელი ბაწარი ამოიღო და ორი ბუჩქის ღეროებსა და ქვედა ტოტებს შეაბა, მარცხის თოკის მაკვარად, რომელზეც მოჭრილი ტოტები ჩამოკიდა, გადანატყვებით ზემოთ. ტოტები ბაწრის გასწვრივ თანაბრად გაანაწილა; ფოთლებითა და ღეროებით შექმნილ განშტოებებზე დაკიდებული, ისინი მწვანე საბოშო გამოწყობილ ცხენოსანთა მწყობრს მოგაგონებდა.

— ფოთლები ჩრდილში გაახზე, — თქვა მან. — ადგილი მყუდრო და ძნელად მისაწვდომი უნდა იყოს. მაშინ ფოთლები დაცული იქნებიან. ისეთ ადგილას უნდა გაახზო ისინი, სადაც მათი კონა თითქმის შეუძლებელი იქნება. როცა ფოთლები გახმება, მათ ჰონაში შეკრავ.

მან ფოთლები ბაწრიდან ჩამოხსნა და უახლოეს ბუჩქებში გადაყარა. ალბათ, ამჯერად მას ჩემთვის მხოლოდ პროცედურის ჩვენება სურდა.

გზა გავაგრძელეთ მან საბი სხვადასხვა სახის ყვავილი მოწყობა და თქვა, რომ ისინიც შემადგენელ ნაწილს წარმოადგენდნენ და მათაც იმავე დროს უნდოდა დაკრეფა. მაგრამ ყვავილები ცალკე თიხის ქოთნებში უნდა ჩაგეტყო, გაგებში კი — სიბნელეში. ყველა ქოთნისათვის სახურავი უნდა დაგეტხურა, ყვავილები რომ ნელა გამხმარიყო. კიდევ მან თქვა, რომ ფოთლების და ყვავილების ფუნქცია მოსაწყევი ნარევის დარბილებაში მდგომარეობდა.

გამოვედით კანიონიდან და გამშრალი მდინარის კალაპოტისკენ გვემართეთ გრძელი შემოვლითი გზით მასთან სახლში დავბრუნდით. უკვე გვიან საღამოს დავსხდით მის ოთახში, სადაც ის იშვი-

ათად მპატივებდა. აქ მან ნარევის უკანასკნელი შემადგენელი ნაწილის — სოკოთა შესახებ მამბო.

— ნარევის ნამდვილი საიდუმლოება — სოკოებშია, — თქვა მან. ისინი — ყველაზე ძველად შესაგროვებელ ინგრედიენტს წარმოადგენენ. მოგზაურობა იმ ადგილებში, სადაც ისინი ხარობენ, ძნელი და სახიფათო საქმეა. ხოლო თვით საჭირო სოკოების დაკრეფა კიდევ უფრო ძნელია. მათ გვერდით ხომ სხვებიც ხარობენ, რომელთაგან არაერთიარო სარგებელი არაა. ისინი კარგ სოკოებს გაგიფუჭებენ, მათ თუ ერთად გააჩხობ. დროა საჭირო, მათი სწორი გარჩევა რომ ისწავლო და არ შეცდე. ხოლო სოკოების არასწორ გამოყენებას სერიოზული ზიანი მოუვება — როგორც ადამიანისთვის, ასევე ჩიბუხისთვისაც. ვიცნობდი ისეთებს, ვინც ცულმა კვამლმა ადგილზე მოკლა.

როგორც კი სოკოს შეაგროვებენ, მას დოქმა ათავსებენ, ამიტომ მისი გადამოწმება შეუძლებელია. სოკო ხომ უნდა დაფუძნა, დოქის წვრილ ყელში რომ გააძვინო.

— როგორ ავიცილო შეცდომა?

— ფრთხილი უნდა იყო და შერჩევა იცოდე. გითხარი უკვე, ეს ძნელი საქმეა. ყველას როდი გააჩნია კვამლის მოთენიერების უნარი; ადამიანთა უმრავლესობა ამას ვერც კი ბედავს.

— რამდენ ხანს ინახავ სოკოს დოქში?

— წელიწადს. ნარევი ყველა დანარჩენი ნაწილიც ერთი წლით იღუქება. შემდეგ მათ თანაბრად გადზომივენ და ცალ-ცალკე ძალიან წვრილად ფშვნიან. სოკოს არ სჭირდება დაფუძნა — იმ დროისათვის ის თავისთავად იქცევა უწმინდეს მტვრად. ერთადერთი, რაც შენ დაგჩვენება — ეს გუნდების დაშლაა. სოკოს ოთხ ნაწილს ერთად არ უნდა დაწარჩინო ინგრედიენტის ერთ ნაწილს უმატებენ. ყველაფერ ამას კარგად აურევ და შე რომ მაქვს, ისეთ პარტუკაში ჩაასოვო. — მან პერანგის ქვეშ ჩამოკიდებულ ქიხაზე მანიშნა.

— შემდეგ ყველა შემადგენელი ნაწილი ხელახლა უნდა შეაგროო და როდესაც მათ გასახმობად გააშხადებ, შენ შხადა ხარ დაშხადებული ნარევის მოსაწყვად. შენს შემთხვევაში, მოწყევა გაისად მოაიწიკვს. კიდევ ერთი წლის შემდეგ, ნარევი მთლიანად შენი გახდება. ვინაიდან მას შენ თვითონ შეაგროვებ. პირველ მოწყევაზე, ჩიბუხს შე აგინებუ. ბოლომდე მოწყე ჩიბუხს და დაელოდები. კვამლი მოვა, შენ

მას იგრძნობ. იგი გაგანთავისუფლებს და შენ ნახევ ყველაფერს, რის ნახვასაც მოისურვებ. პირდაპირ გეტყვი: ეს შეუდარებელი მოკავშირეა. მაგრამ იმას, ვინც მას ეძებს, უმწიკვლო განსრახვა და უმწიკვლო ნება უნდა გააჩნდეს. ჯერ ერთი, იმიტომ, რომ უნდა გადაწყვიტო და მოინდომო დაბრუნება, თორემ კვამლი უკან არ გაგიშვებს. მეორეც, უნდა განიხარაო და ინებო ყველაფრის დამახსოვრება, რისი დანახვის შესაძლებლობასაც კვამლი მოგცემს. წინააღმდეგ შემთხვევაში, არაფერი გამოგევა და მხოლოდ ბურუსის ნაგლეჯებს თუ მიიღებ გონებაში.

1962 წლის 8 აპრილი, კვირა

ჩვენს საუბრებში დონ ხუანი კვლავ და კვლავ უბრუნდებოდა გამოთქმას „ცოდნის ადამიანი“, მაგრამ არასოდეს განუმარტავს, რას ნიშნავდა იგი. მე ვკითხე ამის შესახებ.

— ცოდნის ადამიანი — არის ის, ვინც პატიოსნად დაადგა სწავლის ძველ გზას. ის, ვინც აჩქარებისა და ყოყმანის გარეშე იმდენად წაიწია წინ ცოდნისა და ძალის საიდუმლოებათა ამოსხნაში, რამდენადაც კი ეს შესძლო.

— ყველას შეუძლია გახდეს ცოდნის ადამიანი?

— არა, ყველას არა.

— და რა უნდა გააკეთო, ცოდნის ადამიანი რომ გახდე?

— ადამიანმა უნდა გამოიწვიოს ბრძოლაში და დაამარცხოს თავისი ოთხი ბუნებრივი მტერი.

— იქნება იგი ცოდნის ადამიანი, ამ ოთხი მტერის დამარცხების შემდეგ?

— კი, შეგიძლია თავს ცოდნის ადამიანი უწოდო, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ოთხზეც დასძლევ.

— ესე იგი, ყველა, ვინც ამ მტრებს დასძლევს, ცოდნის ადამიანი ხდება?

— ყველა, ვინც მათ დასძლევს, ხდება ცოდნის ადამიანი.

— ხომ არ არის რამე განსაკუთრებული მოთხოვნა, რომელთა შესრულებაც აუცილებელია, სანამ მათ შეეძობოლები?

— არა, ნებისმიერს შეუძლია სცადოს, გახდეს ცოდნის ადამიანი. ცოტა ვინმემ თუ მიაღწია აქ წარმატებას, მაგრამ ეს გასაგები-

ცაა. მტრები, რომელთაც ადამიანი ცოდნის გზაზე დადგომისას ვერუბა, მართლაც, შიმის მომგვრელია. ადამიანთა უმრავლესობა მათ უთმობს.

— რა მტრებია ეს, დონ ხუან?

მან უარი თქვა მტრებზე საუბარზე. თქვა, რომ ბევრი დრო უნდა გასულიყო, სანამ ეს საგანი ჩემთვის რაიმე აზრს შეიძენდა. მე შევეცადე, საუბარში ამ თემის შანარჩუნება და ვკითხე, შეძელია თუ არა, მისი აზრით, ცოდნის ადამიანად გახდომა. მან მიპასუხა, რომ დანამდვილებით ამის შესახებ ვერაფერს ვერაფერს იტყოდა. მაგრამ მე ჩემსას არ ვიშლიდი, ვცდილობდი გამოძებნა, თუ არსებობდა რაიმე საშუალება, რომლითაც მას შეეძლო, განესაზღვრა — მქონდა მე შანსი გაუმხდარიყო ცოდნის ადამიანი თუ არა. მან მითხრა, რომ ეს ჩემს ოთხ მტერთან ბრძოლის შედეგზე იყო დამოკიდებული — ან მე გაუმარჯვებდი, ან ისინი, შედეგის წინასწარ განჭვრეტა კი შეუძლებელი იყო.

მამინ ვკითხე, შეეძლო თუ არა მას ბრძოლის შედეგის განსაჭვრეტად ჯადოქრობის ან წინასწარმეტყველების გამოყენება. მან კატეგორიულად განაცხადა, რომ ბრძოლის შედეგის წინასწარმეტყველება არანაირად არ შეიძლებოდა, იმიტომ, რომ ცოდნის ადამიანად ქცევა მხოლოდ გარკვეული დროით შეიძლებოდა. როდესაც ამის ახსნა ვთხოვე, მან თქვა:

— ცოდნის ადამიანად არ იქცევი სამუდამოდ. რეალურად არაფერს ხდება ცოდნის ადამიანი. ვითარება უფრო ისეთია, რომ დასძლევ თუ არა ოთხ ბუნებრივ მტერს რაღაც წამით ცოდნის ადამიანად იქცევი.

— უნდა მითხრა, დონ ხუან, ეს რა მტრებია.

მან არ მიპასუხა. მე არ ვუშვებოდი, მაგრამ მან თავი მიანება ამ თემს და საუბარი რაღაც სხვაზე გადაიტანა.

1962 წლის 15 აპრილი, კვირა

წასვლის წინ გადავწყვიტე, კიდევ ერთხელ მეკითხა ცოდნის ადამიანის მტრების შესახებ. მე ვუმტკიცებდი, რომ ვერ დავბრუნდებოდი გარკვეული დროის განმავლობაში და ამიტომ ცუდი არ იქნებოდა, თუ ჩავიწერდი ყველაფერს, რასაც ის მეტყოდა და ჩემს

არყოფნაში ვიფიქრებდი ამის შესახებ.

ის ცოტა ხანს ყოყმანობდა, მაგრამ შემდეგ მაინც წამოიწყო საუბარი.

— როცა ადამიანი სწავლას იწყებს, მან გარკვევით არასოდეს იცის თავისი მიზნების შესახებ. მისი ჩანაფიქრი — მცდარია, ხოლო განზრახვა — ბუნდოანი. მას აქვს ჯილდოს იმედი, რომელსაც ვერაფერს მიიღებს, იმიტომ, რომ არაფერი იცის სწავლების სიძიმის შესახებ.

ის თანდათან სწავლაში ებმება — ჯერ ნელა, ნაბიჯ-ნაბიჯ, ხოლო შემდგომ დიდი ნახტომებით და მალე გამოიყენება კიდევ. ის, რასაც იგი ისწავლის არასოდეს დაემთხვევა მის მიერ დასახულს, ან წარმოდგენილს და ამდენად, მას შიში შეეპარება. სწავლა არასოდეს მოგცემს იმას, რასაც მისჯან მოვლი. ყოველი ნაბიჯი — ახალი ამოცანა და განცდილი შიში შეუბრალებლად და განუდრეკლად გროვდება. ჩანაფიქრი ბრძოლის ველად იქცევა.

და ამგვარად, ის თავის პირველ ბუნებრივ მტერს ეჩეხება. შიშს! საშინელ მტერს — ვერაგს და ძნელად დასაძლევს. იგი ყოველ მოსახვევში იმალება, ინიღბება, ხელსაყრელ შემთხვევას უცდის. თუ ადამიანი შიმის უშუალო სახელოებს შეუძინდა და გაიტყა, მტერი მის ძიებებს ბოლოს მოუღებს.

— რა მოუვა ადამიანს, ის თუ შიშმა გააქცია?

— მას არაფერი მოუვა, გარდა იმისა, რა თქმა უნდა, რომ იგი ვერასოდეს ვერ ისწავლებს. ვერასოდეს ვერ გახდება ცოდნის ადამიანი. ის შეიძლება ჯიუტად იქცეს, არაფრის დანახვა რომ არ სურს, ან უწინარ, შემინებულ კაცად — ნებისმიერ შემთხვევაში ის დამარცხებული დარჩება. მისი პირველი ბუნებრივი მტერი ყველა მის ზრახვას ბოლოს მოუღებს.

— კი მაგრამ, რა უნდა იღონო, შიში რომ დაძლიო?

— პასუხი ძალიან უბრალოა. არ უნდა გაიტყე. უნდა მოერიო შენს შიშს და მის საპირისპიროდ შემდეგი ნაბიჯი გადადგა სწავლებაში, მერე კიდევ და კიდევ არ უნდა გაჩერდე, თუნდაც მთლიანად შიშით შეპყრობილი. ასეთია წესი! და დადგება წუთი, როცა შენი პირველი მტერი უკან დაიხვეს. საკუთარი თავის რწმუნას იგრობო. შენი განზრახვა კიდევ უფრო განმტკიცდება. სწავლება — შიშს აღარ მოგკავის.

ამ სახიხარულო წუთს ადამიანს უყოყმანოდ შეუძლია იმის თქმა, რომ მან თავის პირველ ბუნებრივ მტერს სძლია.

— ეს ერთბაშად მოხდება, დონ ხუან, თუ ნელ-ნელა?

— ეს ნელ-ნელა მოხდება, მაგრამ შიში მოულოდნელად და სწრაფად გაქრება.

— მერე ისევ ხომ არ შეეშინდება ადამიანს, რაღაც ახალი თუ შეემთხვა?

— არა, ერთხელ თუ მოხვბ შიში, მისგან სიცოცხლის ბოლომდე განთავისუფლდები იმიტომ, რომ შიშის ნაცვლად სიცხადეს — გონების სიცხადეს შეიძენ, შიშს რომ ფანტავს. ამ დროისათვის ადამიანი უკვე იცნობს საკუთარ სურვილებს, იცის, როგორ დაიკამყოფილოს ისინი. მას შეუძლია სწავლაში ახალი ნაბიჯების წინასწარგანჭვრეტა და ყველა მის საქმეს ცნობიერების მექვირი სიცხადე ახლავს თან. ადამიანს ეძმის, რომ არაფერია დაფარული.

და ამგვარად იგი თავის მეორე მტერს ზედება: სიცხადეს! ეს გონების სიცხადე, რომლის მოპოვებაც ასე ძნელია, შიშს ფანტავს, მაგრამ ამასთან ერთად გაბრმავეებს.

იგი გარწმუნებს, არასოდეს არ შეიტანო ეჭვი საკუთარ თავში და გინერგავს რწმენას იმისა, რომ რაც კი გასურს, ყველაფერი შეგიძლია აკეთო, ვინაიდან ყველაფერს ცხადად, გამჭოლ ზედავ და შენ მამაცი ხარ — იმიტომ, რომ ცხადად ზედავ და არაფერს მორიდები — იმიტომ, რომ ცხადად ზედავ. მაგრამ ეს ყველაფერი შეუძლოა; მასში არის რაღაც დაუსრულებელი. თუ ამ მოჩვენებით სიძლიერეს აყვევი, ეს იმას ნიშნავს, რომ შენმა მეორე მტერმა დაგამარცხა და შენ ერთ ადგილს ტყეპის მამინ, როდესაც წინ უნდა ისწრაფოდე. შენ სწავლაში ზოზინა ხნები, სანამ სრულიად არ გამოიფიტები, უძლეური რაიმე ისწავლო.

— რა მოხდის, ამგვარად დამარცხებულ ადამიანს, დონ ხუან. ის რა, კვდება?

— არა, არ კვდება. უბრალოდ იგი მეორე ნაბიჯმა შეაჩერა და მის მცდელობას, გახდეს ცოდნის ადამიანი, ვჯარი დაესვა. ამის ნაცვლად ის მხნე მეომრად ან ჯამბაზად იქცევა. ხოლო გონების სიცხადე, რომელიც მას ასე ძვირად დაუჯდა, სიბნელითა და შიშით უკვე აღარასოდეს შეიცვლება. მთელს ცხოვრებას, თავის აღსასრულამდე, იგი სიცხადეში გაატარებს, მაგრამ არასოდეს არც რაიმე

ისწავლის და არც რაიმეს ინატრებს.

— კი მაგრამ, რა უნდა ქნას მან, მარცხი რომ აიცილოს?

— უნდა ქნას იგივე, რაც შიშთან ბრძოლისას. მან უნდა აჯობოს საკუთარი გონების სიცხადეს და გამოიყენოს იგი მხოლოდ ზედებასთვის; მოთმინებით ელოდოს, ყველაფერი ზედმიწევნით გაზომოს და აწონოს, სანამ ახალ ნაბიჯს გადადგამდეს. რაც მოთავრია, მან უნდა იცოდეს, რომ მისი გონების სიცხადე — თითქმის შეცდომაა. და მოვა წუთი, როდესაც ის მიხვდება, რომ მისი სიცხადე იყო მხოლოდ თვალწინ გაჩერებული წერტილი. ასე დაიძვებს იგი თავის მეორე ბუნებრივ მტერს და დაიკავებს პოზიციას, სადაც მას უკვე ველარაფერი აწევს. ეს არ იქნება შეცდომა. ეს არ იქნება თვალწინ გაჩერებული წერტილი. ეს ჭეშმარიტი ძალა იქნება.

და ისწორედ მაშინ იგი შეიცნობს, რომ ძალა, რომლისკენაც ის ამდენხანს ისწრაფოდა, უკვე მას ეკუთვნის და როგორც ისურვებს, ისე შეუძლია მისი გამოყენება. მოკავშირე მას ემორჩილება, მისი სურვილი — კანონია. იგი ყველაფერს ზედავს თავის გარშემო. მაგრამ ამასთან, ის თავის შესამე მტერს ეჩვენება — ძალას!

ძალა მის მტერებს შორის — ყველაზე ძლევაშილია და ბუნებრივია, ყველაზე ადვილი გზა — მისთვის დათმობაა. სხვა თუ არაფერი, ადამიანი ხომ ახლა, მართლაც, მოუწვევლელია. ის მბრძანებლობს; ის იწვევს იმით, რომ წინასწარგანგარიშებულ რისკზე მიდის და ამთავრებს კანონების დაწესებით იმიტომ, რომ ის ოსტატია.

ადამიანი ამ სტილადზე იშვიათად თუ ამჩნევს თავის შესამე მტერის განუხრულ მოახლოვებას და მოულოდნელად, მისთვის შეუძრევლად, ის აგებს ბრძოლას. მტერი მას სასტიკ და ჭირვეულ მეომრად აქცევს.

— თუ კარგავს იგი თავის ძალას?

— არა. ის არასოდეს დაკარგავს არც გონების სიცხადეს და არც ძალას.

— მაშ რით განსხვავდება იგი ცოდნის ადამიანისაგან?

— ძალით დამარცხებული ადამიანი, ისე მოკვდება, რომ ვერც კი შეიცნობს ჭეშმარიტად, როგორ მოეპყროს ამ ძალას. ძალა მხოლოდ მძიმე ტვირთია მის ბედისწერაში. ასეთ ადამიანს არ შესწევს საკუთარი თავის ფლობის უნარი და მან არ იცის, როდის და როგორ

უნდა გამოიყენოს ძალა.

— რომელიმე მტრისგან მიყენებული მარცხი თუ იქნება საბოლოო?

— რა თქმა უნდა, იგი საბოლოოა. თუ კი ერთ-ერთმა მტერმა სძლია ადამიანს, მას უკვე ვერაფრით დაქმნარები.

— თუ შეიძლება, მაკალითად, რომ ძალით დამარცხებულმა, დაინახოს საკუთარი შეცდომა და თავისი გზა გამოასწოროს?

— არა, თუ ადამიანი დანებდა, მისი საქმე წასულია.

— კი მაგრამ, თუ კი ძალამ ის მხოლოდ დროებით დააბრმავა და მერე მან მასზე უარი თქვა?

— ეს იმას ნიშნავს, რომ მისი ბრძოლა ჯერ წაგებული არ ყოფილა და ისევ გრძელდება; იმას, რომ ის ჯერ კიდევ ცდილობს, გახდეს ცოდნის ადამიანი. ადამიანი დამარცხებულია მხოლოდ მაშინ, როდესაც მეტს აღარ ცდილობს და საკუთარ თავზე უარს ამბობს.

— კი მაგრამ, ღონ ხუან, ხომ შეიძლება ადამიანი მიეცეს შიშს, მაგრამ რაღაც დროის შემდეგ ის მაინც დაამარცხოს.

— არა, ასე არ ხდება. თუ კი მან შიშს დაუთმო, ის უკვე ვერახოდეს დაამარცხებს მას იმიტომ, რომ თავს აარიდებს სწავლას და მას კვლავ აღარასოდეს მოხინჯავს. მაგრამ, თუ შიგ თავის შიშის შუაგულში, ის წლების მანძილზე კვლავ და კვლავ შეეცდება სწავლის გაგრძელებას, მაშინ ის ბოლოს და ბოლოს მას დაამარცხებს იმიტომ, რომ მას არასოდეს არ დანებდება.

— როგორ უნდა დაამარცხო შენი მესამე მტერი, ღონ ხუან?

— იგი უნდა დაამარცხო ყურადღებით. ადამიანი უნდა მივიდეს იმის შეგნებამდე, რომ ძალა, რომელიც მან თითქოსდა დაიმორჩილა, სინამდვილეში არასოდეს მას არ ეკუთვნოდა. მან არასოდეს არ უნდა გადაუჭვიოს საკუთარ ხაზს და ყველაფერს, რასაც კი შეიცნობს, ფრთხილად და კითხვინდობით დაეპოუროს. თუ კი ის მიხვდება, რომ სიცხადე და ძალა საკუთარ თავზე კონტროლის გარეშე თვით შეცდომებზეც უარესია, მაშინ ის მიაღწევს წერტილს, სადაც მისთვის ყველაფერი შეიკრება. აქ მას ეცოდინება, როდის და როგორ გამოიყენოს თავისი ძალა და ამგვარად, იგი თავის მესამე მტერს დაამარცხებს.

ამასობაში ადამიანი სწავლის გზის დასასრულს მიუახლოვდება და თითქმის გაუფრთხილებლად, თავის უკანასკნელ მტერს შეეჭე-

ხება. სიბერეს! ეს მტერი — ყველაზე სასტიკია. მტერი, რომელსაც საბოლოოდ ვერასოდეს დაამარცხებ, მას შეიძლება მხოლოდ უკან დაახევინო.

ამ დროისათვის ადამიანს აღარ აწუხებს შიში, გონების მოუთმენელი სიცხადე, მთელი მისი ძალა უკვე მასთანაა, მაგრამ სწორედ მაშინ იბადება დასვენების აკეიატებული სურვილი. თუ კი ის დაწოლის და თავდავიწყების სურვილს სრულიად დაემორჩილა, თუ მთლიანად მიეცა დალილობას — იგი თავის უკანასკნელ ბრძოლას წააგებს და მტერი მას მოხუცსა და ხუსტ არსებად გადააქცევს. დათმობის სურვილი მთელ მის სიცხადეს, მთელ მის ძალას და მთელ მის ცოდნას გადასძლევს.

მაგრამ, თუ ადამიანი თავის დალილობას დასძლევს და თავის ბედისწერას ბოლომდე გასტანს — მაშინ შეიძლება, მას ცოდნის ადამიანი უწოდო. თუ კი ერთი უმოკლესი წამითაც იგი თავს დაადევს თავის უკანასკნელ, უძლეველ მტერს! სიცხადის, ძალისა და ცოდნის ეს ერთი წამიც საკმარისია.

4

ღონ ხუანი იშვიათად საუბრობდა მესკალიტოზე უშუალოდ. ყოველთვის, როცა მის შესახებ ვეკითხებოდი, იგი საფუძვლიან საუბარზე უარს ამბობდა, მაგრამ თანდათან მესკალიტოს შესახებ გარკვეული წარმოდგენა შექმნილობდა — რაღაც სახე, რომელიც მამრობითი სქესისა იყო — არა მხოლოდ ესპანური სიტყვებისთვის მიღებული გრამატიკული ნორმების მიხედვით, არამედ მისთვის დამახასიათებელი მფარველური მოძღვრული თვისებების გამოც. ყველა ჩვენს საუბარში ღონ ხუანი კვლავ და კვლავ, თუმცა სხვადასხვანაირად, ამ თვისებებს ადასტურებდა.

1961 წლის 24 დეკემბერი, კვირა

— ეშმაკის ბალახს არასოდეს არავინ დაუცვია. იგი მხოლოდ ძალის მოპოვებისთვის არის განკუთვნილი. ხოლო მესკალიტო ბავშვით აღერსიანია.

— მაგრამ შენ თქვი, რომ ხანდახან იგი საზარელია.

— რა თქმა უნდა, ის საზარელია, მაგრამ თუ კი შენ ის გაიცა-

ნი, ის შენთვის კითხილი და ალერსიანი იქნება.

- და რაში გამოიხატება მისი სიკეთე?
- იგი — მფარველი და დამრიგებელია.
- როგორ მფარველობს იგი?
- შენ შეგიძლია, ის მუდამ შენთან იმყოფინო, ის კი თვალყურს ადევნებს იმას, რომ შენ ცუდი არაფერი შეგეძინება.
- კი მაგრამ, მუდამ თან როგორ უნდა იმყოფინო?
- უნდა ატარო პატარა პარჭუკით, იღლის ქვეშ დამაგრებულნი, ან კისერზე ჩამოიდებული.
- შენ თანა გაქვს?
- არა — მე ხომ მყავს მოკაფშირე, მაგრამ სხვები თან ატარებენ.
- რას გასწავლის იგი?
- გასწავლის, როგორ იცხოვრო სწორად.
- და როგორ გასწავლის?
- იგი სხვადასხვა წივის გინვენებს და გეუბნება რა — რა არის (enzena las cosas y te dice lo que son).
- როგორ?
- შენ თვითონ უნდა ნახო.

1962 წლის 30 იანვარი, საშხაბათი

- რას ხედავ, როცა მესკალიტოს მიყვები, ღონ ხუან?
- ასეთი რამ უბრალო საუბრის თემა არ არის. ამას ვერ მოგიყვები.
- რაიმე ხიფათი გელის, თუ მომიყვები?
- მესკალიტო — დამცველია. კეთილი, ალერსიანი დამცველი, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ მას შეიძლება დაცინა. სწორედ იმიტომ, რომ იგი კეთილი დამცველია, მას შეუძლია ყველაზე მრისხანედ იქცეს მათთვის, ვინც არ უყვარს.
- მე არ ვაპირებ მის დაცინვას. უბრალოდ მინდა ვიცოდე, სხვებს რას აჩვენებს და რას აკეთებინებს. მე ხომ ავინერე ყველაფერი, რაც მესკალიტომ მაჩვენა.
- შენთან ყველაფერი სხვაგვარადაა, — შეიძლება იმიტომ, რომ ამ იცი მისი საქმეების შესახებ. ამიტომ მიხდება მის საქმიანობის შესახებ შენი განათლება, ისევე როგორც ბავშვს სიარულს

ასწავლიან.

- კიდევ რამდენ ხანს უნდა ვისწავლო?
- სანამ ის თვითონ არ გახდება შენთვის გასაკები.
- და მერე?
- მერე შენ თვითონ მიხვდები ყველაფერს და მეტი არაფერს მოყოლა არ დამჭირდება.
- მოთხარი მხოლოდ, სად მიყავხარ მესკალიტოს?
- ამაზე ლაპარაკი არ შემიძლია.
- მინდა მხოლოდ გავიგო, თუ არის რომელიმე სხვა ქვეყანა, სადაც მას ადაინები მიჰყავს?
- კი არის.
- ეს ზეცაა? (ესპანურად „ზეცა“ — cielo იგეგვს ნიშნავს, რაც უბრალოდ „ცა“)
- იგი ცაში (cielo) გაგატარებს.
- მე იმ ცას (cielo) ვგულისხმობ, სადაც ღმერთია.
- სისულელეს ლაპარაკობ. მე არ ვიცი სადაა ღმერთი.
- მესკალიტო — ღმერთია? ერთადერთი ღმერთი? თუ უბრალოდ ერთ-ერთი?
- უბრალოდ დამცველი და მოძღვარია. ის — ძალაა.
- ის რა — თვითონ ჩვენშია ძალა?
- არა, მესკალიტოს ჩვენთან არაფერი აქვს საერთო. იგი ჩვენს გარეთაა, გესმის?
- მაშინ ყველა ვინც მესკალიტოს იღებს, მას ერთნაირად უნდა ხედავდეს.
- სულაც არა. იგი არასოდეს არაა ერთნაირი სხვადასხვა ადამიანისთვის.

1962 წლის 12 აპრილი, ხუთშაბათი

- რატომ არ მომიხრობ მესკალიტოზე მეტს, ღონ ხუან?
- არაფერია მოსათხრობი და იმიტომ.
- მაგრამ, არის, ალბათ, ათასი რამ, რაც უნდა ვიცოდე, სანამ მას კვლავ შეხვდები.
- არა, შეიძლება არც კი იყოს ისეთი რამ, რისი ცოდნაც

შენთვის აუცილებელი იქნებოდა. გითხარი უკვე — ის ყველასთან ერთნაირი არ არის.

— გასაგებია, მაგრამ მე მაინც მინდა ვიცოდე, სხვები რას გრძობენ მის მიმართ.

— იმათი აზრი, ვინც მასზე ბევრს ლაყობს, დიდად არაფრად წავადგება. თუმცა ამას თვითონ მიხვდები. შენ შესაძლოა, ილაპარაკებ მასზე რაღაც წუთამდე, მაგრამ შემდეგ ამას აღარასოდეს დაუბრუნდები.

— შეგიძლია მომიყვე, შენი პირველი მცდელობის შესახებ?

— რისთვის?

— მაშინ მეტოცდინება, მეკალიტოს როგორ მოეპყრო.

— შენ ისედაც ჩემზე მეტი იცი. შენ ხომ თამაშობდი მასთან. როდესმე მიხვდები, რა კეთილად მოგეპყრო დამცველი. იმ პირველი შეხვედრისას, დარწმუნებულად ვარ, ძალიან ბევრი გითხრა, მაგრამ შენ ყრუ და ბრმა აღმოჩნდი.

1962 წლის 14 აპრილი, შაბათი

— შესკალიტოს ნებისმიერი ფორმის მიღება შეუძლია, როცა წარგიდგება?

— კი, ნებისმიერი.

— მაშინ, რომელი ფორმა მიგაჩნია სხვებზე ჩვეულებრივად?

— ჩვეულებრივი ფორმა არ არსებობს.

— შენ გულისხმობ, დონ ზუან, რომ იგი ნებისმიერი ფორმით ეცხადება იმათაც კი, ვინც მას კარგად იცნობს?

— არა. ნებისმიერი ფორმით იგი მხოლოდ იმათ წარუდგება, ვინც მას ოდნეუ იცნობს; ხოლო მათთვის, ვინც მას კარგად იცნობს, იგი ყოველთვის ერთი და იგივე რჩება.

— როგორ, ერთი და იგივე?

— იგი მათ ხანდახან ადამიანის სახით წარუდგება, ჩვენს მხგუხსად. ან როგორც სინათლე. უბრალოდ სინათლე.

— შესკალიტო თუ იცვლის როდესმე თავის მუდმივ ფორმას მათთან, ვინც მას კარგად იცნობს?

— რამდენადღაც კი შეიძლება, არა.

1962 წლის 6 ივლისი, პარასკევი

დონ ზუანთან ერთად სახლიდან შაბათს 23 ივნისს, დღის მიწურულს გამოვედი. მან თქვა, რომ ჩვენ სოკოს (honguitos) საძებნელად ჩიუაუას შტატში მივემგზავრებოდით. თქვა, რომ მოგზაურობა ხანგრძლივი და ძნელი იქნებოდა და მარალიც აღმოჩნდა. ჩიუაუას შტატის ჩრდილოეთით მდებარე შემაშტეტა ერთ პატარა ქალაქში 27 ივნისს, ოთხშაბათს, საღამოს 10 საათზე ჩავედი. იმ ადგილიდან, სადაც მანქანა დაეტოვებ, ქალაქის გარეუბნისკენ გავემართე მისი მეგობრების ტრახუშუარას ტომის ინდიელთა სახლში. იქვე გაეთათეთ ღამე.

მეორე დღეს ჩვენმა მასპინძელმა დილის ხუთი საათისთვის გაგადგვიდა და ლობიო და პური მოგვიტანა. სანამ ჩვენ საჭმელს მთვრითმევედით, ის დონ ზუანს ესაუბრებოდა, მაგრამ ჩვენი მოგზაურობის შესახებ არაფერი უთქვამს.

საუზმის შემდეგ მასპინძელმა ფლასკში წყალი ჩაასხა და ორი ტკბილი ფუნთუშა მოგვჩანათაში ჩამიდო. დონ ზუანმა ფლასკი მომართა, ზურგჩანთა მობერებულად მომიწყო, მასპინძელს ზრუნვისათვის მადლობა გადაუხადა, ჩემსკენ მობრუნდა და მითხრა:

— წახელის დროა.

დაახლოებით ერთი მილი გრუნტის გზით ვიარეთ. შემდეგ ველზე გადავედი და ორ საათში ქალაქის სამხრეთით მდებარე ბორცვების ძირს მივაღექეთ. დაქანებულ ფერდობს ზვეით სამხრეთ-დასავლეთის მიმართულებით ავეყვით. როდესაც გზა უფრო ციცაბო შეიქნა, დონ ზუანმა მიმართულება შეცვალა და ამაღლებული ვაკით აღმოსავლეთისკენ გავემართეთ. ხანდაზმულობის მიუხედავად დონ ზუანი მთელი გზა ისე წარმოუდგენლად სწრაფად მიდიოდა, რომ შუადღისთვის მე სრულიად გამოვიფიტე. დავჯექით და მან პურიანი ტომარა გახსნა.

— სულ შეჭამე, თუ გინდა, — მითხრა მან.

— კი მაგრამ, შენ?

— მე მამლარი ვარ, მოგვიანებით კი ეს საჭმელი აღარ დაგეჭვირდება.

ძალიან დავიღალე, მშობდა და ამიტომაც სიტყვაზე დავიჭირე. გავიფიტე, ხელსაყრელი დროა ჩვენი მოგზაურობის მიხვების შესახებ გასაუბრებისა და ვითომ სხვათაშორის ვაკითხე:

— შენ ფიქრობ, დიდ ხანს გავსტანთ აქ?

— აქ იმისათვის ვართ, რომ მესკალიტო შევგაროეთ. ხვალამდე დავრჩებით.

— მესკალიტო სადაა?

— ყველგან. ჩვენს გარშემო.

გარშემო სხვადასხვა სახის საჭიროზე მეტი კაქტუსი ხარობდა, მაგრამ მათ შორის პეიოტი ვერ გავარჩიე.

ჩვენ კვლავ გზას შევუდევით და სამი საათისთვის ციცაბო ბორცვებს შუა ჩაყოლილ ვიწრო და გრძელ ხეობას მივადექით უჩვეულო მულეკარებას განვიციდელი იმის წარმოდგენისას, რომ პეიოტს ვიპოვებდით, რომელიც თავის ბუნებრივ გარემოში არასოდეს მენახა. ხეობაში შევედით და 400 ფუტამდე გვეწებობდა გავლილი, როცა უეცრად სამი უეჭველად პეიოტის მცენარე შეენიშნე, პირდაპირ ჩემს წინ, ხელმარცხნივ ბილიკისაგან. ურთიერთშეზრდილები, ისინი მიწიდან რამდენიმე დიუმიმით ამოშვერილიყვნენ. მრგვალი, ხორციანი მწვანე ვარდებივით გამოიყურებოდნენ. დონ ხუანს ვანიშნე და მათკენ გავიქეცი.

ის ყურადღებას არ მაქცევდა და განგებ ზურგშექცეული, სულ უფრო და უფრო მშორდებოდა. მივხვდი, რომ რაღაც ცუდი ჩავიდინე და დღის მთელი მთვრალ ნახევარი ხმისამოუღებლად ვიარეთ. ნელა მივდიოდით წვრილი წვეტიანი ქვებით მოფენილი ბრტყელი ვაკით, კაქტუსებით გარემოცულნი. გზა და გზა ხელიკების ურდობებს გაფრთხობდით, ხოლო დროგამოშვებით მარტოხელა ფრინველს. დუკინამდე პეიოტის მცენარეს ჩავუარე, ისე რომ კრინტიც არ დამიძრაგს.

ექვს საათზე ხეობის გარემომცველი მთების ძირს მივადექით. შემდეგ ფერდობით ერთ-ერთ კლდოვან შეერზე ავცოცდით. დონ ხუანმა ძირს დააგდო თავისი ტომარა და დაჯდა. მე ისევ შშიობდა, მაგრამ საჭმელი აღარ დავკრჩინოდა. მესკალიტოს შეგროვება და ქალაქში დაბრუნება შევთავაზე. დონ ხაუნი გაღიზიანებული ჩანდა და ენაც კი გააწკლავუნა. მან თქვა, რომ ღამეს კლდეზე გვაათუნებდით.

ჩუმად ვისხედით მარცხნივ კლდე ამართულიყო, მარჯვნივ ხეობა იშლებოდა, ჩვენ რომ გამოვიარეთ იგი საკმაოდ შორს იჭიმებოდა და ადრინდელზე უფრო ფართო და უსწორმასწორო ჩანდა. იმ ადგილიდან, სადაც მე ვიჯექი, ისე მოჩანდა, თითქოს ის მთლიანად პატარა

ბორცვებისა და გორაკებისგან შედგებოდა.

— უკან ხვალ დავიძრებით, — ჩემსკენ მოუხედავად თქვა დონ ხუანმა და ხეობისკენ მანიშნა. — ასე დავბრუნდებით და ვვლს რომ გადავივლით, მას დავკრიფათ. ანუ ჩვენ მოვწყვიტეთ მას, როცა პირდაპირ გზაზე შევეყვებით. ის გვიპოუნის ჩვენ და არა პირიქით. ის დაგვინახავს — თუ კი თვითონ მოისურვებს.

დონ ხუანი ზურვით კლდეს მივერდნო, თავი დახარა და ისე გააგრძელა საუბარი, თითქოს ჩემს გარდა იქ კიდევ ვინმე ყოფილიყო.

— და აი, კიდევ რა. მას მხოლოდ მე მოვწყვიტე — შენ კი ტომარას წამოიღებ, ან წინ გამიძვები — გერ არ ვიცი. მაგრამ ხვალ მასზე არ მანიშნებ, ისე როგორც ეს დღეს გააკეთე.

— მაპატიე, დონ ხუან.

— კარგი, შენ არ იცოდი.

— შენმა ბენეფაქტორმა გასწავლა ყველაფერი ეს, მესკალიტოს შესახებ?

— არა. მის შესახებ ჩემთვის არავის უსწავლებია. თვით დამცველი იყო ჩემი მასწავლებელი.

— მაშინ გამოდის, რომ მესკალიტო ადამიანსა ჰკავს, რომელთანაც საუბარი შეიძლება.

— არა.

— მაშ როგორ ასწავლის?

ის რამდენიმე ხანს დუმდა.

— გახსოვს ის წუთები, მასთან რომ თამაშობდი? შენ მისი გესმოდა, ხომ ასეა?

— ხო!

— იგი სწორედ ასე ასწავლის. მაშინ ეს არ იცოდი. მაგრამ მის მიმართ მეტი ყურადღება რომ გამოგვიჩინა, იგი გაგესაუბრებოდა.

— როდის?

— პირველად რომ ნახე, მაშინ.

ის ძალიან გაღიზიანებული ჩანდა ჩემი შეკითხვებით ვუთხარი, რომ მათ იმიტომ ვუსვავდი, რომ ყველაფრის სწავლა მსურდა, რასაც კი შევძლებდი.

— მე ნუ შეკითხები, — გაიღმა მან. — მას ჰკითხე. შემდგომ, როცა ნახავ ჰკითხე, რაც გინდა.

— ესე იგი, მაინც შესაძლებელი ყოფილა შესკალიტოსთან საუბარი...

მან არ დამამთავრებინა. მიბრუნდა, ფლასკი აიღო, შევირდნ ჩამოვიდა და კლდის უკან გაუჩინარდა. მარტო დარჩენა არ მინდოდა და — თუმცა არ მიეუპატუებებარა — მას გაეყვი. დაახლოებით 500 ფუტქამდე ვიარეთ და ერთ პატარა წყაროს მკაფდეით მან წყაროზე სახე და ხელები დაიბანა და ფლასკი აავსო. პირი წყლით გამოივლო, მაგრამ არ დაღუვდებოდა. მე ხელებში წყალი დავიგებე და მოვსვი, მაგრამ მან შემეჩქარა და მიჩრია, არ დაშეშდა.

ფლასკი გადმომიბოძა და უკან შევრისაკენ გაემართა. დავბრუნდით და კვლავ ხეობისკენ პირით, ხოლო კლდისკენ ზურგით დავსხედით. ვკითხე, ცეცხლის დანთება თუ შეიძლებოდა. პასუხად მისი აღშფოთება შემჩრა — როგორ შეიძლება მსგავსი შეკითხვების დასმით. მან თქვა, რომ ამ დამეგს შესკალიტოს სტუმრები ვიყავით და ჩვენს გათბობაზე მასპინძელი იზრუნებდა.

უკვე დაღამებულიყო. დონ ხუანმა თავის ტომრიდან ორი თხელი ბამბის საბანი ამოიღო, ერთი მე გადმომიგდო მუხლებზე, ხოლო მეორე მზრებზე მოიფარა და ფეხმორთხმით დაჯდა. ხომა ჩვენს წინ სიბნელეს მოეცვა და კიდევბი საღამოს ბინდში ინთხებოდა.

დონ ხუანი უძრავად იჯდა, პეიოტის ველისკენ პირშექცეული. სახეში თანაბარი ქარი მიბერავდა.

— ბინდი — ქვეყნებს შორის ბზარია, რბილად თქვა მან ისე, რომ ჩემკენ არ მოუხედია.

მე არ მიკითხავს, რა ჰქონდა მხედველობაში. თვალები დამეღალა. უეცრად თავი მიტოვებულად ვიგრძენი, ტირილის ყოვლისმძლე სურვილი დამეუფლა! მუცელზე დავწექი — ქვის სარეცელი შყარი და მოუხერხებელი იყო. წამდაუნსუე მდგომარეობის შეცვლა მიხედებოდა. ბოლოს ფეხმორთხმით დავეჯექი და საბანი მზრებზე მოვიფარე. ჩემდა გასაკვირად, ეს პოზა უაღრესად მოხერხებული აღმოჩნდა და ჩამეძინა.

გამოღვიძებისას გავიგონე, როგორ მეუბნებოდა რაღაცას დონ ხუანი. ძალიან ბნელიდა. მას კარგად ვერ ვხედავდი. თუმცა ნათქვამი ვერ გავარჩიე, მაინც ავდექი და გაეყვი. ფერღობს ჩაყვივით. ფრთხილად ემოძრაობდით — ყოველ შემთხვევაში მე — სიბნელის გამო. კლდის ძირას გაეჩრდით. დონ ხუანი დაჯდა და მისგან მარცხ-

ნივ ადგილზე მანიშნა. პერანგი გაიხსნა და ტყავის პარჭუკა ამოიღო. გახსნა იგი და თავის წინ მიწაზე დაღო. შიგ გამხმარი პეიოტის რამდენიმე ნაჭერი ელაგა.

გრძელი პაუზის შემდეგ მან ერთი ნაჭერი აიღო. მარჯვენა ხელში დაიჭირა; დიდითა და საჩვენებელი თითებით რამდენჯერმე დახილა და დაბალ ხმაზე ამღერდა. მერე უცბად გამაყრუებლად დაიკილა: “აიიი!”

ეს მოულოდნელად და ხესთაბუნებრივად გამოვიდა, რამაც შემაშინა: ბუნდოვნად დავინახე, რომ მან ნაჭერი პირში ჩაიღო და დეჭვას შეუდგა. ერთი წუთის შემდეგ მან ტომარა აიღო, ჩემსკენ დაიხარა და ჩურჩულით მიბრძანა, მისთვის ტომარა გამომერთმია და ერთი ნაჭერი ამომეღო, შემდეგ ტომარა კვლავ ჩვენს წინ დამეღო და ვველაფერი მოუსტად ისევე გამეჭოროებინა, როგორც ეს თვითონ გააკეთა.

პეიოტის ერთი ნაჭერი ავიღე და დავხილე ისე, როგორც ეს დონ ხუანმა გააკეთა. ის ამ დროს მღეროდა და თან წინ და უკან ირხებოდა. რამდენიმეჯერ ვცადე ნაჭრის პირში ჩადება, მაგრამ დაყვირების ძალიან მრცხველიდა. შემდეგ თითქოს ეს ძილში მომხდარიყო, წარმოუდგენელი კვიფი აღმომხდა: “აიიიი!” რაღაც წამით გავიფიქრე, რომ ეს ვიღაც სხვა ყვიროდა. კვლავ ვიგრძენი ნერვული ძრწოლის ნიშნები კუჭში. უკან გამაქანა. გრძობას ვკარგავდი. პეიოტის ნაჭერი პირში ჩავიღე და დავეჭვი. რამდენიმე ხანში დონ ხუანმა ტომრიდან მეორე ნაჭერი ამოიღო. შევბით დავინახე, მოკლე სიმღერის შემდეგ, მან თვითონ როგორ შეჭამა ის ნაჭერი. შემდეგ ტომარა მე მომართა. მე ის მიწაზე დაუეშვი და ერთი ნაჭერი ავიღე. ეს ვველაფერი ხუთჯერ განმივრდა, სანამ მე არ მომწყვრდა. ფლასკი ავიღე. წყალი რომ დამეღია, მაგრამ დონ ხუანმა მიჩრია, მხოლოდ პირი გამომველო, წინააღმდეგ შემთხვევაში პირს მალებინებდა.

რამდენიმეჯერ პირი გამოვივლე. წამით დალევის სურვილი ჩემთვის უდიდეს ცდურებად გადაიქცა და ცოტა წყალი გადაეყვალა. მაშინათვე კუჭის შეკუმშვა ვიგრძენი. ისევე როგორც პეიოტის ცაცინობისას, ახლაც პირიდან სითხის უშტკინეულო და შეუძინეველ დენას ველოდი, მაგრამ ჩემს და გასაკვირად, გული სრულიად ჩვეულებრივად ამერია. თუმცა, ყოველივე ეს დიდხანს არ გაგრძელე-

ბულა.

ღონ ხუანმა კიდევ ერთი ნაჭერი აიღო და ტომარა მე გადმო-
ცა; მთელი ციკლი განახლდა და შემდეგ კვლავ და კვლავ შეორდე-
ბოდა, სანამ 14 ნაჭერი არ დაეღეჭე. ამ დროისათვის წყურვილის,
სიცვის და უხერხულობის ყველა უწინდელი შერბნება გამიქრა.
მათ ნაცვლად რაღაც უცნობ სითბოს და აგზნებას მოვეცვი. ფლასკო
აიღე პირის გამოსაუღებლად, მაგრამ ის ცარიელი აღმოჩნდა.

— წყაროსთან ხომ არ ჩავსულიყავით, ღონ ხუან?

ხმა პირიდან ჩვეულებრივად კი არ გამომოვიდა, არამედ ცას
ახსლებილი, უკან ყელში ჩამბრუნდა და გამოძახილივით აქითი-
ქით აფართხალდა. გამოძახილი რბილი და მუსიკალური იყო. მას
თითქოს ფრთები შეესხას და შიგ ჩემს ყელში გაეშალოს. ფრთების
შუბება ალერსივით ნახი იყო. მათ მოძრაობა კავიერდებოდა, სანამ
იგი არ ჩახცხა.

შეითხვა გავიძიორე. ჩემს ხმას ისეთი ფლერალობა ჰქონდა,
თითქოს კამარის ქვეშ ვლავარაკობდი. ღონ ხუანმა არ მიპასუხა.
ავდექი და წყაროსკენ გავეშურე. მივიხედე, რომ მენახა, ღონ ხუანი
ხომ არ მომყვებოდა, მაგრამ ის თითქოს რაღაცას ყურადღებით
უსმენდა.

ფესტი ადგილზე გაშეშება მიბრძანა.

— აბუტოლი (?) უკვე აქ არის! — თქვა მან.

ეს სახელი ადრე არასოდეს გამეგონა. შეეფიქრებინა, მეკითხა
ღონ ხუანისთვის მის შესახებ თუ არა, და უცებ სუსტი ხმაური
მომესმა, რომელიც ძალიან წაგაყვდა ყურის ფრიალს. ხმა სულ უფრო
და უფრო მატულობდა, სანამ გიგანტური ხარის ბღვილს არ დაემს-
გაყსა. იგი რამდენიმე წამს გაგრძელდა და შემდეგ თანდათან მიწყ-
ნარდა. კვლავ სიჩუმე დაისადგურა. ხმის ძალამ და ინტენსივობამ
შემაშინა. ისე ძლიერად კვანკალებდი, რომ ფეხზე ძლივს ვჩერებ-
ოდი, მაგრამ მიუხედავად ამისა, ჩემი გონება სრულიად ნორმალუ-
რად მუშაობდა. თუ რამდენიმე წუთის წინ ძილი მეროდა, ახლა
ძილის სურვილი სრულიად გამიქრა, მისი ადგილი განსაკუთრე-
ბულმა სიცხადემ დაიკავა. ხმამ ერთი სამეცნიერო-ფანტასტიკური
ფილიმი მომაგონა, რომელშიც გიგანტური ფუტკარი ზუზუნით ატო-
მური რადიაციის ზონიდან გამოფრინდებდა. ამის გაფიქრებაზე გამე-
ცინა. დავინახე, როგორ გადაწვა უკან ღონ ხუანი და ისევ თავის

მოღუნებულ პოზას დაუბრუნდა. უეცრად კვლავ დამიბრუნდა
უზამბახარი ფუტკრის ზმანება. იგი ჩვეულებრივ აზრებზე უფრო
რეალური იყო. განცალკევებული, იგი განსაკუთრებული სიცხადით
იყო გარემოცული. ყველაფერი დანარჩენი ჩემი ტვინიდან ამოშლილი-
ყო. მენტალური სიციხადის ამ მდგომარეობამ, პირდა პირად არასოდეს
განვიცადა, ჩემში შიშის კიდევ ერთი ამოხვევა გამოიწვია.

ოფლმა დამასხა. ღონ ხუანისკენ დავიხარე, ჩემი შიშის შესა-
ხებ რომ მეამბო. მისი სახე სულ რამდენიმე დიუიმში იყო ჩემგან.
იგი მე მიყურებდა და მას ფუტკრის თვალები აქონდა. ისინი რვაჯერ
სათვალი ჰგავდნენ, სინდელში საკუთარ სინათლეს რომ ასხივებ-
და. ტუჩები წინ გამოეშვირა და რაღაც წვეტილ ხმას გამოსცემ-
და: „პეტა-პეტა-პეტა“. უკან გადავიწვი და კინაღამ კლდეს შევასკდი.
როგორც მომეჩვენა, უსასრულო დროის განმავლობაში აუტანელ
შიშს განვიცდიდი. ვფიქრობდა და ვქოშინობდი. კანზე ოფლი შემე-
ყინა და მას სახამაშო სიუხემეს ანიჭებდა. შემდეგ ღონ ხუანის ხმა
მომესმა:

— ადექი! იმოძრავე! ადექი!

ზმანება გაქრა, და კვლავ ღონ ხუანის ჩვეულებრივი, ასე ნაც-
ნობი სახე დავინახე.

— წყალს მოვიტან, — ვთქვი მე კიდევ ერთი უსასრულო წუ-
თის შემდეგ. ხმა ჩამიწყდა. სიტყვებს ძლივს გამოვთქვამდი. თანხმო-
ბის ნიშნად ღონ ხუანმა თავი დამიკრა. უკვე გზას დამდგარი მოეხ-
ედი, რომ ჩემი შიში ისევე სწრაფად და იდეშლად გამქრალიყო, როგორც
გაჩნდა.

საკაულს რომ უკახლოდებოდი, შევამჩნიე, რომ გზაში შეყ-
რილ ყველა საგანს ცხადად ვხედავდი. გამახსენდა, რომ წვლან ღონ
ხუანიც ცხადად წარმოიადგა, თუმცა სულ ცოტა ხნით ადრე მისი
სხეულის მონახულობასაც კი ძლივს ვარჩევდი. შორეთს გავხედე და
ხეობის საპირისპირო მხარის დანახვაც შევეცდი. ცალკეულ კვამბ-
საც კი იქ სრულიად მკაფიოდ ვარჩევდი. ვიფიქრე, რომ, ალბათ,
უკვე თინდებოდა, მაგრამ შესაძლოა, დროის შეგრძნება დამაკარგოდა.
საათს შევხედე. თორმეტის ათი წუთი იყო! შევამოწმე, მუშაობდა თუ
არა, — საათი წესრიგში აღმოჩნდა. შეუძლებელია, შუადღე ყო-
ფილიყო. ესე იგი იყო შუადღე! წყალთან ჩარბენა და მერე ისევ
კლდეზე დაბრუნება დავაპირე, მაგრამ ჩემსკენ მომავალი ღონ ხუანი

დაეინახე და მას დაეულოდე. ვუთხარი, რომ სიბნელეში ვუვადედი. მან დიდხანს ხმის ამოუღებლად მიყურა; რომც ეთქვა რამე — არ მსმენია, ჩემი ყურადღება სიბნელეში ხედვის ახალ უნიკალურ უნარზე იყო მიჯაჭვული. უქმინდესი ქვიშის მარცვლების გარჩევა შემეძლო. დრო და დრო ჩემს ირგვლივ ისეთი სიცხადე ბატონობდა, რომ იფიქრებდი, დილის ან საღამოს ბინდი ჩამოწოლილიყო. მერე ჩამობნელდა, მერე ისევ განათდა. მალე მივხედი, რომ სიცხადე ჩემი გულის დიასტოლას ემთხვეოდა, ხოლო სიბნელე — სისტოლას. ქვეყანა ნათლებოდა, ბნელდებოდა და კვლავ ნათლებოდა, ჩემი გულის ცემას აყოლიდა.

მთლიანად ამ აღმოჩენის შესწავლას მივეცი და უცერად ისევ ის უცნაური ხმა ამომესმა. კუნთები დამეძაბა.

— ანტუკალი (ეს სიტყვა ამჯერად ასე გავიგონე) აქ არის. — თუკა ღონ ხუანმა. ხმა იმდენად მჭკნარე მომეჩვენა, იმდენად ყოველსინათმითქმელი, რომ სხვა ყველაფერმა მნიშვნელობა დაკარგა. როდესაც ღრიალი შეწყდა, აღმოვაჩინე, რომ წყალმა იმატა. ნაკვალული, რომელიც ხულ რაღაც წამების წინ ხელის გულის სივანიხა იყო, ისე გაფართოვდა, რომ უზარმაზარ ტბად გადაიქცა. სინათლე, რომელიც, როგორც ჩანს, ზემოდან იფრქვეოდა, ზედაპირს ასხლტუბოდა და ხშირი ფოთლების გამჭოლ ბრწყინავდა. დრო და დრო წყალი წამით ოქროსფერად და შავად გამოანათებდა, მერე კი კვლავ ბნელი და უსინათლო რჩებოდა, თითქმის უჩინარი და მაინც უცნაურად იქ მყოფი.

არ მახსოვს, რამდენ ხანს ვიდექი იქ. შავი ტბის ნაპირას; უბრალოდ ვუცქერდი გაცოცხლებული. იმ დროისათვის ღრიალი, როგორც სჩანს, შეწყდარა იმიტომ, რომ შიშის მოძვერული გუშუნის ახალმა აღმოსკდომამ უკან მომიხროლა (რეალობაში?). მივთვალე, მუიხედე, ღონ ხუანს ვეძებდი. დაეინახე, როგორ აცოცხდა იგი კვლავზე და მიეფარა მას. უცნაურია, მაგრამ სიმარტოვის გრძინა სრულიად არ მაწუხებდა; ჩავცუქციდი საკუთარი თავის სრული რწმუნისა და განწყებულობის შეგრძნებით ღრიალი ისევ მოისმა, იგი ძალზე ინტენსიური იყო, უძლიერესი ქარის ხმაურის მსგავსი. მთელი ძალით ვცდილობდი მიყურადებას და გარკვეული მულოდია გაეარჩიე. იგი ბანის დოლის თანხლებით აღამიანის ხმის მაგვარი მაღალი ხმებისაგან შედგებოდა. მთელი ყურადღება მელოდაზე გა-

ვამახვილე და კვლავ შეკამჩნიე, რომ ჩემი გულის სისტოლა და დიასტოლა დოლის ხმასა და მელოდიას ემთხვეოდა.

აუდექი და მუსიკა შეწყდა. ვცადე გულის რიტმის გარჩევა, მაგრამ ვერაფერი გამოვიდა. კვლავ ჩავცუქციდი იმ ვარაუდით, რომ შესაძლოა ხმოვანება სხეულის ასეთ მდგომარეობაში წარმოიქმნებოდა. მაგრამ არაფერი მომხდარა. ჩამირუმი არ იშმოდა! ერთი გული გაბაკუნებაც კი! გადაეწყვიტე, რომ მყოფოდა, მაგრამ წასასვლელად რომ წამოვდექი, მიწის რხევა ვიგრძენი. ჩემს ფეხქვეშ ნიადაგი იძროდა. წონასწორობას ვკარგავდი. ზურგზე დავეცი და ამ მდგომარეობაში ვრჩებოდი მთელი იმ დროის განმავლობაში, სანამ მიწა ძლიერად ირხეოდა. შევეცადე, კლდისთვის ან ბუჩქისთვის ჩამეჭიდა ხელი, მაგრამ ჩემს ქვეშ რაღაც დაეცურდა. წამოვდექი, წამით თავი შევიკავე და ისევ დავეცი. მიწა, რომელზედაც მე ვიდექი, მოძრაობდა, ტოვფით წყალში ცურავდა. უძრავად დავრჩი; შიშმა შემიპყრო, რომელიც ისივლ როგორც ყველაფერი დანარჩენი უნიკალური, უწყვეტი და აბსოლუტური იყო.

შავი ტბის ზედაპირზე რაღაც მიწის მორის მაგვარ ერთ ბლუჯა ნიადაგზე მიეცურავდა. დინება თითქოს სამხრეთსაკენ მიმაქნებდა. ვუვადედი როგორ ირხეოდა და ჩქეუდა ჩემს ირგვლივ წყალი. იგი ცოვი და შესახებად უცნაურად მძიმე ჩანდა. მე იგი ცოცხალი შევუვებოდა.

ვერც ნაპირს და ვერც სხვა რამე ვოიენტრის ვერ ვარჩევდი და არც მოგზაურობის დროს მოსული აზრები და განცდილი გრძნობები მახსოვს. ხანგრძლივი, როგორც მომეჩვენა, საათობით ნუარდის შემდეგ ჩემმა ტოვმა სწორი კუთხით მარცხნივ, აღმოსავლეთისკენ გაუხვია. მან კიდევ რამდენიმე ხანს ისრაალა წყლის ზედაპირზე და უცებ რაღაცას შეეჩხა. ინერტიამ მიწ გადამისროლა. თვალები დეუხუჯე და მიწაზე დაეცემისაკენ წაიღებდა და წინ განვდილ ხელეში მწვავე ტყავილი ვიგრძენი. იმ წამზე თვალები გავხილე და დაეინახე, რომ მიწაზე ვიწექი. ჩემი მიწის მორი თითქოს ნიადაგს შერწყმოდა. წამოვდექი და მიმოვიხედე. წყალი უკაიქცა! იგი უკან იხვედა, როგორც მიქცივის ტალღა, სანამ სრულიად არ გაქრა.

დიდხანს ვიჯექი; აზრების წასრივში მუჯუნანს და გადამხდარის ერთ შეკავშირებულ მთლიანად შეკვრას ვცდილობდი. მთელ სხეულს

მტყნა, ყელი ღია ჭრილობას ჰკავდა. ტუჩზე ვიკბინე, „მინაზე რომ დავუშვი“. აუღეკი. ქარმა მაგრძობინა, რომ მციოდა. ტანისამოსი დამსველებოდა. ხელები, მუხლები და ყბები ისე მაგრად მიკანკალებდა, რომ ისევე დაწოლა მომიხდა. ოთღი თვალებში ჩამდიოდა და ისე მწყვედა, რომ ტკივილისაგან აუღრიალდი.

რამდენიმე ხანში ცოტათი შეფქელი შინაგანი წონასწორობის აღდგენა და წამოდექი. ბნელ ბინდში არეპარე უაღრესად ცხადად შოჩანდა. ორიოდე ნაბიჯი გადავდგი. უეცრად მკაფიოდ მომესმა ხანძის ხმა. თითქოს ხმაშიღა ლაპარაკობდნენ. ხმაზე წავედი. ორმოცდაათ იარდამდე გავიარე, როცა უცბად გაჩერება მომიხდა. ჩიხში აღმოვჩნდი. ადგილი — უზარმაზარი რიყის ქვებით შემოვლუბულ ბაკს წარმოადგენდა. უკან რიყის ქვის კედლე ერთი წვება მოჩანდა, შემდეგ კედლე და კედლე, სანამ უკანასკნელი ციცაბო კლდეში არ გადავიდოდა. საიდანღაც ამ ქვებიდან საოცარი მუსიკა მოისმოდა. დენადი, უწყვეტი, ყურისთვის სასიამოვნო ხმათა ნაკადი. ერთი ქვის ძირას მინაზე დამჯდარი ადამიანი დავინახე, ჩემსკენ თითქმის პრიფილით მიბრუნებული. მასთან წავედი და ასე დაახლოებით ათი ფუტის მოშორებით გავჩერდი; მან თავი მოაბრუნა და შემომხედა. ადგილზე გავშეშდი, მისი თვალები სწორედ იმ წყალს წარმოადგენდა, მე რომ ახლახან ვნახე! მათ ისევ ის უსახვლო სიღრმე ახასიათებდა, იგივე ოქროსფერი და შუბი ბრწყინებულება. კაცს მარცხეთა თავი თავი ჰქონდა, ხოლო კანი — უთვალავ მწვანე ნაყვავილეს გადაეჭრებინა. წაწვეტებული ფორმის გამოკლებით თავი ზუსტად პეიოტის ზედაპირს იმეორებდა. მის წინ ვიდექი და თვალს ვერ ვამორებდი. ვგრძობდი, რომ განგებ მაწყებოდა გულმკერდზე თავის თვალეების სიმძიმით. სული შემქნუთა და წონასწორობა დაკარგული მინაზე დავენარცხე. მან თვალები ჩემგან მიაბრუნა. იგი მელაპარაკებოდა. დასაწყისში მისი ხმა ქარის სუსტ შრიალს ჰკავდა. შემდეგ მუსიკასავით აფერდა — როგორც ხმოვანი მქოლიდა — და მე „ვიცოდი“, რომ მქოლიდა მკითხა: „რა ვინდა?“

მის წინ მუხლებზე დავეცი და ჩემი ცხორების თხრობას მოვეყვი, მერე აუტირდი. მან კვლავ შემომხედა. მისი თვალების ზეწოლა ვიგრძენი და გავიფიქრე, რომ ეს ჩემი სიკვდილის წუთი იქნებოდა. მან მანიშნა, უფრო ახლოს მიესალუეყვი მასთან. ერთ წამს ვყოყმანობდი, სანამ წინ ნაბიჯს გადავდგამდი. ხოლო როცა მიუახ-

ლოვდი, მან თვალი ამპირდა და მტკუნის ზედაპირი მაჩვენა. მქოლიდა მითხრა: „უყურე“. ხელისგულზე მრგვალი ნახვრეტი იყო. „უყურე“, — კვლავ მომიხმო მქოლიდა. ნახვრეტში ჩავიხედე და ჩემი თავი დავინახე. ძალიან მოხუცი და სუსტი ვიყავი, მოკუტული გავგრბოდი; ჩემს ირგვლივ ყველგან კაჟკაჟა ნაპერწკლები იფრქვეოდა. სამი ნაპერწკალი მომხვდა, ორი — თავში, ხოლო ერთი მარცხენა ბეჭში. ჩემი სხეული ნახვრეტში წამით გაშეშდა, შემდეგ სრულიად ვერტიკალურად აღიმართა და ბოლოს ნახვრეტთან ერთად გაქრა.

მესკალიტომ კვლავ მოაბრუნა ჩემსკენ თვალები. ისე ახლოს იდგა, რომ „გავივონე“, როგორ გრუნუნებდნენ რბილად თვალები იმ განსაკუთრებული ხმით, რომელიც იმ დამით არავითხელ მსმენია. თვალები ნელ-ნელა წყნარდებოდა, სანამ ოქროსფერი და შუბი ნაპერწკლებით მოციმციმე წყნარ ტტებს არ დაეხვავსენ.

მან ისევე ამპირდა თვალი და შემდეგ უეცრად, კალისავით თითქმის ორმოცდაათ იარდზე გადახტა. ის დახტოდა კვლავ და კვლავ სანამ საბოლოოდ თვალს არ მიეფარა.

მერე მახსოვს, წავედი. სწორი გზის რომ გულმოდგინედ ვეცილობდი ადგილის დამახასიათებელი ისეთი ნიშნების ამოცნობას, როგორიცაა მაგალითად, შორეული მთები. მთელი თავგადასავლის განმავლობაში საორიენტაციო წერტილები არ მქონია, მაგრამ მიმანხდა, რომ ჩრდილოეთი მარცხნე უნდა ყოფილიყო. დიდხანს ვიარე ამ მიმართულებით, სანამ არ მივხვდი, რომ უკვე დღე დამდგარიყო და „ღამით ხედვის“ უნარი დამკარგვოდა. ჩემი საათი გამახსენდა და დროს დავხედე: დილის რვა საათი იყო.

საღღაც ათისთვის მივადექი კლდეს, რომელთანაც წინა დამით ვიყავი. დონ ზუანი მინაზე იწვა და როგორცა სწანს, ეძინა.

— სად იყავი? — მითხრა მან.

დაუჯექი, სული რომ მომეთქვა.

ხანგრძლივი დუმილის შემდეგ, მან მკითხა:

— ის ხე?

ჩემი თავგადასავლის თხრობას შეუვდექი სულ თავიდან, მაგრამ მან შემაწყვეტინა და თქვა, რომ მნიშვნელობა მხოლოდ ერთ რამეს ჰქონდა — ვნახე ის, თუ არა. მკითხა, რამდენად ახლოს იდგა ჩემგან მესკალიტო. უუპასუხე, რომ თითქმის შევეჭე მას.

მონათხრობის ამ ნაწილმა დაინტერესა. ყურადღებით, შენიშე-

ნების გარეშე მოისმინა ყველა დეტალი და თბრობაში მხოლოდ ჩემს მიერ ნანახი არსების ფორმის, პოზის, მოძრაობების და სხვა ამგვარი დეტალის დასახრუსტებლად ეწეოდა. უკვე შუადღე იქნებოდა, როცა დონ ხუანმა, როგორც სწანს, იკმარა ჩემი ნაამბობი. ის ადგა და გულზე ტილოს ტომარა შემაბა. მიბრძანა, მას გავყოლოდი. თქვა, რომ ის შესკალიტოს მოჭრიდა და მე გადმოემცმდა, მე კი იგი ფრთხილად ჩანთაში უნდა ჩამედო.

წყალი დავლიეთ და გზას გავუდევით როდესაც ხეობის ნაპირს მივადექით, ის თითქოს შეფერმანდა წამით, რა მიმართულებით წასულიყო. მაგრამ როგორც კი მიიღო გადაწყვეტილება, ჩვენ უკვე ხელ პირდაპირ მივდიოდით.

ყოველთვის პეიოტთან მიაზღოვებისას ის იხრებოდა და კენწეროს ძალიან ფრთხილად, მოკლე დაკბილული დანით მიწის პარალელურად აჭრიდა. შემდეგ „ჭრილობას“, როგორც იგი მას უწოდებდა, ტყავის პარჭუკიდან ამოღებული გოგირდის სუფთა ფხვნილს აყრიდა. კატუსის ნაჭერს მარცხენა ხელით იღებდა, ხოლო გადანაჭერს მარჯვენაით ფხვნილს აყრიდა. შემდეგ დგებოდა და ნაჭერს მე მაწვდიდა, მე კი, როგორც მან მიბრძანა, მას ორივე ხელით ვიღებდი და ტომარაში ვდებდი.

— გასწორდი და ტომარა მიწას, ბუჩქებს ან სხვა რაიმეს არ შეახო. — რამდენიმეჯერ გამიმეორა მან, თითქოს შიშობდა, არ დამეწვეებოდა.

65 ნაჭერი შევაგროვეთ. როცა ტომარა აივსო, დონ ხუანმა იგი ზურგზე გადამატანინა, ხოლო გულზე ახალი ტომარა დამკიდა. იმ დროისათვის, როცა ხეობა ჩავათავეთ, ორივე ტომარა უკვე საესე გვეკონდა. მათში პეიოტის 110 ნაჭერი ჩავიდა. ტომრები ისეთი მძიმე და ძირძობა გახდა, რომ ძლივს ვეზიდებოდი და სიარული მიჭირდა.

დონ ხუანმა ჩამწურწულა, რომ ტომრები იმიტომ იყო ასე მძიმე, რომ შესკალიტოს მიწაზე დაბრუნება უნდოდა. მან თქვა, რომ შესკალიტოს საკუთარი ადგილების დარღვევის დარდი ამძიმებდა. ჩემი მთავარი ამოცანა კი იყო — არ მიმეცა ტომრებისთვის მიწასთან შეჭების საშუალება, რადგან ამ შემთხვევაში შესკალიტო თავის ხელახლა აღების უფლებას ადარ მომცემდა.

რომელიღაც მომენტში მხრებზე თასების დაწოლა აუტანელი

შეიქნა. რაღაცა საშინელი ძალით ქვემოთ მეზიდებოდა. ძლიერი შეშფოთება ვიგრძენი. ჩემთვის აღვნიშნე, რომ ნაბიჯს აუჭქარე, თითქმის გავრბოდი და ბოლოს უკვე ძუნძულით მივსდევდი დონ ხუანს.

უცერად სიძიმის გრძნობა ზურგსა და გულზე გამიქრა, ტვირთი დამატდა. თითქოს ტომრებში ღრუბელი ყოფილიყო. თავისუფლად მივრბოდი, წინ მიმავალ დონ ხუანს რომ არ ჩამოვრჩიოდი. უსთხარი, რომ სიძიმეს ადარ ვგრძნობდი. მან ამხსნა, რომ ჩვენ შესკალიტოს სამფლობელოებს გავცდნობოდი.

1962 წლის 3 ივლისი, სამშაბათი

— უნდა ვიფიქროთ, რომ შესკალიტომ თითქმის მივიღო, — თქვა დონ ხუანმა.

— რატომ ამბობ, თითქმის მივიღო?

— მან არ მოგკლა და არც რაიმე ზიანი მივაყენა. კეთილად შეგამინა და არა საზიანოდ. თუ არა და, გაცოფებული ურჩხულის სახით მოგველინებოდა. ზოგმა აღამიანმა საკუთარ თავზე იგემა, რას ნიშნავს ნამდვილი შიში, როცა მას შეხვდა და თვალში არ მოუვიდა.

— თუ ასე საშინელი იყო, რატომ მანამდე არ მიითხარი, სანამ ველზე წამიყვანდი?

— შენ ის ვაჟაკობა არ გაგაჩნია, მას რომ საკუთარი ნებით დაუწყო ძებნა. ვითყრე, ასე აჯობებდა — წინასწარ რომ არ გამეფრთხილებინე.

— კი მაგრამ, დონ ხუან, ხომ შეიძლებოდა მოემკვდარიყავი!

— კი შეიძლებოდა, მაგრამ მე დარწმუნებული ვიყავი, რომ შენთვის ყველაფერი კეთილად ჩაივლიდა. ის გეთამაშა ერთხელ. არ გავნო და ჩავთავაყე, რომ ამჯერადაც დაგინდობდა.

ვკითხე, მართლა თუ ფიქრობდა იმას, რომ შესკალიტო მითანაგრძნობდა. განცდილი ახლაც მაშინებდა; კარგად მესმოდა, რომ შიშს კინაღამ გადავწყვი.

მისი აზრით, შესკალიტო ძალზე კეთილად მომეპყრო — მანგენა სურათი, რომლითაც ჩემს კითხვას პასუხი გასცა. დონ ხუანმა თქვა, რომ შესკალიტომ გაკვეთილი მომცა. მაშინ ვკითხე, რა

გაკეთილი იყო ეს და რას ნიშნავდა. ასეთ კითხვაზე პასუხს ვერ გასცემდი, თქვა მან, ვინაიდან მე ძალზე შეშინებული ვიყავი იმისათვის, რომ „ზუსტად“ მცოდნოდა, რას ვეკითხებოდი მესკალიტოს.

ღონ ხუანი, როგორც სჩანს, არ დაინტერესდა ამ თემის გაგრძელებით. მაშინ ვკითხე:

— შეგიძლია იმ სიმღერის სიტყვები მასწავლო, შენ რომ მღეროდი?

— არა, არ შემიძლია. ეს ჩემი საკუთარი სიტყვებია, სიტყვები, რომლებიც მე თვით დამცველმა შემასწავლა. ეს სიმღერები — ჩემი სიმღერებია. ვერაფერი გეტყვი ამის შესახებ.

— რატომ ვერ მეტყვი, ღონ ხუან?

— იმიტომ, რომ ეს სიმღერები — შემართებული რგოლია ჩემსა და დამცველს შორის. დარწმუნებული ვარ, რომ როდესმე ის შენს საკუთარ სიმღერებს შეგასწავლის. მანამდე კი მოიცადე. არასოდეს, საერთოდ არასოდეს არ გაიმეორო სიმღერა, რომელიც სხვა ადამიანს ეკუთვნის და ნურც იკითხავ მათ შესახებ.

— და ის რა სახელი ასხენე, შეგიძლია მითხრა?

— არა. მისი სახელი ხმამაღლა არასოდეს არ უნდა წარმოთქვა. მხოლოდ მის დასაძახებლად.

— და მე რომ მომინდეს მისი მოხმობა?

— თუ მან როდესმე მიგიღო, თვითონ გეტყვის თავის სახელს, ეს სახელი მხოლოდ შენი იქნება. ხმამაღლა დასაძახებლად ან გულში წარმოსათქმელად. მან შეიძლება გითხრას, რომ მისი სახელი — ხოსეა. ვინ იცის?

— რატომ არ შეიძლება მასზე საუბრისას მისი სახელის წარმოთქმა?

— ზომ ნახე მისი თვალები? დამცველთან არ ღირს კეკლუცი ან თავის მოსულებება. აი, რატომაც არ შემიძლია უყურადღებოდ დეტეოო ის გარემოება, რომ ის შენ გეთამაშა.

— სადაური დამცველია ის, თუ ზოგიერთ ადამიანს ზიანს აყენებს?

— ძალიანაც ჩვეულებრივი. მესკალიტო დამცველია იმიტომ, რომ ის მისაწვდომია ყველასათვის, ვინც კი მას ეძებს.

— კი მაგრამ, მართალი არაა, რომ ყველაფერი რაც კი არსებობს ქვეყანაზე, ყველა მაძიებლისათვისაა მისაწვდომი?

— არა, ეს ასე არის; მოკავშირეს ძალა მხოლოდ ბრუნოსათვის არის მისაწვდომი, ხოლო მესკალიტო ნებისმიერს შეუძლია მოსინჯოს.

— კი მაგრამ, რატომ აუნებს ზოგიერთებს?

— ყველას როდი უყვარს მესკალიტო და, მიუხედავად ამისა, ისინი მას ეძებენ, რაიმეს გამოიჩინონ იმედით, შრომის დაუხარჯავად. ბუნებრივია, მათი შეხვედრა მასთან ყოველთვის საზარელია.

— რა ხდება, როდესაც ის ვისმეს საცხებით მიიღებს?

— ის მას ადამიანის ან სინათლის სახით ეცხადება. თუ ვინმემ ამას მიაღწია, მესკალიტო მისთვის მუდმივ სახეს იძენს და ამის შემდეგ აღარასოდეს იცვლება. შემდეგ შეხვედრისას ის შეიძლება სინათლედ გვახლოს, საფრენდაც გაგიწვიოს და ყველა თავისი საიდუმლო გაგიხსნას.

— რა უნდა გაუკეთო, ამას რომ მივაღწიო, ღონ ხუან?

— უნდა იყო ძლიერი ადამიანი და მართლდ ცხოვრებას ქეოდე.

— რას ჰქვია მართალი ცხოვრება?

— როცა მას მოფიქრებით ეყვრობი, კარგი, ძლიერი ცხოვრება.

5

ღრო და ღრო ღონ ხუანი, ისე სხვათა შორის, მეკითხებოდა ჩემი ლემის მცენარის მდგომარეობის შესახებ. ერთ წელიწადში, რომელიც ფესვის გადარგვის დღიდან გასულიყო, მცენარე დიდ ბუჩქად გადაიქცა, თესლიც გამოიღო და სათესლე კოლოფიც გაუხმა. ღონ ხუანმა გადაწყვიტა, რომ დაღდა ღრო, მეტი გამეგო უშმაკის ბალახის შესახებ.

1963 წლის 27 იანვარი, კვირა

ღღეს ღონ ხუანმა წინასწარი ინფორმაცია გამიზიარა ლემის ფესვის „მეორე პორციის“ — ტრადიციული მოძღვრების მეორე ნაბიჯის — შესახებ. მან თქვა, რომ ფესვის მეორე პორცია მოძღვრების ნამდვილი დასაწყისი იყო; მასთან შედარებით, პირველი პორ-

ცია ბეშეთა თამაშს უფრო წაგაყვდა. მეორე პორცია სრულყოფილად უნდა აგეთვისა. იგი ორჯერ ძინდა უნდა მიგელო, ხანამ შესაძენაწილზე გადახვიდოდი.

კვითხე:

— რას იძლევა მეორე პორცია?

— ეშმაკის ბალახის მეორე პორცია ზედვისათვის გამოიყენება. მისი საშუალებით ადამიანს შეუძლია ჰაერში იფრინოს და დაინახოს, რა ხდება ნებისმიერ ადგილას, სადაც კი მოისურვებს.

— ნუთუ ადამიანს მართლაც შეუძლია ჰაერში იფრინა, დონ ხუან?

— რატომაც არა? როგორც ადრე უკვე ვთხარი, ეშმაკის ბალახი განკუთვნილია მათთვის, ვინც ძალას ეძებს. ადამიანს, რომელმაც მეორე პორცია აითვისა, შეუძლია ეშმაკის ბალახის შემკვებით წარმოუდგენელი რამ აკეთოს მღერ ძალის მოსაპოვებლად.

— რა რამეზვა ღაპარაკია, დონ ხუან?

— ვერ გეტყვი — ყოველი ადამიანი განსხვავდება სხვისგან.

1963 წლის 18 იანვარი, ორშაბათი

დონ ხაუნმა მითხრა:

— თუ მეორე ეტაპს წარმატებით დაასრულებ, შენთვის კიდევ მხოლოდ ერთი რეკენებას შეგძლება. ეშმაკის ბალახს რომ ვსწავლობდი მიუხედი, რომ ის საჩემო არ იყო და მის გზას უფრო შორს აღარ გავყვები.

— რამ გაიძულა უკან დახევა, დონ ხუან?

— ყოველთვის, როცა ეშმაკის ბალახის გამოყენებას ვცდილობდი, მას თითქმის სიკვდილის პირას მიყვავდი. ერთხელ ისე ცუდად გავხდი, რომ ვიფიქრე, გათავებულია ჩემი საქმე. მაინც შევეძლია ვყოფა ამ უბედურებისგან თავის დახსნა.

— როგორ? უბედურების აცილების საშუალებაც არსებობს?

— ხო, ასეთი საშუალება არსებობს.

— ეს რა, რაიმე შესალოცი, რიტუალი ან სხვა რამაა?

— ეს საქმის წამოწყების საშუალებაა. მაგალითად, როცა ეშმაკის ბალახს ვსწავლობდი, ძალიან ფიცხი ვიყავი. ცოდნას ვეტანებოდი, როგორც ბავშვი კანფეტს. ეშმაკის ბალახი კი — მხოლოდ ერთი გზაა, მილიონიდან. ამ ქვეყნად ხომ სხვა დანარჩენი გზაც —

მხოლოდ ერთს წარმოადგენს, შესაძლებელი მილიონიდან (un camino entre cantidades de caminos). ამიტომ ყოველთვის გახსოვდეს, რომ გზა — მხოლოდ გზაა. თუ იგრძნობ, რომ ამ გზაზე არ უნდა დამდგარიყავი, მასზე არავითარ შემთხვევაში არ დარჩე. ასეთ სიცხადეს რომ მიადწიო, დისციპლინირებულ ცხოვრებას უნდა ქნოდე. მხოლოდ ამ შემთხვევაში მიხვდები, რომ ნებისმიერი გზა მხოლოდ და მხოლოდ გზაა და არც შენთვის და არც სხვისთვის არაფერია საძრახისი იმაში, შენ რომ ის დატოვო — თუ კი ამას გული გაკარნახობს. მაგრამ გზაზე დარჩენის ან მისი დატოვების გადაწყვეტილება შენსა და ამბიციის გაურეშ უნდა მიიღო. გაფრთხილებ ამის შესახებ. ნებისმიერ გზას ყურადღებითა და მოფიქრებით მიუდევე. იმდენჯერ გამოცადე იგი, რამდენჯერაც საჭიროდ ჩათვლი. საკითხი იმდენად სერიოზულია, რომ მას მხოლოდ დრმა მოხუცები უსვამენ საკუთარ თავს. ერთხელ — მაშინ ძალიან ახალგაზრდა ვიყავი — ჩემმა ბენეფაქტორმა მითხრა ამის შესახებ, მაგრამ ნამეტანი ცხელი ხისხლი მქონდა, ამაში რომ გავრკეულიყავი. ეხლა კი მესმის და გეტყვი, რაშიცაა საქმე — იმაში: აქვს თუ არა ამ გზას გული? ყველა გზა ერთნაირია — სუყველას არსაით მიჰყვარა იხინი ან გამჭოლ არსში აღწევენ, ან მას გვერდს უვლიან. შემოძლია ეთქვა, რომ სიცოცხლის მანძილზე გრძელზე-გრძელი გზები გაუიარე, მაგრამ არსად შეჩერებულვარ. ბენეფაქტორის შეკითხვამ ჩემთვის ახლა არბი შეიძინა. გააჩნია თუ არა ამ გზას გული? თუ გააჩნია — მაშინ ეს გზა კარგია. თუ არა და — მისგან ნუაფერ ხეირს ნუ ელი. ორვე გზას არსაით მიყვარა, მაგრამ ერთს გული გააჩნია, მეორეს კი — არა. ერთი გზა მოგზაურობას სიხარულს ანიჭებს — მთელი იმ დროის მანძილზე, სანამ მასზე დგახარ, მასთან ერთ მილიანს წარმოადგენ. მეორე გზა კი საკუთარ სიცოცხლეს დაგაწყვევლინებს. ერთი ძალას განიჭებს, მეორე კი — გართმევს.

1963 წლის 21 აპრილი, კვირა

საშაბათს, 16 აპრილს, დღისით დონ ხუანთან ერთად ბორცვებისაკენ გავემართეთ, იმ ადგილისკენ, სადაც მისი ღუმის მცენარეები ხარობდა. მან მითხრა, იქ მარტო დამეტრეა და მანქანაში დავილოდებოდი. იგი თითქმის სამი საათის შემდეგ დაბრუნდა წითელი

ტილოთი გადაფარებული ხვეული ხელში. როდესაც უკან სახლისკენ გავსეთ, მან ხვეულზე მანძინა და მითხრა, რომ ეს მისი უკანასკნელი ძველი იყო ჩემთვის.

კვითზე, ხომ არ აპირებდა ჩემი სწავლების შეწყვეტას. მან განმიმარტა, რომ ეტლა უკვე მე თვითონ მქონდა საკმაოდ მოწიფებული მცენარე და მისი მცენარეები აღარ მჭირდებოდა.

დღის ბოლოს მის ოთახში დავსხვიდი დონ ხუანმა კარგად გამოთლილი ქვის როდინი და ქვასანაყი მოიტანა. როდინის სათაუხის დიამეტრი დაახლოებით ხუთი დუიმი იქნებოდა. მან გახსნა პატარა ხვეულებით ავსებული დიდი შეკვრა. მათში ორი შუარჩია და ჩემს გვერდით ჩაღის ჭილობზე დადო; შემდეგ მათ მისივე მოტანილი სხვა შეკვრიდან იმავე ზომის კიდევ ოთხი ხვეული მიუმატა. მან თქვა, რომ ეს თესლი იყო, და მე ის წმინდა ფხვნილად უნდა შექცია. გახსნა პირველი ხვეული და შიგთავსის ნაწილი როდინში ჩაყარა. თესლი ხმელი იყო, მორგაკლო და ყვითელი კარამელის ფერისა.

ქვასანაყი ავიღე და საქმეს შეუდექი; ცოტა ხნის შემდეგ, მან შემისწორა: მითხრა, რომ ქვასანაყი ჯერ როდინის ერთ მხარეს უნდა მიმეტჯინა და შემდეგ, ფსკერის გულის, მეორე მხარეს გადაეტანა. ვკითხე, როგორ აპირებდა ფხვნილის გამოყენებას. მაგრამ მან ამის შესახებ საუბარი არ ისურვა.

თესლის პირველი წყება ძალზე მყარი გამოდგა. მის დასაფუკავად ოთხი საათი დამჭირდა. წელში მტეხდა იმ მოუხერხებელი მღვთაშრობის გამო, რომელშიც მასწავლა ჯდომა. დავწევი და დამინებაც დაეპირე, მაგრამ დონ ხუანმა შემდეგი ტომარა გახსნა და მისი შიგთავსის ნაწილი როდინში ჩაყარა. ეს თესლი, წინასთან შედარებით, უფრო მუქი და მწვეტებული იყო. ტომარის შიგთავსის დარჩენილი ნაწილი ძალიან წვრილ მრგვალ და მუქ გრანულებისაგან შემდგარ ფხვნილს წააგუდა.

მომშოვდა, მაგრამ დონ ხუანმა თქვა, რომ სწავლას თუ ვაპირებდი, წესებიც უნდა დამეცვა, ხოლო წესით მეორე პორციის სადღუმელობათა შესწავლისას მე მხოლოდ ცოტაოდენი წყლის დალევა შემეძლო.

მესამე პარტუკაში ერთი მუჭა ცოცხალი თესლის ხოჭო იყო. ხოლო ბოლოში ნედლი თეთრი თესლი, ძალიან რბილი და ბოჭკო-

ვანი, რომლის თხელ პასტად დასრესა — როგორც ამას დონ ხუანი მოითხოვდა — ძალზე გამიჭირდა. როდესაც ოთხი ტომარის შიგთავსის დაფშვნას მოვრჩი, დონ ხუანმა ორი ფინჯანი მომწვანო წყალი გადაზომა, თიხის ქთანში ჩაასხა და ცეცხლზე შედგა. როცა წყალი ადუღდა, მან შიგ დაფშენილი თესლის პირველი გროვა ჩაყარა და თავისი ჩანთიდან ამოღებული ხის თუ ძვლის გრძელი, წვეტიანი ჯოხით მორევას შეუდგა. როგორც კი წყალმა კვლავ დაიწყო დუღილი, მან, იმავე თადარიგის დაცვით, ერთი მეორეს მიყოლებით დანარჩენი ნივთიერებებიც შიგ ჩაუშვა. შემდეგ მომწვანო წყლის კიდევ ერთი ფინჯანი დაუმატა და ნარევი პატარა ცეცხლზე ორთქელას მისცა.

ამის შემდეგ მან მითხრა, რომ ფესვის დანაწევრების დრო დადგა. თან წამოძვანილი ტომრიდან მან ფრთხილად ლემის ფესვის გრძელი ნაჭერი ამოიღო. ფესვის სიგრძე დაახლოებით თექვსმეტი დუიმი იქნებოდა. იგი მსხვილი იყო — ერთ დუიმიამდე დამატარში. დონ ხუანმა თქვა, რომ სწორედ ეს იყო მეორე პორცია, რომ იგი კვლავ მან თვითონ გადაზომა, რადგან ის ჯერ კვლავაც მისი ფესვი იყო და დაუმატა, რომ შემდეგში ეშმაკის ბალახის გამოცდისას მე თვითონ მომიხდებოდა უკვე ჩემი საკუთარი ფესვის გადართობა.

მან ჩემკენ დიდი როდინი მოწია და მე ფესვის ნაყვას შეუდექი. იმავე მიმდევრობით, რომელსაც იგი პირველი პორციის დაშვადებისას იცავდა. ის კვლავ ხელმძღვანელობდა ჩემს მოქმედებას. დანაყვანილი და წყალში დასახლებად ჩადებული ფესვი კვლავ დამის პაერზე გავდგით. ამასობაში ადუღებული ნარევი თიხის ქთანში შესქედდა. დონ ხუანმა ქთანის ცეცხლიდან გადმოდგა, ბადურაში ჩადგა და შუაგულ ოთახში ჭურზე ჩამოვიდა.

17 აპრილს, დაახლოებით დილის რვა საათზე, დავიწყეთ ფესვის ექსტრაქტის წყლით „გამორეცხვა“. ნათელი, მზიანი დღე იდგა. კარგი ამინდი დონ ხუანმა იმის ნიშნად მიიჩნია, რომ ეშმაკის ბალახს მოვწონდი. მან თქვა, რომ ჩემთან მას სადარდებელი მხოლოდ ისღა დარჩენოდა, რომ მის მიმართ ლემამ ასეთი სისასტიკე გამოიჩინა.

ფესვის ექსტრაქტის გამორეცხვის პროცედურა ისეთივე აღმოჩნდა, როგორიც პირველი პორციის დაშვადებისას ვიხილე. დღის ბოლოსათვის, მას შემდეგ, რაც ზედა წყალი მერევე გადაუახსიო,

ფინჯანის ფსკერზე მდებარე ერთი კოეზი რაღაც მოყვითალო სუბსტანციისა.

ღონ ხუანის ოთხში დაბრუნდით, სადაც კიდევ ორი პარჭუკა რჩებოდა, რომელთაც ის ჯერ არ გაკაკარებია. მან გახსნა ერთ-ერთი, შიგ ხელი ჩაყო და მეორე ხელით პარჭუკას თავი მაჯაზე შემოიხვია. ხელის მოძრაობის მიხედვით, იგი პარჭუკაში თითქოს რაღაცის დაჭერას ცდილობდა. უცებ, სწრაფი მოძრაობით, მან ტომარა ხელიდან ჩამოიხაზა, ხელთათმანით ამოატრიალა და ხელი პირაპირ ჩემს სახესთან მიიტანა. ხელში ხელივი ეჭირა. მანძილი ხელიკის თავსა და ჩემს თვალებს შორის სულ რამდენიმე დიუმი იქნებოდა. რაღაც უცნაური რამ სჭირდა მის პირს. წამით დავაკვირდი და როცა მივხვდი, რაშიც იყო საქმე, უნებლოე უკან დავიხიე. ხელიკს უხეშად გაკერილი პირი ჰქონდა. ღონ ხუანმა მიბრძანა, ხელიკი მარცხენა ხელით დამეჭირა. ხელი ჩავგულე. იკლანებოდა. ზიზზმა შემბერო, გულის ჭიდილი ვიგრძენი. ხელები უცბად ოფლით დაშვევარა.

მან უკანასკნელი პარჭუკა აიღო, იგივე მოძრაობები გაიმეორა და კიდევ ერთი ხელიკი ამოიყვანა. ისევ ჩემს სახესთან მიიტანა. დავინახე, რომ მას ქუთუთოები ჰქონდა გაკერილი. ეს ხელიკი მარჯვენა ხელში დამაჭერინა.

როცა ორივე ხელიკი ჩემს ხელში აღმოჩნდა, ღამის გული წამივიდა. ხელიკების გადაადგების და ამ ადგილიდან გაქცევის თითქმის დაულოკებელი სურვილი გამიჩნდა.

— არ გაჭვლიტო, — თქვა ღონ ხუანმა და მისმა ხმამ რეალურ ვითარებას დამაბრუნა, რაც ძალზე დროული მომეჩვენა. მან მკითხა, რაში იყო საქმე. სერიოზულობის შენარჩუნება სცადა, მაგრამ ვერ გაუძლო და სიცოლი აუტყვდა. ხელის მოდუნება დავაპირე, მაგრამ ხელის გულები ისე ძლიერ გამიოფლიანდა, რომ ხელიკებმა გახსლტომა დაიწყეს. მათი პარჭინა წვეტანა კლანჭები ხელებს მიკარავდნენ და ეს ჩემში წარმოუდგენელ ზიზზსა და გულისსჭიდილის გონიობას იწვევდა. თვალები დეხუჭუ და კბილი კბილს დევაჭირე. ერთ-ერთი ხელიკი უკვე მაჯაზე მიძვებოდა. მას მხოლოდ ჩემს თითებს შუა გაჭვდილი თავის გამოთავისუფლებად დარჩა — და იგი მთლიანად გათავისუფლდებოდა.

აუწერელ ფიზიოლოგიურ სასოწარკვეთილებას და უკიდურეს

მოუხერხებულობას განვიცდიდი. ღონ ხუანს კბილებში გეუცარი, მან წვეული არსებანი მოეცილებინა. უნებლოე თავი ამიკანკალდა. ეს ცნობიყოფარეობით შემომხედა. ახლა უკვე დათვივით ვერიალებდი და მთელი ტანი მიცახცახებდა. მან ხელიკები ისევ თავთავთან პარჭუკებში ჩაყარა და ახარხარდა. მეც მომარწვა სიცოლი, მაგრამ მას აპუცლის მოუწესრიგებლობამ შეუშალა ხელი. დავუწექი.

ღონ ხუანს აუხსენი, რომ ჩემზე ასე მათმა კლანჭების კაწვრამ იმოქმედა. მან თქვა, რომ უამრავი რამ არსებობდა, რასაც ადამიანის გადარევა შეეძლო, განსაკუთრებით კი, როცა მას სწავლებაში სიმტკიცე და მიზანდასახულობა აკლდა. ხოლო თუ ადამიანს მკაფიო და მოუდრეკილი განზრახვა ამოძრ. ალა, მაშინ საკუთარი გრძნობები მისთვის დაბრკოლებად არასოდეს არ იქცეოდა, ვინაიდან მას მათი გაკონტროლების უნარი გააჩნდა.

ღონ ხუანმა რამდენიმე ხანს დაიცადა, შემდეგ გაიმეორა რა ყველა წინა მოძრაობა, კვლავ ხელიკები შემჩაჩხა. მიბრძანა, ისინი თავებით მალა დამეჭირა, საფოქლებთან მოფერებოდი და რაიმე მკითხა, რისი გაგებაც მე მსურდა.

ჯერ ვერ მივხვდი, რა უნდოდა ჩემგან. მან კვლავ შემომთავაზა ხელიკებისთვის ნებისმიერი შეკითხვა დამეხა, რომელზეც პასუხის გაცემა მე თითონ არ შეეძლო. რამდენიმე მაგალითიც მომიყვანა: შეიძლებოდა იმ ადამიანთა შესახებ მკითხა, ვინც დიდი ხანია არ მინახავს, ანდა დაკარგული ნივთების შესახებ, ან ადგილების, სადაც არ ვყოფილვარ. მაშინ მივხვდი, რომ იგი *მკითხაობის* შესახებ ლაპარაკობდა და ძალიან აღგვეზნე. გული ამიძვებდა, ვიგრძენი, როგორ მეკვროდა სული.

მან გამაფრთხილა, რომ პირველად პირადი შეკითხვები არ მიმეცა; თქვა, რომ ჯობდა ისეთი რამ მომეფიქრა, რაც მე არ მქეზბოდა. სწრაფად და გარკვევით უნდა მეფიქრა იმიტირო, რომ მეერ ჩემი აზრების შეცვლის შესაძლებლობა არ მქნებოდა.

გაცხარებული შევეუდევი ფიქრს იმაზე, რისი გაგება მსურდა. ღონ ხუანი დაუნდობლად მარქარებდა, მე კი იმან გამოაცა, რომ ვერაფრით მომეფიქრებინა, რა „მკითხა“ ხელიკებისთვის.

გაუსაძლიესად გრძელი მოლოდინის შემდეგ თავში ერთი იდეა მომივიდა. არც ისე დიდი ხნის წინ სამკითხველო დარბაზიდან წიგნების დიდი დასტა მოიპარეს. ქურდი ვერ იპოვეს. შეკითხვა პი-

რადული არ იყო, მაგრამ მე მაინტერესებდა. იმ პირის ან პირთა თაობაზე, ვისაც წიგნების აღება შეეძლო, არანაირი წინასწარი მოსაზრებები არ მქონდა. ხელიკებს საფეთქლები დაეუხილე და ვკითხე, ვინ იყო ქურდი.

ცოტა ხნის შემდეგ, ღონ ხუნმა ხელიკები თეთვანიანთ პარტეკაში ჩასვა და თქვა, რომ ფეხსა და პასტაში დიდი არაფერი საიდუმლო არ იყო. პასტას აშხადებდნენ მიმართულების მისაღებად, ხოლო ფეხსი ნივთებს სიცხადეს ანიჭებდა. ნამდვილი საიდუმლო კი ხელიკებში იმალებოდა. სხვა სიტყვებით, ამაში იყო მეორე პორტოლი ჯადოქრობის მთელი საიდუმლო. ვკითხე, ხომ არ მიეკუთვნებოდნენ ხელიკები რაღაც განსაკუთრებულ სახეობას. მან თავი დააქნია. ისინი იმ ადგილებში უნდა დაეკვირა, სადაც “ჯადოქრობის” ბალახი ზარობდა და ხელიკები მისი მეგობრები უნდა ყოფილიყვნენ. მათთან დაშვებობებს წინ არმყივის ხანგრძლივი პერიოდი უძღოდა. მეგობრობა მტკიცე უნდა ყოფილიყო — და ამისათვის საჭირო იყო მათთვის საჭმლის მირთმევა და მეგობრული საუბრების გამართვა.

ვკითხე, რატომ იყო ასე მნიშვნელოვანი მათთან მეგობრობა. მან მიპასუხა, რომ ხელიკები თავს მხოლოდ იმას დააჭერინებდნენ, ვისაც აცნობდნენ და ვეწვლა, ვინც ეშმაკის ბალახს სერიოზულად მისდევდა, ხელიკებსაც სერიოზულად უნდა მოეყრობოდა. მან თქვა, რომ ხელიკები, როგორც წესი, იმის ძერე უნდა დაეკვირა, როცა პასტას და ფეხს დააშხადებდნენ.

ეს დღის ბოლოს უნდა გაგვეკუთვინა. თუ ხელიკებს არ დაუხელოვდებოდი, შესაძლოა, მათ ჭერაში დღეებიც კი გაგეტარებინა და მაინც ვერ დაეკვირა. ხოლო პასტა მხოლოდ ერთი დღე ინახებოდა. შემდეგ მან დაწერილებით განმმარტა, როგორ უნდა მოქცეულიყავი ხელიკების დაჭერის შემდეგ.

— როგორც კი ხელიკებს დაიჭერ, ცალკე პარტეკებში ჩასვი. შემდეგ აიყვანე პირველი და გაეხაზებრე მას. ბოლოში მოუხადე ტკივილის მიყენებისთვის და დახმარება სთხოვე. ხის ნეუსით პირი აუკერე. ამისათვის ჩოიას მცენარის ეკალი და აგეის ბოჭკო გამოიყენე. ნაკერი მჭიდროდ მოჭიბე. შემდეგ იგივე უთხარი მეორე ხელიკსაც და მას ქუთუთოები გაუკერე. ვეწვლაფერი დაღამებამდე უნდა მოასწრო. აიყვანე ხელში პირველი ხელიკი და აუხსენი, რისი

გაგებაც გსურს. სთხოვე, შენს მაგივრად წვიდეს და ნახოს; უთხარი, რატომ აუკერე პირი: რომ იჩქაროს და გზაში არავის არაფერი გაუხილოს. თავზე პასტა წაცხე და თვითონაც პასტაში ამოისკაროს, ხოლო შემდეგ მიწაზე დასვი. თუ შენთვის იღბლიან მხარეს გაიქცა, მაგა წარმატებული და ადვილი იქნება. თუ საწინააღმდეგო მხარეს, ჯადოქრობა ჩაგეშლება. თუ ხელიკი შენკენ (სამხრეთისკენ) გამოიქცა, შეგიძლია, კიდევ უფრო დიდ წარმატებას ელოდო, მაგრამ თუ კი ის შენგან (ჩრდილოეთისკენ) გაიქცა — ჯადოქრობა უკიდურესად მძელი იქნება. შესაძლოა, დაიღუპო კიდევაც. ამიტომ, თუ ხელიკი პირდაპირ შენგან გარბის — სწორედ რომ უარის თქმის დროა. ამ დროს შეგიძლია, უკან დახვევის გადაწყვიტვლება მიიღო. თუ ასე გადაწყვეტ, ხელიკებს მბრძანებლობის შესაძლებლობას დაკარგავ, მაგრამ ეს სიცოცხლის დაკარგვას მაინც ჯობია. მეორეს მხრე, შეგიძლია ჯადოქრობის გაგრძელება გადაწყვიტო, მიუხედავად გაფრთხილებისა. მაშინ, შემდეგი ნაბიჯი უნდა გადადგა: აიყვანე მეორე ხელიკი და სთხოვე მას, ღის ნაამბობს მოუსმინოს და შენ გადმოგცეს..

— კი მაგრამ, როგორ შეუძლია პირაკერილ ხელიკს ნანახის მოყოლა? პირი ხომ იმითმა აქვს აკერილი, ლაპარაკი რომ ვერ შეძლოს?

— აკერილი პირი მას არ მისცემს საშუალებას ამბავი ვინმე უცხოს უამბოს. ხალხი ამბობს, რომ ხელიკებს ყბელობა უყვართ. ყველგან ჩერდებიან საჭურაოდ. როგორც არ უნდა იყოს, შემდეგ იმ საქმედ, მას თავის უკანა მხარეს წაუსვი პასტა. შემდეგ მისი თავით მარჯვენა საფეთქელი დაიხილე ისე, რომ პასტა მუბლზე არ მოგხვდეს. სწავლების დასაწყისში ცუდი არ იქნებოდა, ხელიკი შუაწელით შენს მარჯვენა მხარეზე მიგება. მაშინ ის არც დაგეკარგება და არც დაასახირობე მას. მაგრამ სწავლებაში წინსვლისთან ერთად, როცა ეშმაკის ბალახის ძალას უკეთ გაიცნობ, ხელიკები მორჩილებას იხწავლიან და თვითონ დაეისხებიან მხარეზე. იმის შემდეგ, როგორც კი ხელიკით პასტას მარჯვენა საფეთქელზე წაისმევ, იგი ორივე ხელის თითებზე მოიცხე. პასტა ჯერ საფეთქელში ჩაიხილავ, შემდეგ თავის ორივე მხარეს წაისვი. პასტა ძალიან სწრაფად შრება, და მისი წასმა იმდენჯერ შეიძლება, რამდენჯერაც ეს საჭირო იქნება. წასმა ყოველთვის ხელიკის თავით დაიწვე და მხოლოდ შემ-

დღე გადადი თითებზე. ადრე თუ გვიან სანახაგად გაქცეული ხელიკი დაბრუნდება და მოგზაურობის შესახებ თავის ბრძა დას უამბობს, ის კი ყველაფერს შენ მოგიტხრობს, როგორც თავისიანს. ჯადოქრობას რომ დასრულებ, ხელიკი გაუშვი, მაგრამ ნუ შეუდგავსაით გაიქცევა. შიშველი ხელით ღრმა ორმო ამოთხარე და მასში ყველაფერი ჩამარხე, რითაც ისარგებლე.

საღამოს ექვსი საათისათვის ღონ ხუნამ ფეხის ექსტრატი ქოთინიდან ფიქლის ბრტყელ ნაჭერზე გადმოიღო. — ჩაის უკრებზე ნაკლები მოყვითალო სახამებელი გამოვიდა. ნახევარი ფინჯანში გადაიტანა და ცოტათიანი მოყვითალო წყალი დაუმატა. ფინჯანი ნოთიურების გასახველად ხელში დაატრიალა, შემდეგ მოაწოდა და დალევა მიბრძანა. ნარევი უგემური გამოდგა, მაგრამ პირში სიმწრის გემოს ტოვებდა. წყალ ნაშუქანი ცხელი იყო და ამან გამაღიზიანა. გულმა ძლიერად დამიწყო ცემა, მაგრამ მალე ისევ დაეწყინარდა.

ღონ ხუნამ მეორე, პასტიანი ფინჯანი აიღო. პასტის ზედაპირი გამაგრებული და მინისებრი ჩანდა. თითით ქერქის ჩამტვრევა ცვადა, მაგრამ ღონ ხუანი მომეგრდა და ხელის კვრით ფინჯანს მომაცლიდა. ძალიან გაბრაზებულიყო და თქვა, რომ ასეთი თამამი სუფთა სიგიჟე იყო ჩემი მხრიდან და, თუ მართლა სწავლა მსურდა, ასეთი უდარებლობა არ უნდა დამეშუა. — ძალაა, — თქვა მან და პასტაზე მანიშნა. — მაგრამ არაფის არ შეუძლია თქვას, რა ძალაა ეს სინამდვილეში. უკვე ისაა საკმაოდ ცუდი, რომ მას საკუთარი ძივნებისათვის ვიყენებთ, — რასაც ვერ უცდებთ, რადგან ადამიანები ვართ — მაგრამ ერთი რამ მაინც უნდა გავითვალისწინოთ — მას საკადრისი პატივისცემით მოეპყროთ. ნარევი შვრიის ფაფას წაავადდა. მასში, როგორც ჩანს, საკმაოდ იყო სახამებელი, ასეთი კონსისტენცია რომ მიეღო. ღონ ხუნამ მიბრძანა, ხელიკებიანა პარსუკები მომეტანა. პირაკრილი ხელიკი ამოიყვანა და ფრთხილად გადმოცა. იგი, როგორც ღონ ხუნამ მასწავლა, მარცხენა ხელით დაეჭირე, თითზე სულ ცოტა პასტა მოვიცხე და ხელიკს თავზე წავუხვი, შემდეგ ხელიკი ქოთინში ჩაუშვი და შიგ იმდენ ხანს გაავარე, სანამ პასტამ მთელი მისი სხეულით არ დაფარა.

ამის შემდეგ მან მიბრძანა, ხელიკი ქოთინიდან ამოიყვანა. ქოთანი აიღო და მისი სახლის მახლობლად მდებარე ერთ ქვიან ადგილ-

ზე წამოყვანა. იქ ერთ დიდ კლდეზე მანიშნა, და მიბრძანა, პირდაპირ მის წინ დაემჯდარიყო ისე, თითქოს ის ჩემი ლემის მცენარე ყოფილიყო; ხელიკი სახესთან ახლოს მიმეტანა და ხელახლა ამხსნა მისთვის, რისი გაგებაც მსურდა, ხოლო შემდეგ მეთხოვნა წასულიყო და ჩემს შეკითხვებზე პასუხი მოეძებნა. მან მირჩია, ხელიკისთვის ზოდში მომქადა შეწყუბებისათვის და სიტყვა მიმეტყა, რომ სამაგიეროდ ვველა ხელიკის მიმართ კითხვი მიმეტანო. შემდეგ მიბრძანა, ხელიკი მარცხენა ხელის შუა და არათითობთ დამეჭირა იმ ადგილთან, მან რომ ოდესღაც გამიჭრა და კლდის გარშემო ზუსტად ისე შემეკვა, როგორც ამას ეშმაკის ბალახის გადარგვის დროს ვაქობდები; მან მკითხა, მახსოვდა თუ არა ყველაფერი, რაც მაშინ გუგუქო. ვუთხარი, რომ მახსოვდა. მან ხაზი გაუსვა იმას, რომ ყველაფერი ზუსტად ისევე უნდა გამეყოფინა და თუ რამე დამევიწყებოდა, უნდა დამეცადა, სანამ თავში ყველაფერს არ გამოარკვევდი. მან ხასკასმით გამაფრთხილა, რომ აჩქარების და დაუფიქრებლობის შემთხვევაში ჩემ თავს დიდ ზიანს მთავაყენებდი. და ბოლოს, პირაკრილი ხელიკი მიწაზე უნდა დამეხვა და თვალი მედევნებინა, საით გაიქცეოდა, — ჯადოქრობის შედეგის ამოსაცნობად. მან თქვა, რომ წამითაც კი არ უნდა მომეცილებინა მისთვის თვალი იმიტომ, რომ ხელიკები ძალზე ოსტატურად აბნევენდნენ დამკვირვებლის ყურადღებას და წაშვე მიიმალეობოდნენ.

ჯერ სრულად არ დაბნელებულა. ღონ ხუნამ ცას ახედა.

— ახლა მარტო დავტოვებ, — თქვა მან და წავიდა.

შეკარულე ვველა მისი დარიგება და ხელიკი მიწაზე დავსვი. ის ადგილზე გაშუშდა. შემდეგ უცებ შემომხედა, აღმოსავლეთით ქვებისკენ გაიქცა და შიგ მიიმალა.

კლდის წინ მიწაზე დაგუქვი ისე, თითქოს ის ჩემი ლემის მცენარე ყოფილიყო. ღრმა მწუხარებამ მომიცვა. პირაკრილი ხელიკზე ვფიქრობდი. მის უცნაურ მოგზაურობაზე და იმაზე, როგორ შემომხედა მან, სანამ გაიქცეოდა. ფიქრი ჩემთვის ფატალური აღმოჩნდა, აკვიატებული პროექცია. თავისებურად, მეც უცნაურად ემოგზაურობდი. ჩემი ბედისწერა მხოლოდ იმით თუ სჯობდა ხელოვნას, რომ მე ვხედავდი, — თუმცა ვგრძობდი, რომ, ალბათ, კერასოდეს და ვერავის ნანახს ვერ მოუყვებოდი. იმ დროისათვის უკვე სრულიად დაბნელებულიყო. ჩემს წინ კლდეებს ძლიერ ვარჩევ-

დი. ღონ ხუანის სიტყვები მომაგონდა: „ბინდი — ზხარია ქვეყნებს შორის“.

ხანგრძლივი ყოყმანის შემდეგ შევუდექი დაწესებულ ქმედებათა შესრულებას. თუმცა პასტა შერის ფაფასაყით გამოიყურებოდა, იგი სულაც არ ჰგავდა მას შებებაზე. ძალზე ლიბი და ცივი იყო და მას საეცფიკური ხანი ახლდა. იგი კანს მიცემებდა და სწრაფად შრებოდა. საფეიტლები თერთმეტჯერ დავიზილე, მისი მოქმედებისა კი ვერაფერი შევაძინე. ვცდილობდი, აღქმაში ან გასწვობაში უმცირესი ცვლილებაც კი არ გამომპაროდა, რადგან მიახლოებით-იოცორი არ ვიციოდა. რა შეიძლება მოითქვამ, მე ვერა და ვერ გამეგო ჩემი მეტადინების აზრი და მისთვის რაიმე გასაღების მონახვას ვლამობდი.

პასტა გაშრა და საფეიტლები შემიკრა. კიდევ ვაპირებდი პასტის წასმას, როცა შევაძინე, რომ იაპონურად ქუსლებზე ვიჯექი. მანამდე ფეხბორთხმით ვიჯექი და ახლა ვერ მაგონდებოდა, როდის შევიცვალე მდგომარეობა. გარკვეული დრო დამჭირდა იმის გააზრებისთვის, რომ თავისებურ მაღალქონიურანი სენაკის იატაკზე ვიჯექი. ქონი თითქოს აგურით იყო ნაშენები, მაგრამ როდესაც დავეკვირდი დაინახე, რომ იგი ქვის ყოფილა.

გადასვლა გამიძნელდა. იგი ისე სწრაფად მოხდა, რომ დაკვირვებისთვის ვერ მოეწმადე. ზმანების ელემენტებს გაბნეულად აღვიქვამდი, როგორც სიზმარში. მაგრამ ისინი არ იცვლებოდნენ. შემეძლო, ნებისმიერი მათგანი გამომეყო და საფუძვლიანად გამომეკვლია. ზმანება არ იყო ცხადი ან რეალური, როგორც ეს პეიოტს ახასიათებდა. მისი ბუნდოვანი ხასიათი უდიდეს სიამოვნებას მგერიდა თავის პასტელურობით.

გაფიქვრე, ადგომას თუ შევძლებდი და უცბადვე ამის შემდეგ მივხედი, რომ ემორჩობოდი. რომელიღაც კიბეზე, ზემოთ აღმოჩნდი, ხოლო მის ძირში ჩემი მგობარი ქალი — X დაინახე. მისი თვალები აგზნებულად ბრწყინავდნენ, მათში სიცივის ათინათი შევაძინე. იგი ხმამაღლა იცინოდა — და ისე თავმუყავებლად, რომ შიშა მგერიდა. იგი კიბეს ამოყვა. გაქცევა ან სადმე დამალვა დეაპირე, რადგან ის ამკრად „შემლილი“ ჩანდა. სწორედ ასე ვფიქრობდი. სვეტს მივეფარე და მან ისე ამიარა გვერდი, რომ ჩემთვის არც კი შეუხედა. „ახლა მას გრძელი მოგზაურობა ელის“, — გვი-

ფიქრე მე. და ბოლოს, უკანასკნელი აზრი, რომელიც მე დამამახსოვრდა, იყო: „ის ყოველთვის მაშინ იცინის, როცა მზადაა დათმოს“.

უცერად სცენამ უაღრესი სიცხადე შეიძინა. ის უკვე აღარ ჰგავდა სიზმარს. თითქოს რეალურ სცენად ქცეულიყო და მე მას ფანჯრიდან ვუთვალთვალებდი. სვეტისათვის ხელის შეხება დეაპირე, მაგრამ ვიგრძენი, რომ ვერ გავინძროდი. მაინც ვიცოდი, რომ შემიძლო იქ რამდენიც მინდოდა, იმდენ ხანს დაერჩინილიყავი და სცენისათვის თვალი შედექე. მე მასში ვიმყოფებოდი, მაგრამ მის ნაწილს არ წარმოადგენდი.

რაციონალური აზრებისა და მოსაზრებების ზევი მომასწავლა. რამდენადაც ამას ჩემი განსჯის უნარი სწვდებოდა, ფხიზელი გონების სრულიად ჩვეულებრივ მდგომარეობაში ვიმყოფებოდი. აღქმის ყოველი ელემენტი ჩემი ნორმალური გონებრივი პროცესების არეს მიეკუთვნებოდა და მაინც, რატომღაც ვიცოდი, რომ ეს უჩვეულო მდგომარეობა იყო.

სცენა მკვეთრად შეიცვალა. ღამე იყო. რომელიღაც შენობის პოლში ვიმყოფებოდი. სიბნელემ შენობაში მიმახვედრა, რომ წინა სცენა შესანახაზე მზის სინათლით ყოფილა აღვსილი. მაგრამ ეს მას იმდენად შეეფერებოდა, რომ ამისათვის ყურადღებაც კი არ მიმიქცევია. თვალი შევაჩვიე ახალ ზმანებას და გაუარჩიე, როგორ გამოვიდა ოთახიდან დიდ ზურგჩანთა მოკიდებული ახალგაზრდა კაცი. არ ვიცოდი, ვინ იყო, თუმცა ადრე ერთი-ორჯერ კი შენახა. მან გვერდით ჩამაბარა და კიბეზე დაეშვა. ჩემი წარმოდგენები და რაციონალური დილემები ამ დროისათვის უკვე სულ გადამაფიცვდა. „ვინ არის ეს ახალგაზრდა? — გაფიქვრე. — რატომ ენახე?“

სცენა კვლავ შეიცვალა და დაინახე, როგორ ამოალაგა ყმაწვილმა ზურგჩანთიდან წიგნები. გვერდებს აწებებდა, წარწერებს შლიდა და ასე და ამგვარად. მერე დაინახე, როგორ აწიობდა წიგნებს აკურატულად საფუთავ კალათში. აქ ასეთი კალათების მთელი გროვა ეწყო. ისინი მის ოთახში კი არა — რომელიღაც საცემში ელაგნენ. თავში სხვა სურათებიც მომდიოდა, მაგრამ ისინი ასეთი სიცხადით არ გამოირჩეოდნენ. სცენა გაბუნდოვანდა. ბრუნვა ვიგრძენი.

ღონ ხუანი მხრებით მანჯღრევდა და გავლევით. ადგომაში დამქმმარა და სახლისაკენ გავემართეთ. იმ წუთიდან, როცა პასტის

საფეთქლებზე წასმას შეეუდკე, სამხაზვერი საათი გავიდა, მაგრამ ჩემი ვიზიონერული მდგომარეობა ათ წუთზე მეტი არ უნდა გაგრძელდებოდა. რაიმე ავადმყოფური შეგრძნებები არ მქონია. უბრალოდ მშობიარე და შეძინებოდა.

1963 წლის 18 აპრილი, ხუთშაბათი

გუშინ საღამოს დონ ხუანმა მთხობა, ჩემი განცდები ამქვერია, მაგრამ ძალიან შეძინებოდა, მათ შესახებ საუბარი რომ გამება. კონცენტრირებას ვერ ვახერხებდი. დღეს, როგორც კი გავიღვიძე, მან თხოვნა გამიმეორა.

— ეინ გითხრა, რომ ის გოგონა X კარგად ვერ არაა? — მკითხა მან, როდესაც თხრობას მოვრჩი.

— არა. ეს უბრალოდ ერთ-ერთი აზრი იყო, სხვებთან ერთად რომ თავში მომდიოდა.

— შენ გგონია, ეს შენი აზრები იყო?

კუპასუხე, რომ, რა თქმა უნდა, ეს ჩემი აზრები იყო — თუმცა საბაბი იმისათვის, რომ X ავადმყოფად წარმოემდგინა, არ მქონია. უცნაური აზრები იყო. ისინი თითქოს არსაიდან იჭრებოდნენ გონებაში. დონ ხუანმა დაკვირვებით შემომხედა. ვკითხე, ჩემი თუ სჯეროდა. მას გაეცინა და თქვა, რომ გაუფრთხილებლობა ქცევაში — ჩემს ჩვეულებად ქცეულ თვისებას წარმოადგენდა.

— რა გავაკეთე არასწორად, დონ ხუან?

— შენ უნდა მოეცმინა ხელიკებისთვის.

— როგორ მომეცმინა?

— პატარა ხელიკმა შენს მხარზე აგვიწერა ყველაფერი, რაც მისმა დამ ნახა. ის გესახებებოდა. გიყვებოდა ყველაფერს, მაგრამ შენ ყურადღებას არ მიაქციე. ამის ნაცვლად ჩათვალე, რომ ხელიკის ნათქვამი — შენს საკუთარ აზრებს წარმოადგენდა.

— კი მაგრამ, ეს, მართლაც, ჩემი საკუთარი აზრები იყო, დონ ხუან.

— არა, ასე არ არის. სწორედ ამასია ასეთი ჯადოქრობის დედარასი. ზმანება, სინამდვილეში კი არ უნდა ნახო, მას უნდა მოუსმინო. მსგავსი რამ ოდესღაც მეც მომივიდა. მინდოდა ამის შესახებ შენი გაფრთხილება, მაგრამ გამახსენდა, რომ ბენეფიქტორს

მე არ გაუფრთხილებივარ.

— შენი გამოცდილება თუ ჰგავდა ჩემსას, დონ ხუან?

— არა. შე ჯოჯოხეთური მოგზაურობა გამომივიდა. კინალამ მოეკვდი.

— რატომ გამოვიდა ის ჯოჯოხეთური?

— შეიძლება იმიტომ, რომ ეშმაკის ბალახს არ ვუყვარდი, არ იმიტომ, რომ თვითონ ჩემთვისაც არ იყო ცხადი, რა მინდოდა მე-კითხა — როგორც შენ გუშინ. შენ ალბათ იმ გოგოზე ფიქრობდი, წიგნების შესახებ რომ ვკითხებოდი.

— ვერ ვიხსენებ.

— ხელიკები არასოდეს არ ცდებიან ყოველ აზრს ისინი აღიქვან როგორც შეკითხვას. ხელიკი დაბრუნდა და X-ს შესახებ მოგიყვა ის, რასაც ვერაფერს ვეღარასოდეს ვერ გაიგებს იმიტომ, რომ შენ თვითონაც არ იცი, რა ჰკითხე.

— ჩემს მეორე ზმანებაზე რაღას იტყვი?

— შენი აზრები, ალბათ, მდგრადი იყო, როცა ამ შეკითხვას აძლევდი. სწორედ რომ, ასე უნდა განახორციელო ეს ჯადოქრობა — სიცხადეში.

— შენ იმის თქმა გინდა, რომ ზმანება ქალიშვილზე სერიოზულად არ უნდა ჩავთვალო?

— როგორ შეიძლება მისი სერიოზულად მიჩნევა, როდესაც შენ არ იცი, რა შეკითხვაზე პასუხობდნენ პატარა ხელიკები?

— უფრო გასაგები იქნება ხელიკისათვის, მას მხოლოდ ერთ შეკითხვას თუ მისცემ?

— კი, ასე მეტ სიცხადეს მიაღწევ. თუ შესძლებ, რა თქმა უნდა, მხოლოდ ერთი აზრის შეკავებას.

— და რა მოხდება, თუ ეს ერთი შეკითხვა უბრალო კი არა — რთული იქნება?

— მანამ, სანამ შენი აზრი მდგრადია და სადმე გვერდზე არ გადაუხვია, იგი ნათელია ხელიკებისათვის, ხოლო მათი პასუხი შენთვის.

— თუ შეიძლება ზმანების მსველელობისას ხელიკებს სხვა შეკითხვა დაუსვა?

— არა, ზმანება სწორედ იმას მდგომარეობს, რომ იმას უყურო, რასაც ხელიკები გამომბობენ. აი რატომ ვთქვი, რომ ეს უფრო სმენი-

სათვისაა ზმანება, ვიდრე შედეგობისთვის. აი, რატომ გთხოვ მათთვის პირადი შეკითხვები არ დაგესვა. ჩვეულებრივ, როდესაც შეკითხვა ახლობლებს ექება, ხელის შეუების ან მათთან საუბრის სურვილი შენში მეტისმეტად ძლიერია — და ხელიკები წვევტენ თინობას და ჯადოქრობაც იფიქტება. გაცილებით მეტი უნდა იცოდე, ვიდრე ახლა, სანამ ისეთი რამის დანახვას შეეცდები, შენ რომ უშუალოდ გეტება. შემდგომში ყურადღებით დაუგდე ყური. დარწმუნებული ვარ, ხელიკებმა ბვერი რამ გაიმბეს, მაგრამ შენ მათ არ მოუხმინე.

1963 წლის 19 აპრილი, პარასკევი

— ის რა დაგნაყე პასტისათვის, დონ ზუან?

— ეშმაკის ბალახის თესილ და მწერები, სათესლე კოლოფებში რომ ბუდობენ. საწყაული — თითო მუჭა ერთიცა და მეორეც. — მან ხელით მუჭა გააკეთა და მაჩვენა რამდენი.

კვითხე, რა მოხდებოდა, ერთი ელემენტი მეორეს გარეშე რომ გამოიყენებინა. მიპასუხა, რომ ასეთი თვითნებობა მხოლოდ ეშმაკის ბალახსა და ხელიკებს შორის მტრობას გამოიწვევდა.

— არ უნდა განარიღო ხელიკები, — თქვა მან, — ამიტომ მეორე დღეს, მოსაღამოებისას უნდა დაბრუნდე შენი მცენარის ადგილზე: ყველა ხელიკს გაესაუბრე და სთხოვე იმ ორს, შენ რომ ჯადოქრობაში დაეკმარნენ, ისე გამოიფინე შენთან. ყველგან დაბებზე, სანამ სრულიად არ დაღამდება. იმ დღეს თუ ვერ იპოვი, მეორე დღეს უნდა სცადო. თუ ძლიერი ხარ, ორივეს ნახვე და მაშინ ისინი იქვე, ადგილზე უნდა შეტკაო. სამუდამოდ ამოუცნობის განჭერტის უნართი დაჯილდოვდები. ამ ჯადოქრობის შესასრულებლად ხელიკების დაჭერა ადარ დაჭკირდება. ამის შემდეგ ისინი შენს შიგნით იცხოვრებენ.

— და რა ვქანა, მხოლოდ ერთი რომ ვიპოვნო?

— თუ მართო ერთს იპოვნი, ძებნას რომ დაასრულებ, უნდა გაუშვა. თუ ხელიკს პირველ დღეს იპოვნი, ნუ დაიჭრებ იმის იმედით, რომ მეორე დღეს სხვასაც დაიჭერ. ეს მხოლოდ აენებს შენს მეგობრობას მათთან.

— რა მოხდება, საერთოდ რომ ვერ შეეძლო მათი პოვნა?

— ვფიქრობ, ეს შენთვის საუკეთესო გამოსავალი იქნება. იმის

მაუწყებელი, რომ ყოველთვის, როცა ხელიკების დახმარება დაჭკირდება, ხელახლა მოგიწევს მათი დაჭერა, და კიდევ იმის, რომ — თავისუფალი ხარ.

— რას გულისხმობ?

— თავისუფალი ხარ ეშმაკის ბალახის მონობისაგან. თუ ხელიკები შენში იცხოვრებენ, ეშმაკის ბალახი არასოდეს გაგიშვებს.

— ეს ცუდია?

— რა თქმა უნდა, ცუდია. ის ყოველივე სხვას ჩამოგასორებს. იძულებული გახდები მიუღი შენი ცხოვრება მას მოუარო, როგორც შენს მოკავშირეს. იგი — მესაკუთრეა. როგორც კი ის შეეიპყრობს, შენ მხოლოდ ერთი გზა დაგჩნება — მისი გზა.

— ხელიკები მკვდარი რომ ვიპოვო, მაშინ რა?

— თუ კი ერთს ან ორივე ხელიკს მკვდარს ნახავ, რამდენიმე ხანს უნდა შეეშვა ამ ჯადოქრობის აღსრულებას. გადადე დროებით ვიფიქრობ, ესაა სულ, რაც უნდა მეთქვა შენთვის; და რაც ვითხარი, ეს — წესია. ყოველთვის ამ ჯადოქრობის შესრულებისას ყველა ის საფეხური უნდა გაიარო, შე რომ შენს მცენარესთან ადგიწერე. კიდევ ერთი რამ, არ ჭამო და არ დალიო, სანამ ჯადოქრობას არ დაასრულებ.

6

დონ ზუანის მოძღვრების შემდეგ ეტაპს წარმოადგენდა — კიდევ ერთი ნაბიჯი ლემის ფესვის მეორე პორციის ათვისებაში. იმ დროის განმავლობაში, რომელმაც ორ სასწავლო სტადიას შორის განვლო არაფერი მნიშვნელოვანი არ მომხდარა, დონ ზუანი მხოლოდ ჩემი მცენარის განვითარების შესახებ მიხივდა ცნობებს.

1963 წლის 27 ივნისი, ხუთშაბათი

— არ იქნებოდა ცუდი, ეშმაკის ბალახი რომ გამოგვეცადა, სანამ საბოლოოდ მის გზას დაადგებოდი, — თქვა დონ ზუანმა.

— როგორ აპირებ მის გამოცდას, დონ ზუან?

— ხელახლა უნდა მოსინჯო ხელიკებიანი ჯადოქრობა. ყველაფერი გაქვს, რაცაა საჭირო იმისთვის, რომ ხელიკებს კიდევ

ერთი შეკითხვა დაუსვა, ამჯერად ჩემი დახმარების გარეშე.
— და მე აუცილებლად უნდა მიემართო ამ ჯადოქრობას?
— ეს საუკეთესო საშუალებაა შენდამი ეშმაკის ბალახის გრძნობების გამოცდისა. იგი მუდამ გამოწმენებს, ამიტომ თვით მისი შემოწმებაც სავსებით სამართლიანი იქნება. ხოლო თუ მის გზაზე დამდგარი იგრძნობ, რომ ამა თუ იმ მიზეზის გამო უფრო შორს წასვლა არ გმართებს — უბრალოდ უნდა გაჩერდე.

1963 წლის 29 თვისი, შაბათი

მე თვითონ წამოვიწყე ეშმაკის ბალახზე საუბარი. მინდოდა, რომ დონ ხუანს მეტი მოეთხრო მის შესახებ, — და ამასთან არ მსურდა, მისი შემოწმების ცდაში ჩავეთრიე.

— მეორე პორციას მხოლოდ სამკითხაოდ იყენებენ, ასე არ არის, დონ ხუან? — ვკითხე მე, როგორმე რომ დამეწყო.

— არა მხოლოდ ამისთვის. მისი დახმარებით ხვლიკებიან ჯადოქრობას სწავლობენ და ამავე დროს ეშმაკის ბალახსაც ცდიან; მაგრამ სინამდვილეში მეორე პორცია სხვა მიზნებისათვის გამოიყენება. ხვლიკებიანი ჯადოქრობა მხოლოდ დასაწყისია.

— მაშ რისთვისაა იგი, დონ ხუან?

მან არ მიპასუხა. მკვეთრად შეცვალა საუბრის თემა და მკითხა, რამდენად გაიზარდნენ ლემის ბუჩქები ჩემი მცენარის გარშემო. ხელით ზომები ვაჩვენე.

დონ ხუანმა თქვა:

— მე გასწავლე, როგორ გააჩიო მაშალი მცენარე დედლისაგან. ახლა წაბრძანდი შენ მცენარესთან და ერთიცა და მეორეც მოიტანე. ჯერ შენს ძველ მცენარესთან დიდი და გულდასმით დაძებნე წვიმის ჩანარეცხი კვალები. გასული დროის განმეულობაში წვიმამ, ალბათ, შორს გაფანტა თესლი. დააკვირდი წვიმის ნაკადით წარმოქმნილ ნალღარეებს (zanjitas) და მათი მეშვეობით ჩანადენის მიმართულება განსაზღვრე. შემდეგ შენი მცენარისაგან ყველაზე შორეულ წერტილში მდებარე მცენარე მოიხე. მათ შორის მოხვედრილი ლემის ყველა მცენარე შენია. მოვიგანებოთ, როცა თესლი ჩამოცვევდება, შენ შესძლებ შენი ტერიტორიის გაფართოებას, ყოველ მცენარესთან წარმოქმნილი წვიმის ნაკვალევს თუ მიყვები.

მან დაწერილებითი ინსტრუქცია მომცა იმის შესახებ, თუ სად და როგორ მეშოვნა საჭირო იარაღი. ფეხვი შემდეგნაირად უნდა გადამეჭრა; უპირველეს ყოვლისა, უნდა შემეჩია მცენარე და იმ ადგილის გარშემო, სადაც ფეხვი ღეროს უერთდებოდა, შემომეცალა მიწა. შემდეგ — ზუსტად გამეშორებინა ცეკვა, რომელიც ფეხვის ნაყარის გადარგვისას შევასრულე. მესამე, ღერო უნდა მომეჭრა, ფეხვი კი მიწაში ჩამეტოვა. და ბოლოს — ფეხვი თქვესმეტ დიუმიამდე (38,5 სმ) ამოეთხარა. დონ ხუანმა გამაფრთხილა, რომ მუშაობის დროს თავი უნდა შემეკავა ნებისმიერი სიტყვის წარმოთქმისა და გრძნობის ყოველგვარი გამოვლენისგან.

— ორი ტილოს ნაჭრს უნდა წაიმძლავრო, — თქვა მან. — მიწაზე გაშალე იხინი და მათზე მცენარეები დადე. შემდეგ მცენარეები დაანაწევრე და დააწყვე. წყობის წესი შენ თვითონ შეარჩიე. მაგრამ ეს წესი უნდა დაიმახსნორო, რადგან მომავალში მისი დაცვა ყოველთვის მოგიწევს. მცენარეები მაშინათვე მომიტანე.

1963 წლის 6 თვისი, შაბათი

ორშაბათს, 1 თვისის, ლემის მცენარეები მოეჭრა, როგორც ეს დონ ხუანმა დამარჩია. დალაშქვას დაეკლოდე, მათ გარშემო ცეკვის შესასრულებლად, რადგან არ მინდოდა ვინმეს დაეხეხა. ძალიან ვეღვაძე. დარწმუნებული ვიყავი, რომ ვიღაც მაინც უთვალთვალბდა ჩემს უცნაურ ქმედებას. წინასწარ შევარჩიე მცენარეები, რომლებიც მაშაღ და დედლად მიმანდა. ახლა თითოეული მათგანის ფეხვის თქვესმეტ-თქვესმეტი დიუმი უნდა მომეჭრა, ხოლო ასეთ სიღრმეზე ვოხით გათხრა არც ისე იოლი საქმეა. სამუშაოდ რამდენიმე საათს გასტანა. სრულ სიბნელეში მომიწია მისი დასრულება და როდესაც ფეხვის მოჭრის დრო დადგა, ფარანი დამეჭირდა. პირვანდელი შიში იმისა, რომ ვინმე თვალს მადევნებდა არაფერი იყო იმასთან შედარებით, რომ ვინმე ბუჩქებში ფარნის შუქს შეამჩნევდა.

მცენარეები დონ ხუანს სამშაბათს, 2 თვისის მიუტანე. მან გახსნა ნაკრავლები, მოტანილი ნაჭრები დაათვალიერა და თქვა, რომ მაინც იმულებული იყო თავისი მცენარეების თესლი მოეცა ჩემთვის. წინ როდინი დამიდგა, შუშის ტოლჩა აიღო და შიგთავსი

— შეწებებული მშრალი თესლი — როდინში ჩაყარა.

კეთიხე, რა იყო ეს და მან მიმასუხა, რომ ეს ხოჭოს მიერ დაცმაცული თესლი იყო. სხვათა შორის, თესლში ბევრი იყო წერილი შავი მღვსავი-ხოჭო. მან თქვა, რომ ეს სხვანაირი ხოჭო იყო. — უნდა ამოგვეჩინა ის და ცალკე ტოლჩაში ჩაგვეყარა. ამ ხოჭოებით უკვე ერთ მესამედზე შევსელ ტოლჩას მან დაჭმუჭნული ქაღალდი დააცი, იქიდან ხოჭოები რომ არ გაპარულიყვნენ.

— შემდეგში ხოჭოების შეგროვება მერს საკუთარ მცენარეებზე მოგაწვეს. — თქვა დონ ხუანმა. — პატარა ნახვრეტაინი სათესლე კოლოფები უნდა მოჭრა — ისინი სავსეა ხოჭოებით გახსნი კოლოფი და შიგთავსი ტოლჩაში ჩაფხიკე. ერთი მუჭა ხოჭო შეაგროვე და სხვა ჭურჭელში ჩაყარე. უხემად მოეყარე, ხათრი და რიდი დაფი-წყე. ერთი მუჭა ხოჭოს მიერ შეჭმული თესლი და ერთი მუჭა ხო-ჭოს ფხენილი გადაზომე, ხოლო დანარჩენი ნებისმიერ ადგილას დამარზე შენი მცენარისგან აი, ამ მიმართულებით (მან სამხრეთად-მოსაგლეითისაკენ მანიშნა). შემდეგ კარგი თესლი შეაგროვე და ცალკე შეინახე. იგი რამდენიც გინდა, იმდენი შეგიძლია შეაგროვო და როცა გინდა მამინ გამოიყენო. ცუდი არ იქნება, თუ თესლს კოლოფე-ბიდან იქვე ადგილზე ამოარჩევ და ყველაფერს ერთიანად დაასა-მარებ.

ამის შემდეგ დონ ხუანმა მიბრძანა, ჯერ შეწებებული თესლი დამენაყა, მერე ხოჭოს კვერცი, შემდეგ ხოჭო და ბოლოს, ხმელი, დაუსხიანებული თესლი.

როცა ყველაფერი ეს წერილ ფხენილად გადაიქცა, დონ ხუან-მა აიღო ის ლემის ნაჭრები, მე რომ ადრე დაეჭერი და ერთად დაეწ-ყვე. მან მამალი გამოაცალკევა და ფრთხილად ტილოს ნაჭურში გაახვია. დანარჩენი მე მომცა და მიბრძანა, წერილად დამეჭრა, კარ-გად დამეჩრქვე და მთელი გამოყოფილი ფეხნი, უკანასკნელ წვეთამ-დე, ქოთანში ჩამეკალა. მან თქვა, რომ იმავე მიმდევრობით უნდა დამენაყა, რომელშიც ეს ყველაფერი დეფიწყე.

როცა დავამთავრე, მან მიბრძანა, ერთი ფინჯანი მღვდარე წყა-ლი გადამეზომა და ქოთანის შიგთავსთან ამერია, შემდეგ კიდევ ორი ტოლჩა წყალი დამემატებინა და გლეჯად დამუშავებული ძელის პატარა ჯოხი მომწოდა. ჯოხით ქოთანის მიუჯური და ცეცხლზე შევღვი. შემდეგ მან თქვა, რომ ფესვის დამზადების დრო დადგა და

ამისათვის უფრო დიდი ზომის როდინი იყო საჭირო, ვინაიდან მა-მალი ფესვის გაჭრა საერთოდ არ შეიძლებოდა. სახლის უკან წვედით როდინი შხად ქონდა და მე ფესვის დაქევის შევეუდექი. ზუსტად ისევე, როგორც ამას ადრე ვაკეთებდი. ფესვი წყალში დასალობობად ღამის პაუზზე დაეტრევი და სახლში შევედი.

მან მიბრძანა, ქოთანში ნარევისთვის თვალი შევდევნებია. შესქელებამდე უნდა ედულა — სანამ მორევა არ გაქირდებოდა. მერე ნონზე წამოწვა და დაიძინა. ნარევა უკვე ერთ საათი მაინც იდულა, როცა შეეძინე, რომ მიხი მორევა ხელ უეფრო და უფრო მიჭირდა. გადავწყვიტე, რომ იგი შხად იყო და ცეცხლიდან ჩამოვდგი. ბაღუ-რაში ჩავდგი და დასახინებლად დავწვი.

როცა გავიღვიძე, დონ ხუანი უკვე ამდგარი დამხედა. სუფთა ცაზე მზე კამკამებდა. მშრალი და ცხელი დღე იდგა. დონ ხუანმა კვლე აღნიშნა, რომ ეშმაკის ბალახს ნამდვილად მოუწონდა.

ფესვის დამუშავებას შევეუდექით და დღის მიწურულს ფინჯა-ნის ფესვრზე მოყვითალო სუბსტანციის კარგად მოზრდილი მწიკვი მთვლილთ დონ ხუანმა ზედა წყალი გადააქცია. ვიფიქრე ეს პროცე-დურის დასასრული იქნებოდა, მაგრამ მან ჭურჭელი კვლე მღუ-დარე წყლით აავსო.

ქოთანს სახურავის ქვეშინად ჩამოხსნა, სადაც იგი წინა დღით ჩამოკიდე. ნარევი, თითქოს სრულიად გამშრალიყო. ქოთანს სახლ-ში შემოიტანა, ფრთხილად დადგა იატაკზე და დაჯდა. შემდეგ საუბარი წამოიწყო.

— ჩემმა ბენეფაქტორმა მითხრა, რომ დამუშავებულია მცენარე-ების ნაწილების შიგანურ ქონთან არევა და ახლა, სწორედ ამას გაა-კეთებ. ჩემმა ბენეფაქტორმა ეს ჩემს მაგივრად გააკეთა, მაგრამ როგორც გითხარი, მე ლემა არასოდეს მიტაცებდა და მართალია რომ ვთქვა, არასოდეს მიცვლია მასთან ერთ მთლიანად შერწყმა. ბენეფაქტორი ამბობდა, რომ საუკეთესო შედეგისათვის მათთვის, ვისაც მართლა სურდა ლემის ძალას დაუფლებოდა, უფრო სწორი იქნებოდა მცენარის გარეული ღორის შიგანურ ქონთან არევა. ყვე-ლაფერს კი — წვლების ქონი სჯობიაო. მაგრამ ამას შენ თვითონ აარჩევ შეიძლება ცხოვრების ბორბალი ისე დატრიალდეს, რომ უშმა-კის ბალახთან კავშირის დადგებას გადაწყვეტ. — ამ შემთხვევაში გირჩევ ისევე, როგორც ამას ჩემი ბენეფაქტორი მიჩრევდა, გარეულ

ლორზე ინადირო და მისი წელეების ქონი (sebo de tripa) ოშოენი, როდესაც, როცა ეშმაკის ბალახი უზუნაეს სანატრელ საგნად მიიწნოდა, ბრუზი დრო და დრო სპეციალურ სანადირო ექსპედიციებს აწოდებდნენ გარეული დღობის ქონის მოსაპოვებლად. ისინი ყველაზე დიდსა და ძლიერ ტახებს ეძებდნენ. მათ სპეციალური ჯადოქრობაც გააჩნდათ გარეულ ღორზე: ის მათ განსაკუთრებულ ძალას ანიჭებდა — ისეთ ძალას, რომ მაშინაც კი ძნელი იყო ამის დაჯერება. ახლა ეს ძალა დაკარგულია. არაფერი ვიცი მის შესახებ და არაყვის ვიცნობ, ვისაც ეცოდინება. შეიძლება, ეს თვითონ ბალახზე გასწავლოს.

ღონ ხუნამა ერთი მუჭა ქონი გადაზომა და შშრავს ნარევეს ქოთანში ჩაუმატა, ხოლო ხელისგულზე დარჩენილი ქონი ქოთნის ნაპირზე ჩამოფხვია. შვიტაჟის უნდა დამენაჟა სრულსა და თანაბარ არევაგდე.

ნარევეს თითქმის სამი საათის განმავლობაში ეთქვეფავდი. ღონ ხუნამი დრო და დრო აკვირდებოდა მას და ასკენიდა, რომ იგი ჯერ შზად არ იყო. ბოლოს ის, როგორც ჩანს, დაკმაყოფილდა. პასტაში ჩათქვეფილმა პაერმა მას ღია რუხი შეფერილობა და ექლეს კონსისტენცია მიანიჭა. მან ქოთანი, სახურავის ქვეშ, მფორე ქოთნის გვერდით ჩამოიკიდა და თქვა, რომ ხელაძემე პაირებდა მის აქ დატრუებას, ვინაიდან ამ მფორე პორციის დამზადებას ორი დღე სჭირდებოდა. მიბრძანა, მთელი ამ დროის განმავლობაში არაფერი მეჭაძა. შემეძლო წყალი დამეღია, მაგრამ საჭმელს საერთოდ არ უნდა გაეკარეოდე.

მფორე დღეს, ხუთშაბათს, ოთხ ივლისს, ღონ ხუნის მეთვალყურეობით ფესვი ოთხჯერ დავდურე ცხელი წყლით როდესაც ზედა წყალი უკანასკნელად გადაუქცეე. უკვე საკმაოდ ბნელია. ვერანდაზე დავსხედით. მან წინ ორი ფინჯანი დაიდგა. ფესვის ექსტრაქტი ერთ ჩაის კოფხს მოთვთრო სახამებელს წარმოადგენდა. მან იგი ფინჯანში ჩაუშვა და წყალი დაუმატა. ფინჯანი ხელში დაატრიალა, ნივთიერების უკეთ გასახსნელად და მე გადმომცა. ფინჯანი უნდა გამოთვალა. ერთაშად გადავკარი, ფინჯანი იატაკზე დავდგი და უკან გადავწექე. გული ამიძკერდა. ვიგრაქინი, რომ იგი ვესუნთქავდი. მოულოდნელად, ისე თითქოს, ეს თავის თავად იგულისხმებოდა, ღონ ხუნამა მიბრძანა, ტანისამოსისგან განეთავისუ-

ფლებულიყვი. ვკითხე, რატომ, და მან ამიხსნა, რომ სხეული პასტით უნდა დამეხილა. ვყოფიანობდი, ღირდა თუ არა გახდა. ღონ ხუნამ მაჩქარებდა. მან თქვა, რომ ძალზე ცოტად დრო მექონდა, თავი რომ მომესულელებინა და ტანსაცმელი მთლიანად აკვიძერე.

მან თავის ძვლის ჯოხი აიღო და პასტის ზედაპირზე ორი ჰორიზონტალური ხაზი გახაზა, რითაც ფინჯანის შვიტაჟის სამ თანაბარ ნაწილად დაყო. შემდეგ ზედა ხაზის ცენტრიდან ქვევით ვერტიკალური ხაზი დაუშვა და ამგვარად ფინჯანის შვიტაჟის უკვე ხუთ ნაწილად დაიყო. მან ქვედა მარჯვენა ნაწილზე მანიშნა და თქვა, რომ ის ჩემი მარცხენა ტერფისათვის იყო. ნაწილი მის ზემოთ — მარცხენა ფეხისათვის. ზედა, ყველაზე დიდი ნაწილი — სასქესო ორგანოსი. შემდეგი, ქვემო მარცხენა ნაწილი — მარჯვენა ფეხის, ხოლო ნაწილი მის ზემოთ — მარჯვენა ტერფისათვის. მან მიბრძანა, მარცხენა ტერფისთვის დანიშნული პასტის ნაწილი ფეხის გულზე წამეხვა და კარგად დამეხილა. შემდეგ მაჩვენა, როგორ წამეხვა პასტის დანარჩენი ნაწილები მარცხენა ფეხის მთელ შიდა მხარეზე, სასქესო ორგანოზე, ქვემოთ, მარჯვენა ფეხის მთელ შიდა მხარის გასწვრივ და ბოლოს, მარჯვენა ფეხის გულზე.

მისი დარიგების შესრულებას შევუდევი. პასტა ცივი იყო და განსაკუთრებით ძლიერი სუნი ჰქონდა. წასმას რომ მოვრჩინე, გავიძარო და სუნი ცხვირში მეტა. სული შემეხუთა. მისი სიმწვევე, მართლაც, საოცარი იყო. რაღაც გაზს მაგონებდა. პირდაპირ მახჩრობდა. პირით სუნთქვა და ღონ ხუნთან დალაპარაკება ვცადე, მაგრამ ვერ შევეძლი.

ღონ ხუნამ კვლავ დაკვირვებით მიცქერდა. მისკენ ნაბიჯი გადავდეგი. ჩემი ფეხები თითქოს რეზინისა გამხდარიყო, უზომოდ დამგრებულბოდა. კიდევ ერთი ნაბიჯი გადავდეგი. მუხლები მიზამბარბებდნენ დახტომი ფიცრის მსგავსად, კროიდნენ, ვიბრირებდნენ და ელასტიურად იკუმშებოდნენ. წინ წავიწვიე. მოძრაობა ნელი და მერყევი გამოძვივდა. იგი უფრო წინ და ზვეთიკენ კითომას წააგავდა, ვიდრე სიარული. ქვევით გავიხედე და შორს, ჩემს ქვემოთ, დამჯდარი ღონ ხუნამ დავინახე. ინერციამ კიდევ ერთი ნაბიჯით წინ გადამიტანა; ნაბიჯი წინაზე უფრო ელასტიური და გრძელი გამოდგა და მეყვევი აუფრინდი. მახსოვს, რომ ერთხელ დავუშვი, შემდეგ ორივე ფეხი მიწის დავკარი, უკან გადავიხარე და ზურგზე გავცურე. ჩემს ზემოდ

შავი ცა და მასზე მონაჯარედ ღრუბლები დაეინახე. გადაეინახე ისე, რომ ქვემოთ ცქერა შემძლებოდა. იქ მოქების მუქი მასა ღვინახე. ზეისაბუნებრივი სიჩქარით ემობრაობდი. ხელები ტანზე ამეკრა. თავი მიმმართველ მოწყობილობად იქცა. უკან გადახრილი ვერტიკალურ წრეებს ვარტყამდი. თავის რომელიმე მხარისაკენ მიბრუნებით მიმართულებას ვიცვლიდი. ისეთი თავისუფლებითა და სიჩქარით ვტკბებოდი, ადრე რომ არასოდეს განმცადდა, ხოლო საუცხოო ხიბ-ნელემ სვედით დამაჯილდოვა და ოდნავ მომთხნა. თითქოს საბოლოოდ, ჩემი წარმოშობის ადგილი მეპოვნოს — დამის სიბნელე. ირგვლე ვცადე მიმოხედვა, მაგრამ მხოლოდ დამის სიმშვიდეს აღვიკვევდი და მაინც ვიცოდი, ის რა დიდ ძალას შეიცავდა.

უცერად ვიგრძენი, რომ დაბლა დაშვების დრო მოვიდა. თითქოს ბრძანება მიმეღოს და მყისვე უნდა დემორჩილებოდი. დაშვება დავიწყე ბუმბულივით, ქანქარასებრი მიძრაობით. ასეთი გადაადგილები-საგან ძალზე ცუდად შევიქენი. ემობრაობდი ნელა და მთრთოლავად ისე, თითქოს ვივადცა ქვემოდან თოკით მქეცოდა. კიდევ უფრო უარესად შევიქენი. თავი ტკივილისაგან მისკდებოდა. რაღაც სისაშვეში გაუჩხვე. ძალიან კარგად მახსოვს ამ სიმშვეში ჩაძირული ჩემი თავი.

შემდეგი რაც დამამახსოვრდა — ეს იყო გამოღვიძების შერბნება. საკუთარ ლოგინში ჩემს ოთახში ვიწექი. დავჯექი. და ოთახის სურათი გაქრა. აუღვეი. შიმშველი ვიყავი! მოძრაობამ ისევ ცუდად გამახდა.

თანდათან ვარჩევი ჩემს ირგვლე მიდამოს. დონ ხაუნის სახლისაგან დაახლოებით ნახევარი მილის მანძილზე ვიქნებოდი — იმ ადგილთან, სადაც მისი ლემის მცენარეები ხარობდა. უცერად ვველაფერი თავის ადგილზე დადგა და გააცნობიერე, რომ მოელი გზადონ ხაუნის სახლამდე შიმშველს უნდა ძეგლო. ტანისამოსის უქონლობამ ჩემში უდრემისი ფსიქოლოგიური უხერხულობის გრძნობა გამოიწვია, მაგრამ ეს პრობლემა ვერაფრით გადაიმწყვდებოდა. გავიფიქრე, ტოტემისაგან ხომ არ გამეყუთებინა კაბა, მაგრამ აზრი სულელურად მომიჩვენა. ამასთან შინს ამოსვლაც არც ისე შორს იყო, რადგან ბინდმა უკვე გაფანტვა იწყო. ერთი სიტყვით, დავიწყე ჩემი უხერხულობაც და გულისტკივილის გრძნობაც და სახლისაკენ გავსიე. აკვატებულმა შიმშა შემიპყრო — არაუის დავენახე. ვეზერავ-

დი, წინ ხომ არ მოდიოდა ვინმე, კაცი, ძალი; სირბილი ვცადე. მაგრამ წვეტიანმა ქვებმა ფეხები მატკინა. ნელა წვედი. უკვე სრულიად გათუნებულიყო. უცებ გზაზე ჩემკენ მომავალი კაცი დავინახე და სწრაფად ბუნქებში გადავხტი. მდგომარეობა სრულიად გამოუვალი მეჩვენებოდა. სულ ახლახანს ფრენის წარმოუდგენელ სისწრაულს განვიცდიდი — და შემდეგ, რაღაც წუთში, უკვე ვიმაჯილდოდი, სიმიშვლის სირცხვილით შეპყრობილი. თითქმის გადავწვევით ისევ გზაზე ამებრინა და აქეთ მომავალი კაცისათვის სირბილით გვერდი ამველო. ვიფიქრე, მას ეს გააოცებდა, მაგრამ სანამ მოიაზრებდა, რომ ეს შიმშველი კაცი იყო, — შორს უკან მოვიტოვებდი. თუმცა ყველა ამ მოსაზრების მიუხედავად, განძრევას ვერ ვბედავდი.

გზაზე მიმავალი კაცი მე გამისწორდა. გავიგონე, როგორ დაიძახა ჩემი სახელი. ეს დონ ხაუნი იყო და მას ხელში ჩემი ტანისამოსი ეჭირა. სანამ ვივადციდი, ის მე მიუყურებდა და ხარხარებდა. ეს ისე გადამდებდა ვდერდა, რომ უნებლო მეც გამეცინა.

იმვე დღეს, პარასკევს, 5 ივლისს, საღამოს, დონ ხუნამ მოხოვა, მისთვის ჩემი ცდის დეტალები მომიგოლა. მიუღია ეპიზოდი ვუამბე ისე დაწერელებით, როგორც კი ეს შევეცდი.

— ეშმაკის ბალახის მეორე პარტია ფრენისათვის გამოიყენება, — თქვა მან, როდესაც თხრობა დაუსრულე. — ამასთან მაღალმოთავისთავად საკმარისი არ არის. ჩემი ბუნეფაქტორი ამბობდა, რომ სწორედ ფეხვი იძლევა მიმართულებას და სიბრძნეს და სწორედ ის იწვევს გაფრენას. რაც უფრო მეტს შეიცნობ მის შესახებ და რაც უფრო ხშირად იფრენ მისი საშუალებით, მით უფრო ცხადად წარმოიდგენ ყველაფერს. ასობით კილომეტრზე შეძლებ ფრენას — და ნახავ, რა ხდება ნებისმიერ ადგილას, სადაც კი ისურვებ, ან შენგან შორს მყოფ მტერს საბედისწერო დარტყმას მიაყენებ; ყოველივე ამას ეშმაკის ბალახი გასწავლის, როცა მას უკეთ გაიცნობ. მან უკვე გასწავლა, მაგალითად, ფრენის მიმართულების შეცვლა. ზუსტად ასევე იგი ბევრ სხვა არაჩვეულებრივ რამეს გასწავლის.

— მაინც რას გასწავლის ასეთს, დონ ხუნ?

— ამას ვერ გეტყვი. ყოველი ადამიანი განსხვავებულია. ბუნეფაქტორის არასოდეს უთქვამს ჩემთვის, თვითონ რა ისწავლა. იგი მუუბნებოდა, როგორ უნდა მემომარაგა და არასოდეს — რას ხედავდა თვითონ. ეს მხოლოდ და მხოლოდ შენთვისაა.

— მაგრამ მე ხომ ყველაფერს გიყვები, რასაც ეხედვ, ღონ ხუან.

— ახლა მიყვები. მოგვიანებით ამას აღარ იზამ. შემდგომ ემ- მაკის ბალახს სრულიად მარტო მიიღებ შენ საკუთარ მცენარეებთან იმიტომ, რომ სწორედ იქ დაეუშვები მიწაზე — შენ მცენარეებთან. დამიახსოვრე ეს. აი, რატომაც წამოვედი შენს საძებნელად ჩემს მცენარეებთან.

მას მეტი არაფერი უთქვამს და მე დავიძინე. როდესაც გვიან საღამოს გამოვიღვიძე, სიცოცხლის ძალების მოხლეჩევა ვიგრძენი. ფიზიკური სიტყვარბავე რატომღაც თავს ზეითი გადმოძლიდა. ბედნიერი, კმაყოფილი ვიყავი.

ღონ ხუანმა მითხრა:

— მოგეწონა ეს ღამე? თუ საშინელი იყო?

ვეუპასუხე, რომ ღამე, მართლაც, რომ შესანიშნავი აღმოჩნდა.

— შენს თავის ტკივილზე რას იტყვი? ძალიან გაგიჭირდა?

— თავის ტკივილიც ისეთივე ძლიერი იყო, როგორც ყველაფერი დანარჩენი. ეს ყველაზე ძლიერი ტკივილი იყო, რომელიც კი ოდესმე განვიცდიდა.

— ის თუ გადასძლევს ეშმაკის ბალახის ძალის კვლავ მოსინჯვის სურვილს?

— არ ვიცი. ამჟამად ამის სურვილი არა მაქვს, მაგრამ მოგვიანებით — შეიძლება გაიმჩნდეს. მე, მართლაც, არ ვიცი, ღონ ხუან.

სერიოზული შეკითხვა მქონდა. ვიცოდი, რომ იგი პასუხს გაეცეკოდა და ამიტომ ველოდებოდი, თვითონ როდის წამოჭრიდა ამ თემას და მთელი დღე ლოდინი მომიწია. ბოლოს, უკვე წასვლის წინ, მაინც ვკითხე:

— მამ შე ვფრინავდი, ღონ ხუან?

— შენ თვითონ არ მითხარი ეს. ასე არაა?

— ვიცი, ღონ ხუან. მე გველისხმობ — ჩემი სხეული თუ ფრინავდა? მე რა ფრინველით აუფრინდა?

— შენ ყოველთვის ისეთ შეკითხვებს მაძლევ, რომლებზეც პასუხის გაცემა არ შემიძლია. შენ ფრინავდი. სწორედ ამისათვის არსებობს ეშმაკის ბალახის მეორე პორცია. თანდათან მის მიღებასთან ერთად, სულ უფრო და უფრო დახვეწეფ ფრენას. ეს არც ისე იოლი საქმეა. ადამიანი დაფრინავს ეშმაკის ბალახის მეორე პორციის

საშუალებით სულ ესაა და ეს, რისი თქმაც შემიძლია. ხოლო იმას, რისი გაგებაც შენ გსურს, აზრი არა აქვს. ფრინველი ფრინველით დაფრინავს, ხოლო ადამიანი, რომელმაც ეშმაკის ბალახი მიიღო, დაფრინავს ისე, როგორც ადამიანი, რომელმაც ეშმაკის ბალახი მიიღო (el enyerbado vuela asi).

— ფრინველით? (Asi como los pajaros?)

— არა — ადამიანით, რომელმაც ეშმაკის ბალახი მიიღო.

— ეხე იგი, სინამდვილეში მე არ მიფრენია, ხომ, ღონ ხუან? ჩემს წარმოდგენაში ვფრინავდი. მხოლოდ ჩემს ტკუაში და ჩემი სხეული საღა იყო?

— ბუნებში, — მომიჭრა მან და აქ უკვე სულ გადაფიხინდა. — შენი უბედურება სწორედ იმაშია, რომ ყველაფერი მხოლოდ ერთად-ერთ ვაიდაზე გეხმის. შენ არ გჯერა, რომ ადამიანი დაფრინავს, — მაგრამ ბრუნოს შეუძლია ათასი მილით გადაადგილდეს წაშში იმის სანახავად, თუ იქ რა ხდება. მას შეუძლია, ძალიან შორს მყოფ მტერს მიაყენოს დარტყმა. მამ, დაფრინავს იგი თუ არა?

— იცი რა, ღონ ხუან, ჩვენ სხვადასხვა რამეზე ვლაპარაკობთ. ვთქვით ასე, ერთ-ერთი ჩემი მეგობარი სტუდენტი რომ ყოფილიყო აქ, როცა ეშმაკის ბალახს ვიღებდი, დამინახავდა ის გაფრენილს.

— და აი, ისევ შენი შეკითხვები, რა იქნებოდა თუ... ასეთ ლაპარაკს აზრი არა აქვს. თუ შენი მეგობარი ან ვინმე სხვა ბალახის მეორე პორციას მიიღებს, ერთადერთი, რის გაეყოფასაც იგი შეძლებს — ეს ფრენაა. ხოლო თუ კი ის უბრალოდ შენ ვიცქერის, მას შეუძლია, გაფრენილი დაგინახოს, ან ვერ დაგინახოს. ეს ადამიანზეა დამოკიდებული.

— მაგრამ მე რა მინდა ვთქვა, ღონ ხუან, ჩვენ რომ ფრინველს ვუყურებთ და მას გაფრენილს ეხედვით, ხომ ვუთანხმებით იმას, რომ იგი დაფრინავს. ხოლო ჩემს ორ მეგობარს რომ დავენახე გაფრენილი, — ისე, როგორც ეს წუხელ ღამით მოხდა — აღიარებდნენ ისინი იმას, რომ მე დაფრინავ?

— ალბათ კი. შენ იმიტომ აღიარებ ფრინველის ფრენას, რომ იგი გაფრენილი გინახავს. ფრენა ფრინველისთვის ჩვეულებრივი საქმეა. მაგრამ შენ არ აღიარებ სხვა რამეს, რასაც ფრინველი აკეთებს იმიტომ, რომ არასოდეს გინახავს როგორ აკეთებს იგი ამას. შენმა მეგობრებმა რომ იცოდნენ იმ ადამიანთა შესახებ, ვინც ეშმაკის ბალა-

ხის დახმარებით დაფრინავს — იხინიც აღიარებდნენ ამას.

— მოდი, სხვაინარად ვიტყვი, დონ ხუან, აი, რა მაქვს მხედველობაში: მიმივ ჯაჭვით რომ მივაკრა სხეული კლდეზე, მაინც ისევე ვიფრენ იმიტომ, რომ მას ჩემს ფრენასთან არავითარი კავშირი არა აქვს, ხომ ასეა?

დონ ხუანმა უნდობლად შემომხედა.

— თუ თავს კლდეზე მიბამ, — თქვა მან, — უშიშობ, კლდესთან და ჯაჭვთან ერთად მოგიწევს ფრენა.

7

მოსაწევი ნარევის შემადგენელი ნაწილების შერეობამ და მოშვებამ წლიური ციკლი შეადგინა.

პირველსავე წელს დონ ხუანმა პროცედურა შემასწავლა. 1962 წლის დეკემბერში, შემდგომ წელს, როდესაც ციკლი განახლდა, დონ ხუანი უკვე მხოლოდ ზოგადად მხელმძღვანელობდა; მე თვითონ შევაგროვე შემადგენელი ნაწილები, დავაშვადე იხინი და მომდევნო წლისათვის გადავდე.

1963 წლის დეკემბერში მესამე ციკლი დაიწყო. დონ ხუანმა მაშინ მანქენა, როგორ უნდა შემეჩრია ნარევის ხელი ინგრედიენტები, წინა წელს რომ მოვაგროვე და დავაშვადე. მოსაწევი ნარევი მან პატარა ტყევის ქისამი ჩაყარა და ჩვენ კვლავ შევუდექით შემადგენელი ნაწილების შერეობას მომდევნო წლისათვის.

შერეობის პერიოდებს შორის დონ ხუანი კვამლს იშვიათად ახსენებდა. მაგრამ ყოველ ჩემს ჩამოსვლაზე თავის ჩიბუხს მაჭერინებდა ხელში. ჩემი ჩიბუხთან „მეგობრობა“ ვითარდებოდა ისე, როგორც ეს მან აღწერა. ჩიბუხს თანდათანობით გადმომცემდა. იგი ჩემგან აბსოლუტურ და ზედმისწევნით კონცენტრაციას მოითხოვდა ამ პროცედურაზე და ამომწურავ მითითებებს მაძლევდა. ნებისმიერი დაუდევრობა ჩიბუხთან, თქვა მან, აუცილებლად მის ან ჩემს სიკვდილს გამოიწვევდა.

როგორც კი შერეობის და დამზადების მესამე ციკლი დავასრულეთ, დონ ხუანმა დაიწყო — პირველად წელიწადზე მეტი პერიოდის განმავლობაში — კვამლზე როგორც მოკავშირეზე, ისე ლაპარაკი.

1963 წლის 23 დეკემბერი, ორშაბათი

ნარევის ერთ-ერთი აუცილებელი შემადგენელი ნაწილის — ყვითელი ყვავილის შერეობის შემდეგ, მანქანით დონ ხუანის სახლში გბრუნდებოდით. მე შევნიშნე, რომ ამ წელს ინგრედიენტების შერეობისას წინა წელს მიღებული თადარიგი არ დავვიცვია. მას გაეცინა და თქვა, რომ კვამლი, ეშმაკის ბალახებით, განწყობას არ აყვებოდა და შურისმაგებელიც არ იყო. კვამლისთვის არ ჰქონდა მნიშვნელობა ინგრედიენტების შერეობის მიმდევრობას; ერთადერთი, რასაც იგი მოითხოვდა, ეს იმას, რომ ადამიანი, რომელიც ნარევის მოხმარდა, გულმოდგინე და ზუსტი ყოფილიყო. დონ ხუანი კვითხე, რას უზამდით ნარევის, რომელიც მან დავაშვადე და მომცა შესანახად. მან მიპასუხა, რომ ეს ნარევი — ჩემი იყო და დაუმტა, რომ მით, რაც შეიძლება, მალე უნდა მესარგებლა. კვითხე, რამდენი იყო საჭირო თითო მთლიანზე. მის მიერ მოცემული პატარა ქისა დაახლოებით სამჯერ მეტი მოცულობისა იყო თამბაქოს პატარა დასტაზე. მან თქვა, რომ ქისის შიგთავსი ერთ წელიწადში უნდა გამოიყენებინა, ხოლო რამდენი აძელი თითო მოწევაზე — ჩემი პირადი საქმე იყო.

მინდოდა გამეგო, რა მოხდებოდა, მთელი მარაგი რომ არ დამეხარჯა. დონ ხუანმა თქვა, რომ არაფერი არ მოხდებოდა, — კვამლი არაფერს მოითხოვდა. თვითონ მას მოწევა აღარ სჭირდებოდა და მაინც იგი ყოველ წელს ახალ ნარევის ამზადებდა. შემდეგ თავისი თუი შეასწორა და თქვა, რომ ზანდაზან მას მაინც უხდებოდა მოწევა. კვითხე, რას უშეშებდა გამოუყენებელ ნარევის, მაგრამ პასუხი არ მივიღე. მან მხოლოდ თქვა, რომ ნარევი კარგი აღარ იქნებოდა, მას თუ ერთი წლის განმავლობაში არ გამოიყენებდი.

აქ ჩვენ გრძელი კამათი გავმართეთ. მე არასწორად ჩამოყვავილი შემითხვედი და მისი პასუხები გაურკვეველი ჩანდა. მინდოდა გამეგო, ჰკარგავდა თუ არა ნარევი თავის პალეცინოგენურ თვისებებს, ან თავის ძალას ერთი წლის შემდეგ (და მაშინ ერთწლიანი ციკლი აუცილებელი იყო), ის კი დაფინებით მიმტკიცებდა, რომ ნარევი არ დაკარგავდა თავის ძალას ნებისმიერი დროის განმავლობაში. ერთადერთი ისაა, თქვა მან, რომ ერთი წლის შემდეგ იგი აღარ იყო საჭირო, ვინაიდან უკვე მზად იქნებოდა ახალი მარაგი. გამოუყენებელი ძველი ნარევის მოცილება განსაკუთრებული გზით ხდებოდა,

რომლის გახსნაც ღონ ხუნამა იმ დღეს არ ისურვა.

1963 წლის 24 დეკემბერი, სამშაბათი

- შენ მითხარი, ღონ ხუნა, რომ მოწვევა აღარ გჭირდება.
- ხო, რადგან კვაპლი — ჩემი მოკავშირეა, მოწვევა ჩემთვის აღარაა საჭირო. მე ნებისმიერ დროს და ნებისმიერ ადგილას შემიძლია მისი გამოძახება.
- შენ გინდა თქვა, რომ ის შენთან მოდის, მაშინაც კი როცა არ ქვევი?
- მე ვგულისხმობ, რომ მე თვითონ თავისუფლად მივდივარ მასთან.
- მე თუ შევძლებ ამას?
- კი, თუ გახდი მას შენს მოკავშირედ.

1963 წლის 31 დეკემბერი, სამშაბათი

ხუთშაბათს, 26 დეკემბერს პირველად გამოცდადღე ღონ ხუანის მოკავშირე — კვაპლი. მთელი დღე მას მანქანით მიდამოებში ვატარებდი და მის დეალებებს ვასრულებდი. სახლში დღის ბოლოს დაებრუნდით. შევახსენე, რომ მთელი დღე არაფერი გვიჭამია, მაგრამ ეს მას სრულიად არ ადარდებდა. ამის ნაცვლად მან წამოიწყო საუბარი იმის შესახებ, რომ მე აუცილებლად კვაპლი უნდა ვამქცინო. მისი თქმით, მე თვითონ უნდა გამოძევა, რამდენად მნიშვნელოვანი იყო ის, როგორც მოკავშირე.

ისე, რომ ჩემთვის შეპასუხების უფლებაც კი არ მიუცია, ღონ ხუნამა განაცხადა, რომ ახლავე აპირებდა ჩიბუხის გაწყობას. მისი გადარწმუნება ვცადა, ვუშტკიცებდი, რომ თავი შხად არ მიმჩნია. ვთქვი, რომ ჩემი აზრით, ჩიბუხი ხელში ძალიან ცოტა ხანს მუჭირა და ჯერ არ შეეჩვიე. მაგრამ მან მიპასუხა, რომ მე არც ისე ბევრი დრო დამრჩენოდა სასწავლებლად და ძალიან ძალე ჩიბუხის მოწვევა მომიხდებოდა. მან იგი ბუდიდან ამოიღო და ხელი გადაუსვა. მის გვერდით იატაკზე დეჯექტი და სასოწარკვეთლებით ავად გახდომას ან უკან დახევის რაიმე სხვა საშუალების გამოჩენას ენატრობდა — ყველაფერი უნდა მელონა, ოღონდ ამ გარდუვალი ნაბიჯისთვის

თავი ამერიდებინა.

ოთახში თითქმის სრულიად ბნელოდა. ღონ ხუნამა ნათის ლამპა აანთო და კუთხეში დადგა. ჩვეულებრივ, ლამპა ოთახში თავისებურ ბინდს ქმნიდა და მისი მოყვითალო შუქი ყოველთვის მაწყნარებდა. ამჯერად შუქი რაღაც მქრქალი და უჩვეულოდ წითელი მქვევებოდა; იგი მაღიზიანებდა. ღონ ხუნამა თავისი ნარგებიანი ქისა გახსნა, ისე რომ კისერზე გამობმულ ზორტიდან არ მოუხსნია. ჩიბუხი მიიზიდა, პერანგის ქვეშ მოათავსა და მასში ცოტა ნარგვი ჩაყარა. მიბრძანა, თვალი მედევენებინა პროცედურისთვის და მძინენა, რომ თუ ნარგვის რაღაც ნაწილი დაიბნეოდა, იგი მისი პერანგის შიგნით ხვდებოდა.

ღონ ხუნამა ჩიბუხის თასი სამი მეოთხედით აავსო, შემდეგ ცალი ხელით ქისა შეკრა; მეორეში ჩიბუხი ეჭვირა. პატარა თიხის ლანკანი აიღო, მე გადმომცა და მთხოვა, გარედან ცოტა ნაკვერჩხალი მომეტანა. სახლის უკან წვედი და ლანკანით რამდენიმე ნაკვერჩხალი მოვიტანე. ღრმა შემოთვებამ მომიცვა. თითქოს რაღაცის წინათ-გარბობამ.

ღონ ხუნას გვერდით მიუჯექი და ლანკანი გაეწურა. მან შეხედა და წყნარად შენიშნა, რომ ნაკვერჩხლები ძალიან დიდები იყო. მას უფრო წვრილი ზჭირდებოდა, ჩიბუხის თასში რომ ჩატეულიყო. ღუმელთან დაებრუნდი და მოვიტანე რაც უნდოდა. მან ნაკვერჩხლიანი ლანკანი აიღო და წინ დაიღა. ფეხმორთხმით დაჯდა. აღმაცვრად გადმომხედა და წინ გადიხარა ისე, რომ ნიკაპით ლამის ნაკვერჩხლებს შეეხო. მარცხენა ხელში ჩიბუხი მოიმარჯვა და მარჯვენა ხელის საცხრად სწრაფი მოძრაობით გაგარგებული ნაკვერჩხალი აიტაცა და ჩიბუხის თასში ჩაღო; შემდეგ გაიმართა, ჩიბუხი ორივე ხელით დაიჭირა, ტუწუბთან მიიტანა და სამჯერ მოქაჩა. ხელები ჩემკენ გამოსწია და მბრძანებლურად ჩამწერულა, ჩიბუხი ხელში ამეღო და მომწვია.

წამით აზრმა გამოვლვა, უარი მეთქვა და გვექცეულიყავი, მაგრამ ღონ ხუნამა კვლავ მოითხოვა, და ისევ ჩურჩულით, რომ ჩიბუხი ამეღო და მომწვია. შეხედე. ჯიქურ მიცქერდა, მაგრამ მგობრულად, თანაგრძობით, ცხადი იყო, რომ არჩევანი დიდი ხნის წინ გამეკეთებინა და სხვა გზა აღარა მქონდა — მას უნდა დავმორჩილებოდი.

ჩიბუხი ავიღე და კინაღამ ხელიდან გამივარდა. (ცხელი იყო! განსაკუთრებული სიფრთხილით მივიტანე პირთან, მუშინოდა, ჩემი ტუჩები მის სიმხურვალეს ვერ გაუღლებდნენ. მაგრამ სიმხურვალე სრულიად არ მივგრძენია.

ღონ ხუანმა მიბრძანა, ნაფაზა დამერტყა. კვამლი პირში ჩამივიდა და შივ დატრიალდა. მძიმე იყო! პირი თითქოს საფანტით ამეკუსო: ახრად რატომღაც ეს შედარება მომივიდა, თუმცა საფანტი პირში არასოდეს მჭურია. კვამლი კიდევ მეთოლეს წაავადდა და პირში უეცრად სიცხე ვიგრძენი! შეგრძნება ხალისის მომგვერელი იყო.

— კიდევ! კიდევ! — გაისმოდა ღონ ხუანის ჩურჩული. ვიგრძენი, როგორ თავისუფლად აღწევდა კვამლი სხეულში, თითქმის ჩემი კონტროლის გარეშე. ღონ ხუანის ჩიჩინი აღარ მჭირდებოდა. მექანიკურად ვაგრძელებდი წვეას.

უეცრად, ღონ ხუანი დაიხარა და ჩიბუხი გამოპართვა. ფერფლი ფრთხილად ნაკვერჩხლებთან ლანკანზე გადმოფერთხა. შემდეგ თითი ნერწყვით დაიხველა და ჩიბუხის თასში დაატრიალა, კედლებს გასაწმენდად. რამდენიმეჯერ ტარში ჩაბერა. დაეინახე, უკან შალითაში როგორ ჩადო ჩიბუხი. მისი ქმედება ჩემს ყურადღებას იზიდავდა.

გაქმინდა და შეინახა რა ჩიბუხი, ღონ ხუანი მე მომაშტერდა, მხოლოდ მაშინ ვიგრძენი, რომ მთელი სხეული დამბუეშებოდა, თითქოს მერთოლით გაეკეთებინა. საზე დამიძიმა და ყბები მტკიოდა. პირს, დამუწულს ვერ ვაჩერებდი, მაგრამ ნერწყვი არ მდიოდა. პირი გამიშრა და შეწვოდა, თუმცა წყურვილს მაინც არ ვგრძნობდი. მთელი თავი უჩვეულო სიმხურვალეს მოიცვა. ცოცხ სიმხურვალეს! ხუნთქვა ნესტოებს და ზედა ტუნს თითქმის მივსვამდა, ყოველ ამოსუნთქვაზე, მაგრამ არ მსვავდა. ეს სიცვიც წვა იყო, ყინულის!

ღონ ხუანი უძრავად იჯდა ჩემს გვერდით მარჯვენა მხარეს და ჩიბუხიანი შალითა თითქოს ძალდატანებით იატაკზე მიეჭურა. ხელისხელები დამიძიმადა. ხელებს მტკნად, ისინი მხრებს ქვემოთ ქწეოდნენ. ცხვირიდან რაღაც სითხე მდიოდა. ხელის ზურგით მოვიწმინდე და — ზედა ტუჩი მივიცალე! საზე მივიწმინდე — და მთელი ზორცი ჩამოეთოლა! ვდნებოდა! ისეთი გრძნობა დამეუფლა, თითქოს სხეული, მართლაც, მდნებოდა. ფეხზე წამოვხტი და რაიმესთვის ხელის ჩაჭიდება ვცადე — ნებისმიერი საგნისთვის, ოღონდ არ წაქეციულიყავი. შიში დამეუფლა, შიში, რომელიც ადრე არასოდეს გან-

მიცდია. ბოძს წავვლე ხელი, ოთახის შუაგულში ჰერს რომ იჭერდა. წამით ასე გაჭერდი, შემდეგ შემოვბრუნდი და ღონ ხუანს შეეხედი. ის კვლავ ჩიბუხით ხელში უძრავად იჯდა და მე მიყურებდა.

ავადმყოფურად ცხელი (თუ ცივი?) ხუნთქვა მქონდა და ყელში მიჭურდა. თავი წინ დავხარე, ბოძისთვის რომ მიმეგრდნო, მაგრამ, როგორც ჩანს, ავაცილე; თავმა წინსვლა განაგრძო და ბოძს გვერდი აუარა. პირდაპირ იატაკთან შეაჩერე თავი. გავიპართე. ბოძი აქ იყო, ჩემს თვალწინ! კვლავ დავაპირე მისთვის თავის მიგრძობა. საკუთარი თავის ხელში აყვანა და ყურადღების მოკრეფა ვცადე, თვალეში გახელილი მეჭირა. წინ დავიხარე, მუბლით ბოძს რომ შეეხებოდი. იგი სულ რამდენიმე დუიქში იყო ჩემი თვალეებისგან, მაგრამ მუხების მოლოდინში სასწაულებრეთ ვიგრძენი, როგორ გავიდა თავი ბოძში.

გონიერული ახსნის სასწრაფო ვიქნებოდა გადევნივით, რომ ჩემი მხედველობა მანძილს ამახინჯებდა და ბოძი, ალბათ, ჩემგან თამამე ფუტის მოშორებით იქნებოდა, თუმცა მე მას პირდაპირ ჩემს წინ ვხედავდი. მაშინ შეუდექი ლოკიკურად და გონიერულად ბოძის ადგილმდებარეობის დადგენას. გვერდულად ნაბიჯ-ნაბიჯ ვცადე მისი შეიოვლა. ამ ქმედების აზრი იმაში მდგომარეობდა, რომ ბოძის ასეთი შემოვლის დროს შემოხაზული ხუთი ფუტზე მეტი დაამეტრის არ გამოვიდოდა; თუ ბოძი ჩემგან, მართლაც, ათ ფუტში იმყოფებოდა, ანუ ჩემი ხელით მოსაწვდომობის ფარგლებს გარეთ, ადრე თუ გვიან დადგებოდა მომენტით, როცა მის მიმართ ზურგით მოემქევიოდი. მჯეროდა, რომ ამ მომენტში ბოძს გაქებოდა, რადგან სინამდვილეში ის ჩემს უკან აღმოჩნდებოდა.

ბოძის გარშემო მოვეკვი ტრიალს, მაგრამ იგი კვლავ ჩემს წინ რჩებოდა. სასწრაფო ვიქნებოდა, ბოძს ორივე ხელი ჩავჭიდებ, მაგრამ ხელეგმა გამჭოლ გაიარეს და პაერს ჩაებლაუჭენ. ზედმიწევნით გავთვალე მანძილი ჩემსა და ბოძს შორის და მახლობლებით სამი ფუტით მივიდე. ეხე იგი, ჩემი თვალეში სამი ფუტის მანძილს აღიქვამდნენ. რამდენიმე ხანს მხედველობითი სიღრმის აღქმით წავითამაშე. თავს აქეთ-იქეთ ვაბრუნებდი და თვალეებს რიგრიგობით ხან ბოძზე და ხან კედლებზე ვაფიქსირებდი. სიღრმის ჩემებოდა შეფასებით, ბოძი უთუოდ ჩემს წინ, დაახლოებით სამ ფუტში აღმართ-

ლიყო. ხელები წინ გაეშალე თავის დასაცავად და მთელი ძალით ვეგერე. შეგრძნება იგივე იყო — ბოძს გამჭოლ გვეუარე. და ამჯერადაც იატაკზე დავეწარცხე. ისევ წამოვდექე და ეს, ალბათ, ჩემი ყველაზე უწვეულო ქმედება იყო იმ დამით. თავი აზრით აჟაყენე! ადგომისათვის ჩვეულებისამებრ კუნთებითა და ძეგლოვანი სტრუქტურით არ მისარგებლდა იმიტომ, რომ მათ ვეღარ ემართავდი. ჩემი ნებისთვის იმ წუთს გახდა ცხადი, როცა იატაკზე დავეცი. მაგრამ ეს ნებისმიერადგომის გრძობა ბოძის მიმართ იმდენად ძლიერი იყო, რომ აზრით „თავი წამოაყენე“ რეფლექტორული ქმედების მსგავსად. სანამ ბოლომდე გავაცნობიერებდი იმ გარემოებას, რომ ვერ ვემართობდი, უკვე ამდგარი ვიყავი.

დახმარებისთვის დონ ზუანს ვუხსობდი. ერთიც, მთელი ხმით, დავიღრიალე კიდევაც, მაგრამ დონ ზუანი არ განძრეულა. ის კვლავ ალმაცერად მიცქერდა ისე, თითქოს თავის მობრუნება ეზარებოდა, პირდაპირ რომ შემოეხედა. მისკენ ნაბიჯის გადადგმა დაუპირე, მაგრამ იმის ნაცვლად, რომ წინ წავსულიყავი. უკან გამაქანავა და კედელს შეეასკიდა. ვიცოდი, რომ მას ზურგით დავეჯახე, მაგრამ მისი სიმაყრე არ მიგრძენია; რბილ, ღრუბლისებრ ნივთიერებაში ვივლობოდი — და ეს ნივთიერება კედელი იყო. ხელები გაშლილი დამჩნა, მთელი სეული აკნელ-აქნელა კედელში იძირებოდა. მხოლოდ წინ, ოთახში შემუქმლო ცქერა. დონ ზუანი კვლავინდებურად მაკვირდებოდა, მაგრამ არაფერი უღონია ჩემს დასახმარებლად. თავზე ზეძალის დატანებით შევეცადე სხეულს კედლიდან გამონათვისსუფლებსა. მაგრამ იგი ხულ უფრო და უფრო ღრმად იძირებოდა. აუწყრელი შიშით შეპყრობილი ვგრძნობდი, როგორ იკვრებოდა ღრუბლისებრი კედელი ჩემს სახეზე. თვალების დახუჭვა ვცადე, მაგრამ ვერ შეეძლო.

არ მახსოვს, მეუ რა მოხდა. უეცრად დონ ზუანი, ჩემს წინ, ძალიან ახლოს აღმოჩნდა. ჩვენ სხვა ოთახში ვიყავით. მაგიდას ვხედავდი და ცეცხლს თიხის ღუმელში, ხოლო თვალის კიდით სახლის უკან ღობე გაუარჩიე. ვველაფერი ძალიან ცხადად მოჩანდა. დონ ზუანმა ნავთის ლამპა მოიტანა და ოთახის შუაგულში ჩამოკიდა. ვცადე, სხვა მხარეს გამეხედა, მაგრამ ჩემს თვალებს მხოლოდ წინ ხედვის უნარი გააჩნდა. ჩემი სხეულის ვერცერთ ნაწილს ვერ ვანხსავებდი და ვერცა ვგრძნობდი. სუნთქვაც შეუგრძნობადი მქონდა.

მაგრამ ჩემს აზრებს განსაკუთრებული სიცხადე ახასიათებდა. გარკვევით ვაცნობიერებდი ყველაფერს, რაც ჩემს წინ ხდებოდა. დონ ზუანი მომიახლოვდა და აზრებმა სიცხადე დაკარგეს. თითქოს ჩემში რაღაც გაჩერებულიყო. აზრები საერთოდ აღარა მქონდა. ჩემსკენ მომავალი დონ ზუანი დაინახე და მისდამი ერთბაშად სიძულვილი ვიგრძენი. მინდოდა ნაკუსუნებად მექცია. მზად ვიყავი მომეკვლა, მაგრამ ვერ ვინძრეოდი. მანამდე ზუნდებოდა თავზე რაღაც დაწოლას ვგრძნობდი, მაგრამ ეს შეგრძნება გამიქრა. დარჩა მხოლოდ ერთი — ყოვლისშთანთქმელი რისხვა დონ ზუანის მიმართ. ჩემგან რამდენიმე დიუიმში ვხედავდი. მის დაბლუნას ვლამობდი. ალბათ ვივლობობდი და ჩემში რაღაც შედრკა. გაეიგონე, როგორ მელაპარაკებოდა დონ ზუანი. მისი ხმა ალერსიანი და მშვიდობის მომგვრელი მომეჩვენა და უსასრულო საიპონებამ ამჯესო. იგი კიდევ უფრო მომიახლოვდა და ესპანური იაენანა წამიკითხა.

„ქალბატონო წინახა ანჯ, რატომ ტირის ბავშვი? დაკარგული ვაშლის გამო. მე მოგცემ ვაშლს. ორს მოცემ. ერთს ბიჭუნასთვის, მეორეს კი შენთვის (Seniora Santa Ana, porque llora el niño? Por una manzana que se le ha perdido. Yo le dare una. Yo le dare dos. Una para el niño y otra para vos)“. ტანში სითბომ დამიჩარა. ეს გულისა და გრძნობების სითბო იყო. დონ ზუანის სიტყვები შორეულ გამოახილს გავედა. ბავშვობის შორეულ მოგონებებს მივდიქებდა.

სიძულვილი, რომელსაც ხულ ცოტა ხნის წინ განვიციდდი, გამიქრა. რისხვა სიყვარულმა შეცვალა — დონ ზუანის მიმართ სიხარულის მომგვრელმა მომხიდეველობამ. მან თქვა, რომ უნდა მეცადა, არ დამეძინა, რომ სხეული აღარა მქონდა და რაღაც მინდოდა, იმად შემუქმლო გადაქცევა. მან უკან დაიხია. თვალები ნორმალურ დონეზე მქონდა ისე, თითქოს მის გვერდით ვმდგარიყავი. ორივე ხელი გამომიწვავდა და მათში შესვლა მიბრძანა.

არ ვიცი, მე წაიწიე წინ, თუ ის მომიახლოვდა. მისი ხელები თითქმის ჩემს სახეზე ეწყო — თვალებზე, თუმცა მათ არა ვგრძნობდი.

— ჩემს გულმკერდში შემოდი, — მომესმა მისი ხმა. ისეთი შეგრძნება გამიჩნდა, თითქოს ის საკუთარ თავში მიწოვდა. ისეთივე, როგორც ღრუბლისებრ კედელთან.

მეუ მხოლოდ მისი ხმა მესმოდა, ხედვას და დანახვას რომ

მიბრძანებდა. თვითონ მას უკვე ვეღარ ვარჩევდი. თვალები, ალბათ, გახელილი მქონდა, რადგან სინათლის გაბრწყინებას ვხედავდი წითელ ფონზე — თითქოს სინათლეს თვალდახუჭული ვუცქერდი. ამის შემდეგ კვლავ ჩამერთო აზრები. ხცენები რაიმე წესრიგის დაუცველად ჩნდებოდნენ და ეს სწრაფ სიზმარას ჰგავდა, როცა სურათები ერთამანეთში იჭრებიან და ერთი მეორეს ცვლიან. შემდეგ აზრებმა კლება იწყეს, როგორც რაოდენობრივ, ისე ინტენსივობით და ძალე საერთოდ გაქრნენ. მხოლოდ მღვდვარებისა და ბედნიერების შერძინება დამჩნა. რაიმე ფორმებს ან სინათლეს ვერ ვარჩევდი და უეცრად შედგაირზე ამომავლი. გარკვევით ვგრძობიდი, რომ სადღაც ზვეითენ მივიწვედი. თავისუფალი ვიყავი და უზარმაზარი სიქარით ვმოძრაობდი, თითქოს წყალში ან ჰაერში ვყოფილიყავი. გველთვე-ზასავით ვცურავდი. ვიკლანებოდი და ვიგრიხებოდი, ზემოთ ვიჭრებოდი, და ძირს ვშვებოდი სრულიად თვითნებურად. ყოველი მხრიდან ჩემს გარშემო ცვი ქარი უბერავდა და მე ბუმბულივით გაფერინდი, წინ, უკან და ქვემოთ და ქვემოთ, და ქვემოთ.

1963 წლის 28 დეკემბერი, შაბათი

გუშინ, დღის მეორე ნახევარში გავიღვიძე, როგორც დონ ხუანმა მითხრა, თითქმის ორდიანი მშვიდი ძილის შემდეგ. თავი მისკდებოდა. წყალი დავლიე და ცუდად შევიქნენი. დადილობას ვგრძნობდი, უკიდურეს დადილობას და ჭამის შემდეგ ისევ დავწექი.

დღეს უკვე სრულიად დასვენებულად ვგრძნობდი თავს. დონ ხუანთან ერთად ჩემი კამლთან მიღებული გამოცდილება განესაკუთრებით ვიფიქრე, ჩემთან, როგორც ყოველთვის, ამბის სრულ აღწერას მოვლოდა. შთაბეჭდილებების გადმოცემას შევუდექი, მაგრამ მან შემაჩერა და მითხრა, რომ ეს არ იყო საჭირო, რადგან სინამდვილეში არაფერი მოვიმოქმედე და მაშინათვე დავიბინე ამგვარად, სალაპარაკო არაფერი იყო.

— კი მაგრამ, ჩემს გრძობებს რა ვუყო? ნუთუ ამას სულ არა აქვს მნიშვნელობა? — არ ვიშლიდი მე.

— არა, კამლთან — არა აქვს. მოგვიანებით, ვისაუბრებთ, როცა მოგზაურობას ისწავლი. საგნებში შედწვევს შეძლებ.

— და საგნებში „შედწვევა“ რეალურად შეიძლება?

— შენ რა, აღარ გახსოვს? ამ კედელში *შეაღწე* და მეორე მხარეს *გააღწე*.

— მგონი, სინამდვილეში ჭკუიდან *გავაღწე*.

— არა, ჭკუიდან არ გადასულხარ.

— დონ ხუან, შენც ასე იქცეოდი, პირველად რომ მოწიე?

— არა, ეს სხვაანირად მოხდა. ჩვენ განესხვავებდით ხასიათით.

— შენ როგორ იქცეოდი?

დონ ხუანმა არ მიპასუხა. შეკითხვა შეეპარუნე და კვლავ გავეუმორე. მან თქვა, რომ არ ახსოვდა თავისი შთაბეჭდილებები და რომ ასეთი შეკითხვის დასმა — იგივე იყო, რაც შეკითხვა ძველი მეთეზისათვის, რას განიცდიდა იგი პირველ თეზაობისას.

მან თქვა, რომ ისევე როგორც მოკავშირე, კამალიც უნიკალური იყო, ხოლო მე შევახსენე, რომ ის მესკალიტონზეც იცოდა ამბობდა. მან ნათქვამი დაადასტურა და დაუმატა, რომ თქმცა ერთიცა და მეორეც უნიკალურები იყვნენ, თვისობრივად ერთმანეთისაგან განსხვავდებოდნენ.

— მესკალიტონ — დამცველია იმიტომ, რომ იგი გესაუბრება და შენი ქმედების მიმართვა შეუძლია, — თქვა მან. — მესკალიტონ სწორი ცხოვრების წესს გასწავლის და შენ მისი დანახვა შეგიძლია, ვინაიდან იგი შენს გარეთ იმყოფება, კამალიც კი — მოკავშირეა. იგი გარდაგქმნის შენ და გაძლევს ძალას ისე, რომ თავი თანდასწრებასაც კი არ ამფლენებს. მას ვერ გაესაუბრებ, მაგრამ შენ იცი, რომ იგი არსებობს იმიტომ, რომ ის სხეულისგან განსაკუთრებული და მსუბუქს გზდის პაერიფიკ და მაინც შენ მას ვერასოდეს დაინახავ; მიუხედავად ამისა, იგი აქ არის და წარმოუდგენელი საქმეებისთვის განიჭებს ძალას, ისეთებისთვის, როგორიცაა მაგალითად, სხეულისაგან განსაკუთრებული.

— მე, მართლაც, ვიგრძენი სხეულის დაკარგვა.

— ხო, შენ იგი დაკარგე.

— შენ ამბობ, რომ მე მართლაც არ მქონდა სხეული?

— და შენ თვითონ როგორ ფიქრობ?

— არ ვიცი. ერთადერთი, რაზეც შემძლია ვილაპარაკო — ესაა, მე რასაც ვგრძნობდი.

— აი, სწორედ ეს არის ის, რაც სინამდვილეში ხდებოდა — ის,

რასაც შენ გრძნობდი.

— კი მაგრამ, შენ როგორ მხედავდი, დონ ხუან? როგორი გეჩვენებოდა?

— მე როგორი გხედავდი — ამას არა აქვს მნიშვნელობა. გახსოვს, ბომის დაჭერა რომ გინდოდა? შენ გრძნობდი, რომ იგი იქ არ იყო, და გარშემო უკლიოდა, მის იქ ყოფნაში რომ დარწმუნებულიყო. ხოლო, როცა მას გაეკანხა — კვლავ იგრძენი, რომ სინამდვილეში იგი იქ არ იყო.

— კი მაგრამ, შენ ისეთს მხედავდი, როგორიც ახლა ვარ, ასე არაა?

— არა! შენ არ იყავი ისეთი, ახლა რომ ხარ!

— მართალია. თანახმა ვარ. მაგრამ მე შექონდა ჩემი სხეული, ხომ ასეა, — თუმცა მას ვერა ვგრძნობდი?

— არა, დასწყველოს ღმერთმა! შენ არ გქონდა ისეთი სხეული, როგორიც გაქვს ახლა!

— მაშ, ჩემს სხეულს რაღა დაემართა?

— მეგონა, გექსოდა. კვამლმა წაიღო შენი სხეული.

— კი მაგრამ, სად წავიდა იგი?

— რა უშპაკსა ფიქრობ, რატომ უნდა ვიცოდე?

გაციუტებას, „რაციონალური“ ახსნის მიღების იმედით, აზრი არ ჰქონდა. ვუთხარი, რომ კამათი არ მსურდა, არც სულელური შეკითხვების მიცემა, — მაგრამ იმ აზრს თუ გეიზიარებდი, რომ საკუთარი სხეულის დაკარგვა შეიძლებოდა, მაშინ მიუღს ჩემს რაციონალურობას დაკარგავდი.

მან მიპასუხა, რომ ამ მე, როგორც ყოველთვის, ვუკარბებდი, რომ მე არაფერი დამიკარგავს და არც არაფერს დაკარგავდი პატარა კვამლის გამო.

1964 წლის 28 იანვარი, სამშაბათი

დონ ხუანს ვკითხე, როგორ აფასებდა იდეას კვამლის ისეთი ვინმესათვის გადაცემისა, ვისაც ასეთი გამოცდილების მიღების სურვილი ჰქონდა.

ალმფოთებულმა მიპასუხა, რომ ვისმესთვის კვამლის მიცემა

— სრულიად იგივე იყო, რაც მისი დაუყოვნებლივ მოკვლა იმიტომ, რომ მას გამყოლი არ ეყოლებოდა. ვთხოვე, დონ ხუანს აეხსნა, რა ჰქონდა მხედველობაში. მან თქვა, რომ მე აქ ცოცხალი და უვნებელი ვიყავი იმიტომ, რომ მან უკან დამაბრუნა. მან სხეული შემიწინააღმდეგა. მის გარეშე მე ვერასოდეს გავიღვიძებდი.

— როგორ შემიწინააღმდეგე სხეული, დონ ხუან?

— ამას მოგვიანებით გაიგებ, მაგრამ ყოველფე ამის დამოუკიდებლად კეთება უნდა ისწავლო. აი, რატომ მინდა, რომ რაც შეიძლება მეტი ისწავლო, სანამ ჯერ კიდევ შენთან ვარ. ძალიან ბევრი დრო დაკარგე სულელურ უშინაარსო შეკითხვებზე. თუმცა, შეიძლება, ეს არც იყოს შენი მოწოდება — კვამლის შესახებ ყველაფრის სწავლა.

— კარგი, მაგრამ მაშინ რაღა გავაკეთო?

— ნება მიეცი კვამლს, გასწავლოს ყველაფერი, რის სწავლასაც შესძლებ.

— როგორ, კვამლიც ასწავლის?

— რა თქმა უნდა, ასწავლის!

— ისევე როგორც მესხალიტო?

— არა, ის მესხალიტოსავით მოძღვარი არ არის. ისეთსავე რამეებს არ გაჩვენებს.

— მაშ, რაღას ასწავლის კვამლი?

— გაჩვენებს მის ძალას, როგორ მოეპყრო და როგორ ისწავლო მისი, რაც შეიძლება, ხშირი მიღება.

— შენი მოკავშირე ძალიან მაშინებს, დონ ხუან. ეს არ ჰგავდა არაფერს, ჩემს მიერ ოდესმე განცდილს. მეგონა, შევიშალე.

ეს იყო ყველაზე მწვევე შედარება, რომელიც რატომღაც თავში მომიფიდა. ყველაფერს იმ ადამიანის უცნაური პოზიციიდან აღვიქვამდი, სხვა პალუცინოგენური განცდებაც რომ გამოუცვლია, რომლებთანაც შედარება შეუძლო და ერთად-ერთი, რაც კვლავ და კვლავ თავში მომიდიოდა, იყო ის, რომ კვამლთან ჭკუას ვკარგავდი.

დონ ხუანმა უარყო ჩემი შედარება და თქვა, რომ ის, რასაც მე ვგრძნობდი, იყო კვამლის წარმოდგენელი ძალა. იმისათვის, რომ ამ ძალის მართვა გეხსწავლა, ძლიერად უნდა გეცხოვრა. ძლიერი ცხოვრების იდეა არა მხოლოდ მოსამზადებელ პერიოდს ეხებოდა, არამედ ცდის მერე ადამიანის ყველაფრისადმი დამოკიდებულებასაც

განსახლებრავდა. მან თქვა, რომ კვამლი იმდენად ძლიერი იყო, რომ ადამიანს საჭირო სიმაღლეზე ღვომა მხოლოდ თავის უდრეკობის შემუშობით შეეძლო. წინააღმდეგ შემთხვევაში მისი ცხოვრება ნამსხვრევებად იქცეოდა.

კვითხე, კვამლი სუფილებზე ერთნაირად თუ მოქმედებდა. მიპასუხა, რომ მართალია კვამლი ცვლილებებს იწვევდა, მაგრამ არა ყველაში განურჩევლად.

— და მე რატომ გარდავიქმენი კვამლის ზემოქმედებით?

— მე გგონია, ეს ძალზე სულელური კითხვაა. შენ მორჩილად გაიარე ყველა საჭირო საფეხური. არაფერი სასწაული არაა იმაში, რომ კვამლმა შენ გარდაგქმნა.

კიდევ ერთხელ ეთხოვე, მოეცოდა, როგორ გამოიყურებოდი. მინდოდა, გამეღო ამის შესახებ იმიტომ, რომ უსხეულო არსების ხატება, რომელიც მან ჩამინერგა, ჩემთვის, რაღა თქმა უნდა, აუტანელი იყო. მან თქვა, რომ სიმართლე თუ ითქვა, მას ჩემი ცქერა აშინებდა. იგი, ალბათ, ისევე გრძნობდა თავს, როგორც მისი ბენეფიქტორი, როცა თავად ღონ ხუანმა პირველად მოსწია.

— რატომ გემინოდა? ასე საშინლად გამოიყურებოდი? — კვითხე მე.

— აქამდე არავინ მენახა მოწვევას.

— არ გინახავს, შენი ბენეფიქტორი როგორ ეწეოდა?

— არა.

— და შენი თავიც არასოდეს გინახავს?

— როგორ უნდა მენახა?

— სარკის წინ შეეძლო მოგეწია.

მან არ მიპასუხა, მხოლოდ მომამტერდა და თავი გააქნია. მე ისევ კვითხე, სარკეში ყურება თუ შეიძლებოდა. მან თქვა, რომ თუმცა ეს შესაძლებელი იყო, ამას არავითარი აზრი არ ჰქონდა — რადგან, ალბათ, შიში მომკლავდა, ხსება თუ არაფერი.

კვითხე:

— ესე იგი, საშინლად გამოიყურებო?

— მთელი ცხოვრება ამის გაგება მინდოდა, — თქვა მან. — და მაინც არავისთვის მიკითხავს და არც სარკეში ჩამიხედა. არც კი მიფიქრია ამაზე.

— მაშ, როგორ უნდა გავიგო?

— უნდა დაელოდო, როგორც მე ველოდე, სანამ კვამლს ვინმე სხვას არ გადასცემ — თუ, რა თქმა უნდა, მას როდესმე აითვისებ. მაშინ ნახავ, როგორ გამოიყურება ამ დროს ადამიანი. ასეთია წესი.

— რა მოხდება, ფოტოაპარატის წინ რომ მოეწიო და ჩემ თავს სურათი გადაეულო?

— არ ვიცი. მაშინ, ალბათ, კვამლი შენს წინააღმდეგ შემობრუნდება. როგორც სჩანს, შენ ის იმდენად უწყინარი გგონია, რომ მასთან თამაში შესაძლებლად მიგაჩნია.

მე ვუთხარი, რომ სულაც არ ვაპირებდი თამაშს, მაგრამ მან ხომ თვითონა თქვა, რომ კვამლი რაღაც გარკვეულ ნაბიჯებს არ მოითხოვდა და ვიფიქრე, ცუდი არაფერი იყო იმაში, რომ გაგვეო როგორ გამოიყურებოდი მოწვევისას. მან შემისწორა და თქვა, რომ მხედველობაში ჰქონდა ეშმაკის ბალახისაგან განსხვავებული კვამლთან ქმედებათა გარკვეული მიმდევრობის არასავალდებულობა — ერთადერთი, რაც კვამლისთვის იყო საჭირო — ეს სწორი თანაფარდობა. სწორედ ამ თვალსაზრისიდან გამართებდა სიზუსტე წესების დაცვისას. მაგალითის სახით მან ამიხსნა, რომ მნიშვნელობა არ ჰქონდა, მოსაწვევი ნარევის რომელ შემადგენელ ნაწილს აიღებდი პირველს, თუ რაოდენობრივი თანაფარდობა დაცული გქონდა.

კვითხე, რამე საზიანო თუ იყო იმაში, ჩემს მიერ გაცდილი სხვისთვის რომ მიმოვიღა. მიპასუხა, რომ სამი საიდუმლო არსებობდა, რომელთა გამხელაც არ შეიძლებოდა: როგორ დაამზადო მოსაწვევი ნარევი, როგორ გადაადგილდე და როგორ დაბრუნდე; ყველაფერ დანარჩენს, რაც კი ამ საგანს ეჭებოდა, არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა.

8

ჩემი უკანასკნელი შეხვედრა მესკალიტოსთან ოთხი სესიისაგან შედგებოდა, რომლებიც ერთი მეორის მიყოლებით ოთხი დღე გაგრძელდა. ღონ ხუანი ასეთ გრძელ სესიას „მიტოტ“-ს უწოდებდა. ეს ნამძლევი ცერემონია „პეიოტროს“-სა და მოწაფეებისთვის. მასში ორი ღონ ხუანის ხნის მოხუცი მონაწილეობდა, რომელთაგან ერთი მიტოტს ხელმძღვანელობდა და ხუთი ახალგაზრდა კაცი, ჩემის ჩათვლით. ცერემონია შედგა მექსიკის შტატ ჩიუაუაში, თითქ-

მის ტუხასთან საზღვარზე. ის მდგომარეობდა სიმღერების მღერასა და ლამაშობით ჰეიოტის მიღებაში. დღისით ქალები, რომლებიც თვით ცერემონიაზე არ დაიშვებოდნენ, ყველა მონაწილეს წყლითა და რიტუალური საჭმლით აპარაკებდნენ — ერთითა და მეორით თითქმის სიმბოლურად მცირე რაოდენობით.

1964 წლის 12 სექტემბერი, შაბათი

3 სექტემბერს, ცერემონიის პირველი დამის განმავლობაში რვა ნაჭერი ჰეიოტი მივიღე. თუ კი მათ იმოქმედეს ჩემზე, ძალიან სუსტად. თითქმის მთელი დამე თვალდახუჭული ვიჯექი — ასე უფრო ადვილი იყო ჩემთვის. არ დამიძინია და არც დაველიღვარ. სესის სულ ბოლოსათვის სიმღერა არაჩვეულებრივი შეიქნა. მოკლე დროით სულ დასრულდა ვიგარტენი და ტირილი მომინდა, მაგრამ სიმღერის დასრულებასთან ერთად ეს გრძობა გამიქრა.

ყველა ადგა და გარეთ გავიდა. ქალებმა წყალი მოგვცეს; ზოგმა ყელი გამოიფლო, სხვებმა დალიეს. კაცებს ხმა არ ამოუღიათ, ქალები კი გაუთავებლად ყებოდნენ და იცინოდნენ. რიტუალური საჭმელი — მოხალული მარცვალი — ნაშუადღევს ჩამოარიგეს.

ოთხ სექტემბერს, შხის ჩასვლისას, მეორე სესია დაიწყო. წამყვანმა თავისი ჰეიოტის სიმღერა იმღერა და სიმღერის და პეიოტის მიღების მთელი ციკლი ხელახლა გამეორა. იგი დილით დასრულდა, როცა თითოეულმა სხვებთან უნისონში, ოჯისი ჰეიოტის სიმღერა იმღერა.

როდესაც გარეთ გავიდი, შევნიშნე, რომ იმდენი ქალი ადარ იყო, როგორც წინა დღით. ვიღაცამ წყალი შემომთავაზა, მაგრამ გარემოცულობა ადარ მაინტერესებდა. ისევ იგივე რვა ნაჭერი გადავყლაპე, მაგრამ მათი მოქმედება უკვე სხვაგვარი იყო.

ალბათ, სესიის დასასრულისთვის, როცა სიმღერა შესამჩნევად გაძლიერდა და ყველა ერთდროულად ამღერდა, ვიგარტენი, რომ ვიღაც, ან რაღაც სახლში შედევს (ცდილობდა გარედან. გაუგებარი იყო, სიმღერა „მისთვის“ ხელის შემლას გულისხმობდა, თუ პირიქით — „მის“ შვინით შეტყუებას.

მარტო მე არ მქონდა ჩემი სიმღერა. ყველა, თითქმის ცნობის-მოყვარეობით მიყურებდა, განსაკუთრებით კი ახალგაზრდობა. ეს

მალიზიანებდა და თვალები დავხუჭე. უცებ ვიგარტენი, რომ ასე გაცი-ლებით უკეთ აღვიქვამდი ყოველთვის, რაც ხდებოდა. ამ აზრმა მილია-ნად დაიპყრო ჩემი ყურადღება. თვალებს ვხუჭავდი და ჩემს წინ აღმდინებს ეხედავდი — სურათი არ იცვლებოდა. გარემოცვა ჩემთვის სრულიად იგივე რჩებოდა, გინდ თვალდახუჭული ყვოფილიყავი და გინდ თვალგახელილი.

უეცრად ყველაფერი გაქრა, თუ წიშალა და მის ნაცვლად გაჩნდა მაქსალიტოს ადამიანის მსგავსი ფიგურა, რომელიც ორი წლის წინ მენახა. იგი მოშორებით, ჩემსკენ პროფილით იჯდა. თვალს არ ვამორებდი მას, მან კი ერთხელაც არ შემომხედა და არც მობრუნებუ-ლა.

ალბათ, რაღაცას არასწორად ვაკეთებდი, მას რაღაც აკაებდა. ავდექი და მისკენ გავემართე, ამის შესახებ რომ მეკითხა. მაგრამ მოძრაობამ სურათი გაფანტა. მან დნობა დაიწყო და მის გამჭოლ კაცების ნაცნობი ფიგურები გამოიკვეთა. კვლავ მომესმა ხმაძალა-ლი ცხვლებული სიმღერა.

გატა გავისეირნე, სახლიან ახლოს ბუჩქებში. ყველა საგანი ძალიან ცხადად მოჩანდა. აღვნიშნე, რომ სიბნელეში შემქმლო ხე-დე, მაგრამ ამჯერად ამას დიდი მნიშვნელობა არ მქონდა. მნიშვნელოვანი კი იყო ის, თუ რატომ მარიღებდა თვალს მესკალიტო.

დანარჩენებთან დაბრუნება დაგაპირე, მაგრამ სახლში შესე-ლისას რაღაც გრუხუნი მომესმა და შემაქანავა. მისა ზანზარებდა. ხოლო ხმა იგივე იყო, ორი წლის წინ, ჰეიოტის ხეობაში რომ გავი-გონე.

ისე ბუჩქებისაკენ გავიქეცი. ვიცოდი, რომ მესკალიტო იქ იქნე-ბოდა და მისი პუნა ვაღვეწვიტე. მაგრამ იგი იქ არ აღმოჩნდა. დილაძევე ეუცადე და დანარჩენებს მხოლოდ სესიის თითქმის დასას-რულს შევუერთდი.

ჩვეული პროცედურა მესამე დღესაც გამეორდა. დაღლილო-ბას არ ვგრძნობდა, მაგრამ საღილის შემდეგ წავიძინე.

ხუთ სექტემბერს, შაბათს საღამოს, მოხუცმა ციკლის განახ-ლების სიმღერა წამოიწყო. ამ სესიის განმავლობაში ჰეიოტის მხო-ლოდ ერთი ნაჭერი დავდექე, არცერთი სიმღერისათვის ყური არ დამიგდია და არაფერი მომხდარისათვის ყურადღება არ მმიძიქე-ვია. სულ პირველი წუთიდანვე მთელ ჩემს არსებას ერთი საზრუნავი

სტანჯავდა. ვიცოდი, რომ ჩემი კეთილდღეობისათვის რაღაც უაღრესად მნიშვნელოვანი გამომჩენილა.

სანამ კაცები მღეროდნენ, ხმამაღლა ვთხოვე მესკალიტოს, ჩემთვის სიმღერა ესწავლებინა. ჩემი თხოვნა სხვების ხმამაღლა სიმღერაში აირია. და მამანათვე ჩემს ყურებში სიმღერა აჟღერდა. მივბრუნდი, ჯვრუს ზურგი შევაქციე და ვუსმენდი. სიტყვებსა და მოტივს კვლავ და კვლავ ვარჩევდი, ვიმიჯობდი, სანამ მთელი სიმღერა არ დავისწავლე. გრძელი სიმღერა იყო ესპანურ ენაზე. შემდეგ რამდენიმეჯერ ვიმღერე იგი მთელი ჯვრუვისათვის და ძალე ამის მერე ყურში ახალი სიმღერა მომეხმა. გათენებამდე ორივე სიმღერა უთვალავჯერ ვიმღერე. განახლებას, ძალების მომატებას ვგრძობობდი.

იმის შემდეგ, წყალი რომ მოგვეცეს, დონ ხუანმა ხელში ტომარა შემანიჭა და სუვეულამ ერთად ბორცვებისკენ გავწიეთ. გრძელი გზა ზეგანით მომქანცველი იყო. იქ პეიოტის რამდენიმე მცენარე შევინახე, მაგრამ, რაღაც გაუგებარი მიზეზის გამო, მათი ცქერა არ ვისურვე. როგორც კი ზეგანი გადაეკვეთეთ, ჯვრუვი გაიყო. მე და დონ ხუანი უკან გავიბრუნდით, გზა და გზა პეიოტს ვერავებით ზუსტად ისევე, როგორც ადრე, მას რომ ვხებარებოდი.

კვირას, ექვს სექტემბერს, დღის მიწურულს დავბრუნდით. ხაღამოს წამყვანმა ახალი ციკლი გახსნა. არცერთი სიტყვა არ წარმოთქმულა, მაგრამ სრულიად მტკიცედ ვიცოდი, რომ ეს უკანასკნელი შეხვედრა იყო. ამჯერად მოხუცმა ახალი სიმღერა იმღერა. პეიოტის ნეღლი ნაჭრებიანი ბაღურა წრეში დატრიალდა. პირველად გაესინჯე ნეღლი ნაჭერი. იგი წვინანი, მაგრამ ძნელი დასაღვჭი იყო. გემოთი რომელიღაც მკაპხე ხილს მაგონებდა და უფრო ცხარე და მწარე იყო, ვიდრე ხმელი. პირადად მე, ნეღლი პეიოტი უსასრულოდ უფრო ცოცხალი მომიჩვენა.

თითხმეტი ნაჭერი დავლექე, საგულდაგულოდ ვითვლიდი. უკანასკნელი ბოლომდე არ დამიდევია იმიტომ, რომ ნაცნობი გრუხუნი გავიგონე. მესკალიტოს სიახლოვის მაუწყებელი. ყველა თვალვიწყებით ამღერდა და მე ვიცოდი, რომ დონ ხუანმაც და სხვებმაც, ნამდვილად გაიგონეს ეს ხმაური. ის შესაძლებლობა, რომ ეს სიმღერა იყო პასუხი ერთ-ერთის მიერ ჩემს მოსატყუებლად მიცემულ ნიშნისა, მე ერთიანად უარეყავი.

იმ წუთში ვიგრძენი, როგორ მშთანთქა სიბრძნის უზარმაზარმა ტალღამ. ვარაუდი, რომელთანაც სამი წლის განმავლობაში ვთამაშობდი, რწმენად იქცა. სამი წელი დამჭირდა იმისათვის, რომ მიმეზღადირებინა, უფრო სწორედ გამომიცნო: რაც არ უნდა ყოფილიყო კატქუსში Lophophoza Williamsi, მას არაფერი ჰქონდა საერთო პირადად ჩემთან და თავისთავად, სრულიად დამოუკიდებლად არებობდა. ახლა ეს ვიცოდი.

აღვზნებულად ვმღეროდი, სანამ სიტყვების წარმოთქმა ჯერ კიდევ შემეძლო. ჩემი სიმღერები თითქოს შივ სხეულში იყვნენ მოთავსებული და მის უმართავ კრიოზას იწყვედნენ. საჭირო იყო გასვლა და მესკალიტოს პოვნა, წინააღმდეგ შემთხვევაში აფეთქდებოდა. პეიოტის ველისკენ წავიქე და გზადაგზა სიმღერას ვგრძობობდი. ვიცოდი, რომ სიმღერები პირადად მე მეკუთვნებოდა — უცილობელი მტკიცება ჩემი ერთადერთობის. ყოველი ნაბიჯის გადადგმისას ვგრძობობდი, როგორ ირეკლავდა მას მიწა, გამოძახილივით ჩემი ნაბიჯების გამოძახილი, საკუთარი თავის ადამიანად გაცნობიერების აუსწრებელ ვიფორიას ბადებდა.

ყველა პეიოტის მცენარე ველზე ცისფრად მოციმციმე უშუალოდ ბრწყინავდა. ერთი მათგანი განსაკუთრებით კამკაშებდა. მის წინ დავაგეკი და ჩემი სიმღერები ვუმღერე. სანამ ვმღეროდი, მცენარიდან მესკალიტი გამოვიდა — იგივე ადრე ნანახი ადამიანის მსგავსი ფიგურა. მან შემომხედა და მე ძალზე (ჩემი ტემპერამენტის კაცისათვის) მეტყველურად ვუმღერე ჩემი სიმღერები. ამას თან ახლდა ფლიტის თუ ქარის ნაცნობი მუსიკალური ვიბრაცია. ალბათ, ისევე როგორც ორი წლის წინათ, მან თქვა: „რა გინდა?“

ძალიან ხმამაღლა ავლაპარაკდი. ეუთხარი, რომ ვიცოდი, ჩემს ცხოვრებას და ჩემს ქცევას რაღაც აკლდა, მაგრამ ვერ გამეგო რა. ვემუდარებოდი ეთქვა, რა მჭირდა ისეთი, ვთხოვდი, თავისი სახელი მოემძღო. გასაჭირში რომ მომეხბო. მან შემომხედა, პირი ტრომბონის მსგავსად ნელა გამოწვლია, სანამ იგი ჩემს ყურს არ მისწვდა და თავისი სახელი მითხრა.

უცბად, მამაჩემი დავინახე, პეიოტის ველის შუაგულში იდგა, — მაგრამ თვით ველი გამქრალიყო და მოქმედებამ ჩემს ძველ სახლში, ბავშვობის სახლში გადაინაცვლა. მე და მამა ლეღვის ხესთან ვიდექით. ჩაეხუტე მას და ჩქარა-ჩქარა იმის შესახებ დავუწვე

საუბარი, რაც ადრე მისთვის ვერა და ვერ მითქვამს. ყოველი ჩემი აზრი მკაფიო და მოსწრებული იყო, თითქოს ჩვენ დრო არ გვექონდა და ამიტომ ყველაფერი ერთბაშად უნდა თქმულიყო. საოცარი რამ ვუამბე ჩემს გრძობებზე მის მიმართ, რასაც ჩვეულებრივ ვითარებაში ვერასოდეს გაუგებდავდი.

მემა არ ლაპარაკობდა, უბრალოდ მისმენდა, შემდეგ კი იგი რაღაცამ შეისრუტა ან შეიწოვა. ისევ მარტო დავრჩი და ავტირიდი, სინათლისა და სვედის მოზღვაუების გამო.

პეიოტის ველით მეფიდიდი და იმ სახელს ვიძიებოდი, მესკალიტომ რომ მასწავლა. უცად რაღაც წარმოიქმნა პეიოტის მცენარეზე უცნაური ფარსკვლავთა მსგავსი შუქიდან. გრძელი, კაშკაშა — ადა-მიანის სიმაღლის სინათლის სვეტი. წამით მან მთელი ველი გაანათა ინტენსიური მოყვითალო ან აშკრის ფერი შუქით შემდეგ, შემოთხალს ცას მთოფინა და გრანდიოზული, მშვენიერი სანახაობა შექმნა. გაგიფიქრე, რომ დაგბრმავებდით, ცქერას თუ გაუგარძელებდი. თვალები დახუჭე და სახე ხელებში ჩაემაღლე.

გარკვევით გაგიგე, რომ მესკალიტო პეიოტის კიდევ ერთი ნაჭრის შეჭმას მაჯავლებდა. გაგიფიქრე: „ეს როგორ გაუაკეთო? მე ხომ დანა არა მაქვს მის მოსაჭრელად“.

— „პირდაპირ მიწიდან ჭამე“, — მითხრა მან ისეთსავე უცნაურ ყვირდაზე.

მეცელებზე დავწვი და მცენარის კენწერო მოვლექე. მან აღმანთო. სხეულის ყველა ნაწილაკი სითბოთი და სისწორით ამოვსო. ყველაფერი გაცოცხლდა. ყველაფერი ნატიფი და რთული დეტალურობით გამოირჩეოდა — და იმედროულად ისეთი უბრალო იყო! ყველგან ვიყავი; ყველაფერს ჩემს ზევით, ქვევით და გარშემო ერთბაშად და ერთდროულად ვხედავდი.

ეს განსაკუთრებული შვერძნება საკმაოდ დიდხანს გაგრძელდა იმისათვის, რომ მისი გათვითცნობიერება შეძლებოდა. შემდეგ იგი სულსმეხუთველი შიშით, შეტრუნებით შეიცვალა, რომელიც არა მკვეთრად, არამედ რაღაცნაირად მდორედ და იმედროულად სწრაფად დამაწვა. ვერ სიჩუმის მშვენიერი სამყარო მკაბე ხმებმა დაამხვებია. მაგრამ ამასთან რა მესაქმებოდა. ხმები უფრო ხმაძალაღი და უწვევტი შეიქმნა, თითქოს მე მიახლოვებოდნენ. თანდათან დეკარგე განუყოფელ, განყენებულ და შეუღარებულ სამყარო-

ში ნაყარდის შვერძნება. ხმები გვიანტურ ნაბიჯებად იქცნენ. რაღაც უზარმაზარი ხმაძალა სუნთქვად და გარშემო მგელიდა. დუგაკენი, რომ იგი ჩემზე ნადირობდა.

გაფიქრე, რიყის ქვის ქვეშ დავიძალდე და იქიდან ვცადე განმესახვება, ვინ დამდეგდა. რამდენიმე წაშში გამოვფერი ჩემს თავშესაფრიდან, საბოლოოდ მტრისთვის სახეში რომ შემეჭუნა და მღევიარი — მე იგი მაინც ვერ დავინახე — შეტყუარა. რაღაც ზღვის წყალცენარის მსგავსი ზემოდან დამემხო. გვიანტური ლოფორთქინა უკვე მზად იყო, თავის სიძმით გაეჭვლიტე, რომ მე უკვე რაღაც ღრინტემში ან ღრმულში აღმოვჩნდი. შვეამწინა, რომ ლოფორთქინა, ჩემს გარშემო, მთელს ზედაპირს არ ფარავდა. „რიყის ქვის ქვეშ კიდევ რჩებოდა თავისუფალი მიწის ნაჭერი. იმ წუთს „ვიციოდი“, რომ ის საჭმლის მომწელებელ მთავს გამოყოფდა ჩემს გასახსნელად. წვეთი ხელზე მომხვდა; მცდილობდი, მთავის მიწით ამოვსობას, ხელს ნერწყვით ვისველებდი და კვლავ თავის დამარხვას განვაგრძობდი. მაგრამ რამდენიმე წაშში, მე უკვე თითქმის თვითონ დავიწყე აორთქლება. რაღაც ძალა ზევით, სინათლისკენ მაგდებდა. ეტყობა, ლოფორთქინამ მე გამხსნა. ბუნდოვნად შევნიშნე სინათლე. იგი ხულუფრო და უფრო კაშკაშებდა. სინათლე მიწისქვეშოდან იჭრებოდა, ძლიერდებოდა — და საბოლოოდ ბორცვებიან პორიზონტზე ამომავალ მზედ იქცა.“

თანდათან ჩემმა ჩვეულებრივმა აღქმის უნარმა იწყო აღდგენა. მუცელზე დავწვი, ხელით თავი გავიმაგრე. პეიოტის მცენარე ჩემს წინ ისევ განათდა და სანამ თვალის გავლებას მოვასწრებდი, კვლავ გრძელი სინათლის სვეტი აღმართა. იგი თავზე გადმოვიფინა. აუღეკი. სინათლე მთელს ჩემს სხეულს წყნარი ძალით შეეხო. შემდეგ ადგილიდან მოწყდა და თვალს მიეფარა.

მთელი გზა ვირბინე იმ ადგილამდე, სადაც კაცები დარჩნენ. სუყველა ერთად ქალაქში დავბრუნდიო მე და დონ ხუანმა კიდევ ერთი დღე რობერტოსთან — პეიოტის წამყვანთან — დავრჩი. მთელი ის დრო, რაც იქ ვიმყოფებოდიო, ძილში გავატარე. როდესაც გამგზავრებას ვამიბრებდიო, ჩემთან პეიოტის სესიის მონაწილე ახალგაზრდები მივიდნენ. ერთიმეორის მიყოლებით მხევეოდნენ და მორცხვად იცინოდნენ. ყველამ საკუთარი თავი წარმიდგინა. რამდენიმე საათი ველაპარაკე ყველაფერზე ამქვეყნად, გარდა პეიოტური

შეხვედრებისა.

ღონ ხუანმა თქვა, რომ წასვლის დრო იყო. ახლა გაზრდები კვლევა გადამეხვიენენ. „ჩამოდი“, — მითხრა ერთ-ერთმა. „...უკვე გელოდებით“, — დაუმატა მეორემ. ნელა ვეშხადებოდი. მოხუცების ნახვის იმედით, მაგრამ არცერთი მათგანი არ გამოჩენილა.

1964 წლის 10 სექტემბერი, ხუთშაბათი

როდესაც ღონ ხუანს რომელიმე თავგადასავალს ვუყვებოდი, ყოველთვის იძულებული ვიყავი, იგი რაც შეიძლება, თანმიმდევრულად, ნაბიჯ ნაბიჯ მომიგონებინა. ეს ამბის სრულად აღდგენის ერთადერთი საშუალებად მიმაჩნდა.

დღეს მესკალიტოსთან ჩემი უკანასკნელი შეხვედრის დეტალები ვუამბე. ის ყურადღებით უსმენდა ძირითხრობის იმ ადგილამდე, როცა მესკალიტომ თავისი სახელი გამომიხილა. აქ ღონ ხუანმა შემაწყვეტინა.

— ეხლა შენ თავის-თავადა ხარ, — დამცველმა მივიღო. აწი ჩემგან ბევრ ვერაფერ ხეირს ნახავ. მეტს ნულარაფერს მომიყვები შენი დამოკიდებულების შესახებ მასთან. ახლა უკვე იცი მიხი სახელი — და ამიერიდან არცერთი ცოცხალ არსებასთან არ უნდა ახსენო იგი და არც თქვენი საქმიანობის შესახებ უთხრა რაიმე.

მე დაჟინებით მოვითხოვე მისთვის განცდილის ყველა დეტალის მოყოლის უფლებას, რადგან ჩემთვის მას აზრი არ ჰქონდა. ვუთხარი, რომ მისი დახმარება მჭირდებოდა, ნანახის გასააზრებლად. მან კი მიპასუხა, რომ ამის გაკეთება მე თვითონაც კარგად შემიძლო და რომ ჩემთვის უკეთესი იქნებოდა, თვად დამეწყო ფიქრი. მაგრამ, შევეპასუხე მე, მე მისი აზრი მაინტერესებდა, რადგან ძალზე ბევრი დრო დამჭირდებოდა, თვითონ რომ გურკვეულიყავი და ამასთან ისიც არ ვიცოდი, რით დამეწყო.

— ავიღოთ, მაგალითად, სიმღერები. რას ნიშნავენ ისინი?

— ეს მთლიანად შენი გადასაწყვეტია, — თქვა მან. — აბა მე საიდან უნდა ვიცოდე, რას ნიშნავენ? მხოლოდ დამცველს შეუძლია გითხრას ამის შესახებ, ისევე როგორც მხოლოდ მას შეეძლო, ესწავლა შენთვის თავისი სიმღერები. მე რომ იმის ახსნა შეცადა, თუ რას ნიშნავენ ისინი, ეს იგივე იქნებოდა, შენ რომ ვიღაც სხვისი

სიმღერები გესწავლა.

— ამით რისი თქმა გინდა, ღონ ხუან?

— ხელად შეიძლება მიხვდე, ვინმე თუ თაღლითობს — უბრალოდ სხვების სიტყვებს იმეორებს, იმათ სიტყვებს, ვინც დამცველის სიმღერებს მღერობან. დამცველის სიმღერებს — ყოველთვის სული ახლავს, იგი მხოლოდ ასეთ სიმღერებს ასწავლის. ყველა დანარჩენი — სხვა ადამიანთა სიმღერების ასლებია. ასე ცრუობენ ხანდახან ადამიანები. სხვის სიმღერებს მღერობან და ისიც კი არ იციან, რაზეა მათში საუბარი.

ვუთხარი, რომ ვაპირებდი მისთვის მეკითხა, თუ რისთვის მღეროდნენ სიმღერებს. მან მიპასუხა, რომ სიმღერები, რომლებიც მე ვისწავლე — დამცველის გამოსახებლად იყო დანიშნული და რომ მის მოსახმობად, სახელთან ერთად, ყოველთვის მათთვის უნდა მიმემართა. მოგვიანებით მესკალიტო, ალბათ სხვა მიზნებისთვის განკუთვნილ სიმღერებსაც მასწავლიდა, თქვა ღონ ხუანმა.

ამის მეურე ვეკითხე, როგორ მიაჩნდა მას, დამცველმა სრულიად მიმიღო თუ არა. პასუხად მან გაიცინა, თითქოს თვით შეკითხვა იყო სულელური. თქვა, რომ დამცველმა მე მიმიღო და ეს უკეთ რომ შემეგნო, ორჯერ დამიდარსტურა კიდევ, როცა სინაილის სახით მომეკვლინა. როგორც სწანს, ღონ ხუანზე ძალზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა იმ გარემოებამ, რომ სინათლე ორჯერ ენაზე და ჩემს მესკალიტოსთან შეხვედრის სწორედ ამ მხარეს გაუსუვა ხაზი.

შეჩვილე, რომ არ მეხმოდა, როგორ შეიძლებოდა, რომ მესკალიტო თითქოს გიღებდა და ამავე დროს ასე სასიკვდილოდ გამიხებდა.

ძალიან დიდხანს დააყოვნა პასუხი და რაღაც დაბნეული ჩანდა. ბოლოს თქვა:

— ეგ ხომ გასაკვებია. ის, რაც მას უნდოდა ეთქვა, იმდენად ცხადია, რომ არ ვიცო, შენ როგორ არ გეხმის ეს.

— ჩემთვის საერთოდ ყველაფერი მიუწვდომელია, ღონ ხუან.

— დროა საჭირო იმისათვის, რომ გარკვეული დანახო და გაიგო, რა აქვს მხედველობაში მესკალიტოს: მის გაკვეთილებზე უნდა იფიქრო მანამ, სანამ ისინი შენთვის გასაკვები არ გახდებიან.

1964 წლის 11 სექტემბერი, პარასკევი

კვლავ დაჟინებით ვთხოვდი ღონ ხუანს, ჩემი ეიზონერული ცლა განემარტა. რამდენიმე ხანს უარზე იყო. შემდეგ ალაპარაკდა, და ისე, თითქოს მესკალიტონზე საუბარს აგრძელებდა.

— ხომ ხედავ, რომ სისულელეა მას შეკითხვები მისცე, როგორც ჩვეულებრივ ადამიანს, რომელთანაც საუბრის გაბმა შეიძლება? ის არა ჰგავს არაფერს, რაც შენ აქამდე განახავს; იგი ადამიანითაა და ამავე დროს, სულ არა ჰგავს მას. ძნელია ამის ახსნა ისეთი ადამიანისთვის, ვინც არაფერი იცის მის შესახებ და ერთბაშად ყველაფერში გარკვევა სურს. მისი გაკვეთილები ხომ არანაკლები იდუმალებით არის მოცული, ვიდრე თვით იგი. რამდენადაც მე ვიცი, არცერთ ადამიანს არ ძალუძს მისი ქცევის წანასწარმეტყველება. შენ აძლევ შეკითხვას და ის გზას გიჩვენებს, მაგრამ ისე როდი გესაუბრება მის შესახებ, როგორც ახლა მე და შენ ესაუბრობთ. გეხმის ახლა რას აკეთებს იგი?

— მე შეგონია, ამის გაგება არ გამიძვირდება. მაგრამ ვერ წარმომიდგენია, რა აზრია ამაში?

— შენ სთხოვე, მას აეხსნა შენი გასაჭირი და მანაც სურათი დაგიხატა. აქ შეცდომა გამოიტანხულია! უფლება არა გაქვს განაცხადო, რომ ვერ გაიგე. ეს საუბარი არ ყოფილა — და ამავე დროს იყო. შერე შენ სხვა შეკითხვა მიეცი და მანაც იმავე საშუალებით გაიასუხა. არა ვარ დარწმუნებული, რომ მესმის მისი ნათქვამი, რადგან შენ არ მითხარი, რა შეკითხვა მიეცი.

გულდასმით მოვეყვი მისთვის მიცემული ყველა ჩემი შეკითხვის გახსენებას და იგივე თანმიმდევრობით გავიმეორე: „გაკეთებ თუ არა იმას, რაც საჭიროა? სწორ გზას თუ ვადგევარ? ჩემს ცხოვრებას როგორ მოვექცე?“ ღონ ხუანმა თქვა, რომ ჩემს მიერ დასმული შეკითხვები — მხოლოდ სიტყვები იყო. ისინი ჯობდა კი არ წარმოეთქვა, არამედ შიგნიდან დამეხსე. მან დაუმატა, რომ დამცველს მხედველობაში ჰქონდა ჩემთვის გაკვეთილის მიცემა და არა დაშინება და ამიტომაც ორჯერ გამომოეცხადა სინათლის სახით.

მე მაინც ვერ გამეგო, რატომ დასჭირდა მესკალიტონს ჩემი შეშინება, თუ კი მან მიმიღო. ღონ ხუანს შევახსენე, რომ მისივე მტკიცებით, როცა მესკალიტო გიღებდა, იგი თავის ფორმას ინარჩუნებდა და ნეტარებიდან კომპარზე არ დახტოდა. ღონ ხუანს კვ-

ლავ სიცილი აუტყდა და თქვა, რომ თუ მე შეკითხვას ჩაუუფიქრებდი, გულში რომ შედო, როდესაც მესკალიტონს ველაპარაკებოდი, გაკვეთილს თვითონ მივუხვებდოდი.

იმ შეკითხვაზე ფიქრი, მე რომ „გულში“ შედო, ძნელი საქმე გამოდგა. ღონ ხუანს ვუთხარი, რომ მაშინ თაუში ბუერი რამ მიტრიალებდა. როდესაც ვეკითხებოდი, სწორ გზას თუ ვადეკი, მხედველობაში ეს მქონდა: მართალი იყო თუ არა, რომ მე ერთდროულად ორ სამყაროში ვიმყოფებოდი. რომელი იყო სწორი, საითკენ უნდა წარმე-მართა ჩემი ცხოვრება.

ღონ ხუანმა განმარტებები მოისმინა და დაასკვნა, რომ მე არ მქონდა სამყაროზე ცხადი წარმოდგენა და რომ დამცველმა საოცრად ცხადი გაკვეთილი მომიცა.

მან განაგრძო:

— შენ ფიქრობ, რომ ორ სამყაროში ხარ და წინ ორი გზა გადაგეშალა. მაგრამ იგი მხოლოდ ერთია. დამცველმა ეს არაჩვეულებრივი სივცადით გიჩვენა. შენთვის ერთადერთი მისასწავლო მიმართულებაა — ადამიანთა სამყარო; ამ სამყაროს შენი ნებით ვერ დატოვებ. შენ ადამიანი ხარ! დამცველმა გიჩვენა ბენდიერების სამყარო, სადაც საგნებს შორის განსხვავება არ არის იმიტომ, რომ არაუნაა განსხვავების მაძიებელი. მაგრამ ეს არ არის ადამიანთა სამყარო. დამცველმა გადმოგატერტვა იქიდან და გიჩვენა, როგორ ფიქრობს და იბრძვის ადამიანი. ეს — ადამიანთა სამყაროა. იყო ადამიანი ნიშნავს, ეს სამყარო გჭირდება მისჯილი. შენ სულელურად თვლი, რომ ორ სამყაროში ცხოვრობ, მაგრამ ეს მხოლოდ შენი სიბრძნეა. მხოლოდ ერთი სამყარო არსებობს ჩვენთვის და არავითარი სხვა. ჩვენ, ადამიანები ვართ და ადამიანთა სამყარო კმაყოფილებით უნდა მივიღოთ.

მე მიამჩნია, რომ სწორედ ამაში იყო შენი გაკვეთილი.

9

ღონ ხუანს, როგორც სჩანს, სურდა, რომ ეშმაკის ბალახთან რაც შეიძლება მეტი მეშუაყა. ასეთი განწყობა არაფრით არ შეესაბამებოდა მის მიერ ადრე გამოხატულ მტრობას ამ ძალიანდმი. მან განმიმარტა, რომ ახლოვდებოდა დრო, როცა კვლავ მიწვე-

და მოწვეა და ამ დროისათვის, რაც შეიძლება, უკეთ უნდა გამეცნო
ეშმაკის ბალახის ძალა.

მან რამდენიმეჯერ შემომთავაზა, კიდევ ერთხელ მაინც გამოემე-
ცნა ეშმაკის ბალახი ხვლიკებისა და ჯადოქრობით დიდხანს ვი-
ფიქრე ამაზე. დონ ხუანის დაწოლა დრამატულად მატულობდა, სანამ
თავი მოვალედ არ ვივარძენი, მისი მოთხოვნა შემეხრებოდა. გაღა-
ვწყვიტე, მექმითხა ზოგიერთი მოპარული ნივთის შესახებ.

1964 წლის 28 დეკემბერი, ორშაბათი

ცხრამეტ დეკემბერს, შაბათს, ლემის ფესვი მოგჭერი. დაღამე-
ბას დაველოდე, მცენარის გარშემო ჩემი ცეკვების შესასრულებლად.
ღამით ფესვის ექსტრაქტი დაეშადა და კვირას, დაახლოებით
ღლიის 6 საათისთვის, ჩემი მცენარის ადგილზე მივიღე. მის წინ
დაეჯექი: დონ ხუანის ყველა დარიგება, პროცედურასთან დაკე-
შირებით, საგულდაგულად მქონდა ჩაწერილი. კვლავ გადავიკითხე
ჩანაწერები და მიუიანზე, რომ თესლი სხვა ადგილას უნდა დამენაყა.
რადანნიარად, უბრალოდ იმან, რომ მცენარესთან ვიმყოფებოდი,
ჩემში იმუდიათი ემოციური მდგომარეობა, აზროვნების სიცხადე და
საკუთარ მოქმედებაზე კონცენტრაცია უნარი გამოიწვია, რაც, ჩემუ-
ლებრივ, სულაც არ მახასიათებდა.

ზუსტად ვასრულებდი ინსტრუქციებს და დრო ისე გავთვალე,
რომ პასტაც და ფესვიც დღის ბოლოსათვის მზად მქონოდა. საღა-
მოს, ხუთ საათზე, უკვე ხვლიკების დაჭერას შეუდგექი. სათანხ-
ვერის განმეყოლობაში ყველა ზერხი ვცადე, რაც კი თავში მომთე-
და, მაგრამ უშედეგოდ.

ვიჯექი ლემის ბუჩქის წინ და თავს ეიმტვრედი, როგორ მიმეღ-
წია საწადელისთვის და უცებ დონ ხუანის სიტყვები მომაგონდა,
რომ ხვლიკებთან გასაუბრება იყო საჭირო. ჯერ ეს აზრი მჭამუშა
— თავს უხერხულად ვვარძობდი, თითქოს აუდიტორიის წინაშე
მიხდებოდა გამოსვლა. მაგრამ მალე ეს შერბნება გამიქრა და
ლაპარაკი გავაგრძელე. თითქმის სრულიად დაბნელებულიყო. ქვა
ავწიე. მის ქვეშ ხვლიკი იჯდა. გაქვებულები. ხელში ავიყვანე და
მამინდე დაეინახე, რომ იქვე, მეორე ქვის ქვეშ, კიდევ ერთი ხვლიკი

გამეშუბლებო. არცერთს გაქცევა არც კი უცდა.

ყველაზე ძნელი მათთვის პირის და ქუთუთების ამოკრევა
გამიძღვა. შევამჩნიე, რომ დონ ხუანი ჩემს ქმედებებს რაღაც შეუ-
ქცევადობის აზრს ანიჭებდა. თვითონ იგი ამტკიცებდა, რომ თუ
მოქმედების დაიწყებდი, გაჩერება ადარ შეიძლებოდა. მაგრამ, მიუ-
ხედავად ამისა, გაჩერება რომ მომნდომოდა, ხელს ვერაფერი შემიშ-
ლიდა. შესაძლოა, უბრალოდ გაჩერების სურვილი არ გამჩნია.

ერთი ხვლიკი გავუშვი და იგი ჩრდილო-აღმოსავლეთის მიმა-
როულეობით გაიქცა — კარგი, მაგრამ ძნელი ჯადოქრობის მანიშნე-
ბელი. მეორე ხვლიკი მხარზე მივიბი და პასტით საფეთქლები დავიზ-
ილე, როგორც ამას წესი მოითხოვდა. ხვლიკი არ ინძროდა: წამით
გავიფიქრე, რომ მომკვდარიყო — დონ ხუანს კი არაფერი უთქვამს,
როგორ მოგქცეულიყო ამ შემთხვევაში. მაგრამ იგი მხოლოდ გაშე-
შუბლებო.

წამალი დაგიღე და ცოტა დავიცადე. არაფერი არაჩვეულებრივი
არ მომხდარა. პასტის საფეთქლებში ჩაზელებს შეუდგექი. ოცდახუთ-
ჯერ დავიღე. შემდეგ სრულიად მექანიკურად, თითქოს სისმარში
ვიფორმდებოდი, რამდენიმეჯერ შუბლზე წავიხე. წამსზე მივხედა ჩემს
შეცდომას და პასტა სასწრაფოდ მოვიცილე. შუბლზე ოფლმა გაე-
მომახსა. ციებზე ხელემა ამიტყდა. უსასრულო სასოწარკვეთილებამ
მამიცა, რადგან დონ ხუანმა სასტიკად გამაფრთხილა, პასტა შუბლ-
ზე არ წამსხვა. შიში აბსოლუტური სიმპარტოვის, განწირულობის
გრძნობით შეიცვალა. ეს ჩემს თავს მე თვითონ მოუწევს. რაიმე
უბედურებას რომ გადავტოვდი, არაფერ იყო ჩემი მშველელი. გაქცე-
ვა მომიხდა. მშფოთვარე სიმხდალე დამეუფლა, წარმოდგენა არ მქონ-
და, რა მექნა. აზრების სიზღვარმა ვიწება დამიტოვრა; ისინი წარ-
მოუდგენელი სისწრაფით ცვლიდნენ ერთმანეთს. შეენიშნე, რომ ეს
საკმაოდ უცნაური აზრები იყო, უფრო სწორად, ისინი უცნაური და
უცხო მექანეზორდნენ, რადგან სულ ხვანიათად იბადებოდნენ, ვი-
დრე ეს ჩვეულებრივ ხდებოდა. მე ვიცი, როგორცა ვიჭირობ. ჩემს
აზრებს გარკვეული წყობა გააჩნიათ, რომელიც მხოლოდ მე მახასია-
თებს და ნებისმიერი გადახვევის შემწევა ძალზე ადვილია.

ერთ-ერთი უცხო აზრი, რომელიც მწერლის გამონათქვამს
იყო და, როგორც ბუნდონად მახსოვს, ის რაღაც ხმის ამ ბგერების
სახით უკანა პლანზე აქედრდა. ეს ისე სწრაფად მოხდა, რომ ცოტა

არ იყო შემაკროთ. გვიანაჲ, იგი რომ მომეპარებინა, მაგრამ ის რომელიღაც ჩვეულებრივმა აზრმა განდევნა. დარწმუნებული ვიყავი, რომ გამონათქვამი სადღაც წაკითხული მქონდა, მაგრამ ვერაფრით გამეხსენებია ავტორი. უცბად მივხვდი, რომ ეს ალფრედ კრებერი იყო. მაშინ კიდევ ერთმა უცხო აზრმა იფეთქა და თქვა, რომ ეს კრებერი კი არა, გეორგ ზემელი იყო. მე ჩემსაზე ვიდექი და ვამტკიცებდი, რომ გამონათქვამის ავტორი კრებერია. უცბად, ამის შემდეგ, თავი იმაზე დავიჭირე, რომ გაცხარებული საკუთარ თავს ვუკამათებოდი. ჩემი განწირულობის გრძობა ერთბაშად გადაამეცინა.

ქუთათუბი დამიძინდა, თითქოს ძილის წამლის ზემოქმედების ქვეშ ვიმყოფებოდი. თუმცა არასოდეს არავითარი ძილის წამალი არ მიმიღია, თავი სწორედ ასეთი შედარება მომივლიდა. მძინებოდა. მანქანაში ჩაჯდომა მომიწდა, მაგრამ ვერ ეინძეროდი.

მერე, სრულიად მოულოდნელად, გამოვივლია. ან უფრო სწორედ, გარკვევით ვიგრძენი, რომ გამოვივლიდი. მაშინათვე დროს გაგება მომიწდა. მივიხედ-მოვიხედე ღღმის მცენარე ვერ დავინახე — სულ სხვა ადგილას აღმოვჩნდი. თუთი ფაქტს კიდევ ერთი მკითხოვს, გულგრილად დამოქვამდი. საათი ჩემს თავს ზემოთ 12.35-ს უჩვენებდა. ვიცოდი, რომ შუალამე იყო.

პირდაპირ, ჩემს წინ, ვიღაც ახალგაზრდა კაცს ქალაღის დასტა მოჰქონდა. მას თითქმის ვუბნობდი. ვხედავდი მფეთქავ ძარღვს მის კისერზე და მისი აჩქარებული გულსიტყვა მესმოდა. ჩაუღრმავდი იმას, რასაც ვხედავდი, ჩემი აზრების ხასიათს კი ყურადღებას აღარ ვაქცევდი. შემდეგ გავიგონე „ხმა“, რომელიც მთელ სცენას ამიწერდა და პირდაპირ ყურში ჩამიხახოდა — მივხვდი, რომ ეს „ხმა“ უცხო იყო ჩემს გონებაში.

ვუსმენდი და მან ისე გამიტაცა, რომ ხილული სცენისადმი ინტერესი დავკარგე. „ხმა“ ჩემს მარჯვენა ყურთან, პირდაპირ ხხარის ზემოდან მოისმოდა. სწორედ ის ქმნიდა სცენას, მისი აღწერა. მაგრამ იგი ჩემს ნებას ემორჩილებოდა — ნებისმიერ დროს შემეძლო მისი შეჩერება და იმის დეტალებში ჩადრმავება, რაზედაც საუბარი მიდიოდა, როცა უბრალოდ ვუსმენდი. მე „მესმოდავხედავდი“ ახალგაზრდა კაცის ქმედების მთელს თანმიმდევრობას. ხმა განაგრძობდა მის აღწერას, უწერილეს დეტალებში, მაგრამ თავის თავად, მას რატომღაც, მნიშვნელობა არ მქონდა. ხმა ვებუნებრივი მოუღუნა იყო. სამაჟერ ვცადე შემობრუნება, მინდოდა მენახა, ვინ

ლაპარაკობდა. ვცადე თავის მარჯვნივ შებრუნება და მოულოდნელად, უკან შეტრიალება, რომ გამეჩქვია, იქ ხომ არ იყო ვინმე. მაგრამ ჩემი მხედველობა ყოველთვის იწისლებოდა. გავიფიქრე: „იმიტომ არ შემიძლია შემობრუნება, რომ ეს სცენა ყოველდღიური რეალობიდან არა არის“. ეს აზრი, ჩემი საკუთარი აზრი იყო.

მაშინ ყურადღება მარტო ხმაზე გავამახვილე. ის, თითქოს, ჩემი მხრიდან მოდიოდა. სრულიად ცხადი, თუმცა ოდნავ წვრილი. ეს არც ბავშვის ხმა იყო და არც ფალცეტი, არამედ მინიატურული კაცის ხმა. ჩემი ხმაც არ ყოფილა. ჩემი ვარაუდით, იგი ანგოსურად ლაპარაკობდა. როგორ არ ვცეცადე მის ჩარჩევს. იგი მაშინათვე ჩემდებოდა და ბუნდოვანი ხლებოდა. სცენა კი იძვრებოდა. ერთი შედარება დამებდა. ხმა იმ სურათს, წააგავდა, რომელსაც წამშებვის მტვერი ან თულის გარსზე სისხლბარდები წარმოქმნიან, იმ ჭვისებრ ფორმებს, რომლის დანახვაც მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება, თუ არ ცდილობ მათ პირდაპირ შეხედო. ხოლო როგორც კი შეხედვას დააპირებ, ისინი გისხლტებიან ხედვის არედან, თულის კაქლის მოძრაობასთან ერთად.

მოქმედებისადმი ინტერესი სრულიად დავკარგე. რაც მეტს ვუსმენდი, ხმა მით უფრო რთულდებოდა. ის, რაც ხმად მიმანდა, სულ უფრო ემსგავსებოდა ისეთ რაღაცას, რაც აზრებს ყურში ჩამურჩულებდა. მაგრამ ეს მთლად ზუსტი არ იქნებოდა. რაღაცა ფიქრობდა ჩემს მაგიერად. აზრები ჩემს გარეთ იმყოფებოდნენ. ვიცოდი, რომ ეს ასე იყო, იმიტომ, რომ შემეძლო, როგორც ჩემი საკუთარი, ისე იმ „უცხო“ აზრების ერთდროულად დაჭრა.

რადაც დროის შემედეგ ხშირ შემქმნილ სცენებს იმ ბიჭის მონაწილეობით, უკვე აღარაფერი მქონდა საერთო ჩემს პირადღელ შეკითხვასთან, დაკარგული ნივთების შესახებ. იგი ძალზე რთულ რაღაცა კეთებდა. მოქმედებამ ჩემთვის კვლავ მნიშვნელობა მოიპოვა და ხმას უკვე ყურადღებას აღარ ვაქცევდი. მოთმინებას ვკარგავდი; დასრულება მინდოდა. გავიფიქრე: „ეს როგორ დავამთავრო?“ ხმამ ყურთან მითხრა, რომ ამისათვის საჭირო იყო კანონში დაბრუნება. ვკითხე, ეს როგორ გამეკეთებინა და ხმამ მიპასუხა, რომ ჩემს მცენარეზე უნდა მეფიქრა.

ჩემს მცენარეზე დავიწყე ფიქრი. ჩვეულებრივ, პირდაპირ მის წინ ვიჯექი. ეს ისე ხშირად გამეკეთებია, რომ მის ვიზუალიზაციას არავითარი სიძნელე არ წარმოუშვია. მე ჩაკვივალე, რომ ის, როგორც

მას ახლა ვეზღავდი — კიდევ ერთი პალუცინაცია იყო, მაგრამ ხმამ მითხრა, რომ მე „დავბრუნდი“! დაძაბულად ყურს ვუკვებდი. მხოლოდ სიწუმე მესმოდა. ლემის მცენარე ჩემს წინ ისეთივე რეალური მეჭვინებოდა, როგორც ყველაფერი, რაც ახლახან შენახა, მაგრამ მისთვის ხელის შეხება, მისი ვარშემო შემოვლა შეძებლო.

წამოვდექი და მანქანისკენ წავედი. ძალის დატანებამ გამოიფიტა. დავეჯექი და თვალები დავხუჭე. გული მძეროდა, თავი მიბრუნოდა. ყურები მიწყოდა.

უცებ გულზე რაღაც ჩამომისრიალდა. ეს ხვლიკი იყო. მამონათვე ხუანის დარიგება მომაგონდა, მისი გაშვების შესახებ ჩემს მცენარესთან დავბრუნდი და ხვლიკს ბაწარი შემოვხსენი. იმის დანახვაც კი არ მინდოდა, ცოცხალი იყო თუ მკვდარი. თიხის ქოთანს პასტით — გავტყუე და ფეხით მიწა მოვაყარე. მერე მანქანაში დავჯექი და დავიძინე.

1964 წლის 24 დეკემბერი, ხუთშაბათი

დღეს დონ ხუანს ყველა ჩემი თავგადასავალი ვუამბე. ჩვეულებრივსა მებრ სიტყვის გაუსწვეტლად მომიხსინა. რის შემდეგაც ჩვენს შორის ასეთი საუბარი გაიმართა:

- ზოგი-რამ არ უნდა გაგკეთებინა.
- ვიცო, სულელური შეცდომა დავუშვი, სრულიად შემთხვევით.
- არ არსებობს შემთხვევითი, როცა ეშმაკის ბალახთან გაქვს საქმე. გითხარი უკვე, რომ ის მუდამ გცდის. როგორც ჩანს, შენ ან ნამეტანი ძლიერი ხარ, ან კიდევ, ეშმაკის ბალახს მართლა მოსწონხარ. შუბლის შუაგული მხოლოდ დიდი ბრუხებისთვისაა, იმათთვის ვინც, იცის, მის ძალას როგორ მოეპყროს.
- რა მოხდება, თუ ადამიანი შუბლზე პასტას წაიცხებს?
- თუ ეს ადამიანი დიდი ბრუხი არ არის, ის უბრალოდ ადარასოდეს დაბრუნდება მოგზაურობიდან.
- შენ თვითონ როდისმე თუ წაგისვია პასტა შუბლზე, დონ ხუან?
- არასოდეს. ჩემი ბენეფაქტორი მეუბნებოდა, რომ ძალზე ცოტა ვინმე თუ ბრუნდება ასეთი მოგზაურობიდან. ადამიანმა შეიძლება თვეობით იმოგზაუროს და ამ დროის განმავლობაში სხვებმა უნდა იზრუნონ მასზე. ბენეფაქტორი ამბობდა, რომ ხვლიკებს შეუ-

ძლიათ ადამიანი მისი სურვილისამებრ ქვეყნის ნებისმიერ კუთხეში წაიყვანონ და სხვადასხვა საოცრებანი აჩვენონ.

— ვისმეს თუ იცნობ, ასეთი მოგზაურობა რომ შეესრულებინოს?

— ხო. ჩემს ბენეფაქტორს. მაგრამ მას არასოდეს უთქვამს, როგორ დაბრუნდა იქიდან.

— ნუთუ ასე ძნელია დაბრუნება, დონ ხუან?

— კი, ძნელია. აი, რატომაც მათებს შენი საქციელი. შენ არაერთხელ თანამძღვრობას არ იცავ, ჩვენ კი ვაღდებული ვართ, გარკვეული საფეხურები გავიარეთ იმდენად, რომ სწორედ მათი გავლენით იმებს ადამიანი ძალას. მათ გარეშე ჩვენ არაფერს არ წარმოვქმედებთ.

რამდენიმე საათი ვდუმდით. იგი, თითქოს ღრმად ჩაფიქრებულიყო რაღაცაზე.

1964 წლის 26 დეკემბერი, შაბათი

დონ ხუანმა მკითხა, ხვლიკების ტენა თუ მომიხდა. ვუპასუხე, რომ ვეძებე, მაგრამ ვერ ვიპოვე. ჩემს შეკითხვაზე, რა მოხდებოდა ერთ-ერთი ხვლიკი ხელში რომ შემოაკვდომოდა, მან მიპასუხა, რომ ხვლიკის დალუქვა საერთოდ აუბედითი მოვლენა იყო. თუ პირაკვერი ხვლიკი მოკვდებოდა, თანაც ნებისმიერ დროს, მაშინ ჯადოსნობის გაგრძელებას არაერთხელ აზრი აღარ პქონდა, თქვა მან. ეს ხომ იმას ნიშნავდა, რომ ხვლიკებს ჩემთან მეგობრობა გაქწყვიტათ და ეშმაკის ბალახის შესახებ სწავლების დიდი ხნით გადადება მომიწევდა.

- მაინც რა ხნით, დონ ხუან? — ვკითხე მე.
- ორი წლით ან მეტით.
- და რა მოხდებოდა, მეორე ხვლიკიც რომ მომკვდარიყო?
- მეორე ხვლიკიც თუ მოკვდა, შენ, მართლაც, საფრთხის წინაშე აღმოჩნდები. მარტო, გიდის გარეშე დარჩები. ის თუ ჯადოქრობის დაწყებადმე მოკვდა, შეგიძლია ჯადოქრობა შეწყვიტო და უარი უნდა თქვა ეშმაკის ბალახზე. ხვლიკი მზარხე რომ მოკვდომიდა, ჯადოქრობის დაწყების შემდეგ, შენ მისი გაგრძელება მოგიხდებოდა, ეგ კი, მართლაც, სივთე იქნებოდა.
- რატომ იქნებოდა სივთე?

— იმიტომ, რომ ასეთ პირობებში ყველაფერი აზრს კარგავს. შენ მარტო რჩები, გიღის გარეშე და საშინელებას და უაზრობას ხელეუ.

— რას გულისხმობ „უაზრობაში“?

— იმას, რასაც ჩვენ თვითონ ვხედავთ. რასაც ვხედავთ, როცა მიმართულება არა გვაქვს მიღებული. ეს ნიშნავს, რომ ეშმაკის ბალახი შენს მოპირუბას ცდილობს, თავიდან გიცილებს.

— ვინმეს თუ იცნობ, ეს რომ გამოეცადოს?

— კი, მე თვითონ. ხელიკების სიბრძნის გარეშე გაგიჟიდ.

— რა ნახე, დონ ხუან?

— უამრავი სისულელე. აბა კიდევ რას ვნახავდი მიმართულეების გარეშე?

1964 წლის 28 დეკემბერი, ორშაბათი

— შენ თქვი, დონ ხუან, რომ ეშმაკის ბალახი ცდის ადამიანს. ამით რისი თქმა გინდოდა?

— ეშმაკის ბალახი ქალსა ჰკავებს და კაცსაც ქალივით აცდუნებს. ყოველ მოსახვეში უკვებს მახეს. შენც გამოვიჭირა, როცა შუბლზე პასტა წაგასმეინა. კვლავ შეეცდება ამას და, ალბათ, გაუმეობი კიდევაც მის მახეში. გაფრთხილებ, ნუ აპყვები მის ცდუნებას; ეშმაკის ბალახი — მხოლოდ ერთ-ერთი გზაა ადამიანის ცოდნის საიდუმლოებისაკენ. სხვა გზებიც არსებობს. ხოლო მის. მახე სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ დაგარწმუნოს, თითქოს მისი გზა ერთადერთი ყოფილიყო. მე ვთვლი, რომ უაზრობაა, შენი ცხოვრება მხოლოდ ერთ გზაზე დახარჯო, მით უმეტეს, თუ ამ გზას გული არა აქვს.

— მაგრამ, დონ ხუან, რა იცი, რომ გზას გული არა აქვს?

— სანამ გადაჭრით გზას დაადგებოდე, შენ თავს ჰკითხე: აქვს თუ არა მას გული? თუ არა აქვს, შენ ეს გეცოდინება და მაშინ სხვა გზის არჩევას შეძლებ.

— კი მაგრამ, როგორ მივხვდები, აქვს ამ გზას გული თუ არა?

— ამას ყოველი ადამიანი მიხვდება. უბედურება ისაა, რომ არაყინ ისეამს ამ კითხვას; ხოლო როცა კაცი საბოლოოდ დარწმუნდება, რომ უგულო გზა აურჩევია, გზა უკვე მზადაა მის მოსაკლავად. აქ კი ძალზე ცოტა ვისმეს თუ შეუძლია ეჭვების უკუგდება და მიხი მიტოვება.

— რით უნდა დაეიწყო, დონ ხუან, ეს შეკითხვა სათანადოდ რომ დაეუსვა საკუთარ თავს?

— უბრალოდ დაუსვი.

— რაიმე უტყუარი ზრხი თუ არსებობს, თავი რომ არ მოიტყუო და „არა“ — „ხო“-თ არ მიიღო?

— შენ თავს რატომ უნდა მოატყუო?

— თუნდაც იმიტომ, რომ იმ წუთას გეჭვენება, რომ გზა სიამოვნებას და სიხარულს გვცრის.

— სისულელეა. უგულო გზას არასოდეს არ მოაქვს სიხარული. მიძე შრომაა საჭირო მასზე უბრალოდ შესადგომადაც კი. ხოლო გულიანი გზა ადვილი საგალაა. მის შესავყვარებლად შრომა არ გჭირდება.

დონ ხუანმა უეცრად თმა შეცვალა და იმ აზრით გამოიგნა, თითქოს მე ეშმაკის ბალახი მომწონდა. იძულებული ვიყავი შედიარებინა, რომ, მართლაც, მას გარკვეულ უპირატესობას ვანიჭებდი. მან მკითხა, მის მოკავშირე კვამლისადმი ჩემი დამოკიდებულების შესახებ და აქაც ვადიარე, რომ უბრალო გაფიქრებაც კი მასზე უეიდურეს შიშს მგვრიდა.

— გითხარი უკვე, რომ გზის არჩევის დროს შიშისა და ამბიციებისაგან უნდა განთავისუფლდე. შენ კი კვამლი შიშით გაბრძნავებს, ხოლო ეშმაკის ბალახი — ამბიციებით.

მე შეეგპასუხე და ვუთხარი, რომ ამბიციები თუნდაც იმისათვისაა საჭირო, რომ საერთოდ რომელიმე გზას დაადგე და მის მტკიცებას, თითქოს ამბიციებისგან სრულიად უნდა განთავისუფლდე, არაფითარი აზრი არა ჰქონდა. ადამიანს სჭირდება ამბიციები იმისათვის, რომ ისწავლოს.

— სწავლის სურვილში არ არის ამბიციები, — თქვა მან. — ეს ჩვენი, ადამიანთა ხვედრია — ცოდნისადმი ლტოლვა; მაგრამ ეშმაკის ბალახთან შენ ძალისაგან ისწრაფვი, ხოლო ეს კი ამბიციება იმიტომ, რომ შენი მიზანი ცოდნა არაა. ნუ მისცემ ეშმაკის ბალახს შენი დაბრძნების ნებას. შენ უკვე გამოუდევო ანკეს. იგი ბაღში ახვევს მამაკაცებს მათთვის ძალის შეგრძნების მინიჭებით ვითომც და მათ ისეთი რამეების კეთება შეეძლოთ, რაც ჩვეულებრივ ადამიანს არც კი დაეისმებრება. მაგრამ სწორედ ამაშია მისი მახე და კიდევ: უგულო გზა ადამიანის წინააღმდეგ შემობრუნდება და გაანადგურებს მას. სიკვდილს დიდი არაფერი უნდა, მისი ძენა —

არაფრის ძებნას ნიშნავს.

10

1964 წლის დეკემბერში ჩვენ, დონ ხუანთან ერთად, გვემგზავრეთ მოსაწვევი ნარევისათვის მცენარეების შესაგროვებლად. ეს მეოთხე ციკლი გახლდათ დონ ხუანი, უბრალოდ, კონტროლს უწყვედა ჩემს მოქმედებას. მან შემახსენა, რომ სანამ რომელიმე მცენარეს მოწყვითავდი, საჭირო იყო დროის შერჩევა. დაკვირვება და აზრების მოკრეფა. როგორც ყოველა საჭირო მცენარე მოვარგოვ და შესაბამისად დავაშაადე, მან დამიწყო დარწმუნება, მოკავშირეთან ჩემი კიდევ ერთი შეხვედრის აუცილებლობაში.

1964 წლის 31 დეკემბერი, ხუთშაბათი

— ახლა, როცა ცოტა უკეთ გაიცანი ეშმაკის ბალახი და კვამლი, უფრო გარკვეულად შევიძლია თქვა, რომელი უფრო მოგწონს ამ ორში, — მითხრა დონ ხუანმა.

— კვამლი ნამდვილად მაშინებს, დონ ხუან. არ ვიცი რატომ, მაგრამ მის მიმართ კეთილ გრძობებს არ განვიცდი.

— შენ პირველობა გიყვარს და ეშმაკის ბალახიც შენთვის ქათინაურებს არ იშურებს. ქალივით სიამოვნებას განიჭებს. კვამლი კი — ყველაზე კეთილშობილ ძალას წარმოადგენს. მას უსაბუთო გული აქვს. იგი მამაკაცებს არ აცდუნებს და მათ არ ატყვევებს. იგი თავისუფალია, როგორც სიყვარულისგან, ისე სიძულვილისგანაც. ერთადერთი, რასაც ის მოითხოვს, ეს ძალაა. ეშმაკის ბალახიც ძალას მოითხოვს, მაგრამ სულ სხვა სახის ძალას — უფრო ისეთს, რომელიც მოწიფულ მამაკაცად გაქცევს ქალების წინაშე. მეორე მხრივ, ძალა, რომელიც კვამლს სჭირდება — ეს გულის ძალაა. შენ ის არა გაქვს! ის ძალზე ცოტა მამაკაცს გააჩნია. სწორედ ამიტომ გირჩევ, კვამლის უკეთ გაცნობას. იგი გულს გვიმაგრებს და სულ არ ჰგავს ეშმაკის ბალახს, თავისი ვნებებით, ეჭვიანობითა და ძალადობით. კვამლი საიმედოა. მასთან არ უნდა გეშინოდეს, რომ საქმის მსვლელობისას რამეს დაიფიწყებ.

1965 წლის 27 იანვარი, ხუთშაბათი

სამშაბათს, ცხრამეტე იანვარს, ისევ მოეწიე პალუცინოგენური ნარევი. დონ ხუანს ვუთხარი, რომ სრულიად არ ვიყავი კეთილად განწყობილი კვამლის მიმართ და შეშინოდა კიდევაც მისი. მან თქვა, რომ კვამლის სათანადოდ შეფასებისთვის, იგი კიდევ ერთხელ უნდა მოემსახვა.

მის ოთახში გვედით. დღის ორი საათი იქნებოდა. მან ჩიბუხი გამოიღო. მე ნაკვერჩხლები მოვიტანე, შემდეგ ერთმანეთის პირისპირი დავსხდით. მან თქვა, რომ ჩიბუხის გათბობასა და გაღვებებს აპირებდა. თუ ყურადღებით ვიქნებოდი, დავინახავდი, როგორ დაიწყებდა იგი ნათებას. მან სამჯერ თუ ოთხჯერ მიიტანა ჩიბუხი პირთან და მით ჰაერი შეისუნთქა. ნაზად გადაუსვა ხელი. უეცრად, მან ოდნავ შესამჩნევად დამიკრა თავი ნიშნად იმისა, რომ ჩიბუხის გაღვებების საყურებლად მიწვევდა. მე ვუცქერდი, მაგრამ ვერაფერი დავინახე.

მან ჩიბუხი გადმოძვა. ყალიონი ჩემი საკუთარი ნარევით ავახემე. მეორე გვარგარებულ ნაკვერჩხალი ავიღე საკეცურით, რომელიც სპეციალურად ამ შემთხვევისთვის ხის საკიდრისგან გავაკეთე. დონ ხუანმა საკეცურს შეხედა და სიცილი აუტყდა. ოდნავ დაჯაყოფე და ნაკვერჩხალი საკეცურს მიეწეა. შემეშინდა, საკეცური ჩიბუხისათვის არ მიმერთყა და ნაკვერჩხლის მოსაცილებლად იძულებული გავხედი მასზე დამეფურთხებინა.

დონ ხუანი მიბრუნდა და სახეზე ხელები აიფარა. სხეული უკრიოდა. წამით გავიფიქრე, რომ ტიროდა, მაგრამ იგი უხმოდ იციროდა.

პროცედურა კარგა ხნით შეწყდა; შემდეგ მან თვითონ სწრაფად აიღო ნაკვერჩხალი, ჩიბუხში ჩაღო და მოწვეა მიბრძანა. მნიშვნელოვანი ძალდატანება დამჭირდა, პაერი რომ შემეხსრტა, რადგან ნარევი, როგორც ჩანს, ძალზე მჭიდრო იყო. პირველი ნაფაზის შემდეგ ვიგრძენი, რომ პაერთან ერთად წმინდა ფხენილიც შევიწიე. მამისათვე პირი გამიბუღდა. ჩიბუხში ნალექრდალს ვხედავდი, მაგრამ კვამლს სრულებით არ ვგრძნობდი, ისე, როგორც კაცი სივარტის კვამლს გრძნობს. მაგრამ ვგრძნობდი, რომ რაღაცას ვისრუტავდი, რაც ჯერ ფილტვებს მესვებდა, ხოლო შემდეგ ძირს ეშვებოდა და მთელს სხეულში იფერებოდა.

20 ნაფანი დავითვალე, შემდეგ ანგარიშმა მნიშვნელობა დაკარგა. ოფლი წამომიფიდა; დონ ხუანმა დაკვირვებით შემომხედა და

მითხრა, რომ არ შემშინებოდა და ყველაფერი ზუსტად ისე გამეკეთებინა, როგორც ის იტყოდა. ვცადე, სიტყვა „კარგი“-ს წამოთქმა, მაგრამ ამის ნაცვლად რაღაც მუცლისმიერი ყმული აღმოჩნდა, რომელიც მას შემდეგაც გაისმოდა, პირი რომ დაემუწე. ხმამ თავხარი დასცა დონ ხუანს და სიცოცხლის კიდევ ერთი შეტყევა გამოიწვია. თავის დაქნევა დაფაირე „ხო“-ს ნიშნად, მაგრამ ესეც ვერ შევძელი.

დონ ხუანმა რბილად გამიხსნა ხელები და ჩიბუხი გამომართავა. იელტაკზე დაწოლა მიბრძანა, მაგრამ ძილი ამიკრძალა. ველოდი, რომ დაწოლაში დამტყპარებოდა, მაგრამ მან ეს არ გააკეთა. იგი უბრალოდ თვალმოუცილებლად მიმხერდა. უცბად დავინახე, რომ ოთახი შეტრიალდა და ახლა დონ ხუანს გვერდზე წამოწოლილი მდგომარეობიდან ვხედავდი. ამ წუთიდან ზმანებები უცნაურად შეინისლა სიზმარივით. ბუნდოვანად მაგონდება, რომ დონ ხუანი ბევრს ლაპარაკობდა, მე კი უძრავად ვიჯავი.

არც შიში და არც სხვა რამ უსიამოვნო შერძნებდა ამ მდგომარეობას არ მოუტანია და მეორე დღეს, გამოღვიძებისას, თავს აუად არ გვრძობდი. ერთადერთი უჩვეულო იყო ის, რომ რაღაც პერიოდი ვაღვიძების შემდგომ, ნათლად ვერ ვაზროვნებდი. შემდეგ თანდათან, 4-5 საათის განმავლობაში, კვლავ დაუბრუნდი ჩვეულ მდგომარეობას.

1965 წლის 20 იანვარი, ოთხშაბათი

დონ ხუანს აღარ წამოუწვია საუბარი ჩემი შთაბეჭდილებების შესახებ და მათი გადმოცემაც ჩემთვის არ უთხოვია. მან შენიშნა მხოლოდ, რომ მე ნამეტანი სწრაფად ჩამეძინა.

— ერთადერთი საშუალება არ დაიძინო ეს — ფრინველად, კურდღლად ან კიდევ სხვა მსგავს რაიმე გადაიქცე. — თქვა მან.

— ამას როგორ აკეთებ, დონ ხუან?

— სწორედ მაგ უნდა გასწავლო. გასხვოს გუშინ რა გითხარი, როცა სხეული არ გქონდა?

— კარგად ვერ ვიხსენებ.

— მე — ყვაგი ვარ და გასწავლი, ყვაგი როგორ გახდე. ამას რომ ისწავლი, სიფინზლის შენარჩუნებასა და თავისუფლად მოძრაობას შეძლებ. წანააღმდეგ შემთხვევაში კი მუდამ მიწაზე დარჩები მიკრუ-

ლი — იქ, სადაც დაეცემა.

1965 წლის 7 თებერვალი, კვირა

კამლის ჩემი მეორე მოხიზვა, შედგა კვირას, 31 იანვარს ნაშუადღევს. მეორე დღეს, მოსაღამოვებულს გამოვიღვიძე და რაღაც არაჩვეულებრივი უნარი შევიგრძენი ყველაფერი იმის გახსენებისა, რაც კი დონ ხუანმა ცდის დროს მითხრა. მისი სიტყვები თითქოს გონებაში ჩამბეჭდვოდა. კვლავ ჩამეხსოვდა ისინი, საოცარი აიცხადითა და დამაყვებლობით კიდევ ერთი რამ გახდა ჩემთვის ცხადი: მთელი სხეული ერთბაშად გამიბუჟდა მას შემდეგ, რაც წვრილი ფხვინლის ყლაპვა დავისწე, ყოველ ნაფასს პირში რომ მხედებოდა. ესე იგი, მართო კვამლის კი არ ვისუნთქავდი, ნარევესაც ვცხამდი.

ვცადე დონ ხუანისთვის ჩემი შვერძნებების გაზიარება; მან თქვა, რომ არაფერი სერიოზული არ მომხდარა. მაშინ დაეუმატე, რომ ყველაფრის გახსენება შეუძლო, რაც მოხდა, მაგრამ მან მოსძინა არ ისურვა. ყოველი მოგონება ზუსტი და შეუცდომელი იყო. მოწევის პროცედურა იგივე იყო, რაც წინათ შეიძლებოდა გვეუქნა, რომ ორივე ცდა მთლიანად ემთხვეოდა ერთმანეთს და ჩემი თხრობის გაგრძელება იმ ადგილიდან შეუძლო, სადაც პირველი ექსპერიმენტი დასრულდებოდა. ცხადად მასხოვდა, რომ გვერდზე დავცემდი შემდეგ გრძნობებმა და აზრებმა სრულიად დამტოვე. მაგრამ, მიუხედავად ამისა, გონების სიცხადე არაფერში არ დარღვეულა. მასხოვს, რომ ჩემი უკანასკნელი აზრი, როცა ოთახი ვერტიკალურ სიბრტყეში გადაბრუნდა, იყო: „აღლბო, იატაკს დაგასკდი თავით და მაინც არაფერს ტკივილს არა ვგრძობ“.

ამ წუთიდან მე მხოლოდ მოსმენისა და ზედვის უნარი დამჩინებოდა. დონ ხუანის მიერ წარმოთქმული ყოველი სიტყვის გამოერება შეუძლო. ვველა მის მითითებას ვასრულებდი. ისინი ცხადი, ლოგიკური და უბრალო შეჩვენებოდნენ, ხოლო ასეთ პირობებში სიფინზლისა და მოძრაობის უნარის შენარჩუნების ერთადერთი საშუალება — ყვაად გადაქცევა იყო. მან მიბრძანა, თვალების დახამხამება მეცადა და დაუმატა, ამას თუ შევძლებდი, ეს იმის ნიშანი იქნებოდა, რომ გაგრძელება შეუძლო. შემდეგ მან მითხრა, რომ ჩემი სხეული სრულიად გამქარაღიყო და მე თავის გარდა არაფერი დამჩინებოდა; თავი არასოდეს არ ქრებოდა, რადგან სწორედ თავი

გადაიქცეოდა ყვაულად.

მან მიბრძანა, თვალები დამქაბსამებინა. ალბათ, ეს ბრძანება — ისევე როგორც ყველა დანარჩენი — მრავალჯერ გაიმეორა იმიტომ, რომ მათი გახსნება უადრესი სიცხადით შემეძლო. როგორც ჩანს, მე თვალები დავახამხამე, რადგან მან გადაწყვიტა, რომ ახლა უკვე შხად ვიყავი, და თავის გასწორება და ნიკაპზე დაყრდნობა მიბრძანა. ნიკაბი თურმე — ყვავის თათები ყოფილა. მან მიბრძანა, თათები შემეგრძნო და მეხრუნა იმაზე, რომ ისინი ნელ-ნელა გამოსულიყვნენ. შემდეგ მან თქვა, რომ მე ჯერ საკმარისად ძლიერი არ ვიყავი, რომ კუდი უნდა გამეხარდა და რომ იგი ჩემი კისრიდან გამოვიდოდა. მიბრძანა, კუდი მარაოსავით გამეძაღა და შემეგრძნო, როგორ ხვეტავდა იგი იატაკს.

შემდეგ მან ყვავის ფრთებზე გადავიდა და თქვა, რომ ისინი ჩემი დაწვებიდან უნდა გამოსულიყვნენ. ეს ძნელი და მტკივნეული საქმე იქნებოდა. მათი გამოშვება მიბრძანა. ისინი განსაკუთრებით გრძელი უნდა ყოფილიყვნენ, იმ სიგრძე, რომლის მიღწეასაც კი შეეძლებოდა, წინააღმდეგ შემთხვევაში ვერ გაფრინდებოდი. მან მითხრა, რომ ფრთები უკვე გამოიმდოდა, გრძელი და ლამაზი, უნდა შექნია ისინი, სანამ ნამდვილ ფრთებად არ გადაიქცეოდნენ.

შემდეგ მან ჩემი თავის კენჭროზე გადავიდა და თქვა, რომ ის ჯერ კიდევ ძალიან დიდი და მძიმე იყო და რომ მისი სიმძიმე ფრენას შემეშლიდა. მისი შემცირებისთვის თვალების დახამხამება იყო საჭირო; ყოველ დახამხამებაზე თავი თანდათან შემცირდებოდა. მან მიბრძანა, თვალები შეხამხამებინა, სანამ კენჭრო არ გამსუსუქლებოდა და მე თავისუფლად არ შევძლებდი ახტომახს. შემდეგ მან მითხრა, რომ მე უკვე შეეამცირე თავი ყვავის თავის ზომამდე, ახლა უნდა მველო იქით-აქით და მჭტუნა, სანამ შებოჭილობა არ გამოვლიდა.

კიდევ ერთი რამ დარჩა შესაცვლელი, მითხრა მან და მაშინ ფრენას შევძლებდი. ეს იყო ყველაზე ძნელი ცვლილება — მისთვის რომ მიმეღწია, ყველაფერში დონ ხუანისათვის უნდა დამეჯერა და ყოველი მისი ნათქვამი ზედმეწეწით შემეხრუნებინა. მე უნდა მესწავლა ყვეფითი ხედავ. დონ ხუანმა თქვა, რომ ახლა მე თვალებს შუა ცხვირი და პირი გამომივიდოდა და მყარი ნისკარტი ჩამოყალიბდებოდა. მან დაუმატა, რომ ყვაულები პირდაპირ ორივე მხარეს იხედებოდნენ და მიბრძანა, თავი მომგრუნებინა და მისთვის ცალი თვალთ

შემეჭდა. მეორე თვალთ რომ მესურვა მისთვის შესედა, ნისკარტი ქვეით უნდა დამეწია — ეს მოძრაობა მეორე თვალთ დანახვის საშუალებას მომცემდა. მან მიბრძანა, მხედველობა ერთი თვალთდან მეორეზე გადამეტანა. შემდეგ დაასკვნა, რომ გაფრინებისთვის შხად ვიყავი და მას მხოლოდ ჩემი პაერში ავლება დარჩენოდა.

მისი ბრძანებების შესაბამისად აღძრულ არცერთ შეგრძობებასთან არავითარი სირთულე არ გამეწინა. ვერძობობდი, როგორ შეზრდებოდა ფრინველის ფეხები, ჯერ სუსტი და მშორთილვარე. ვერძობობდი, როგორ ამძლიოდა ჩემი კისრის უკანა მხარეიდან კული, ხოლო დაწვებიდან — ფრთები. ფრთები მჭიდროდ მქონდა აკეცილი. ვერძობობდი, როგორ გამოდიოდნენ ისინი თანდათანობით პროცესი ძნელი, მაგრამ უმტკივნეული იყო. შემდეგ თვალთ დახამხამებას მოვყევი, სანამ ჩემი თავი ყვავის თავის ზომამდე არ შემცირდა. მაგრამ ყველაზე საოცარი რამ ჩემს თვალებს გადახდა. მე ფრინველთით ვხედავი!

როდესაც დონ ხუანის ხელმძღვანელობით ნისკარტს ვიზრდი, გამიჩნდა ჰაერის უკმარობის გამაღიზიანებელი შვერძნება. შემდეგ რაღაც წინ გამოშვერდოდა საგანმა ჩემს თვალებს დაბრკოლება შეუქმნა და სანამ დონ ხუანმა გვერდით გახედავ არ მიბრძანა, მათ სრული ხედვით არე არ ვაჩნდობი. მე შემეძლო თვალის დახამხამებით მხედველობის ფოკუსის ერთი თვალთდან მეორეზე გადატანა. ამასთან, ოთახი და მასში განლაგებული არცერთი საგანი იხე არ გამოაფერებოდა, როგორც ჩვეულებრივ. თუმცა ვერ ვიტყვი, რაში მდგომარეობდა განსხვავება. როგორც ჩანს, მე მათ აღმახამებდა ვუცქერდი, ანდა შესაძლოა, საგნებს ფოკუსში ვერ ვიჭერდი.

დონ ხუანი ძალიან დიდი გახდა და კაშკაშად ანათებდა. მის მიმართ თავისებური კომფორტისა და უსაფრთხოების გრძობობებს განიცდიდი. შემდეგ ხილული სახეები გაბრუნდებოდნენ, დააკარგეს მოხაზულობა და მკვეთრ, სქემატურ ნაყშებად გადაიქცნენ, რომელნიც დროდადრო ინთებოდნენ და ციმციმებდნენ.

1965 წლის 28 მარტი, კვირა

სამშაბათს, 18 მარტს, კვლავ მოეწია პალეონტოგენური ნარევი. პირვანდელი პრიველურა შეიცვალა წვრილმან დეტალეებში. ორჯერ მომიხდა ჩიბუხის შეხვევა.

დევ დონ ხუანმა მისი გაქმენდა დამპყალა, ნარევი კი ხელახლა თვითონ ჩაყარა, რადგან მე კუნთების კორინცინაცია მლატატობდა. ძალზე სერიოზული დამაბევა მიხედობდა, უბრალოდ ხელეობი რომ გამქმნარა. ჩემს ქისაში საკმარისი ნარევი აღმოჩნდა, ჩიბუხის კიდვე ერთხელ შესვსებად. დონ ხუანმა შეხედა მას და თქვა, რომ ეს ჩემი უკანასკნელი ცდა იქნებოდა მომავალ წლამდე — მთელი ჩემი მარაგი ამოძქურა.

მან ქისა ამობარუნა და მტკერი ნაკვერჩხლიან თფშზე გაღმიბერტყა. ნარინჯისფერი ალი აყარდა, თითქოს მას ნაკვერჩხლებზე რომელიდაც გამჭვირავლ მასალის ფურცელი დაედოს. ფურცელს ალი მოედო და შემდეგ დაძალა ძალითა რთული მოხაზულობით რაღაცამ გაიფევა ამ ხაზების გასწვრივ. დონ ხუანმა მიბრძანა, თვალი შედევნებინა ხაზების მოძრაობისთვის. დავინახე პატარა ბურთის მაგვარი ფორმა, რომელიც განათებულ ლაქაზე დაგორავდა. დონ ხუანი დიხზარა, ხელა ჩაყო ამ სინათლემი, ბურთულა ამოიღო და ჩადო ჩიბუხში. ნაფაზის დარტყმა მიბრძანა. სრული შთაბეჭდილება შემექმნა, რომ მან ბურთულა ჩიბუხში იმბტომ ჩადო, რომ მე იგი შემეხუნიოქა. წაშში ოთახმა დაკარგა ჰორიზონტალური განლაგება. ძლიერი შებოჭილობა და სიმძიმე ვიგრძენი.

